

მნათობი



7

სახელმწიფო გამომცემლობა
ცვილიხი 1929

პრეტლუტატორში ყველა ქვეყანასა, შერთიდით!



მნათობი

7

ყოველთვიური მხატვრულ ლიტერატურული
მეცნიერულ პუბლიცისტური ჟურნალი

19858

წლიწადი შოქვსა

ივლისი



საბუნებისმეტყველების განყოფილება

ფონდისი 1929



მხატვრული ღილაკაფორმა

საქართველოს
გერბის მემკვიდრეობა



პოემა ხუთ-წლიან ბავშვზე

ღამის პირველი

შესავალი

შევიკრიბოთ
 პოეტებო, დღეს ისევ?
 კარგი, გითხრათ
 სიმაართლე ეს, მეც მომწონს;
 დღეს აგვანთებს
 ისევ მზის სიხალისე,
 რასაც ჩვენი
 გამარჯვებები მოწმობს.

სიხარული
 ნიავეით მოქროლავს!
 ასე ვამბობ:
 ეს ცხოვრება გრდემლია,
 დაჰკრავ მაგრად?—
 გამოსტედავ მომივალს,
 გაქანება—
 აჰუ, დღეს რამდენია!..

კაცი ხარ და,
 გაქვს ჯანსაღი სურვილი?
 ჰა ბურთი და
 მოედანიც მზაჯაა.

შეგიძლია:
 ქნა საქმე რამ გმირული;
 შეგიძლია:
 გმირი გახდე ანაზღად.

ყოველი წუთის —
 დღევანდელს ჩვენს დროისას

საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

9/6



დავანაცვლებ
 წარსულ საუკუნეებს;
 ჰე რა დიდი
 აღშენებლობა მოაქვს,
 ჰე რა დიდი
 დავალება არგუნეს!..

ოჰ, და როცა
 ეს დრო თავგამოდებით
 იბრძვის, ქმნის და
 აუილიბებს მომავალს,
 სირცხვილია
 ვინმე განმარტოვებით
 იდგეს განზე,
 იბრმავებდეს განგებ თვალს.
 და დღეს როცა,
 ყველა მუშა მშრომელი
 ფიქრობს, ზრუნავს
 ხუთი წლიან გეგმისთვის;
 სირცხვილია,
 ჩვენც მათ არ მივეშველოთ
 მეგობრებო,
 შეგვიძლია თუ რითაც.

შევიკრიბოთ
 პოეტებო, დღეს ისევ?!
 კარგი, ვითბრათ
 სიმაართლე რომ, დროცაა;
 ხუთი წლიან
 გეგმაზე თუ სურს ვინმეს
 ისაუბროს;
 კმარა ამდენი მოცდა.
 მაგონდება:
 ჯერ კიდევ ეს შარშანწინ
 სოქვა კრებაზე
 ერთმა ესტეტ-პოეტმა:
 — „პოეზიის
 საგანია საშუაბლო,
 ქალი, ღმერთი
 და ღვინით დროს ტარება.“—

ჩვენ ხომ აბა,
 არ გეწამს ეს აბღა-უბღა?

პროლეტარულ
 პოეტობას სხვა გზა აქვს,
 მაშ ცხოვრებას
 მიყვებით ფეხ და-ფეხ უნდა
 და ლექსებში
 მხოლოდ იგი გამოვსთქვათ,

რადგან ვიცით:
 ლექსსაც ის მნიშვნელობა
 უნდა ჰქონდეს,
 რაც ჩაქუჩს და ნამგალს აქვს:
 დაეხმაროს—
 დიად აღმშენებლობას
 დაეხმაროს—
 უზარ-მზარ მომავალს.

ლექსი მეოცე

ჰა, თავმჯდომარემ აიღო სიტყვა
 და გადახედა ტკბილად წეგობრებს,
 (ასეა თურმე, კაცს რაც რომ გიყვარს,
 მუდამ ის გულში შევებას გიგორებს).
 ამხანაგებო, მოგეხსენებათ
 დღეს ლაშქრობაა შრომის ველზედა,
 ჩვენც, როდი გემართებს აწ დახანება,
 ან უდარდელად წოლა გვერდზედა.
 ხუთი წლიანი გეგმის შედგენა
 მოვალეობად გვაწევს პოეტებს:
 რა ვაეკეთოთ, ან და რამდენად
 უნდა ვიბრძოლოთ კულტურის ფრონტზე.
 ამისათვის გეგმა ბევრ დარჯად დავეყოთ,
 სხვა და სხვა მზრიდგან მიუდგეთ საკითხს
 ვაფანაწილოთ და სათითაოდ
 ის ვაეკეთოთ, რაც გვერგოს წილით.
 მე დაეასრულე სიტყვა და თქვენაც
 გმართებთ გამოსთქვათ თქვენ თქვენი აზრი.
 ხუთი წლიანი გეგმის შედგენა,
 აი, დღევანდელ კრების მიზანი.

ლექსი მესამე

ერთი პოეტი წამოდგა ფეხზე
 და წამოიწყო დაჯერებულ ხმით:
 — მე ასე ვამბობ—თან აქნევს ხელებს,





თითქოს ტოტემი არიანო ხის.

— მე ასე ვამბობ: უნდა ვებრძოლოთ
 ძველ დახავსებულ ზნე-ჩვეულებას,
 მართალი არის ბევრი საქმელო
 შეგვხედება ვზაზე ჩვეულებრივად.
 მაგრამ ახალის გასამარჯვებლად
 აღარ დავზოგოთ ძალი და ღონე
 და მეც აქედან თამამით მჯერავს,
 რომ მიღწევები აღგვაფრთოვანებს.
 ხუთი წლიანი გეგმის მიხედვით,
 მოისპოს ძველი აზრი და გრძნობა...
 ახალ ცხოვრების - ახალ სიმხნევით
 ახლად დავკრავთ ახალგაზრდობა.

ღმინი მართა

ეხლა მეორე პოეტი ითხოვს
 სიტყვას და ასე იწყებს საუბარს:
 — ამბანაგებო, ცხოვრება გვიხმობს
 და ჩვენც მას აბა, როგორ ვეტყვიტ უარს,
 დღეს აშკარაა სოფლად კლუბების
 და კომუნების გაფართოება,
 და ელექტრონის ელნათურებიო
 სოფლიდან სოფლად გადანასება...
 ჰო და, აი ჩვენც გვმართებს ამ დიდი
 აღმშენებლობის ერთი სერია,
 ავწეროთ ისე, როგორც არასდროს
 დღემდის არავის აუწერია.
 კერძოთ მე გითხრათ ეს გულახდილათ:
 სოფლის ცხოვრება ძალზე მიხარებს—
 ვხედავ ტრაქტორი სდევნის სახნის და,
 ასვენებს მარად გატანჯულ ხარებს.
 მაგრამ ეს კიდევ წვეთია ზღვაში
 (ხომ უნდა ჩავწვდეთ მთლად სინამდვილეს)
 დარწმუნებული ვარ მე ამაში
 მიღწევებს უფრო კლავ გავადიდებთ.
 გავადიდებთ და მთლად შეიცვლება
 დღევანდელ სოფლის სახე, იერი.
 მოდგმიდან-მოდგმას გადაეცემა
 აღმშენებლობის ხმები ძლიერი.

ლეონი მახუთა



ეხლა მეც მინდა ვსთქვა რამე ძმებო—
 ამზობს პოეტი და ბელეტრისტი.
 — შრომა, რომ უნდა გავაძლიეროთ,
 ეს აშკარაა დღეს, ერთი სიტყვით...
 მაგრამ მე მინდა დღეს ყურადღება
 მივაპყრო მხოლოდ ქალაქს და ქარხნებს...
 მე მიმანნი დაუდგერობად
 არ შევებრძოლოთ მივწე გადახრებს!..
 გაგვიგონია და ყველამ ვიცით:
 სიძნელეები შრავალ გვარი გვაქვს
 თუმცა პარტია იბრძვის სიმტკიცით
 თუმცა პარტია ამ სიძნელეს ნთქავს,
 მაგრამ აქა-იქ გვეყავს სკეპტიკები
 და ღრუბლებივით აბნელებენ გზას,
 ასე ამზობენ: «ჩვენ მივაწყდებით
 ამ დონკიხოტურ ინდუსტრიას და
 შემდეგ წინ წყალი, უკან მეწყერი
 შუაში თქვენ და სქვენი იღვაც,
 განა არ ჯობდა, ეს ყველაფერი
 ჯერ გადაგვედო, რადგან აღრეა».
 ასე ამზობენ მაგრამ პარტია
 გენერალური ხაზის გაბრუნდვას,
 ებრძვის და როგორც საკადრისია
 მივწე გადახრებს უმასპინძლდება.
 გარდა ამისა ჩვენს პარტიაში
 ზოგი უღირსი შემოპარულა
 ვით სირაქლემა თავს მალავს ფრთაში
 და თავის საქმეს აწყობს ფარულად.
 ჰა მაგალითად, მე ვიცი ერთი
 წარსული ჰქონდა მართლაც მას შავი
 და ასე კაცი უნდო და თეთრი
 ჩაწერილიყო ჩვენს პარტიაში.
 იმას სახელად ეძახდნენ ჯახტანგს
 და გვარად ვგონებ იყო ლორია—
 რამდენჯერ თურმე—ამზობენ ეხლაც
 მას ხალხის ზურგზე გადუქროლია!..
 ჰო, და ეს კაცი, სასჯელის ნაცვლად
 გამხდარა ჩვენი პარტიის წევრი,
 დაუნიშნიათ ის გამგეთ სადღაც,
 გაუჩენია ფური საწველი.



წველა და წველა, მაგრამ სულ წყალი
 ვერ მოიტანა თურმე კოკამ და,
 გუშინ ის მთელი აყალ-მაყალით
 გამსახლში წლობით მოცალათა.
 მე როდი ვამბობ: ჩვენს პარტიაში
 ასეთებს ბევრი ჰქონდეს აღგილი.
 მაგრამ აქა-იქ, რომ გვეყავს სიაში
 ამის დანახვა არის აღგილი.
 და მეც ასეთი წინადადება
 შემომაქვს თქვენთან, როგორც ჯერია
 დღესვე იმათი გასაწმენდავით,
 შევქმნათ მსუბუქი კავალერია.

ლექსი მუხრანში

— მე კი საბჭოთა აპარატებზე—
 მსურს მეგობრებო ვილაპარაკო—
 ამბობს მეოთხე პოეტი, ვისაც
 აზრის გამოთქმა შესწევს საკვალად!
 — მოგესხენებათ საბჭოთ-აპარატს
 ბევრი უღირსი შებიზნებია,
 ბიუროკრატობს და მასზე ართავს
 თავის საქციელს ცბიერებიანს.
 თითქოს კაცია: თითქოს ერთგული
 თითქოს იმასაც სტკივა: რა ნეტავ?!
 მკაფე რქესავეთ შედედებული
 შედედებია აწმყოს ზედმეტად!!!
 მაგრამ, რომ კითხო რამე, მოგიგებს:
 — „ბოლშევიკებს კი ვენაცვალეო,
 ვანა ვერ ვხედავ იმათ ამაგებს?
 ქვეყანა, როგორ გამოცვალესო?!“—
 შემდეგ მოდგება და გაასაღებს
 თავის თავს ახალ აღამიანთ;
 გარწმუნებს: თქვენი მტრების წინააღმდეგ,
 მეც ავიღებო ხელში იარაღს.
 ხასაცვილა, თუმცა თქვენც იცნობთ,
 ამ გვარი ხალხი, რომ მუდამ სტყუის,
 ოღონდ მან თვითონ კარგათ იცხოვროს
 და თვით ეშმაკსაც ხელსა გაუწვდის;
 მაგრამ ჯანდაბას ეს ყოველივე,
 თუ დღეს ის მართლა სასარგებლოა;
 საქმეს აკეთებს საგანგებობებს
 ასრულებს თავის მოვალეობას!..



ჰე, რა უნდა ვსთქვა, გითხრათ სიმაართლე,
 რომ ძილლის თავიც აქა მარხია...
 შებუღრებია თავის კაბინეტს,
 ვით მიკიოტი ღამეს ნალვლიანს.
 ექვსი საათის მაგივრად დღეში,
 ორ საათს თუ ზის თავის ადგილას...
 მთხოვნელთან მუდამ ბრახდება, ხენეშის
 უარის თქმა მეტად ეადვილებს!..
 — აი გუშინწინ ერთი ამბავი
 მოხდა და ესეც მინდა გაუწყუთ.
 იმასთან მთელი დავიდარაბით
 სოფლიდან გლეხი ჩამოსულიყო.
 საქმე ქონოდა... მაგრამ საღაია...
 იცდის ერთი დღე, ორი, სამი და,
 გაბრაზებული გლეხი ანაზდათ
 ერიშით გამგის კარებს მისკდა...
 დარაჯს ხელი კრა... კარი შეგლიჯა:
 ხედავს გამგე კი, ზის არხენად
 და ვილაც ნაცნობს, იქვე რომ იჯდა,
 ესაუბრება ხალისიანად:
 — დიახ, წუხელის—იმას ვამბობდი,
 მართლაც, რომ დიდი ქეიფი გვქონდა...
 ოცნებით, ისე ეფორიაქობდით—
 თითქოს წარსულის ნიავი ჰქროდა...
 მოკლედ დიახ, შე ვარდენ დიდძე
 ვცხოვრობ დღეს ისე, როგორც მწადია.
 გარწმუნებ ჩემთვის დრო მიმდინარე,
 მხოლოდ ღვინო და ცხელი მწვადია...
 და ეს ყოველი იმიტომ მხოლოდ,
 რომ თავიდანვე ვარ უპარტიო.
 არც პოლიტიკა მწამს უხეირო,
 ტყვილა მას თავი, რომ მივამტყრიო.
 რადგან მე ვიცი: ყოველთვის, მუდამ
 რა მთავრობაც კი, არ უნდა იყოს
 ჩვენ ერთმანეთთან მივიდეთ უნდა,
 რომ სამუშაო შუაში ვავიყოთ.
 ამ დროს დიდიძემ მოიხედა და —
 ჰოი, რას ხედავს! მის წინ ქალაშნით
 დგას ვილაც გლეხი თავ-ქუდ-მოხდილი,
 გამზადებული მისცეს საღამი!..
 მაგრამ ვერ ბედავს, რადგან თვალეზი
 უცებ აინთო გამგის ბოროტათ!..
 (თითქოს შინა-სმა ნავალალები
 დგას მორჩილებით თავის ბატონთან).



— შენ, ეი, ეინ ხარ?!— იძახის გამგე.
 — გლეხი გახლავარ სოფელ ვაკიდან.
 — დრო არ მაქვს ეხლა, ველარ გაიგე?
 რატომ შემოდი დაუკითხავად.
 — რაო, შე სამი დღეა გიცდი და,
 ეხლაც არ გინდა, რომ მომისმინო?!
 — დიახ, არ მინდა, გესმის, არ მინდა!..
 ეხლა კი წადი და მომასვენე.
 — რაო, მშობილო, ღმერთი არა გწამს,
 სოფლის საქმე მაქვს დავალებული.
 — ეი, შენ ნებით თვარ გინდა წასვლა,
 ძალით იქნები გაბრძანებული.—
 და ამ სიტყვებზე გამგემ სიბრაზით
 მთლად დაამსხვრია თურმე ავეჯი,
 და გლეხიც—ველარ მომკრები აზრის
 უკან გამოდის ვანაჯავრები.
 წაეიდა იქ სად უსამართლობას—
 ებრძვის ნაცადი ამხანაგები
 და დაწვრილებით უამბო ყველას—
 მოთხრობა გამგის გამომსახველი!..
 ეხლა კი ხედავს, ჩაქარდა გამგე
 და მელასავით აფაქიცებს თვალს;
 ეძებს საშველი იპოეოს რამე,
 ეძებს მეგობარს და გამოსავალს,
 მაგრამ ამოდ, ხაფანგში გაბმულს
 ვირთავვას კატა როდი შველოდა
 და იგიც უკვე—გაგინარებთ გულს—
 მოსპო საბჭოთა კანონ-მდებლობამ.
 მაგრამ დაიკათ, ეს ერთია და
 მისთანები კი, ჯერ მრავალი გვყავს,
 ხო რცმეტებათ, რომ შეერთებიან
 ჩვენსა ცხოვრებას, ჩვენსა ქვეყანას.
 და დღეს, როდესაც ხუთ-წლიან გვეგვით
 საქმენი უნდა გავაფართოვოთ,
 შეეკრიბოთ ყველა ამხანაგები
 და მათ წინააღმდეგ ცეცხლი დაეანთოთ;
 გადაესწვათ ყველა უნდო, ცბიერი,
 მტერი ორპირი და შემპარავი!..
 დე ჩვენი ხმები უძლიერესი
 მეხივეით იყოს ყველგან მრგვრინავეი!..

ლექსი მუშვიდი



— ყველამ გამოსთქვით თქვენ-თქვენი აზრი
 ეხლა მეც მინდა გითხრათ რაღაცა—
 ამბობს მწერალი სუსტი და ნაზი
 და ძეწნასავით სხეულ ცახცახა.
 — თანამედროვე ქალზე მინდა მე
 გემასლათოთ, როგორც წესია:
 მოგეხსენებათ იმ თავიდანვე
 მათთვის მონობა დაუწყესიათ...
 ჰო და, მის ვამბობ: უნდა დაიგმოს
 ქალებზე ძველი შეხედულება...
 ბოლოს და ბოლოს დროა შევიგნოთ
 ეს ანბანური კეშმარიტები:
 ქალი არ არის, არ არის მონა,
 ის მამაკაცის თანასწორია;
 არც ვარსკვლავია, არც ვარდის კონა
 და არც სულ გვერდით დასაწოლია.
 ვალდებულება, მასაც ჩვენსავით,
 არგუნეს ხუთი წლიან გეგმაში,
 დროა ქალებმაც იჩინოს თავი
 ჩვენი ცხოვრების მშენებლობაში...
 მაგრამ რას ვამბობ: სინამდვილეში
 აქა-იქ სულ სხვა მოვლენებს ვხედავთ:
 ბევრი ქალს ისე ეთამაშება,
 როგორც ნივთს, ან და როგორც სახედარს.
 ებატებიან ეს კიდევ იმათ,
 ვინც ჩვენს ცხოვრების უკან ჩანჩალებს,
 (ესენი, ცოლად ვის არ შეირთავეს
 თუ მორჩილებით დააჩოქებენ.)
 მაგრამ რა უთხრა: ზოგს ჩვენ ამხანაგს
 რევოლიუციონერს თავს, რომ უწოდებს,
 ცოლს რომ ეპყრობა, მართლაც რომ გლახად
 და ძველებურად ყოფნას უწონებს.
 ჰა, მაგალითად ერთმა ნაცნობმა,
 (კომუნისტია უნდა იცოდეთ)
 კომკავშირელი შეირთო ცოლად
 და გაუმწარა საწყალს სიცოცხლე!..
 ქმარს ვანო ერქვა, ცოლს კი, ნათელა —
 მათი ამბავიც ასე იხსნება:
 შეერთებიდან გავიდა თვე და,
 ქმარმა წარსული დრო გაიხსენა.



უთხრა: „შენ ჩემი ცოლი ხარ ქალო,
 და მეც ხომ იცი როგორ მიყვარხარ?
 ამიტომ იჭვი რომ გავიქარგო
 ისე მოიქეც, როგორც მე გითხრა:
 კომკავშირობა უნდა დატოვო,
 გარწმუნებ შენთვის ეს ზედმეტია,
 სახლში რომ იჯდე, ისა სჯობს მარტოდ
 ვიდრე კრებებზე სადღაც ზეტიალს.
 ცოლს ეს ამბავი არ ეჭაწნიკა,
 ასე მიუგო პასუხად ვანოს:
 — გაგიყვებულხარ შენ კეშმარიტად,
 ნეტავ რას როშავ ადამიანო?“
 და შემდეგ ატყდა აურ-ზაური,
 რომ გაეავრძელო—რა საჭიროა.
 გააქრა ცოლ-ქმრობა ახალგაზრდული
 და ჩხუბი, დავა გაჰვიანურდა.
 ცოლი თავს იცავს: ქმარი კი თავის,
 ასე ესტქვით „წმინდა საკუთრებასა“.
 მისი პირობა არის მარტივი:
 დემორაზილოს ცოლი უთქმელად...
 მაგრამ ნათელა იბრძოდა მტკიცედ
 და ქალთაგანის წამოშეფლებით,
 გუშინ მას მაჩში ქალაღდი მისცეს
 თავის ქმრისაგან განსაშორები.
 დამარცხდა ვანო, მაგრამ ეს კიდევ
 აღარ აკმარეს იმას და თანაც
 ამხანაგებმა ღია უჯრედზე
 ერთხმად გაკიცხვა გამოუტინა...
 ასე დასრულდა ამბავი ესე
 და აქედან კი, ეს ნათელია
 კვლავ დიდი ბრძოლა სჭირია ქალებს,
 (წარსულ დროს ისე გაუთელია)
 რომ მოქალაქე სრულ უფლოვანი
 გახდეს და თავის შემოქმედება,
 გააასკეცოს და შეუერთოს—
 საბჭოთა დიად აღმშენებლობას.

(გაგრძელება იქნება)

მუშათა ახალი სახლი ზონტაძის ქუჩაზე

სადაც გუშინ
 ცა პირქუში,
 ცა შწვიმარე
 თავს ეხურა
 არე-მარცხ,
 და ბელურა
 იჯდა ზეზე;
 სად ფიქრობდენ
 სამოთხეზე,
 და იქობდენ
 გულში ვარამს;
 სადაც ქონდა
 ბინა არამს,
 და მიქონდა
 ქარს ყოველი;
 სადაც კართან
 ბრმა მთხოველი
 კვირის გარდა
 აღარ ოხრავს;
 სადაც მნათეს,
 ძველი წესით
 წელში მოხრილს,
 გაუნათეს
 წელს ზაპესით
 ბნელი ქობი;
 სადაც კიდევ
 როგორც კობი
 ყოველ კიდეს
 ცრემლი ცვივა;
 სად ყოველთვის
 უფრო ცვივა,

სადაც ელტვის
 ღამეს ყვავი
 და ვარდები
 ადრე ყვავის;
 სადაც ბარდებს
 გაუკვალავთ
 მკვდართ საწოლი;
 სადაც კვალად
 მნათეს ცოლი
 კათოლიკურ
 ზარებს რეკავს
 და ქვის რიკულს
 აცლის ეკალს—
 დილიდანვე
 არის გარჯა.
 მოსჩანს თანვე
 ცეცხლის ფარჩა
 და დულს რკინა,
 რკინის ბულამ
 კლდეს ურკინა,
 კლდე გაბურღა.
 მარტივ მარტო
 წერაქვს ცემენ,
 რომ ამართონ
 ზეალ ცემენტის
 ტალავერი.
 გასჭრეს არხი—
 ბალავერი,—
 და სამარხის
 ერთსა ყურეს
 ნახეს ქალა

და საყურე
 ქალწულ ქალის,
 აღმათ ქალი
 იყო ბადრი,
 მკერდ ფიქალი,
 ტურფა ადრე,
 მზეს უცქერდა
 აღმათ რგული,
 და უძგერდა
 ტრფობით გული.
 ნირი და ხმა
 ქონდა ნაზი...
 მაგრამ გახმა
 უსურვაზი.
 არ ჩანს ფარჩაც
 ტან სახური.
 მხოლოდ დარჩა
 ეს საყურე.
 ...მოჰყავთ ანცებს
 ასაბია.—
 მაღალ ანძებს
 მზე აბია.—
 და სიცილი
 არამევეს ხელებს
 მკედართა ძილის
 დამორღვევლებს.
 როს ქვის წერა
 გახდა ძვლები—
 ხმა წერაქვის
 შენაცვლებით
 კვლავ გაისმა,
 აქლარუნდა.—
 გულს გაისათ
 აღარ უნდა
 აქ სამარე
 კიდევ ნახოს,
 ან ეს არე
 გავდეს ახოს.

და რომ ეცნოს
 სიკედლოს დუშმანს,
 აღარ გვდევნოს
 მისმა დუქმა,
 მთა მოხარეს,
 კლდე გამტკიცეს,
 და ყრუ მხარეს
 (მხნეთ და მტკიცეთ)
 სვე დამართეს:
 მზის ფაფართ
 ზე აღმართეს
 ვით ყაფარი—
 სახლი თუჯის
 მაღალ თაღით,
 განარუჯი
 ოფლის დღით.
 ელვის შუქი
 ძალას იკრებს
 ახალ შუქით...
 რას იფიქრებს
 სახლთან მყოფი
 სავენახეს
 თუ აქ ნახეს
 გულ გამყოფი
 ლალ-საყურე...
 ეხლა ენებით
 ყოველ ყურეს
 აიენები
 გადაყურებს.
 დაცქერს ქალაქს
 ძველთგან ნაქებს,
 მრავალ ალაგს
 სადაც აგებს
 და აშენებს
 ასეთ სახლებს,
 ცაძდე მაღლებს
 დღეს „სამშენი“.





გლახი კომეტი

ხშირად ვიგონებ წვეანე სიმინდებს,
მზიბლავს ბარაქა ქერის და პურის,—
ალბად იმიტომ რომ ჩემში კიდევ
მძლავრად ჩქრიალებს სისხლი გლეხური.


მიელი დღე ვუელი შეილივით ზეარებს,
ვათვალეირებ ვენახებს ირგელივ
და თითონ მშრომელს—მუდამ მახარებს
სურნელოვანი მუხუდოს ჩირგვი.

აგერ მოთიბულ სამყურას ველზე
მწყობრი ზეინების დამდგარა ზეავეი;
იქ—იაგუნდით დაფერილ მზეზე.
მესმის, ხმადებლა შრიალებს ჭეავეი.

ებლა გულსავსე მხოლოდ ერთს ვნატრობ:
„დაისხი, ყანავ, ოქროს თაველი,
შენს მწიფე ხორბალს მტკიცედ სდარაჯობს —
კოლექტიური, მაგარი ხელი.“

28-V, 29 წ.

6093
19858





წოდებულ *)

მრავალ არიან წოდებულ
და წერილები რსველ

1

ძლიერ მდინარეს ლაღად მოეკალა ტყით მოსილი სიმაღლე; გაეკაფათ ტაშირისკენ ფართო სადენი. მოსახვევეში მეტი ძალა მიეტანა კლდოვან ნაპირზედ, ღრმად შეეჭრა, შეწოლილიყო. გამოუზფერილი კლდე გადმოჰთარებოდა წყალს, ეიწრო ზოლი ჰყოფდა ნაპირს მეორისაგან. მარჯვე ფეხდაუსველებლად გადაფრინდებოდა.

მყარი კლდე უმაგრდებოდა მაღავრ წყალის დენას. კიდევ საუკუნოებით შესძლებდა, არ დაჰმორჩილებოდა მას. მაინც განწირული იყო: ყოველ იერიშზედ მტერი შეუშინებლად აძაბუნებდა, ფხვრიდა ნელნელა; თუმც მტრად ძნელად, მაინც ოდესმე, მრავალ საუკუნეთა შემდეგ, გულს იჯერებდა მებრძოლი: ჩაშლიდა სალს, დაამსხვრევდა, ქვიშად აქცევდა.

იცოდა ეს კლდემ, განსკვრეტდა თვის შორეულ წერას. კრიჭა შეჰკრავდა, ვერას იტყოდა. მკერდი მიეზყრო მომდინარესთვის, უჯუჰტევედა მის მდინდურ ზვირთებს და ჰშლიდა. მძლავრი ტალღები ტყვრებოდნენ ჯავრით, პირზედ ქაფი მოსდიოდათ სიცივისაგან. ბრუნდებოდნენ სირცხვილეულნი და მძაფრად ბრდღვინავდა ამ ადგილას მრისხანე წყალი, ღრიალებდა, იმუჭრებოდა. ამაოდ! შეიდ წელიწადში ერთხელ ჩაიძინებდა მოქანცული წყალი ცოტა რამ წუთით. მაშინლა მოიბრუნებდა ურყევი კლდე სულს, თავისუფლად ამოსუნთქვას მოესწრებოდა. საშინელი იყო ეს მის სულთქმა თუ ამოკვნესა.

— სულდგნული ვერ დაიფიწვებს იმ საზარელ ამოხვრას დაღლილის კლდისა.

— თრთოლა აიტანს ამ ხმის მსმენელს, სიკვდილამდი უვიწყი ძრწოლა.

2.

აყრილი ქალა აპყოლოდა მდინარეს აღმა, ასდევდა მთას აქათ მზრიდან ხშირ ტყერებად ტყე, ხუჰუჰ ჰოჩრად მოსდებოდა იმის მალალ თხემს. მწვერვალიდან გადმოჩანდა ძველი კოშკი გვერდ-შეგლეჯილი. მდინარიდან ხრახნილივითა სდევდა მთას საცალფეხო გზა. ორივე მზრიდან ანაყოლი კედელთ ნაშთები. ერთს ადგილას გზა კვითვირით გადაჰკრილიყო, გვირაბში ლა ვადიოდა ციხის ბილიკი. ყოველ სხვა მზრიდან კოშკი იყო მიუღგომელი.

*) იბეჭდება დამსახურებული მწერლის ვასილ ბარნოვის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლიან შესრულების გამო

რომ ასცდებოდი საძნელო აღმართს, ვარდგეშლებოდა დიდებული სინახაობა: გაშლილი არე დიდ შთებიდან მესხეთის მთამდინ, კორტობედან თვით ზღვის პირამდინ, ლურჯ სარტყლად რომ მოსდებოდა შორეულ ტაჩნობს. მთის კალთაზედ დაფენილ დაბა ღუდენო; მის გარემო ვენახები, სახნავ-სათიბი.

ბევრი საამაყო, თუ საზარი ამბები დასტრიალებდა ამ ხავსიან კოშკს და იმ ადგილს, სად მთის კვარცხლბეკში წყალი და კლდე ერთურთს ებრძოდნენ ციხე-სიმაგრისთვის ეს ამბები დიდი ხნის გარდასრული იყო, იმ დროისა, როდესაც ის უძლეველ დარაჯად ედგა ამ მხარეს. ეს თბრობები თავდებობდნენ ერთნაირ სიტყვით:

— მთის ნიადაგი საესე არის მებრძოლთა ძვლებით. მისთვის არის ეს ტყე ლალი, ესე ხუტეკი, რომ ჩაჰყვრია გმირთა სისხლით გაელენილ მიწას.

კლდის ქვეშ მოწყვედილ წყალის შესახებ ხმები აწინდელ მათ ყოფასაც შეეხებოდნენ. ამბობდნენ, წყალს რომ შეუთბრია სალი, დიდი ადგილი დაუღრმავებია იქ, შორეულ დატრიალებულთა ქვეშ.

ერიდებოდა ხალხი ამ ადგილს, სიფრთხილით თუ მოკრძალებით ახლოვდებოდა. კარგს სწადიოდა: ბევრი თავბედი დაეღუბა აქ ამ მდინარეს, გამოერიყნა.

— საკვირველი არ არის: შეუფისავან დასიპული კლდე...

— ისიც შესაძლებელია, ლამე ვერ მოზომოს ადამიანმა ადგილი და სახტომი შეეწალოს.

— რატომ?! ისა სჯობია, შორს უფლიდე ამ ძნელ მიდამოს.

მით უფრო საკვირველი იყო, რომ ეს სარიდო ადგილი მეტად შეჰყვარებოდა ღუდენოელ გუგუნას. მზის გადახრის ეამს ადგებოდა და წავიდოდა. მინდორი, ტყე, ხე-ღრანტეები. მოქანცული მიატანდა მდინარის ნაპირს. წაბოწებოდა, ყურს უგდებდა, დიდს ხანა უჩერდა. უკეთესი მის სართობი არ დადებებში.

— ნუ დადიხარ უგზო-უკვლოდ და უდრაოვო დროს. რას ჩააცვიდი იმ მდინარეს და მის სახრინავს?! სახიფათოა!

— რა უშავს, დედი: ვეჯაცი ვარ, ვინ რას დამაკლებს?! იარალი მაქვს, თუ ნადირი დამეტანა ან ავი კაცი.

— უცნაურ რამ განსაცდელში თოფიც ჯობად გარდაგექმნება. წინად ნადირობა მინც გიყვარდა; თავს ირთობდი, სარგებელიც ხანხან გხვდებოდა. ეხლა კი...

— ველარ ვესერი ნადირს თუ მურინველს: ასე მგონია, სისხლის დაღვრა არ შეჰფერის ადამიანს, თვის სიცოცხლის დასაფარად თუ...

დადიოდა ველში, ტყეში, დასეირნობდა. ამ ირთოდ მავალ ქაბუქს უსაქმოდ ჰხადდნენ.

— უქნარა თუა. რას აკეთებს თოფით ხელში ამ დიდ შრომის დროს?! მის შინაურნი ოფლს იწურავენ, რომ დაგულონ წლის სამყო სარჩო; ეს კი...

დადიოდა, გულს იტკობდა პირადპირად სახეებით ლამაზ ბუნების და ოცნებობდა. ბაღლობიდან უბაროდა საბარაკო შემთხვევების მწყობრად აწყობა. ზღაპრულ მშვედებს აყვებოდა ჰაზრთა არეში. მათთან იღვწიდა; თავის თავი მათი ტოლი ეგონა, სწორი.



ქართველთა
წიგნების კავშირი

საქართველოს
წიგნების კავშირი

— გუგუნას გაუმარჯოს!
— გადღეგრძელოს!
— რას ეძებ აქ ამ ბინდბანდისას?
— საქმეს ხელი რომ აეკარიოთ, აქეთ წამოველ. წყალთა ბრძოლა, ეს ხმაური მეტად მიზიდავს. თვალსა და ყურს ვერ ვაშორებ მას.

— მით უფრო ცუდი: ბევრი ცოდვა ტრიბუნებსო ამ ძნელ ადგილას. აქ რამდენჯერ გაურიყავს კაცი, საქონი. ამოიტანს ქვესკნელიდან და გადმოსტყორცნის.

— შეჩვეული ვარ აქაურობას; კარგად ვიცი ყოველი კუთხე.
— წამო, წავიდეთ!
— მთვარეს დავუცდი.
— ნადირო არ დაგეტანოს.
— გატენილი თოფი გვერდს მიძევს.
— ავი სული ბუნავობს აქა.
— ისევე გწამს ეშააკეული?
— მინახავს და მწამს. ბეერს სხვასაც უნახავს. მეფიქრება, შენც არა
35ახო.

4.

აკივდა მთვარის შუქით აღმოსავლეთი. არ მოშორდა ახალგაზრდა მდინარის ნაპირს. მოხიბლული დაჰშეროდა უღმობელ მებრძოლს; ყურს მიუბყრობდა მის ბობოქრობას.

დამინახავს ნადირები სასტიკ ბრძოლაში: გარინდღებინ განაბულნი, მიწას ეკვრიან, რომ უეცრად შეისხან ფრთები და მოსისხლედ დაჰჭრინდნენ ერთერთს. იმათ ჰბაძავს აქ ეს მდინარე: გაუჩნდება, ჩაიზნიჭება, თვის სადენელს გაიკვრის მუცლით და უეცრად წამოვა ხლტომით, რომ დაენთხეს თავის დუშმანს, დაფლითოს იგი.

— არ მოგწყინდა ბრძოლა უწყვეტი? როდამდის, ძნელო, რა მომივლამდინ?

— მინამ ვეწევი ჩემსა სურვილს და გზას გავიკვლევ! ბრძოლაში—უამრავი დრო!

— ბევრეული ათასი წელი.

— დაუსრულებელი?

— ეგერეა თქვენთვის, დღემოკლენო და წუთიერნო! ათასი წელი—მარტოოდენ თვალთა მეტი დიდ გამძლეათვის. მარადი სწრაფვა მიხწყევამდინ საწადელისა!

— რა სასურველი?

— წერისაგან ჩემდ მოზომილ საკეთებელის. მისმინე! ნიეთიერება საშყაროში შებოქილია, დამძიმებულ-ჩაშავებული. ის იბრძვის ყველგან, რომ დაღეწოს ბნელთ ბორკილები, განთავისუფლდეს და გაშალოს მასში მყოფი ნათელი ძალა. რის მიახწყევს ნიეთთ არსება ამ თვის სანატრელს, გარდიქნება ქვეყნიური ტანჯვის ყოფა დიდ ნეტარებად. ყველგან ბრძოლა და ყოველთვის ამ მიზნისათვის! შენც გიწერია მისთვის ომი, განგების შვილო.

— მე, უჩინარო?

არემარე ნესტმა გაეღინთა. შეძიმიდა სუნთქვა. თვით ჰეროი თუ შედედდა ბურუსის სახით. ამონათდა, ამოჩნდა მთვარე. შედგა მთის თბაზედ, გაღმობედა მძინარ ქვეყანას. ნამზნევი იყო: ბნელ ძალებთან მებრძოლ ღმერთებთან შესკროდა. მსურებოდა სისხლი, სცხებოდა. ნამნაჰარბებ ჰაერში სხივები გაჰმოღნენ ერთნანეთს, გაერთიანებულყვენენ, არემარეს ნათელ ფარდად ჩამოჰყენოდნენ.

ქაბუკის ყურადღება გორის მწვერვალმა შიბზრო, გაღმობედილ კოშკის იერმა. უხინჯოდ იღვა: ჯამთ დენისგან დასმულ დაღებს წართმეოდათ სახე ხაზული. მკაფიოდ თუ ველარ ჩანდნენ ბუნდ სინათლეზედ. ვიწრო წვეარნა ნაცრის ფერი თვით მდინარეშიდნ. ირხეოდა გზად ფენილი სხივთა არდაგი. გაიტაცა ყმაწვილკაცი შუქთა კრთომის მოძრავმა სახემ, მთის თხემადი აჰყვა თვალთ გზას.

— მომღელღარე სხივთა ხეწირი! შევეყები ზევით. ჰაერჰაერ ავალ კოშკშიდნ. დამიზაგრებს, დედამიწას ფეხს არ დავაყრდნობ.

— რას ამბობ, კაცი! როგორ ფელი მთვარის შუქით ქსელილ ეთერზედ?!

— ძლიერ ძალას ვგრძნობ აღმაფრენისას. ფრთები თუ მესხმის!

5.

ის იყო, უნდა წამომდგარიყო, რომ კოშკიდან გადმოეშვა ბირთვი ნათელი. ნელის რხევით ნოდოდა ქაბუკისაკენ. ახლოვდებოდა. ირკვეოდა თანისთანად აღაღმა ქალის. სახე მისი სახიერი ცხად იქმნებოდა. თმა გადაშლილი. თეარით მოსილი. შედგა მის ახლო.

გულს ჩაეფინა ახალგაზრდას ძალა დამტკობი. დიდ ტრფიალით თუ აივსო არსება მისი. სიყვარული იმ მოჩენების, ყოველი არსის, მთლად საწყაროს! იწყებოდნენ პირმნათიდან სიყვარულის ნახი სიმები; გაბმულყვენენ ყოველსახე ქმნილებსიკენ; აშუქებდნენ მას; სულს უფებდნენ სანატრელი სიციცხლის ძალით.

— რა ლამაზი ხარ! ტურფობს ჩემთვის ყოველი არსი მხოლოდ შენგამო. შენმან ტრფიალმან განმინათა ზე ცა, ქვე—მიწა.

— თუ შეიგრძენი სიყვარული განუსაზღვრელი?!

— ამ საერთო სიყვარულის დასაბამი მხოლოდ შენა ხარ. სიხარული შენგნით მოდის და სასიება. აღარ ვარ ცალკე: ნაწილი ვარ განუყოფელი დიდ მსოფლიოსი. მიმზიდველია ყოველი არსი.

— არა! სიმართლე დიდი განიცადე შენ წუთიერად: მანათობი სიყვარული სიციცხლის მზადი თვით ნივთიერ არსებაში ჩაქსოვილია. ის თვისებაა თავისუფალ ნივთიერების. ქმნილებათა ყოველი სახე პირადპირადი ამ ძნელ გზისკენ მიმართულია.

— და ეღირსება ქვეყნიური იმ დიდებულ ეამს?

— აუცილებლად! ნივთიერება ბრძოლით ჰპოვებს ქმნილებებში ამ დიდებულ განძს. გაფართოვდეს იგი არე ცნობიერების, შეიმოსოს ძალა ძლიერი.

— და მაშინ...

— ღირს იქმნეს მაშინ აღამიანი განიცადოს მშვენიერი სიყვარული ყოველად ძლიერი. იგი არის თვით ნათელი უჩრდილ-უბინდო.

— მითხარი, ვინ ხარ, სით მოხველ მახარობლად სიყვარულისა?

— სხვა სფეროელი. ბნელისაგან უფრო დასხნილ არეშიდან, მზლვარ-
უწერი სივრცეები ეთეროვანნი. იქ ნათელი სიყვარული უთვესებებდა სიმშენი-
ვრე საკვირველი შეუშოსით. ნეტარებენ შემოქმედი სიყვარულით, შირისპირ
შხერიით.

— ჩვენ კი ამ ქვეყნად...

— მისწვდეთ ოდესმე საესავო განვითარებას! ილვიძბდეთ, იღვაწდეთ
მარად! ვახსენით ბნელთა საკერელთაგან ყოვლი ქმნილება, თვით უკუნი ნიეთი-
ვრება; ნათელ ჰქმნეთ იგი! უაღრესად ნათებული ცნობიერება! საცხაურ ჰქმნით
ყოველ არსში ნათელი ძალა, შემოქმედი სიყვარული ყოველად ძლიერი!

— მალე დადგება ეგეთი დრო ჩვენის ქვეყნისთვის?

— გვიან, მრავალ ხანთ შემდეგ. უტეხი ბრძოლა იმ დიდებულ მომა-
ვალისთვის! და შენც ამ ქვეყნად...

— შე, მშენიერო?!

— განგებისგან წოდებულხარ ამ ნათელ ბრძოლად; ეს შემართება ბედი-
საგან დაგგვალბობა და...

— ვიბრძოლო დაუცხრომელად! ეგ ტურფა სახე მამხნეებდეს ომის
საეაღზედ.

— სიფრთხილე დიდი! მრავალსახედ მოგველინოს ბნელი მებრძოლი. არ
დაიბზარო! აივსო მაშინ სიყვარულით ამ ძნელ საეაღზედ!

6.

— ჰა, ჰა, ჰა! ა—გამოისმა ჯურღმულიდან ხარხარ-ხრილი, დაჰყვა მდინარეს,
აჰყვა შთის კალთებს, მოედო ხეებს. წყალმა მეტის ხშიანობით იწყო ბუებუყი.

— კასკასებს ბნელი: ძალა შესწყევს ქმნილებათა დასამძიმებლად. ბევრმა
დრომ განვლოს, სინამ შესძლოს, ბოროტისგან განთავისუფლდეს, — წარსაქვა
ჩვენებამ და—

დაუბუნდნენ კაენისგან ბრწყინვალე თვალნი; ჯერმა შენისლა სახე შე-
ქური, სეედის ღიმი გაეშალა ბალღურ ბაგეზედ. განაპყრო ხელნი. თვის სპე-
ტაკი შესამოსი ფრთებად გაშალა. ასცდა მიწის პირს. შეუფრთდა თანისთან
ჰაერს. უჩინარ იქნა.

რამდენსამე ხანს გუგუნა ჰაერს შემზერდა. მერმე ეკვი შეეპარა სინამ-
დეილეში.

— ჩავთელიმე და სიზმრად ენახე იგი სიტურფე, თუ ნამდვილად წარმო-
მიდგა ეთერული არსი ცხოველი? სინამდეილეში! მკაფიოდ ვხედავ მის გამჭვრეტ
თვალებს, ჯერაცა ვგრძნობ მის შეხებას, ვით სუნნელ სიოს.

კვლავ ღრმად დაფიქრდა. მისი ჰაზრი ხორცშესხნულად ჰხალოდა აი-
რდილს.

— საშინელი იგი კასკასი. საბრძოლველად ბევრი აქვსო ჯერეთ მის ძალა-
მართალი თუ სიტქვა.

მოლად გამოერკვა. მოავლო თვალი ცას თუ მიდამოს. ახალ აისს აესახრა
ძლეული ბნელი. ცეცხლის დაშნით თუ დასერა მან გარესკნელი. ფერმიხდილი
ვარსკვლავები ისევ სხდნენ ცაზედ. ძლეულ იყო ქუფრი პირქეში. იწყებოდა
შუქთა ზეიმი.

— განთიადს მოუტანებია. შეშინდებოდნენ შინაურნი, რა იქმნათ/ნეტავ ის კაცი. რას იტყვიან სოფელში, ხელცარიელი რომ ჩავევლი წვეილულა თოფით?! უხერხულობა. მიდიოდა, მიიტყვოდა თვის საგონებელზე. ჰრაც-ხდა განცხადებას, ხან ზმანებდა ეჩვენებოდა.

— რა დაგეშართა, კაცი? გულები დაგვიხეთქე. მთელი ღამე უზხოუკვლოდ სიარული ღადაღუდეში.. ოჯახს ზურგი შეაქციე, ველარ არგინარ,— უსაყვედურა დედამ.

— როგორ თუ არ არგია?! აგერ მავის ნანადირევი, ურმით რომ მოაქვთ,— დასძინა მამამ.

და ხელი მოიჭრილა თვალებზედ, გახედა ტყის გზას.

— ჰარიქა, გუგუნი, ქათმის დაქერა მიშველე სასადილოდ,— შესთხოვა ღიმილით დამ.

და გამოეკიდა დედალს. მოთმინებით აიტანა დედის ყვედრებაც, ნაპისა და დის დასაცილი: იცოდა, რომ ემართლებოდნენ. მაინც გული შეეშლურია მით შეგებებამ. აღარა სთქვა, რა გადაჰხდა იმ ღამეს წყალთან. ჯავრადაც ჩაჰყვი მათი ნათქვამი და დაასკენა ეჩვენებინა, რომ არ იყო არც უდები, არც აბუჩად ასავდები, როგორც ეგონათ.

7

განცალკევებული ყოფა ისეც უყვარდა გუგუნას: წიგნს ეტრფოდა და ოცნებობდა. ახლა უფრო ჩაიკეტა იმისი სული, მაღალი ზღუდე შემოერტყა მის ფიქრთა არეს, აპილთავებდნენ თვის გრანობები, ოცნებები თუ სურვილები. აღარ რჩებოდა ზედმეტი დრო რაიმე სხვაგვარ ცხოვრებისათვის.

— მხოლოდ წიგნები და მარტოობა! რად არ გახვალ ხალხში. ტოლსწორში, რას დადიხარ გარეგარე განცალკევებით?! ეგონებათ, უკადრისობ უკარებელი.

— რა მაქვს, დედი, საგოროზო, საამპარტაენო?! დრო არა მწვედება შეეხამარო დღიურ ყოფას, თვალი გავალო.

— სხვები ასწრობენ.

— დავნატრი იმათ! შეუძლიანთ თაეის გზაზედ მოასწრონ ყველა, დროც მოიჭარბონ დასახარჯად, დასაფლანგავად. ნიჭიერნი თუ არიან ტ უფრო მქმედნი.

— არა! შენ როდი იცი საკეთების ერთი თვისება: რამდენსაც მისდევ, ფართოედება და მეტს მოითხოვს. უნდა შეზღუდო კიდევმი გაუძლომელის, გა დალობო მის დენა; ამოისუნთქო.

— თუ ღამაზია ის საკეთი და მეტად მიყვარს?! ვერ შეველევი!

გულწრფელად ამბობდა ახალგაზრდა: თითონ რომ იყო ცოდნის, ფიქრის მოყვარული, დამკვირვებელი, საგნები და მით ქმედობაც ახალ-ახალ მხარეებით უბრუნდებოდნენ, პირდაპირად სანახავეს მიუბჯრობდნენ ხედვას მზიბლველად. როგორ შესძლებდა, ბოლომდისინ არ მიჰყოლოდა, თუნდ წამიერ მათთვის თვალი ეშორებინა?!

იმ ჩვენების შემდეგ ხომ უფრო ნათლდებოდა მის გონის თვალი, იწმიდებოდა; ნახდებოდა შეგრძნობა არსის. ნივთიერი მისი თვალი რომ მშხერდა საგანს, სულიერი მისი ხედვა მის გაღაღმაც გადახედავდა, შეიგნებდა მის არსებას, იმის მქმედ ძალას და ისე ცხადად, თითქო იყო ხელშესახები.

ქმნილებანი თვის არსებით ლამაზნი იყვნენ, მეტად კარგები, ახ, რაღა სჩანდნენ შიგადაშიგ ბნელით მოსილნი?! ბორცუს ეძლიება ^{ცელილი თესლი,} თანისთანად ეშავებინა...

8

ნიჭთ გაღვიძებამ აფრთოვანა გუგუუნას სული. უძატა შრომას. სწავლა; ფიქრი; ოცნებათა არეში ფრენა. ჩაიხვია ვაეი-კაცი ნათელმა ტალღამ.

— ცოდნის ძებნამ მთლად დაჰფარა ჩვენი ჭაბუკი. არ მიჩემება. ის მეგონა: სხვა მხარიდან რომ მოვიდოდა, ცხოვრების გზას დაადგებოდა; ეს კი...

— როგორა, ქალო?! ბაღლობიდან აქამომდე იმას ეტყუოდი: იმეცადინე: მხოლოდ ეგ არის დასაყრდნობი შენ არსებობის! და ებლა...

— უსლოდა მაშინ წაჭეზება, წახალისება. ბოლომდეინ განვლო სწავლა. სხვა რაღა უნდა?! დროა, შეუდგეს წუთისოფლის მოვალეობას.

— სიმართლეს ამბობ: გატაცება ერთობ დაეტყო. სჯობს იფიქროს საკუთარი ცხოვრების გზაზედ. მაგრამ მოვა დრო, უნებლიეთ ჩაეარდება ზარუნვის მორევი.

— ლმერთმა ქმნას! მე არ მოყვარს ვაეი-კაცი არც წიგნის ლოთი.

— კენჭი ჩემკენა? ტყუილად! ვეწყობი ლეინოს, ამას არ ვთიციავ; ლოთობისგან ჯერ ლმერთი მფარავს.

გუგუხა სწორედ ლოთი იყო წიგნის საქმეში. წინ მიდიოდა ამ სავალზედ, უფერზებლივ მიიწევდა, როგორც რომ დგვი. ისეთი განვითარებული და უნრიანი ვაეკაცი დადგა, მტერს თვალ მოსჭირდა. დააფასეს, კალაში ანდეს. ყელყელობდა თმა დაგრუხული. თავი მოსწონდა, რომ დაბრძნობილიც მიჰმართავდნენ კევის საჩვენებლად. რა მარჯვე იყო! მახვილი ფიქრი ცეცხლად ენთო კალო თვალბეში. უზღებოდა წვერ-ულვაში თავთავის ფერი.

— აღარ რა უშავს: სავალზედ სდგას, სასიკეთოდ განვლის ცხოვრებას; ექმნება ბოლო სასიქადულო.

— გვარს არ შეარცხვენს.

— შესაძლო არის: ბევრგან მესმის აღტაცება იმისი ნიჭით.

საკები იყო და ატებდნენ. იმის სახელს ისე იტყოდნენ, როგორც მომავალ მოციქულისას.

— მხარს დაუმშვენებს მალალ მოღვაწეთ, შესძლებს განაგრძოს მათ საქმე წმიდა.

— აპზენს მაგოდენს?

— და უფრო მეტსაც! ეს ახალი ძველ ქმედებზედ მაღალი მოსჩანს.

— დიდებულია!

ესმოდა ეს კარგი ხმები და ირჯებოდა. თავს არ ზოგავდა. ჯანიც მოსდევდა: ჯერეთ ქედი არ დაჰქლოდა მძიმე უღლის ქვეშ. მეტადრე მაშინ მოეფინა ჩვენს ქვეყანას მისი სახელი, როდესაც თითქო სათავეში დაუყენეს იმ დიდ საკეთებს, რომელს იმედით შეჰყურებდა მაშინ ქვეყანა.

9

ამ ხანებში უფრო გაულიმა ბედმა მზეკაბუსკ. დიდებული ჟურნალი მოეწყო ქართულ დაწესებაში, სადაც ის განმგებლობდა. ყველა გააკვირვა, რომ ჯერ მთლად ახალგაზრდას მიანდეს მის ხელმძღვანელობა. მაგრამ ვინც ეკვით უყუ-

რბდა ამ არჩევანს, იმათაც ნახეს, რა ძლიერი ნიჭი იყო და გაიხიარეს; კვყანა განსაცდელში ჩაეარდნილიყო და ყველა ახალი ძალა ცისარტყელის ნეტებად მოსწანდა ცრემლიან ცაზედ.

გამოჰყვა ეურნალს ახალ მწერლის ხელოვნური ნაწარმოები. განსოეს იგი: „სხივთა სიუხვე“. გაელო გული ქართველ მკითხველს, ისიამოვნა, საღამო უზღვენეს შორეულთაც ახალ შემოქმედს, კოცნა შესტყორცნეს; დაულოცეს ნათელი გზა ეზიანს წრფელად.

— მშობელი შენი ვაცხოვრებ, გამდელი, შენი ლაღაო!

— მაშ რა გგონიათ?! ქართველთ ნიჭის ძალა ფარული ჯერ არ გაშლილა მთელის ტანით სუნნად-სუნნელად, აწ ჰნახავთ იმის ნახ მშვენიერებას შეუმართებელს!

კეთილად შეჰხედნენ იმის ნაღაწს შემფასებელნიც. ძნელნი არიან, ძიმწარით ნახელ სიტყვის მექონნი, მაინც დამალეს ზხამნარევი მწარე მელანი, გოდელში ამოაწეს თვისი კალამი.

სწრაფად უტოლეს ეს ახალი ძველ მოღვაწეებს, გვერდს დაუყენეს. განდიდებულთ ეუცხოვით, მეტად იწყინეს. რაღა შეეძლოთ?! ახალ ვარსკვლავად მოსულიყო ცის კამარაზედ, მოგვებს სხვა რა დარჩენოდათ, თუ არ ჰხლებოდნენ სათაყვანოდ, გუნდრუკის კმევად?

კალმით შრომამ დაანახა გუგუნას, რომ ბუნებას ეძღვნა მისთვის გონების ძალა. ამ პატარა მოთხოვრებამ ხომ მთლად ააფრთოვანა: შემოქმედებითი ნიჭიც დაეტანებინა დამბადებელს, ბორცსხმულ სიტყვის ხელოვანად წარმოგზავნა; მიეწვია მსახურებად ძნელ სიწმიდისა. გაახარა ქაბუკი დასკვნამ, თან დააფიქრა:

— მეტად ძნელია ხელოვნება ცოცხალი სიტყვის. ის ფართოა ყველა სხვაგვარ ხელოვნებაზედ: განმახული კალმის წყერი ზუშპროპს, იმღერის, ჩანგს აელერებს გრძობის ტალღებზედ; ჰხატავს სურათებს, საოცნებოდ ააფრადებს; თვალწარმტაცად ააწენებს სხივთა დარბაზებს. სხვაგვარი ყველა ხელოვნება... არ შეუძლიანთ კალმისებურ ძლიერებით გადაშალონ მთლიან პოეზიად არსებობა მარად მოძრავი. სიბრძნისა დასაბამი, მკმედი სიკეთის, აზხატავი სიმშვენიერის თითონ ლამაზი.

— ჰმართებს სიფრთხილე სიტყვის ხელოვანს. არც როდის რყევა, არც უკუდგომა.

10

ცაში ვარსკვლავთ შეეტრფოდა, კვყანაზედ სიმშვენიერეს მოინატრიდა, ხორცთ სიღამაზეს: დაწყვილების დრო მოსვლოდა, ცალს დაეძებდა. ნორჩი ვაჟკაცი ესე მალე სახელგანთქმული ფერადფერად ყვავილთ შორის დატრიალებდა. მათის სიმრავლით გულისპირი მოექარგა ჩვენს ტურფა მხარეს. ამოჩრჩევი თვითონვე იყო. ის აკლდა მხოლოდ, შემდგარიყო მისი თვალი ისეთ ძვირფასზედ, ვინ შესძლებდა აღეგნო მასში სიყვარულის ძალა უძლევი. ვერ აერჩინა: ხარბია თვალი, ენანება ერთი დასამოს და სხვას ემონოს.

— ძნელ ჰმედობას დაეადექი ცხოვრების გზაზედ. თუ შეესცლა და გავამრუდებ თუნდ ერთი ბიჯი, ყველას წაეაგებ. თუ ცოლშვილჳა ხელი შემიკრა და მიმაბა ნივთიერ ზრუნვას, აეცდები მაშინ რჩეულ მიზანს. სიფრთხილე, გუგუნ!

ფრთხილობდა კიდევ: აყოვნებდა ხელის დასხმას, ვისიმ არჩევას, ის რომ ეძებდა, მასაც ეძებდნენ: სასიძო იყო სახარბიელო. ბევრს კარგ ერას ეჭირა მისკენ სამოყვროდ თვალი. ბევრი ტურფა ოცნებობდა ეშხანს, მისი ზოგს გზაც ევლია და ცდილობდა თვის წაფარნის გაფართოებას. და მათ შორის ქალი დარეჯა.

— ბედი რომ კარს მოგდგომია, ეფხს ნულარა ჰკრავ, საეყ საწველელს ნუ დასთხვე მიწას: მდიდარია მისი მამა, დოვლათიანი: დიდ ქალაქში სასახლეები, სოულად მიწა აუარები. ჩვენი სოფელი ნახევარი იმისია ტყითა და მინდვრით. ნალდი დიდძალი...

— ქალი ნესტანი... ჰკვიანი მოსჩანს.

— ახლა თვით კაცი. პირველია სოვდაგრობაში. იჯარადარი. ხომალდიც კი ჩაიგდო ზღვაში.

— ქართველებში პირველია თვისი სიმდიდრით.

— გამიგონე, ბამბის ძველა გამოიღე ორივე ყურიდან! ერთადერთი მემკვიდრეა, მოცილე არ ვინ.

— ვიცი ეგ ყველა და კიდევ მეტიც.

— გენაცვალოს მამ მამიდა, შე კარგო ბიჭო! ისიც თუ იცი, რომ მზე შენზედ ამოსდის გულმკედარს, სხვა რალა გინდა?! მოჰკიდე ხელი უძრავ-მოძრავ ქონებას იმდენს და...

— გმადლობ, მამიდა, კარგ სურვილისთვის. დაეუფიქრდები.

— მოიფიქრე. მოფიქრება კარგი იცისო, ამბობენ შენზედ. შენ ადგილას მე რომ ვიყო...

— რას იზამდი?

— ფრთებ შევისხამდი, ეხლავ მისკენ გაფორანდებოდი.

— თითონ ქალი მოფრინდეს ჩემთან.

— გოროზი სჩანხარ: გინდა ქალი თავის ფებით გეახლოს აქა?— უთხრა დედაკაცმა.

და გაიღიმა: წარმოიდგინა აფრენილი მძიმე ნესტანი. გუგუნაის ამაყობა არ იყო აქ მოსატანი: კაცი ნატრობდა, სიყვარულით შეერთო ცოლი, დარეჯასთვის არა ჰქონდა გრძნობა მიმზიდვი, არც უარწყოვი. მაინც ყურადღება მიიქცია დედაკაცის თქმას: მართალს იტყოდა ქალის გრძნობაზედ, მის სიმდიდრეზედ.

ვაქის დედა დააფიქრა შუამავლის თქმამ:

— დიდი სიმდიდრე. მინახავს ქალი. მომხო მოსჩანდა. იქნებ ტანი აიყარა და დასუფთავდა. იმ ხანში ზრდა დასრულებული არ არის, უსწორმასწოროდ გერყენება აგებულობა, — წარსთქვა დედამ.

11.

ეს ძიება თუ გზათ კვლევა ყოფა-ცხოვრების არ უშლიდა ვაქს მეშაობას. კიდევ უფრო ახალისებდა: მნატებდა სახელს, იმის სახეს აქაშაკაშებდა. ისე არ გამოვიდოდა ფურნალი, მის ნაწერი არ გამოჰყოლოდა. სიცოცხლის სხივით დაფერილი მისი კალამი. დაკვირვების ნიჭი ჰქონოდა. მახვილობის აჩნდა ნიშატი. იზიდავდა ყურადღებას, მიიტაცებდა.

— შეგვენიტა კარგი მუშაკი, ნიჭიერი, განათლებული.

— შეძენა მწერლობისათვის: განახლებს იმის დენას, განადორებებს. ძველებს, ჰხედავ, ედებათ ხაჯის.

— დრო უსაბრობთ ბეჩავთ. უცვთელი არც ნიჭია, უმწერლობა.

— ის მაშინებს, არ განაწმლოს თავის გონება: ბევრს რასმე ებრძვის, ეტანება ათისგვარ სივანს. შესაძლოა სიღრმემ იკლოს განზედ გაშლაში.

— მაინც ჩემს ვიტყვი: უმთავრესი ნაგის ნიჭი ხელოვნებაა. შეალიოს თვისი ძალი შემოქმედებას. დაწახედავდება; ყველნარით დაწმენებს ოცნების წალკოტს.

— შენა გგონია, შესძლებს განავრდოს მოელეარედ დაწყებული თვისი ქმედობა?

— ახალს ზვირთს ვხედავ შემოქმედი სიტყვის დენაში.

— იქნებ არ სცდები. მაშინ სცადოს სხვა დარგებშიც თავისი ნიჭი: ცოდნით ააყვებს, აღმაფრენას უნდა ახლდეს გაწრთენილი გონი.

თითონ გუგუნიაც ესე ფიქრობდა: გონებას თუ კალანს სწრთენიდა ხელოვნებისთვის. შემოქმედება. ხორცშესხმული ოცნებები პირადპირადი, მზიური სიტყვა ცხოველსყოფელი. უთქმიდა გული ხელოვნებისთვის!

თვითყვარებაც აქათენვე ეზიდებოდა: ბევრი კარგი ნაზრები უძღვნა წამკითხველს, ბევრჯერ აქინა ძნელ სიგანზედ მწყობრი მსჯელობა, მაგრამ იმათ ვერ უშოვეს ფართო სახელი, იმ მოთბობამ კი, ერთადერთმა ტურფად ნათქვამმა, ზეიმ-ქვიფით მოატარა მთელი ქვეყანა.

ჰო, ხელოვნება უფრო ძნელია. სხვა დარგში სივანს დაიკვლევ და შეისწავლი; შენს კალნის ქვეშ დააღაგებ სხვა რამე გეზით; ბედნიერი ახალსაც დასძენ. შემოქმედ თქმაში იმის გარდა გულის ცეცხლზედ დადულება მთელის მასალის; უშუალოდ შეგრძნობა სავნის; ნახატებით ამოქარგვა ყოველ სათქმელის. ნაქვთად ნაწედ მხატრობებით მწყობრი მსჯელობა. ხორცშესხმული ოცნებები ხელშესახები. ნივთიერი სინამდვილე ოცნებად ქნილი. წარღვნილი მწღვარი საოცნებოთ და ნამდვილთ შორის. ზენამდვილობა. გატაცება უცილებელი. ნაოცნების სიყვარული სიკვდილზედ ძნელი. და იგი ტრფობა ქვეყნად ჰბადებს ტურფა ჩვენებებს სიტყვა ცხოველი პირადპირად სხეების გარდასაფორქნად.

და ამ შრომაში დაუხანდა ახალ კალმოსანს: კარგა დრომ განელო, მანამ მისცა შემოქმედება. თითქო მხარი აქეიო იმ ნათელ სივალს.

12.

— ოჰო, მოისმინეს! მე ვუკრთი ჩენს ხვედრს, ბედისწერას?! აქი ვიარ, ვიბრძვი! მივსდევ, მივწვდები მოწოდების ხმას. თანდათან ვავსკრი ჩემს ძნელ სივალს, ვავაფრთოვებ. დავიგვიანე? ავიღებ ბადალს! ისეთი თქმებით ავაეღვო ახალი ნაქვთი, სხივის ნატებს დაადაროთ ცით მოტაცებულს!

მისთვის იტყოდა ამგვარ ძნელ სიტყვას, რომ გაზვიადდი იმ გამარჯვებით. ქება-დიდებათ. დაეთანხმა თვის მებოტბებებს. თუ ჰქონდა გჭვი მაშინდელი შრომის შესახებ, განიქარვა იმ აღერსებით.

— ღირსი არის დი მით აქებენს! — იტყოდა თავის ნაწარმოებზედ.

როდი შეიგრძნო, რომ ის ქება მოდიოდა სხვა საზრისითაც: მის მანაცურმა გამოჩენამ ააფრთოვანა ერთი მუჭა თავდადებულნი; მათი გული ზეიმობდა ახალ მებრძოლით და მათი ბაგე იმისათვის მეტ-კარგს იტყოდა. თვითყვარება დაეკლა თავმომწონ ვეკაცს. გულმოსილი ჩაუჯდა საკეთს.

პირველ დღეებში გაუძნელდა კალმის ცურვება: მოწიფული თუ ვერ იყო ვერ სახატიანი, არ თუ იყო ისე ღობილად ათვისებელი, რომ მოწიფლად მოპყლოდა კალმის ხრახნილებს. სწყინდა გუგუნას, ძალას იკრებდა, ხელჯრად იბრძოდა. დაიმორჩილა უხაკო სახატი სახე. ვასწია წინ გაუძნელდა. დაამთავრა. ვადიკითხა. თავი მოსწონდა. ბუნდად კი იგრძნო, სურათები ძალით იყენენ მიზიდულები, ლარით ჩამბულნი. ვერა მშენებდნენ დამონებას, არ უხაროდათ.

— შეეჩვევიან! სად წაუღენ ტყვიის ყალიბებს?!

თავის ეურნალში მოათავსა ნაწარმოები. რომ ვადიკითხა, შეერთა, შეშინდა: შვედრის კანებით ცივი მოსჩანდა.

— ვერ თუ გაუძლეს გულნაზებში ლითონის ვახრაცს და მიიცვალნენ.

მაინც არ ვატყდა: იმედი ჰქონდა, სცდებოდა თითონ; დამშენდებოდა სხვების თვალთ წინ ნაწარმოები, ნაქეთიან ტანს მოაწონებდა.

— შეტად ძნელია დამამოს რაიმე ნაწერმა, თუნდაც ჩემმა შემოქმედებამ: ჩემი კალამი განიმახვია სხვის ნაწარმოება აწონ-დაწონით, შერყეული მიმოხერხების მათში ძიებით. სხვები ღირსეულად შეაფასებენ, მეტყვიან სათქმელს!

დაუწერეს. უთხრეს. აყვედრეს. შეარღვეეს მოთხრობის კარი. შიგნიდან დაჰკრეს. მთლად დაბზარეს მის ნაგებობა.

— განცდა აკლია. სახეები არ არიან მისგან ნახულნი. ოცნებები არ ავსილან ხორციით თუ სისხლით. ვერ ახეულა სინამდვილე ლამაზ ზღაპრამდინ. შეთხზილია ცივის გონებით.

— მხლებია იგი ხელოვნებას პაზრთ წინამძღვრობით. გული არ იტყვის. არც რას გულს ეტყვის. ოფლის სუნი სდის.

— მწერალს, ვიცი, უნარი აქვს აღმადგინოს, აქ კი ძირს ხოხავს.

— ხრწნადს, წარმავალს სინამდვილეს სწერს. დაბშულია მის თვალთაგან დაუშლელი ზესიმართლე სამარადისო.

გული მოუკლეს ამ სახე თქმებით. და ეს მით უფრო, რომ თვით გრძნობდა მათ ძნელ სიმართლეს.

— მაშ ნაწერი მანკიერია? შემოქმედება დამნაგვრია ცივ მსჯელობისგან? სარგებელით დაგებრუნოთ მწარე სიტყვები! აქ ვარ გუგუნა!

— ნუ, ახალნორჩო! შენი თქმები ამჟამის ნასროლია, თვითმოყვარების ხორცშესხმული სიყვარული გულნათელია; გაროზობას უარჰყოფს იგი. თავმოყვარეა მხოლოდ მზიურში! დასცა სული თვითყვარებამ, ბოროტების სიბნელეში ჩასთხია იგი.

— ძლიერება შესწევს ჩემს ქადილს!

— შემოქმედად ხარ მოწვეული. დიდ შემოქმედსაც—შეაზნდა ეჭვი, რომ დაადგა მსოფლიოის წარმოშობის ძაზრს. ფრთხილად, ძვირფასო!

— სიყვარულის გარეშე არ ჰკვეთს შუქის მახვილი.

იგრძნო სიმძიმე იმ ლამაზი საკეთებელის, რომლისთვის იყო იგი მოწოდებული. მუხლი უთრთოდა. უუქცევა არ ეგებოდა. ან გამარჯვება, ან სიკვდილი მისთვის ბრძოლაში!

— შემოსილხარ ძლიერებით ბნელთა სათრგუნად. განაშტკიცებ შეკლავნი შენნი სამხსრად მტერთა!

— თან მსურს გადავყვე ჩემს მოწოდებას!

— განამრავლე სიმშვენიერე დღუბქირ ყოფაში, განადრდე ნათელთ არე უკუნ-წყვილიდში.

— სიყვარული ყოვლისა არსის?.

— თანაგრძნობა ამზვეებულა! ვერ ჩაჩრდილოს სიბნელემ იგი. რაინდად ხარ დასახული იმ სიყვარულის.

— ძალა თუ არ შეეღვევა მაგ ძნელ გზით მაგალს?

— არა: ნივთიერ არსში შებორაკილია შესაძლებლობა განუსახლერელი: სიყვარული ამსხვრევს ბორაკილს ბნელეთის ნაქედს, ანთავისუფლებს მძლავრ შეძლებას მზიურად მოქმედს.

— ნესმის ნათქვამი. შევიგრძენი არსება შენი. ბგერათა რბევა მომაგონებს სატურფელის ხმას. დამანახე შენი სახე ჩემთვის ძვირფასი. მომეხალე, მოვედ ჩემთანა!

— ნე შენთანა ვარ. ჩამოკვესდა სიყვარული სიკვდილზედ ძნელი. ქუფრი არდაგი გვაშორებს ეტრთურთს. ებრძოლე წყვილიდს. განჭარდების ჩვენ შორის მზღვარი.

მუშაობდა დამკლავებული. მიწყვი გზის კაფეა. ოფლს იწურავდა წოდებული ეტრნალ-გაზეთში: სწერდა რასამე, ანგარიშობდა, ერთს უსწენდა, სხვას უბრძანებდა.

— უჰ, დავიღალე! მთელი დღე შრომა. ფიქრი ზომილი. ნებისყოფა შეუდრკომელი.

— დამშვერი დღეს ნათელ შრომით, წინ წასწიე მძიმე ტვირთი თუნდ ერთის ხაზით. კმაყოფილებით გარდაჰხედე ამ დღეს გარდასრულს!

სწორდებოდა წელში ვაეი, სიხარულის ნასახები ეხატებოდა.

— თუ განაგრძო ესეთი შრომა, ნივთიერი მის არსებაც აითვისებს ჰაერონებას.

— არ შეიძლება დაზოგო თავი, როცა ჰხედავ დიდებულთ სახწვეს თუნდაც შორეულს.

მოსწონდა თავი თვისის ქმედობით. წოდებულთ შორის თუ იყო ის ნამდვილ რჩეული. იქნებ კადეც გარდალახოს ძნელი სამზღვარი, რომელი ჰყოფს ზეკაცთა გგუფს ურიცხვ ურდოდან. მაგრამ მის გული დაბზარული იმ რაღაც მარცხით. ვაჰ, თუ იპოვა მასში ბინა საშინელ სახებ.

— შემოქმედება, ახალახალ სამყაროთა მზიური შექმნა....

14.

— შრომობ, ირჯები; არ აკეთებ საყვარელ საკეთს, სამიჯნუროდ რომ გიწვევდეს, გულს გიყვავებდეს,—ეტყოდა მას ხმა უჩიხარი.

ეს ძახილი იწყებოდა იმ მყოფე ხელოვნურ ნაქეთში, მეტი შრომა რომ შესწირა, მაგრამ მაინც წელამდისაც ვერ შესწვდა პირველს. რამდენჯერმე გადიკითხა უკვე ნაბეჭდი. სალი ჰაზრები. თუ მსჯელობად გაეტანა, მოუწონებდნენ.

— არა! მეც ვატყობ ეხლა, ეს ყვავილი ფარჩისაგან არის შეთხზილი. მის ფურცლები, მის ფილა—შეღებილი ქსოვილები და რაღაც ლილი. ღერო, ზროები მავთულები. არ გაგრძობინებს მის შეხება სუნნელ სიცოცხლეს.

მეტად დაღონდა. გული მისი დარდმა დაღარა.

— უპასუხო ნახელოსნარი! გარდღეული სამზღვარი ჰყოფს სიციცხელს სიციცხლეს. ეს მკედარი არის! შორთულია, ფერნაცხები, მაინც უსწავლო, რაღაც კაპედე, რომ მიუზღვენ შთელ ქართველობას?! ძირს დაანარცხა დანაწერი, ფეხით წაქლიშა. გაამტყერბდა, თუ შესძლო ბოდა. მის ნებაზედ აღარ იყო ეს: ათასობით გასულიყო, მოფენილიყო; შეელო კარი ოჯახებში; საწიგნებედ, კარადებში დაედვა ბინა.

— ახ, ყველასა აქვს აღნიშნული ამ საბრალოს უსახო სახე!

ესე თუ ჰმზერდა შემოქმედი თვისგან ქმნილ კაცსა, ოდეს მიწისგან შეაზავა მისი სახემა: სიციცხლის სული როდი იყო იმ ქმნილებაში. ალბათ უფრო სიხარული იგრძნო ნეტარმა, როცა შესძლო და შთაბერა სული ცხოველი.

— და იქმნა კაცი!

— მე, ახ....

მოჰნატრებოდა, შთაბერა სული ცხოველი თვის ქმნილებისთვის და გაეშვა ქვეყნაზედ სინათლის თესვად.

— დაებეჭდე და გავირონიე. შორთული მკედარი გავუგზავნე დასამარხავად. ვით ითვისებს უსიციცხლოს სიციცხლის მქონი?! შემურვილი გვამი საზარი!

თუ თვითყვარებას არ დაეცო მისთვის თვალემა, უცილობლად შეიგრძნობდა მაშინ აზრს ნაკლს. ვადმოილო, გადასინჯა იგი პირველი.

— მე ვიყავ იქ შთელის არსებით. მასთან ვიღებენდი, მასთან ერთად მდიოდა ცრემლი. განვიცადე ზესიშართლე, ვით ნიეთიერი. ეს ნაწერი მისთვის არის სიციცხლით სასე.

15.

ნაძენარით მოსილი მშვერვალი, ცამდინ ზეული. მკათათვეში მაისის მდელი ყვავილად შლილი. სუნნელებით გაელენთილი ნაზი ჰაერი. ილიმოდა დედამიწა ნაძნაბურები. უშიშ წყალის ცვევით სრბოლა უფსკრულისაკენ. მიუზაროდა: სიციცხლუ გამოეტანებინა მისთვის გამჩენელს წარმოშობილთ სალაღებლად, სალორძინებლად; ჩაურბენდა, დაჰკოცნიდა, ნაშს ასხურებდა.

— რა ანკარაა! მზის სხაეები ჩუხჩუხებენ, ფერადდებიან. ღმერთთა შეილი თვალ-გულ წარმტაცი! — წარმოსთქვა გუგუნამ.

და ხელი გაიგრილა მის ცელქ ტავლებში.

ნაკადის პირს უზარმაზარი ნაძვი ღრტაო. გადაჰყურებდა შორს გადაშლილ სანახაობას.

— დალოცვილი! ისარივით არ ასულა ცის კამარამდინ! კელაპტრად თუ დაუნთია მიწას ცისათვის.

მოექლო ღეროს, თაყვანისცა, ვალერსა ბრგე ბუმბერაზსა. ტყის პირიდან გამოიწნა ქალი. ნაკადს მოსდევდა, ყვავილს ჰკრეფდა, წყალში ავლებდა. მკლავი აევსო. ვერ შენიშნა ჯცხო ვაჟიცი. ყვავილთ დასები ორსავე პირზედ ჩასდევდა ნაკადს. ქალი ბტებოდა ნაპირიდან სხვა ნაპირზედ მათ მოსასთვლელად.

— კი არა ბტის, ფრინავს, ფრთა გაშლილი!

თვალით სტამდა ნორჩს. აღნავობაში ნაცნობ ნაქეთებს მოავლო ხედვა. თმა, მის ფერადი იმ ჩვენებისა, სახე ვერ ნახა: ხაიათის თავესაფარი ფართოდ გაშლი-

ლი. დიაპირა, გაეხედნა, შეჰგებებოდა. საკვირველმა პაპმა უხედას სწორედ იგივე მოჩვენებაა. ვაჰ, თუ შეკრთეს ჩემს მისვლაზედ, ჰაერს ეფაროს.

იღგა, იცდიდა. გამოჩნდა ჯგუფი. მოსხებალი ვაჟა-ფხაველი უწოდებდნენ. მოძრავ სიამედ. სიკელქე დიადი. იცინოდნენ, მიმობოდნენ, ყუაღს ანახებდნენ. წინ წადგა ბიჭი. შეკრთა ქალწული. გატრიალდა. ყვავილების ხელეწერი მკერდში ჩაიკრა. მივიდნენ სხეები.

— გუგუნო, შენა?!

შეუერთდა. გაემცნაურა.

— სად ყოფილხართ სისხამ დილაზედ?

— ამოზავალ მზის სანახავად.

— კარგი სურათი?

— დიდებული სანახაობა! ამოშუქდა წითელი პირფადით. რომ დახედა ამ ჩვენ მშვენიერებს, მსწრაფლ გადინადა საბურავი და გაილიმა. სიამით სახე აუბრწყინდა, აუელეარდა.

— თუ მკოდნოდა, ლამისთევად დავსდგებოდი ამ თქვენ სავალზედ. ის ქალი?

— ამ დღეებში გამოჩნდა აქა.

— ნეტა ვინ არის?

— ვილაც ობოლი. ასკენაზად უწოდებენ. დარიბიაო.

— ლამაზი მოსჩანს.

— ეზნაია.

— სად მიეფარა?

— სხეებთან თუ იყო და შეუერთდა.

16.

გონების თვალთ წინ ედგა ეხლაც მას ასკენაზი. მეტად ჰგვანდა იმ მოჩვენებას. ხანხან კიდევ რწმუნდებოდა, რომ იგი იყო, მხოლოდ უფრო ნივთიერი, სისხლ-ხორციით სავსე.

— წასულანო. ველარ მოვხედე. მაინც სად წაევა?! ვნახავ, გაეცნობ, — გაიფიქრა.

ხალისობდა, არშიყობდა, ლამაზს იტყადა. თავის ბედს თუ გაურბოდა შეუგნებელი. ახალი იყო, სიციცხლის გზა ჯერ წინ ჰქონდა მას გაფენილი. აღბათ ფიქრობდა: ცხოვრება ბევრს მომიბურობსო სავსე კალთებით, იმდენს მომცემსო, შინამდინაც ვერ მივიტანო.

შემდეგ კიდევ მიიფიწყა სახე ლამაზი. აღარ ეძებდა. გულში მაინც დარჩა ნახაზი და ეს სრე მის ამ განცდას უერთდებოდა, მდინარის პირს რომ შეიძინო მოჩვენებასთან. დაიფერფლა წუთიერი იმის შეცნობა: არ თუ ეცალა გაღალღებულს, დაჰკვირვებოდა, გაეზომა მისი ძალა, სიღრმე, სიგანე.

ასკენაზს კი მოსდებოდა ტრფობის აღი იმ წუთიერი თვალდაკერის ვაჟო. გულმა თუ უგრძნო, რომ ის იყო, ვისაც ეძებდა.

— თუო ჩემო საწყალო! ლაღებული ვინ შეგხედავს ვარდისფერ ხალვით. ვარსკულავთ შესტრფიან. შე კი.....

— შენც მნათობი ხარ! ცეცხლით საკვე შენი თვალეები.

მიჭვრიტაში ჩახედა თვალებს. მოეწონა მათ სიღრმე, სიფრთხილე. ნუშის გულად მოხაზულები. მოზღუდვილნი გიშრის ზოგებით.

— ჩენი თვალებო! სიხარულის ჭავლები რომ თამაშობდნენ, ნუ შეტყენ სიღრმეში, უფრო კარგნი იქნებოდით, მოსაწონები. სევდით საგუნებო! უფროთხის კაცი კაეშნიან თვალთ მძიმე ლაპლაპს: სიხარულს ეძებს, მღიმარე ბედს ეაღერსება.

— ჰი?!

— არ იცოდით ეს, ლამაზებო?!

უფრო ჩაბნელები, ჩაიხვიეს სევდის ზოლები. ვერინი ჰკოცნიდა სიხარულით ტრფობად ნაკვთილებს.

— ის იყო, ისა! მას დავეძებ იმ ქვეყნიდან გადმოშვებული. ვაჰ, თუ ვერ ვპოვო!— წარსაქვა ჭალმა.

და ტრფობის ალმა მძლავრად აჰკრა გრძნობით ძღუფსა.

— დაფიქრდი, გუგუნ, ისმინე ჩემი: არ დაჰკარგო სიყვარული შენთვის მოსულა!

ვერ შეეგნო, ვერ ესმინა თავის გულის თქმა. დასდგომოდა საამო გზას აფერადებულს. მომავალშიც ბევრ სიკეთეს ელოდებოდა: რჩეული იყო, განგები-საგან თუ ეწერა გაფუფუნება. ოქრო, გუნდრუკი, თავსმოვლება სატურთალების... ახ, ის ნაშაშირი მტკივნეული მის გულის ფსკერზე!

— შრომა იმდენი, რწმენით წერა და მარცხი ძნელი?! დაიფერფლოს, მთლადაც განჭკეს იგი ზიანი. თაიგულად სურათთ ჯგუფი ელვით ნათობი! ნაპერწკლებს ჰშლიდეს ყოველი სიტყვა ფრასათ დაეღურაში! იკმეოდეს სუნნელება ნარდონისა!

ამ სურვილმა ისე გაიტაცა ვაქეაცია, რო გზა შეიმოკლა: აღარ მოვლო სხვა ადგილები. თვის ბინაზედ ჩაუჯდა საშრომს, ცას ეწია დიდ სიხარულით: პირადპირად სურათთ სიმრავლე და მათ შუა ასკენაში შეუდარები! ყნოსდა, ესმოდა, ხელს ახლებდა კეკლუც სახეებს.

— ჰე, ბედნიერო! დასწერე მხოლოდ. გადმოიღე კალმის წვერით ნანახ-ნასმენი.

აწ საშიში მხოლოდ ის იყო, მოცეკვავე სიტყვა მკვეთრი არ დაჰლეოდა, მწყაზარ ნათქვამს დაღლილობა არ დასტყობოდა.

— მარჯვედ, გუგუნ!

17.

გაათავა ნაწარმოები. ვადიკითხა. ჩააკვირდა. შეკრთა. განცვიფრდა.

— მე დავსწერე ეს?!

— შენი! მომაკვდავის თვალთ დაჰმხერ აწ შენსვე ნაწერს. მაშინ ზე იყავ აზინული, საუკუნო არსებობის პირისპირ ჰმხერდი.

— ვხატავდი კალმით, ცხად სიხარში რისაც ვხედავდი. ვერ მქონდა ძალა, მომხებებენა სრული მწვენება: მოკვდავი სიტყვა ვერ იტყვდა მას სახატავად.

— ვერ შესწვდებოდი! განვითარდეს ხანთა სელაში შემოქმედი სიტყვა ცხოველი, მაშინ-ღა შესძლოს აითვისოს სიმწვენიერე პირველ სახეთა.

ამ მოთხრობას „ასკენაში“ ეწოდებოდა. იმ უცნობ ჭალის გაგლეწამ თუ მისცა ძალა ზემხედველობის. მის ფრთოვან კალამს ის ჭალწული ამოქმედებდა.

მოეწონა ხალხს „ასკენაში“. აღტაცებით აიმაღლეს ზმა შევლენის შემდეგ. შეუერთეს ეს ნახატი იმ პირველ ნათქვამს. დაივიწყეს იგი მარცხი წყალწასალები. ვაჟი-კაცი უღვაწებ ქვეშ იღიმიებოდა. უმაღლოდა მარჯვენა მხარით ხელს: მის თვალთ წინ ტურვის გაელვებას, თუმცა უხანოს. მაინც მიხედავდ თვის ზეიმის სულ სხვასა ჰხადდა.

— თავისუფლად ვარ და გავეზაღე ნიჭი ელვარე, ნივთიერი უზრუნველობა, რომ მივეცე აღმაფრენას, სიმთა ღლერასა!

ვეო თუ ამჩნევდა: სანატრ განცდას იმ ჩვენების სიმშვენიერე ასაზრდოებდა. დაპვიწყლებოდა დავედრება მოჩვენებისა:

— ხალხთ სამსახურად მოგენიჭა ძალა ნათელი. მას ერთს ჰმსახურე! დასძინე სხივი შენს ტურფა ნიქს, აღაფრთოვანე. და თუ ამ გზაზედ კეთილყოფაც მოგემადლებე, თავმდაბლობით მიიღებდე, ვით რამ საჩუქარს.

გამარჯვებამ გაახარა, გაუღო გული. მაინც იმ მარცხით შეზარული ველარ განმტკიცდა.

— გადაფანტა „ასკენაში“ ბნელი ღრუბლები, საშიშრობას მაინცა ეხედავ: ქუფრებმა თუ კვლავ მოჰზურეს ჩემი ეს ცა ლავარდოვანი, ველარ დაპბეროს ჩემს ტატნობზედ მათ მძლევმა ქარმა.

და ეს შიში მუქად ჰვლებდა მის მზიურ ზეიმს. ერთში დარწმუნდა: სათუთი იყო ეს მქმედობა და ენიანი; მთელ სიცოცხლეს მოითხოვდა თვის სააღერსოდ. არ მოსცაღდეს იმის ქურუმს მის მონობიდან, არც მოსწყინდეს მისი ხვეწვა, მისი ტრფიალი.

— თვით სიმშვენიერე გააღერსებს, ბედის რჩეულო. მის ანარეკლს განასახებ შენს ნახატებში. ილოცედი უცბრომელად ნათელთა ნათელს!

— იქნებ ნათელი სიყვარული სიმშვენიერეა შეცვლილ სახით მოვლინებულა?

ესმოდა ეს თქმა ჭაბუკ მწერალს და ღონდებოდა: ამგვარ მცენებების ასრულებას ზრუნვა სჭიროდა, მქმედის დრო სრულად, მის გულისყური. უზრუნველ ყოფას მოითხოვდა ამგვარი შრომა. გუგუნა რომ ეურნალ-გაზეთს აწარმოებდა, მთელი დრო ჰქონდა ამ საქმისთვის გადაგდებული. უცილობელი: ამით სცხოვრობდა.

— ახ, ეხლა რომ...— ნატრობდა კაცი.

ვინა სთქვა, ქართველს ნატვრაშიაც შნო არა აქვსო? ვაჰ, რო მხოლოდ სიზმარია იგი ნანატრი...

— კიდევ კარგი, რომ ეს შრომა შორს არ არის იმ ჩემ დიად მოწოდებაზედ: წიგნსვე ემსახურებ, ნათელ ჰაზრთა განვითარებას. ჩემს ხელოვნებას ფრთებს აღსხავს ეს. მაინც კარგი იქნებოდა არსობითი პურის არძებნა: შეეჭვირაიდი მთელს ჩემსა დროს შემოქმედებას, იტყოდა კაცი და ოქროსაჟენ საბტომს ზომავდა.

18.

ეს უცილო საბრუნავი მაინც შორს იყო. არც ეცალა, მეტისმეტად ეფიქრა მასზედ: ღვაწლი დღიური ავსებდა მას, თან აქვებდა, ნებს დაჰმართავდა მის თვითყვარებას.

— მიჩნეულია. ხელმძღვანელი უკეთესი ეურნალ-გაზეთის.

ეურნ. „მნათობი“ № 7



- საჭირ-ბოროტო საქმეებში სიტყვას უსმენენ.
- შემდეგიც მერე შეეძინება.
- ძლიერებით გადავიდა აღმასებით კირწყულულ გზაზედ, ხელი შეეძინება.
- ძნელი საველი: სხატება ფეხი; წაქცეული დაიბასრება.
- წვრთნილი კალამი დაეხმაროს იმ დიდ საქმეში, გაწაფული თუნდ სხვა

სფეროში!

თვით გუგუნაც ესე ფაქრობდა. იმედებით ივსებოდა და იქაღწოდა:

— აქ ესდგეგვართ მტკიცედ!

მაინც ხიჭვად დაჰსობოდა ის თვისი მარცხი. არ კი ეცალა, იმ მომხდარზედ ბევრი ეფიქრნა. ხელჩართულ ომში იმისი დრო სწრაფად დნებოდა. პირდაპირ გზაზედ რომ მიჰქონდა მას თვისი ტვირთი, კვალ გარედაც იგერებდა მოშურნედ. მოსულთ. ბრგედ იბრძოდა გამობრძმედილი. აღარ იყო საადვილო მის გამკლავება. იგემა ბევრმა ბასრი ქვანგები!

იბრძოდა, რომ ეშველნა რამ თავის თავისთვის. თუ არა, მთლად ჩაითრეცდა სამუშაო ყოველდღიური. სინამდვილე ვერ შშენებოდა ესეთს მის სწრაფვას; უნდა ეცხოვრნა შესაფერად და ხომოიელად; საშრომი კი ვერ აძლევდა მას ამეფარ ყოფას. თავისუფლად ცხოვრების გზა აქ არა სჩანდა ეს აღონებდა.

— დღიურ პურისთვის ჩავლიო დრო, დაეახშო ნიქი... სჯობს სამსახურში: შესაფერი სასყიდელი, კარგი პატივი, საბოლოოდ უზრუნველობა. მექნება მეტი თავისუფლება.

— მაშ შეეცადე. ან აქამდინ რად მსახურებ უმაღურ კალამს?!

უსათუოდ გაიძარჯვებდა. უარობდა მისი გული შეუფენებელი: მგოსნობიდან შორს არისო ხელისუფლობა; ბნელს ნათელთან არა აქვსო არც რა საერთო, გონებაც გულს აჰყოლოდა, ეუბნებოდა:

— გამოგფიტავს, სულს გაგიშრობს გარეგნობა ბრჭყვიალ-პრილა. განდიდებას დავისახავს სანდომ-საძებრად. გადაჰხედავ ვავლილ სიცოცხლეს; ხელთ შეგრჩება გარეგნობა ვარაყებული.

— მაინც ვეცდები, უქნობ ყვავილო მოსასთველად გავისხნა ხელნი!

19.

დაბარა თვისკენ ამ სურვილმა, იპურო ვაეკაცი; მიიქცია მისი ჰაზრი თუ ნებისყოფა.

— უზრუნველყოფა!

— დაგიფინია!

— მხოლოდ მისთვის, რომ ნიქს ვმსახურო, ნაჭარბები როდღე მიინდა, გარდარეული. მე...

— შეგძულეზია შენი საქმე; მაინც მეშობ.

— მებალისება. მაგრამ დროს მართმევეს, მხოლოდ პურს მაძლევს.

— ოქრო ყოფილა საგანი შენის მისწრ...

— არ გიკითხავს ჩემი ნაწერი?!

— გადავიკითხე. ყველასა ვხედავ. ვგრძნობ დაფარულსაც. შენ არ ეტრფი სიმშვენიერეს მარტო ოდენ სიტუტრფისათვის. შენს კალამზედ არ მდინარებს შემოქმედება საეცებისაგან შენის ბუნების. ქმედობა შენი ვერ ყოფილა გაერცვლება შენის არსების.



— გულთმისნობას მიიჩნემ და მაგვარს იტყვი?.

— თუ გიყვარდეს სიმშვენიერე საბედნიეროდ, ვერ დაყუფდები. მის გარეშე ვერც თუ ერთს ვამსა. მისი მონა მასთან მკედარი, მისით ნეტარია. მისი მშვენიერა მის ელვარების. მისთვის მღერა დაუცხრომელი.

ფართო ზეიმი ძველი მწერლის პატივსაცემად. თვით გარდასრულიც საჩვენებლად მიეპატივნათ. გაუმარჯვდა იმ კრებაზედ მეტად გუგუნას: დაატრიალა სიტყვა ცოცხალი, გაიტაცა იქ მყოფები. ააფრთოვანა. შეაქო ყველამ. უცნობებიც მოეაზრნენ, მადლობა უთხრეს. და მათ შორის დევანგ თორელი თავისი ქალით.

— ჩემი ქალი დარეჯანი!

— სასიამოვნო!

— აი, ქალო, ის ჭაბუკი, შენ რომ მოგწონს.

რაინდულად შეხედა ქალს ვაჟი. საქები თქმაც გადუფრიალა, თუმცა მის ხელი ტლანქად იგრძო თავის მეტაში.

— მამა, ჩემი დღეობა რომ არის...

— უმარჯვილო, ხუთშაბათს ჩემის ნესტანის დღეობა არის და გახოვთ მობრძანდეთ!

— სასიამოვნო იქნება ჩვენთვის, — დასძინა ქალმა.

და შეანათა მძიმე თვალები. კარგ გუნებაზედ დაბრუნდა ვაჟი: გახმაურდა მის სახელი იმ დიდ კრებაში; არ გაუზნდა მეტოქე ძნელი; შეეძინა კარგი ნაცნობი: იწვია ქალმა მისთვის გულმკვდარმა.

ეტლს დაუძახა. გამარჯვებულს შეერგებოდა. ხალხსაც უფრო ყველიანად ეჩვენებოდა ბატონურად გადაქიმულა.

ხუთშაბათს... მისალოცი დამქირდება. თავიგული ეშჯობინება.

იმას ეძებდა პაზრთა არეში. რა ყვავილთ კონა აეორია შესაფერი, თანაც ლამაზი: ამრდილივით გაურბინა მის სადურ ყვავილთ პოვნის სიძნელემ. პირად-პირადი ყვავილები გონების თვალთ წინ.

— არჩევანი არ შეგძლოს!

20.

დიდებული დღესასწაული. დაზარჯვისა ეშინოდათ თუ! ერთადერთი შეილი ჰყავდათ და მის საამოდ მუქამუქა შობანვედენ ნიშნით ნახვეტ ფულს. მზეები თუ ამოსელოდათ დარბაზებში, დერეფნებში, აივანებზედ.

— მიღების ხალხი დასცემია თავს.

— აიტანს: ვერცხლში ხეჩხუნებს.

— კაცს რომ ბედი ეწვია, დოვლათით სავსე კალთებს დააბერტყს.

— დახე, ქალო! კიბე ხავერდით მოუენილი, ყვავილნარით დამშვენებული.

— იის სუნი სდვას: ნელსაცხები დაუნთქრევიო.

— ღნერთთა სადგური სანეტარო!

— შეილთ სიმრავლე უნდა ჰყვანდეთ, რომ გაახარონ ერთადერთი ქალი-შეილი...

— ბედნიერი შეიქმნება ამათი სიძე.

— წუნია არის: ბევრი კარგი გააბრუნა ხელცალაფერი.

— დაიხედოს თავის თავზედაც.

— საესე სალაროს რომ ჩაჰყურებს, ის აგოროზებს.

მისპინძლები ეგებებოდნენ. თიანდახად ღიმი უგებდნენ, უაღერსებდნენ. დარეჯა უფრო მოშორებით დიდ ქალის ახლო. მიმოლოცველსა მხოლოდმა გულგაღებულად. მაინც თავის ყურადღება ხელთ არა ჰქონდა: რჩეულს ელოდდა ბევრწვეულთ შორის. არსადა სჩანდა.

— იგვიანებს: არ მოუხარის. რად აჩქარდება?! ბევრი შესტრფის უფრო კმალოცი.

დაიღალა მოლოდინით, იმედი ერყა.

— აღარ თუ მოვა! უფრო ცხადად უნდა მეთქვა. გაგვრითა ვთხოვე, ჰა, ჰა, ჰა! სხვებზედა ხარ მიჩვეული, დარეჯა ჩემო: რა წამს ანიშნებ, მოისწრაფიან. სხვანაირია! ვერც თუ მეტად მოიზიდოს სიმდიადრის ძალამ. რომ იცოდეს, როგორ კენესის მისთვის ეს გული!..

ეტყოდა სტუმარებს ნახვევ სიტყვებს, საალერსოს სარგებელით დაუბრუნებდა. პირი ამბობდა, გული მის თქმას ყურს არ უგდებდა.

— მოდი, ძვირფასო, შენ მოგელის უთმენლად გული! უშენოდ მე როგორ შევძლებ დროს გატარებას?! მელახერის სული. ფიქრნი ჩემნი შენკენ რბიან, მოისწრაფიან. მოდი, კაბუკო!

არ მოდიოდა! მიიღია, მისწყდა მიმსვლელი. დარბაზები, ოთახები სტუმარებით საესე. შეუწყვეტი მოძრაობა. ხმათა სიმრავლე. იდროვა ქალმა, მიეფარა თავის ოთახში. ვარდისფერი ვალიაკი ოქროთ სარყული. ბანუში ფარჩა აბანოზის ავეჯს დაფარნად. მაგიდები დატვირთული ძვირფას წვრიმანიით. ფეხთა მტვერად ორხო მთლიანი. დიდ სარკეში აიხატა ქალის აჩრდილი.

— უშნო სურათი ძვირფას ჩარჩოში. ვერ გაიტაცებ მის გულს ვერაფრით. ახ, იგრძენ ჩემი ძნელი ტანჯვა, ჩემო გულქვაეო!—წარსთქვა ქალმა.

და დაეშვა სავარძელზედ. უსიცოცხლოდ ეყარნენ მკლავნი, შორეული ეტლის ხმაური.

— მოდის... არა!.. ჰო, აგერ ჰა, ჰა, ჰა! რამდენი ეტლი შესდგება დღეს ჩვენ სასახლესთან... ის არის, ისა! დაწყნარდი, გულო!

წამოფრინდა. გადისვა ხელი. გადაიხედა სარკისაკენ. შევლო დარბაზი. მიემშვიდობა მისპინძლებს ვაგი და გოგმანით გაემართა ნესტიანისაკენ. მიულოცა. ქება უთხრა. სძლენა თაიგული. დაიბნა ქალი. ღელვა ნაქარბი. გუგუნა რომ დაიხარა ხელზე საკოცნად, ქალს მოუნდა, შეჰხებოდა მის აშლილ ქოჩარს. ვაჰ, თუ თავი ვერ ებოჰა, შერცხვენილიყო!

მიმოფრინდა მხარულობა. ღიმილ-სიცილი, ფრთიანი თქმები, ნაწახნაგებ ხმათა ქველები. არშიყობა ფეროვანი. გოგმანი. ცეკვა. საწოვავით დატვირთული მაგიდები იზნიქებოდნენ. სასმელთა რაზმი. შეხურდა ხალხი. ავეჯიც კი იმღეროდა, დავლურს უფლიდა.

21.

—მძლე მარჯვენა გაქვსთ: თქვენთან რომ ვცეკვავ, იატაკზე არ მჭირდება ფეხის დაყრდნობა,—უთხრა ქალმა.

გუგუნამ დასვა ის ზ მადლობა გარდუხანა გაშუშარებისათვის. ჰაერში? დაუბიჯებლივ?! მაგრამ ჰო: ვაგის მკლავი იყო მძლავრად ამხევი; თითონ ქალიც აეტანა ალტყენილ გრძნობას და ნიადაგს ველარ გრძნობდა ალელვებულნი.

მწყობრი გრიგალივით დაჭკობდა წყვილი. ვაჟი მაინც თვალს ავლავდა თავის გარემო.

— ასკენაზი აქა ყოფილა. ვერ მივესალმე. ან კი ყველაფერი შენებშია, ამ სიმრავლეში. არა, უსათუოდ თვალს შევასწრობდი: გვიან მოსულა.

მასზედ ფიქრობდა, რა დიდად ჰგვანდა ეს უცნობი იმ მოწვევებებს.

— შორიდან მე ველარ ვარჩევ ერთმანეთისგან. სწორედ ის არის! ნაკადულთანაც ისა ვნახე, ყვავილს რომ ჰკრეფდა. გავსინჯავ ახლო. ძლიერ შეგეცი, რომ მაშინვე არ გავიციან, ვერ გავიგე მის ვინაობა. ცეკვაში ვსთხოვ გამოყოფას, ახლო გავიციან.

ეძებდა ქალს მიმოხედეით, ველარ ჰპოვებდა.

ალარც ეცალა: რაინდი იყო, მასაც ვეალა აღტაცებით აღტყინება სიამოვნების, დიდ ვახშაშზე იკვლია ქალი, არც იქ გამოჩნდა.

— მახლობელი თუ არის მათი და იქით სადმე სარისტას აძლეც.

გადაავიწყდა წარმავალი გრძნობა თუ ჰაზრი. სუფრის თავს მოჰყვა, შეზეიმე ქალწულის გვერდზე. ჰაბუკობის ითხოვდა წესა: მთელი თვისი ყურადღება მისთვის მიეხურა. ქალი დარეჯა სრულის გულით მზიარულობდა. იციროდა, კასკახებდა, კარგებს იტყოდა; გარემო ყველას უაღერსებდა: ტრფობით დაგული სამღერელად გარდაშლილიყო. სანდომ კაცის გვერდზედ ყოლას აეალა ქალწულის გული. გრძნობათა ელვა ინთებოდა დიდრონ თვალეშში. შექოათენდათ. როცა კაცი ხელზედ მთხვევით ეთხოვბოდა, ძოლანდელმა ძნელ სურვილმა წამოუქროლა. დამხარა იგი ვაჟის ქოჩრისკენ. ბეწვის ტოლა მოძრობდაც და... ხუჭუჭებს დაუკონცინდა. რაღაც ძალმა სახეირომ დაიკცა ქალი.

— ჩამშლებოდა სიამე მთელი. დასაძრახად დავიდებოდი. იქნებ ეფიქრათ, გატაცებამ თუ სასმელმა გონი წარმტაცა: ხარხოშად ვიყავ, ღეთის წინაშე, იმისით მივრალი. ჩემო გუგუნში! — გაუაღერსა ქალმა შორიდან.

ვერც მოსცილდა ამის შემდეგ გუგუნის აღერსს. ეჰ, მაშ რა გქნა გულმკედლარ გოგონას, როს მკერდის ქვეშ ზვირთდებოდა გრძნობა ძლიერი?!

22

ნაცნობობა ქსელად გაება. თანდათან ახლოვდებოდნენ.

ქალი დარეჯა სიყვარულის დასაქანზედ დაშვებულყოფა.

— მიბყარით ხელი: თავს ვერ ვიმაგრებ!

აღმაღლა ვიდოდა ვაჟი პატივისცემის სადინელზედ მდიდარ სახლისკენ.

— ჰკვიანია, მოსაზრებული. გაწვრთნილი აქვს ნებისყოფა ურვევლად მოქმედს. საპატიოა.

უტკებოდა სოვდაგარი ახალ მეგობარს. კვირაში რომ იღნიშნული ჰქონდა ერთი დღე საჭირო ხალხის პატივისცემად, ვერ ასცდებოდა იმ სტუმრობას ვერცროს გუგუნა. თუ დროზედ ვერ მოვიდოდა, კაცს აახლებდნენ, სათხოვარი საქმეც გაოწნდა. გამომცემლობას თანხა უჭირდა; უფრანალი თვის თავს ვერ აცხოვრებდა. გაკირვების ტალ-კვესად სთქვეს იგი მდიდარი. ერთი შენიშნეს: თუ გუგუნა არ მივიდოდა, სხვას არ ანდობდა ფულს სოვდაგარი; ის კი მარად ბრუნდებოდა გამარჯვებულად.

— მომწონს იგი ახალგაზრდა; მთლად სანდობია. ნაღდი არის მისი სიტყვა, როვორც ბაჯილლო.

ისიც უაღერსებდა გუგუნას თვითმოყვარეობას, რომ ქალი მისთვის აღაგომბრივ ინაღუნებოდა. ქალს უხაროდა მისი მოსვლა, ვით მწყურვალს წყალი. ჰხედავდა ამის ვაეი-კაცი, თავემომწონედ აიგრებდა უღელას ^{საქალაქში} მამის შვილი იყო ქალი: მაინც ფრთხილობდა.

— თვალს შემანგვეს, შემეთვისება. მისთვის ტანჯულს სულს შეიგნობს და მინუგეშებს. თვალმახარა გოგოებმა ველარ დამაგრონი! ვუჩვენო ყველას, რა ძალა აქვს ოქროში მუდარ ძლიერ სიყვარულს,—ფიქრობდა ქალი

და უზნევი მოძრაობით ვაკეციას იწიწივ ვიდოდა. გამოცდილმა მისმა მამამ ალღო იართო; მოუწონა მოსაზრება; მის სურვილთა განსახებას ხელი შეუწყო. მისვლა-მოსვლა თუ ერთობა საღ ნაყოფად გამოინასკვა; დაშინაურდა ვაეი-კაცი ქალის ოჯახში.

— ამ დიდ დოვლათს ვარგი კაცი ნათლად იხმარებს: შეაშველებს ჩვენის ხალხის განვითარებას. სახელმწიფო არა ზრუნავს და ხელსაც გვიშლის. საწალ-მართოდ მოიზიდოს კერძო მარჯვენა. გაუშკლავდეთ ჩვენზედ მოსულ შორეულ წყვდიადს, არ ჩაგვინთქას ცოდნის მანგი ბნელეთის შვილმა.

კარგი ის იყო, რომ გუგუნა სრულ ანგარიშს იძლეოდა დევაგისგან წამოღებულ ყოველ თანხაში. მინალთუნიც არ ქრებოდა არსად უკვალოდ. მოსწონდა გამღებს: რწმუნდებოდა სიამოვნებით, რომ მისგან მიზანში ამოღებულმა ვაემა იყოდა ფულის ყადრი, ხეაგებულ ზინეთს არ მისცემდა ქარს წასაღებად.

— საჩვენო არის, ზედ გამოჭრილი!

ქალი... საკვირველი იყო მისი მდგომარეობა: დნებოდა ვაეის სიახლოვეს, ვით კარაქი ცეცხლის სხივებზედ, მაინც კიდევ ახერხებდა თავის დაქერას. ძნელი იყო ეს იმისთვის, ძვირად უღირდა.

— ვიწვი, გენაცვათ, მაბკურეთ ნაში! ველარ შევსძლო უიშვავოდ მეტო გაძლება. განვეცხადები!

— არა, გულნაზო: თუ გადაძალა ნაქარბ გრანობამ სიფრთხილის ზღვარი, დაიღუპები!

23

ამ გვარ ორთიერთობაში იყო ქალ-ვაეი, როდესაც დაპურდა გაზაფხული. ცხელმა მტერებმა ჩამონისლა მთელი ქალაქი. სრფლისაკენ მიიწვედა გული ლანძული. რა სჯობდა აწ ბუნების კალთას?!

ნესტანიანი ისე აღრე ვერ წავიდნენ: სოვდაგარ თორელს საქმეები თუ შეაინდა სათავებელი. მათზე აღრე დააპირა გუგუნამ წასვლა. ჯეირანეთი აირჩია საგრილობელად. ნაძენარიანი მთა დაძმურის იქ ფართო შეკვეთილს. ზედ სოფელი ჩამოაყენით გაშენებული. ძირს, მდინარის პირს, ნაქები ზურები. ბანგივით ლეინო იქაური გიგენებია. მთის თხემამდინ აჭყევ წავარნას, დიდებული სანახები გარდაგეშლება: ცის კიდებზე თვალსწევდენი კაკასიონი. მარჯვნივ... ეჭ, საითაც გაიხედო, თვალმომჭრელი ბუნების სახე. ტყუილია თქმა: განმოდგენსო სამოთხიდან აღამიანი. ქართველებს არ შეჰმთხვევით ეს ძნელი საქმე. როდესაც გუგუნა მივიდა სოვდაგარისას სამშვიდობებლად და უამბო საზაფხულოდ საღ მიდიოდა, წარმოსთქვა დეგანგმა:

— კარგი შემთხვევა! ჩვენც იქ მოვდივართ: საქმეები მიწვევენ იქით. მამული მაქვს იქ. მინდოდა თან გამეწვიენე, ველარ გაგებდე. დროს გავატარებთ. მომერგება შენი კარგი მოსაზრებებით.

გაუკვირდა ნესტანს მამის თქმა: სრულებით არ აპირობდნენ იქნავე წასვლის. კინალიამ არ დაიმჩნია თვის განცვიფრება. დროზე მიუხედა და დაუბადლა.

— პატროსანი! მეტად მიტეხენ იქაურ პაეის.

— მართალი უთქვამთ: იქ ბუნების სიკეთეს ვერ შეძლებთ. ^{მარტო მარტო} მარტო მარტო შემოგო წყარო ცივი, ანკარა!

— ქალწულის ცრემლს ეძახიანო. არ ცივი კი რად.

— აღბათ იმისთვის, მარგალიტს რომ აბეჭერებს არეს.

გაება საამო საუნარი. ქალი აღტაცებაში მოვიდა იმ დაწყებულობით, გრძობათ აუზი აუპილთავდა. უცეცხლოდ დუღდა სიყვარულის მისი კოჭობი. მძაფრმა გრძობამ მთლად გაეღინთა მისი არსება და დაამშვენა, ეშხი დაძინა. შენ იცა, კარგო: გრძობა ბოროტი აქუფრებს სახეს, კარგი მტრთაილი ნათელს მოაუფებს კეთილის მოკმედს.

21

გუგუნამ ბატონკაცურად დაიწყო ზაფხული და გაათავა ნამდვილ ბატონად. სხეც ბევრ იყო იქ კარგი ვაეი. დარეჯანმა თვის რაინდად ის აირჩია. საერთო ჭეღ-ზეიმი აღარ იზიდავდა ქალს, მეტისმეტად შეუყვარდა ბუნების კალთა. უხედავ კუთხეთ დაკვირება, ნამთების სინჯვა, ძველ ნაწერთა თუ ნახატთა პოვნა, შეძენა. კეთილთა თესვად განოსულოყო: აქ აუზი შეაკეთა და შეათეთრა; გლეხის სახლში რძე მიირთვა და თქრო მისცა; ლურჯ საყდრობას უხვად გასცა გასაღებელი. მზიარულად ბრუნდებოდნენ შინ. ნდობა აშლილ ვაეს უბაროდა დარეჯანს ქვევა.

— შეძლება რომ აქვს, დახარჯვაც იცის. საამო არის: აღმაფრენი სული თუ უდგა კეთილის მქმედი.

— მომეცი, ღმერთო, ბრძოლის ძალა, დამიფარე სულის უტკემს განსაცდელისგან! — ილოცდა ქალი

და მტრობას გრძობდა იმ ორიოდ ნაცნობისადნი, რომლებიც რომ შეპყრობდნენ მათ, აივანხედ შეექცოდნენ. უმთვარო ღამე. ღამის შუკი ძლივს და აპობს ჩაწოლილ წყვილადს. ბნელად მოსჩანდა სასახლის წინ დიდი ბაღნარი. მძლავრი ნაძვები ნაბად მოსხმული დევების სახით. აიშალნენ მოსულები, ეთხოვებოდნენ. ადგა გუგუნაც. ქალის დედა ქვემო იწვევდა. შეეკადნათ, შესთხოვეს სხვებსაც. გუგუნას იქ დაყოვნება არ ეხამუნათ: სიბოლოვით სჯარობდა იმით. შეტრიალდა დედა დარბაზში. შუბლს გადისევა ქალწულმა ხელი.

— დავიქანცე! შეაპატიე, ადევნე თვალი, ყურადღება არვის მოაკლო; პასუხი ყველას მოოთულ-რკალული.

— დაიღალეთ?

— ნამდვილ სიტყვას ხომ ვერ იტყვი მთლად უცხოებში, უწახნაგო თქმას და...

— უკაცრაოდ! დაისვენეთ. ღამე მშვიდ...

— თქვენ ხომ განზრახ დაგაყოვნეთ, რომ...

— მიბრძანებთ რასმე?

— დავისვენო თქვენს მახლობლად, ესატკეა გულიდან მოწყვეტილი სიტყვა ანკარა.

— გმადლობთ! — წარსატკეა ქაბუკანა.

და აიხზა. ქალი აღარ ხუმრობდა, სადარბაზოდ აღარ ქონდა სიტყვა დაწულნი. გულს ნადების გარდაფურჩქენას ქლამობდა მის წინ. უკარნახა ალლომ დუნილი, ესროდა კი, ქალის ღტოლვა მას ეგულბოდა. მარაოს სრესდა, ფრთას უმტვრევდა, ასახირობდა. ხან ფითრდებოდა, ხან ყაყაოდ ააღდებოდა.

— თვალს მჭრის სინათლე. ჩაეიდეთ ბაღში: იქ ყუჩილია და უწინრობა.

— ინებეთ!

— მომსურვებია ღამე დავლა ჩვენის ბაღისა. მარტო ვერ ვებედავ: მოჩვენებად გარდმეწება ყოველი ჯაფი.

— მხოლოდ რაძე წამოისხით: ტევრების ქვეშ ნესტი იქნება მარტო.

— საამოდ გრილი!

ჩასაყვანად ხელი უბყრო კიბეზედ ვაქმა. ბირონიებდნენ. ფრასის ნატეხი. ნამსხუროვერი რაღაც სიტყვების. იგროხო კაცმა სიმძიმე წუთის. დაიკვართა დასახედრად მომავალისა. ვაჯაკის მაჯა ზედ ძეძუზედ მიიკრა ქალმა. იწყო ცხროება. სი უცვა ველარ დამიორჩილა.

— აქი გთხოვე, რამ წამოგვსხა.

— მცირეა, გენაცვა!—წარსთქვა ქალმა

და აეტლო, ააბყრო თვალნი.

— ოჰ, რა მიყვარხარ! გამაწმინა შენმა სურვილმა...

25.

დიდებული ქორწილი. საფელს ისეთი სიმზიარულე თუ გულუხვი მასპინძლობა არ შეგხვედროდა. ველარც მნახავდა! ზემომბდა მიღეთის ხალხი, დაქნატროდა ვაჯაკის კარგს ბედს.

— ღმერთი რომ მისცემს, ორივე ხელით.

— დაჯე, შეეძეც, თუ შნო გაქვს ქამის.

— გვირგვინ ქვეშ შეფე უფრო შენოდა.

— არც ქალი სხანდა უსანდომო, თუმცა ცოტად მოიღამებდა.

— ქვეიანი დედნანის შეილია, დიდებული დიასახლისა დაღვება.

— შენ ისა სთქვი, როგორ ძლიერ სტრფობია ქალი: გრძნობათა ზვირთით მოუტაცნია.

— გუგუნა მაინც გულის კაცი არა ყოფილა: მოფიქრებით მოუზომია, ხელი არსად შეპყვევია, ანგარიში არსად შექმლია.

უზრუნველი გახდა გუგუნა. ფულისათვის მუშაობა არ სკირდებოდა: სიმამრის სარჩო სულ მისი იყო. მაინც არ ითქმოდა, მზამზარეულად სცხოვრობსო ის სხვისა დოვლათზედ: ხელს აწველებდა. სოფდაგრობა შორს გასულიყო, სკირდებოდა სანდო შენზე მოფიქრებული: ფულის საქმეს სხვას ვერ ანდობდა. შესძინა მას მისმა ქალმა ვაჯაკი შეილად; მეტად ერთგულ ამხანაგად გამოდგებოდა. დიდებულად გაინაღდა გამოცდილმა თვისი სავაჭრო.

— კარგი ყოფილა ბატონობა!—დაასვენა ვაქმა, როცა დილით არ მოუნდა აღრე აღგომა, სამუშაოდ გამგზავრება ძალდატანებით. კეთილყოფას მსწრაფულად შეეცქეს: ბაღლობიდან ამგვარი რამ თუ არ ჰკლებოდა. მთელი წელი ღამლობაში, განაზებაში. სხვანაირად არ იქნებოდა: გვერდზედ ჰყვანდა ახალი სული, ვის ეზღენა მისთვის თვის სამდიდრე, თვის ნაზი გული. როგორ შეეძლო აღტაცება არ დეწმინა!? სუროს მზგავსად ეწმანებოდა, იმლებოდა ტრფობის კვალიად, სურვილი მხეფად ესურებოდა. და თითონ ქალი... ფიცხ აღერსში მხევედა ვაჯაკს აღტყინებული. რალა უნდოდა კარგ გუგუნას, სხვას რას შესთხოვდა მისთვის გახსნილს ცას?! არაფერი, სრულიად არაფერი!

26.

მთელი წელი განცხრომაში, ხორცთა აღერსში. შემდეგაც არ მოუშალა ბედმა კეთილი. საზრუნველი აღარაფერი. ეხლა ღამ მიხვდა ღამაზ თქმას ხალხურს: "ბატონობას დიდი ძირი არ უნდა: სჯდოდე და სთქოდე."

განეთ-ფერნალში მუშაობა ყოველდღიურია..... რალა მისი საქმე იყო იქ თავის მტყრევა?! კავშირს მაინც არა სწყვეტდა: დაბეჭდა კიდევ რამდენიმე მარჯვე ნათქვამი. მოუწონეს, კიდევ შეაქვს: ბევრი ჰყავდა მოალერსე ბედისგან რბეულს.

კაცის დარდი მაინც სხვა იყო. მას უმიზნებდა, მისთვის იტყვოდა ფართო სამზადისს. სამუშაო ოთახი ვრცელი. ფანჯრები ბაღს გადაჭურვებდნენ. დაუზოგვად იღვრებოდა მზის სინათლე მთელ საეიანეში. ოთახს შუა-ფანჯარაში მაკენ ფართო მაგიდა. რა სამწერლო იარაღი, მოწყობილობა! ვერცხლი, ჩრბის, მარბაი ჩუქურთმისაღი. ბროლის კაპარჭში კალამთ კონა ყოველი ჯურის. რუსთაველი ძვირფას ჩარჩოში.

დარეჯას მეტად უყვარდა ეს ოთახი. ბუხრის თავზედ, კვარცხლბეგებზედ ფაიფურის მარაფები ყელყლაობდნენ. ქალი დიდდილით თავის ხელით სცვლიდა ყვაფილებს.

— დილა მშვიდობისა! რა ლამაზი ყვაფილები მომიკრეფია!

— ველის ყვაფილი.

— გავიფიქრე: თუ მოსწყინდა ბაღის ვარდები.

— ვმადლობ, ძვირფასო! გრძნობათ ანრდილიც ვერ გაივლის ისე ჩემს გულში, შენ არ შენიშნო.

ხევედა-კოცნა ბედნიერების. კარადები ივსებოდა რჩეულ წიგნებით. მთელს იატაკს სავანგებო ორბო ჰეარავდა.

— რას სწერ, გენაცვა?

— საკითხი ძნელი ხალხის შესახებ. შენ თუ დასწერო, შემოუთელიათ.

— შენ შემოგვიღე!— წარსთვეა ნესტანა

და აკოცა იფურტენილ ქოჩორს.

შუბლშეკმუხვნილ სწერდა მწერალი. მეტად ჩქარობდა. ყავა იქვე მოითხოვა, არიქნება მუშაობის შეფერხებაო.

— გოგო ეშხისავ! ფრთხილად შეიტა! შენებურად ნუ კი შეხვალ ძავიბუგითა. ფიქრები არ შეფრზიო: საათუთს მუშაობს.

ეტყობოდა შემოტანილს დარეჯას ხელი: სარძევე ნაღბით, დაბროწილი რადაც ნამცხვარი, ქადის ნაწერეთი.

— აი, კარგო, გუშინდელი ჩემი ნაწერი: დაუბეჭდიათ.

— და ეს მაღე?! აბა მიჩვენე.

ღვთის მსახურებად მიიჩნდა ქალს ქმრის მუშაობა.

თავი მოქონდა, რომ იშოვა კაცი ძვირფასი.

— თუ უნაკლად არ მეზონა ყოველი წერილმანი, წაეიდოდა ჩემი ხელიდან ჩემი ვაჟკაცი. თავს მოვიკლავდი! ძნელი იყო ჩემი ყოფა. ჩემ მხარეს იდგა მხოლოდ სინდიდრე. სხვები... ვიცი, ვიკა: გარეგნულად ბევრი მჯობია. ისიც მახსოვს, კაცებს მარტო თვალში აქვსთ ქეუა. მიგრამ... მიჩვენა სანატრი, რა ტკბილ გრძნობათ სავანძერი იყო ეს გული.

ჩაფიქრდა ქალი.

აღლომ მიუთბრა, რა ძლიერებით ისწრაფიდა მისკენ ეს გული. მისთვის მოვიდა, მომეხალა სასიყვარულოდ. თორემ ფულები... ვერ დასძლევა ოქროს ექვე სახელოვან კაცს. ან რად უნდა საწყალს ქონება?! ბანქო, ლეინო, სხვის წალკოტში ყვაფილთ კრეფა სულ არ უხარის. მხოლოდ ოდენ უზრუნველყოფა: დრო უნდა მქონდეს, თავის კალამს ეტრფიალოს, კალამის წვერით მთელ ხალხს ეტყოდეს.

კვლავ ფიქრს მიეცა.

— ჩემზე მეტად შეგიყვარდეს კალამი შენი?! არ გამიბეღო! ვიცი გიყვარვარ. უფრო მეტად შეგიყვარდები. აბა მოვიდე!

ვალაკში ფეხაკრეფით შევიდა ქალი. კაცი კალამს ჩაჭინებდა. გადაეხვია.

— ჩემო ძვირფასო! ლამაზ თვალებს ნუ იფუჭებ ეტრატში მწერით. გავისეირნოთ. ეტლი ვუბრძანე.



აღარც თუ მეტად იფუქებდა საიღერსო თვალებს გვეგონა, ვეჭვობრებო
აღარ ედგა, უნებურად კალმის ქერა არ უნდებოდა. აღარც ვუღელ-უწყობდა მას
ანისთანა საწმეშაოსთვის. სხვა არისკენ იწვედა სული.

იმგრგველივ სიჩუმე. სდუმს თითონაც. ყურს მიოპყრობდა უთქმელ სიტყვას
ჯერეთ უსმენელს. თვალთ აშეთებდა დისანახალ დაუნახავის. არსით არც ბგერა.
არც ერთი სახე. შეძიძმდა სული, შეერთა, შეშინდა.

— ხრამის პირს, ვგონებ, ვსდგევარ შეუგნებელი. იწნებ კიდევ ჩავითხიე
უფსკრულ წყვდიადში.

გადაისვა შუბლზედ ხელი. გაკვირვებით იხედება: პირველად თუ უმზერდა
სანთიან სადგომს. დააკვირდა სარკეში სახეს. რა სუფთად ეცვა! მეტად შევნოდა
ისეც კარგი აღიღმა კაცის. ზლომ ბუნჯალებად გადმოშლილი თმათა ტვერები.
ხეუჭების ხელფური მის მაღალ შუბლზედ.

— ეს აჩრდილი მირჩენია ყველა ჩენს სახეს: ბუნებრივია, სიცოცხლით
სავსე. გადვილებ სურათს. დამიშვენებს მრავალ ტომად გამოფენილ შემოქმედე-
დებსა, მდიდარ ნაყოფს ამ ჩემის ზუბ...

შესწყვიტა სიტყვა: არსად იყო ჯერეთ ნაღვაწი.

— მხოლოდ ორი საიმედო ამ გავლილ წლებში. მესამე... არა, არა! არ
ჩაითვლება. არც ახსენებენ. ნაშრომი კია: თვითთულ სიტყვას, ყოველ სათქმელს
ვაწახავებდი. უსულაო ვარეგნობით, უნაკლოდ კმნილი. მიმიხვდა მსჯელი: ცო-
ცხალ თვალთ ვერ ვხედავდი, რასაცა ვწერდი. ვსაზრავდი მხოლოდ. ის ორი
ნაქეთი.... სულთ მეცახი მაშინ მე თავს დამტრიალებდა. ძალს მიმრავლებდა.
შვიან ტალღებზედ აჟანებდა ზულს აღელვებულს. ეთეროვანი! სად ხარ, ლამაზო?
მომეხლება, აღმიშვარ ხელი!.... ასკენახიო.... სხვა იყო იგი.... კვლავ მასმინე
ვგ შენი ხმა დამატკობელი!

მძიმე ყუჩილი. არც ნასახი მიმომგრენ სულის. შეძრწუნდა კაცი.

— ვაჰ, თუ აღარ მომეხალოს, კრეტსაბნელი არ ასწიოს გონების თვალთ
წინ. თილისმა ფარდა. იმის იქით გაფენილი ნათელთ სავანე, სანეტარო არსე-
ბობა ძნელ შესაცნობი. კვლავ მაჩვენე, სანატრელო, ის ტურფა არე!

მეუღროობა ურღვეველი, ლოდივით მძიმე. შეშფოთდა კაცი.

— შორს ჩემგან რუცვა! აქვე ვარ, აქა! შენსკენ მოვილტვი. ჰა ძალა ჩემი,
ყოველი წამი ჩემი სიცოცხლის!

უღაბნო უზნო. სივრცე უსახო.

ჟამიერი შეზოკვა ნიჭის; წუთიერი შეუქმება შემოქმედობის. აქ საშიში
არა იყო რა. თავს ევლებოდა ვათელილ მიზანს თვის არსებობის, დაჩქარება
ძნელ საქმეში არ ითარგებდა.

— რა არის შანიც თვეთა რიცხვი იმ ნათელის სიღიადენში?

ქინიანი სამუშაო მეტად სათუთი. ძნელი იყო ვათელილ დროს თუ ნახობ
ადგილს იმზედ შრომა. აღტაცების წუთი იყო აქ ხელსაყრელი, როდესაც მღე-
როის შენი გული დიდ სიხარულით ან ზარით მოსტკვამს ლახვარსობლი, თუნ-
დაც სავანი ვინვის თუ მოლხენის ოცნებათა სავანეში გარდაშლილიყოს. აქ
გრძნობათა შესაკრებელს ბანს აძლევს გონი, გზას უკვალავს ნებისყოფა თანა-
მშრომელი. მრავლად ექნება აწ ეს წამები: მოახერხა დატოვება ნივთიერ ზრუ-
ნვის, მოიცალა ხესანახავთ პირისპირ მხერად.

— მწყალობელმა ბედმა ჩემმა ხელნი გაიხსნა. ვემსახურო შეუღრკომლად
ბრწყინვალე სავანს! მითხრა ჩვენებამ: ნათელ გზაზედ იგი დიდი შემოქმედი
ხელს აგიაყრობსო. ვახსოვდესო მხოლოდ ეს ერთი: სიმშვენიერე თვით ნათელია;

სიყვარულში ვითარდება მისი არსება. დიდ სიტუაციას რაინდი ხარ, არსად შე-
ირყე! უხილავად შენთანა ვარ, ხილულ სახითაც.

წარმოუდგა ტურფა სახე იმ თვის ლანდისა და... ასევე... ნაკადთან
ტყის პირს. ეტყინა გული. მისი ჰაზრიც ეახლა აწ იმ ლამაზ ბარდობაში.

— ნეგლიშშიაც ხომ მერყენა იგი ქალწული. ასევე... როგორ შეგან-
დნენ ერთის ხედვით იმ ჩემს პირველ ლანდს! ახ, ვინ იყო, რით მიზიდავდა?!

გვიანში ფიქრი; აღარც საქირა. უკვე ჰქონდა გარკვეული თვის ცხოვრე-
ბის გზა. თანამგზავრიც გვერდზე ჰყვანდა მას მოყვარული. არსებობის კაბადონზედ
მასთან რაინდი. ცხოვრების გზა მოკირწყალული ვერცხლის ზოდებით. ხორცთა
კავშირი დასკნულ იყო ტრფობის ნაყოფით. განმტკიცდებოდა ის ჯინჯილი
ახალ რგოლებით. უშედეგო უკუხედვა შეუფერები. მაინც ბრუნავდა მის გონება
იმ ლანდის მირგვლივ.

— იქნებ განგებამ მომივლინა ის ჩვენება განსახებული. რჩეულისთვის
ხორცს შეისხავს ციური არსი, რომ განვითარდეს იმით გულში უბინდო ტრფო-
ბა. ის სიყვარული თვით არის მის ნიჭის ძალა, იმის მფურჩქვნელი. ჩემი სიყვ...
თმის ხელფერი მოაშორა შეფიქრებულ შუბლს. ქუფრი დასკნა შესახარი,
უნელებელი. შეიბერტყა ვაჟაკურად, იღერა ყელი.

— არ შემფერის ბალღური თქმა ზღაპარზედ ფუქი. შრომა უტეხი! ბედის-
წერამ ამ ღვაწლისთვის გამისხნა ხელი.

29

— მოთმინება, გუგუნი ჩემო! მოფრინდება შთაგონება ნათელ ფრთიანი.
აღვიგზნები სასიმღეროდ ვით შემოქმედი!

უნდა ეცადნა: სხვა გზა არ ჰქონდა. მაინც სად წაუფიქროდა საშრომი?!
ახალ ვაჟაკს ვერ წინ ჰქონდა ცხოვრების შარა. მოესწრომა! აღმაფრენის წა-
ვარსებთან შეაერთებს თავის ცხოვრების გზას და პირნათლად გაუქლვება ორი-
ვეს ერთად.

— მეტად ძნელია. ვაჰ თუ ვერ შესძლო.

— შესაძლოა ძლიერისთვის და აღვასრულო!

შემოვიდა დარეგან ქალი. ხალვათი კაბა. იდაყვამდინ ტიტველა მკლავი.

— ცივდება ჩაი.

— ეხლავ, გეხაცვა! ბავშვი?

— სძინავს ფუნთუშას.

ნოყიერად შეექცეოდნენ: არ უფრთხოდნენ ხორც დაოკებას.

— ქალბატონო! ღომიანთ ღიზა.

— შემოველ, ნესტანო ჩემო, შეგატყობინო: დავასკვნით ციმუბში წას-
ვლა. თუ გადიფიქრი?

— რად გადავსთქვამდი: ჰავით იგი ყველას სჯობია.

— იცი, ყმაწვილო, გვეწვიება, თუ ჩაიკეტეთ. არ დაივიწყოთ: ქალის გუ-
ლი ჩილი არის, დაზოიანი. მოასწრობ წერას!

— სად წაველ ქალთა ბრძანებას?!

გულში მაინც ვაჟი-კაცი სხვასა ფიქრობდა. იმას ზომავდა, რა საგანი აე-
რჩია, რომ უბინჯოდ გაშლილიყო შემოქმედება. ბევრი იყო ასახატი ხალხთ
აწინდელ ცხოვრებაში, წასულ ყოფაში. ჰაზრთა არეში არმოყოფდა სახატ საგ-
ნებთან. აირჩია, შედგა სურათზედ. ანვითარებდა გონების თვალთ წინ.

— ახ, მხოლოდ ფიქრობ. მსჯელობაში ვითარდება წერის საგანი. მისი
ხატება როდი მიღვა ცოცხლად თვალთ წინა. ვერ ცოცხლდება მის ნაქეთები
მოქმედებაში. საწყალობელ გულს არ ეტყვის გახევებული. იმ ორს რომ ვწერ-
დი, ცხად სიზმრად ვიყავ. ვხედავდი, ვხატდი. ბგერები რომ მომესმოდა, სიმ-

ღერად ვწერდი. მილიმოდა ვარდისფერი სიტყვა ხორცსმზული იგი მესავე...
ვერ შთაებერე სული ცხოველი.

იჯდა და სწერდა. გალიაკი საესე იყო ნაფლეთ ქალაქში მწველი წიგნები მწერიად. ღინიანად სწერდა, იბრძოდა. გაბმით ყოველ მსოფლივ, აგერ მთელი თვე. ფრთად ნაჭედი კალმის ტარი ზურმუხტოანი. დაწრიალებს მარჯვე ხელში რკინის კალამი. სრული სიჩუქე. გალიაკი ანთებული ჩრდილულ სინათლათ. ყვავილები ლამაზ ღიმთი დაჰხერდნენ მუშას. თუ უკვირდათ ეშხიანებს ჰაზრთა სიუხვე. შიგადანივ შუბლს ისრესდა, თმას იბურძგნიდა. შეხედა საათს.

— მარჯვედ მიდის ქმედობა ამ ეამს და ხევაიანად. ერთს კვირაზედ და დავათავებ, გადაუათეთრებ. ლამის, რომანს აქტოლოს თვის შინაარსით.

— ვილაც კაცია, ქალბატონო, ბატონს ვნახავო.

— არ შეიძლება! როცა მუშაობს, ვერვის შევეშვებ. ხომ ხედავ, გოგო, მეც არ შევდივარ.

— არ მეშვება, ბარათი მომცა.

— ემანდ დაიგდე, მერე მოვიდეს.

გამობრძანდა ვაჟბატონი თვის სენაკიდან.

— როდესაც ვწერავ, მეტად ველეავ და მით ვიღლები. ქალალს გადავცემ ჩემს სურათებს და მოვისვენებ.

გათათა. შეასწორა. გადაათეთრა. მეტად ფრთხილობდა. კიდევ კრთოდა. თითქო ჰქონდა დაწყების დროს აღფრთოვანება. ჩაიკემა განცდა მისი თითონ წერის დროს. ადგილადგილ ნაწარმები ჩაქუცრუებულნი. გახზარდენ შემდეგ ნამუშევრები, ერთერთს გაეხენ. შუქიანი ადგილები ცრიატდებოდნენ. დაივადდა სიტყვა, დაღონდა; ირყეოდა ფერბიხდილი, ვერ ხალისობდა; ცივდებოდა მისი გული, ალბათ კვდებოდა. კვლავ გადიკითხა. გულის ცემა თიქო შეუდგა.

— ხომ ვიშრომე დაუნდობლად, ზედ შეველიე, მაინც ვერ მივწვდი: არ ცოცხლობენ საბებიო, არც კი გამთბარან. მოძრაობა, სიცოცხლის დენა! აახ! დამბრუნე, შემომქედო, ნიჭი ცხებული! ვაჰ, თუ წარმტაცე იგი მადლა, უსასტიკესო!...

30.

დაუწუნეს. მეტად დაღონდა. წინანდელივ აფეი სიტყეს გადაჭარბებით.

— კარგი ჰასრები მარჯვედ თქმულნი, საგულისხმოდ გადაჭდობილნი. სული არ უდგა. არ ჩაუწია თვის კალამი გულის ვარამში, არც სიხარულში. ვერ აგატირებს, ვერც გაგაციუნებს. რომ დასწვდები საკოცნელოდ, მკედარს ეკოხები. სალამაზო თქმულებისთვის სმენა არა აქვს, სააღერსოდ მოწყობილი ენა დაბმია. ვერ ჰხედავენ არსთ ცხოვრებას ფართო თვალნი.

— რა? არ გქონანო ყურნი სმენად ტურფა ნათქვამის; დამწუხუნაო თვალნი შენნი სიმშვენიერის წინ!—ჰკვირობდა კაცი.

იქამდისინ გაკადნიერდნენ, რომ ურჩიეს, ხელოვნების წავარნიდან ჩამომდგარიყო, თავის საშროპს დაჰპრუნებოდა: გასპოლოდა კვლავ ჟურნალ-გაზეთს. ამყობით გაელენთილმა მეტად იწყინა. მკაცრად აღელდა. დაიწყო გმობა. თვით ინება დასტამბულის სარჩლი თუ ქება, ვერ მისწვდნენ უგნებულნი სანიმუშო თარგს. დასცილებოდა თქმა მოიწვევების:

— ეკლიანია გზა ხელოვნების. მრავალჯერ იენებს მასზედ მავალი, მოაკურებს სავალ ბილიკს თვის გულის სისხლით. არ შედრკების სიყვარულის იგი რაინდი! თუ მოიღებს სხივთა ბუნჯგლებს ბნელთ სანათებლად, სენობს მამან ყველა. დამწვარ გულის სალაღობად ყვავილს ესვრიან.

თუ დაივიწყა წოდებულმა ეს წმიდა მცნება, რომ ძირს დაუემა სიყვარულის დროშა მალალი.

ნანატრ გზიდან როდი ჩამოვდა. რამდენჯერმე კიდევ სცადა ამ სახის შრომა. არ განმტკიცდა შერყეული ერთხელ ალაში. ახლდებოდა ტურფა სული შემოქმედების. ვერ ეწყობდა: შეენდოს კაცს ყოველგვარი ცუდივე ზოგადი, არ შეენდოს მხოლოდ გმობა სულისა წმიდის. ვერ ჰმსახურა, ღირსეულად წმიდა სიყვარულს, წმიდა სულის განსახებას ბნელ საწყაროში.

— რახან არ გესმისთ, არც მოგიზღვენათ სიმღერა თუ მოთქმა ძლიერი! — წარსთქვა ბოლოს გულგამწყურაობა.

და გადადგა განხედ. ჩამოსცილდა მოღვაწეთა ეკლიან სავალს და რადროს მერამე! როს ხალხს უქირდა უფრო მეტად ჭირისუფალი. კეთილ ყოფის სარაჯაში იწყო ტიეტრები. ხელს უწყობდნენ ცოლი, სიმამრი. გულუბრყვილოდ ნუგეშს იტყობდნენ:

— აჲ ნელა-ნელა დაწყნარდება ვაჟკაცის სული. ყურადღებას არ შიაკცევს მტრის, აჲ მომზარებს. მთლიანად უარწყოფს.

— მით უფრო კარგი! რაც კალამი გადადო გვერდზედ, დაკვირვებით ეკიდება საკუთარ საზრუნს. ღირსეული სიძე-კაცი, ჩვენი ნუგეში!

— დაერთმა ქმნას, რომ დაიწყნაროს გული ღელვილი.

— შენ ხომ გიყვარს, ჩემო ქალი, მზე თუ მთვარე მასზედ ამოვდის; მასაც უყვარხარ: არც ერთს სურვილს არ დაუშვებ, არ ავისრულოს. იმედია, დაიკვირებს ყველა სხვა ტრფობას.

31.

კალმისაგან დაშავებული კარგი ცხოვრებით ირთობდა გულს და ნუგეშობდა. შესაფერი ნოყიერობა ფართო ფარგალში.

— შეიგნო ჰაზრი კეთილ ცხოვრების: თავდაქერით ხარჯვა იმაყი; ღონიერი მიმართება მინდობილ საქმის.

— უფრო და უფრო შეეჩვევა მისთვის ახალ გზას, ფართო სავალს გაუკვალავს შენს სოვდაგრობას.

— სრული იმედი! რას ეგვანება, სასარგებლო მოქმედობა იშლებოდეს დამწყებთან ერთად. უნდა სცხოვრობდეს, იზრდებოდეს, ერთი დგმიდან მეორეზე გადადიოდეს.

— ნამდვილ! ქართველებში ეგრე არ არის. ვერ ვითარდება ამ ჩვენს ხალხში ალბ-ძიციება, არც რომელი ბურჯი სიმდიდრის. სხვა ქვეყნებში მამაპაპის დანაწებ შრომას შეუწყვეტლად განაგრძობენ შთამომავალში, ამშვენებენ, აფართოებენ.

— ვმადლობ ჩემ წილს ღმერთს: ჰაზრიანი ვაჟი-კაცი შეგვახვედრა სიძელ თუ შვილად.

მაგრამ მათი კარგი სიძე რაინდებული როდი იყო კმაყოფილი, როგორც ეგონათ: გულზედ წყლული ამოსვლოდა, რაღაც ძირდიდა და ნელ ნელა იზრდებოდა იგი ბოროტი. თვითყვარება შელახული ზედიზედ მარცხით. ვერ პლელავდა, ცუტხლა ფშვენდა, უფერს იტყობდა.

— მტრობა პირადი. შავი შური ჩემ სიკეთით გამოწვეული. მიწუნებენ ნამოქმედარს, შექმბით საესეს. ვერ თუ მიცნობენ! ფართოდ იცის ფრთების გაშლა ჩემ ნებისყოფაში.

იქადა კაცი ქუფრად მღელვარე. ბოროტება იმის გულში ძლიერდებოდა. საზარი იყო ბნელი სახე თვითყვარებისა: დაჰნათოდნენ იმ პირვეთელს სისხლის თვალები. სიყვარულის ტურფა ხატი იზრდილებოდა. ფიქრთ ნაწვევი ამშვიდებდა გუგუნას გონი: არ იკარებდა გონების სჯას გრძნობა მქაინვარი. ჰხედავდა კაცი თავის გულში იმ გესლიანებს; უღონო იყო ამოვფხვრა ის საზარეულნი. იბინდებოდა იმის სულში ძალა ნათელი. ბოროტი ბნელი ყვავდებოდა, იფურჩქნებოდა.

ერთი ზნე დაჰყვა: გაზეთს, ჟურნალს მსწრაფლ მისწვდებოდა. იცოდა, სად ნაწერთა შეფასება ეგულებოდა. თრთოდა შიშით, ხომ არ შემობრუნო. რისხდებოდა, დამივიწყეს, არ აძრახდნენო. თუ ვნახავდა *საბავშვო მანძილი* მულოვანის ხოტბას, მწვავე შუროთ იღვრებოდა, იღვენთებოდა.

— ავიღებ ქალამს. კვლავ ვაჩვენებ, როგორია შემოქმედება!

მაგრამ რომ მსწერდა, თვის ნაღვაწი ალარ მოსწონდა; განზრახვა შავი გამოსჭვირდა ყოველი თქმიდან და ღრღნიდა ნაშრომს, ერთ მიწა ლითონს. არ თუ ჰქონდა რამ საერთო ნათელს ბნელთანა.

32.

ძნელი ეს იყო: ბნელისაგან წარმომდგარი თვითთელი სახე ბოროტი ცდილობდა განზედ გაეწინა გუგუნას გულში. ამ უსახო სახეებში ერთა ერთს გააბეს. საზარელი ღიმი მათის გამარჯვებისა.

სევდიანად გადაოდნენ მის არსებიდან: სული რწმენისა, ნაზის გრძნობისა, ქეშმარიტის პაზოვნებისა: სული ტურუ შემოქმედობის ვარსკვლავით შებღვნიდა. გუგუნას მაინც შირჩენოდა ძალა იმდენი, რომ დაეფარნა უცხოთაგან თვის ძნელი განცდა. როს იგრძნობდა გამარჯვებას ბოროტებისა, მარტოვდებოდა. მაინც კი ვერ ტყუდებოდა დარეჯას თვალი: მკერდს ჩაჰკონოდა და ესმოდა მისი გულისთქმა.

გული რომ ფეთქავს მღელვარებით, ხან მიწნარებით, ეს არის მისი სუ ბარი: ხმა ნალალი, ხან საიდუმლო. დაადე ყური მარცხნივ ძუძუს, ბიბაყიო პიხრი და გაიგონებ იმის მოთქმას, მისსა ლიღისა.

— ასრულე. კარგო, ეს რჩევა?

— უკნავე, მაგრამ ვერ შეეგვენ გულის თქმის ენა.

— უჰ, შე საწყალო!

ნესტანს ესმოდა ქმრის გულისთქმა, თუკა კი ბუნდა. იმას ცდილობდა, სხვა საგნისკენ მიეტიკინა მის მისწრაფება. თვის სოყვარულს თავს აელებდა. შინად მსწრადა. შედგრად იბრძოდა ტრფიალების მამხალით ხელში. უბათებდა ცხოვრების გზას თვისსა რჩეულსა. გამარჯვების იმედს მაინც არა ჰკარგავდა.

— მისი დარდი უჩუბარი ფერს გადაიყრის, მიეთარება ჩვენ ცხოვრებიდან დაეიწყების ნამით ნაბჭური.

ეს ირედი იმან მასცა ქალს, რომ შეამჩნია მას მოქცევა სხვა საზრუნვისკენ: ნორჩი ოჯახი ახალ ვარდით დაშვენიებული: მრავალგვარი სასოვდაეო ფულის მომტანი; ახვავებულ სიმდიდრის მოვლა...

— კვლავ წელიწადი ერთი-ორი და დაივიწყებს უშედეგო თვის მისწრაფებას, — იტყოდა ქალი

და ილოკავდა:

— დაუწყნარე, შემოქმედო, გული ფურსქენილი მიეცი ღონე ბუნდერად განვლოს თვის ყოფა!

ალთქმას აძლევდა; იმედობდა, მისმენსო ღმერთი. როდი ეგონა, თვის საწადელს ვერ მიხვდებოდა. არ იცოდა ეს მიაბიტმა: შემოქმედობას გადაეცლო გუგუნას სულში; ვინც განიცადოს თუნდ ერთ ეპითი ის სასწაული, ვერ დაივიწყოს ვერასოდეს მის მწარე სიტკბო. ვერ თუ ამიწოს ვერც სიკვდილმა უბნითო იგი სიმშვენივრე გარდაუსვლელი. ეს არ ესმოდა კარგ დარეჯას და სასოებდა.

33.

მათი კალთახედ იყო სახლი გაშენებული, წაწოლილ კონცხედ, მდინარის და შემდინარის შუა რომ იყო. კლდის პირიდან გამოსჩქროდა მოზრდილი წყარო. გაახარებოდა მათი გულიდან მზეზედ გამოსვლა და ჩახტოდა ჩქრილ-

თქვილით. ლბილიდ გრილოდა. იმ მივარდნილ ადგილას ყოფა დაარეგისტრირებული/ვაზრი იყო, მისი სურვილი.

— ბალღებისთვის უკეთ ბინას ვერ ავარჯევდი: კარგი ჰვერტა, მუქუჭოკობა, სალი საქმელი. ერთიორად გარდოქმნებთან. მეტი რა მინდა?

კიდევ ჰქონდა დიასახლისის სხვა ცალკე ჰაზრი. საიდუმლოდ ინახავდა იგი მას გულში: შეატყო ქალმა, მწერლები თუ მეგობრები უფურტანად-ნენ გუგუნას გრძობას; აქ წამოსვლით ჩამოაშორა

— გულს მოუღობოს და დაუხვევს წყნარი ბუნება, ახალ-ახალი სანახები ჰაზრს ვაუროთობენ. სავარჯიშო სამუშაოც ბევრი ექნება ამ ჩვენს მამულში და...

გაუმართლდა ქალს მოსაზრება: კაცს მოღუეება მოეხსნა მალე, უფროდღე-ბი გაუბავილდა; მის ბაგეზედ გახშირდა ღიმი. გაიხსენა ჩვეულება თავისი ძველი: თოვით მხარზედ ორინინობდა მინდორში, ტყეში, მდინარეებს ასდევდ-ჩასდევდა. ბაღის სროლას შეიჩვია მაგარი მკლავი, სამუშაოც დანიხა და წახალისდა: მათ სახლს თუ წისკილის ზოგი რამე შესცვეთოდა, დაჰყანდებო-და, აფეთებდა, ასწორებდა, განაბილებდა. იმას სცდილობდა, პატრონის ხელი დაჰმწეროდა მის ახალ მამულს.

ძნელი დარდი გაუცრიატდა. მისი სული გარედ იყო აწ მიტყეული, აღარ ეცალა, გაღუწყვეტლად გულში ემზირნა. იმ სოფელსაც დაუახლოვდა, შეზღი-ნარის ვაღინა მდებარეს. მეგობრები გაიჩინა გლეხკაცთა შორის და....

— ეროპა! რამდენიმე წელიწადიც არ ეყოფოდა ამ ბევრულ საკეთების შესრულებისთვის.

— ღმერთო მოწყალე! ხალისითვე არის საესე მოძრავ მოქმედი. მემამულე დავიდდება საუკეთესო. ნეტა როგორ მოიზიდა გლეხკაცობა თუ მუშა ხალხი?! იმს მზეს ჰფიცავენ. არა მგონია, ისეთ ნდობით ეტარობოდნენ სხვა ეინ-მე ბატონს. სოფლის ნათლია: რამდენ საბლში შეიტანა წმინდა მირონი!

34.

სოფლად ცხოვრებამ ორნაირი სიკეთე მოუტანა ნესტანს: მყუდროობა სასიკეთოდ დააჩნდა ბაღებს, განუკურნა ჰაზრიც სევედისგან: დაავიწყა თვის მწიგნობრობა! კალს ხელში გაქირებულ საკეთისთვის თუ აიღებდა, ველარც წიგნი იზიდავდა ისე ძალუნად.

— ან რაღად უნდა? შეძლება არის. მის განმრავლების და ხმარების შნო კარგი ახლავს. რაღას ვეძებდეთ წუთისოფელში?! უბრყვილო არის, ისა ჰკო-ნია, მწიგნობრები ხელოვნებას ეზოლოდ გაზღვივენ: მათთვის კალამი ხელსაწყოა პურის საშოყრად, — იტყოდა ქალი.

განუღეს დღეებმა. საგანობლად შექმნილიყო მთის ცივი სიო. ქალაქში-ვე ჩაბოუნება დიდ სასახლეში. მზიარულად დაბარუნდებოდნენ, თუ შემთხვევის არ ერყოა მათ იმედები. იმ საენის კიდევ სიკეთე: იქვე ახლო წყალ-გადილმა რკინის გზა იყო. წუთიერად ჩერდებოდა ნატარებელი. შგზავრი ხტებოდა. წერილს თუ ვახეთს ვადმოისროდნენ. მოისურვეს მატარებლის შესახვედრად წყალ-გადილა გასელო. მოფრინავდა ორთქლ-მაველი სტეენათ, გრილით. შედგა ერთს წამით. მოგზაურნი მოჰქვენოდნენ მაილის ფანჯრებს. მისწედა გუკუნა მის სახელზედ გააონაგზაენებს და.... გაშეშდა გაშტერებული.

სარკმელიდან გადმოზობილ ქალს თვალს ველარ სწყეცტდა. ხაითი თავსაფარი ფოთოლ შეურილი. ნაწინავები ბეჭებიდან დასკოებოდნენ. თმათა ხლართები ტკბო-ბმოვანი ტაეპები ტურფა პოვინს. გუგუნასკენ მიჰყობილნი დიდრონნი თვილნი. უბრავნი. უტყვნი. ცეცხლებრივი თვალთა ლაპლაპი, ხედვის შექები ვაგაკისს გულის განაწონენნი. დაუღაბურეს, დაუსიხლეს გრძობათ საყრემი.

— ასეცნახია! ის ჩვენება, პირველ რომ ენახე! გასრილიდა მატარებელი. შეურხველად იდგა კაცი, გზას გაჰმწეროდა.

- წავიდეთ, კმარა! არ გესმის, კაცო?!
- ასკენა.... სად? ეხლავე!
- ეგ წიგნები აქ მომამწოდეს!
- ჰა? აი!
- ვის ლა გაჰმწერ გაქვევებული? ნაცნობი ნახე?
- არა! ჰო, ნახაბი სახე....

გაჰყვა თავისებს. აბნეულ პასუხს იძლეოდა ყოველ კითხვაზე.

— რა წაგვიტოდა? მეტადა ჰლევავ.

— არაფერი! ჰო, გეტყვი მერმე.

ყოველივე წრფელად უთხრა გონზედ მოსულმა. ისიც უნაზო, ის ოცნება რას აღუთქვამდა.

— ფახარაში ქალი რომ იდგა, მეტად ჰგვანდა იმ ჩემ ჩვენებას, სწორედ ის იყო!

— ბალღურად იტყვი! რა უნდოდა მოჩვენებას მატარებელში?! ცხად სიზმრებს ჰხედავ! მივხვდი, მივხვდი! ქორწინებადღის ვაცკაცები არ ეკრძალებით და.... არ უნდა ენდოს სიყვარულში არც რაინდს ქალი!

— არა, ძვირფასო, ყოველივე გაგინძილე, ვით აღსარება.

32.

დრომ გაიარა. სიზმარს ლა ჰგვანდა წყალწაღებულის იგი შემთხვევა. სდუმდა გუგუნა ამ ძნელ ამბავზედ; არ კი მოჰმორდა შის გონებას ნახაბი სახე. ცხადად ესმოდა ასკენაზის ყოელი ნათქვამი. მკვეთრადა გრძნობდა შის შეგების გადავიწყებულს.

მიმოისვა შუბლზედახ ხელი. თუ ეძებდა იმ შეგების უშლელ ნაკვალევს.

მოისურვა ცოტახანობით თვის სახლში წასვლა. ეტლა კარგი მამული ჰქონდა: მკობლად მდებრი ნაფუძვარი შეეძინა თავის მიწისთვის; გადაიანი შემოურტყა ეზო-ყურესთვის; შეეძინა ძველ სახლისთვის ახალი ოდა.

ვაჯის დედა ფიანდაზად დაეფინა საყვარელ შვილ-რძალს. დარეჯასაც მოეწონა მეკომპრობა, სახლის წეს-რიგი. თავისებურ სანახებზეა გული დაუდეს. აღტაცებით დაჰმწეროდა ძველ ციხიდან უსამზღვრო არეს. იმ ადგილმა კი, სად მდინარე გრიალებდა გამოქვაბულში, შეაკრთო ქალი.

— მაგნე სულთა ბუნაგა ჰგავს ამ კაშკაშ დღეშიც, საშინელი რამ იქნება ეს ბნელ ღამეში. იქნებ აღქიე ბინადრობს აქ და მოგეჩვენა, — უთხრა ცოლმა და უბყრა მკლავი, მკვიდროდ აეკრა. ქალს აშუოთებდა, რომ გუგუნა ყოველ საღამოს თოფს აიღებდა და მარტოდ-მარტო ბნელ ღამეში სადღაც ვიდოდა.

— სად იყავ, კაცო, სად დადიხარ ამ სიბნელეში?

— მთვარიანია. არსად მინდა აქ მე სინათლე; ყოელი კუთხე და ბილი-კი ზემარად ვიცი.

— ემაგას, შვილო, ბალობიდან ეგრე სჩვევია. ბევრს შვილად მხოლოდ გარჩირავებ დაბრუნებულა. გული მქონდა მოლოდინით გადალუღული.

არ მოსწონდა თავის კაცის ესეთი ქტევა და ანჭქარა.

— წავალთ ეტლა, ჩვენს სახლს მივხედავთ. უსათუოდ ჩამობრძანდი: გაგვებარდება.

— კარგი, კეთილო! დაეაბინავებ აქ ყველაფერს და გესტუმრებით.

წინა საღამოს სანადიროდ კვლავ გაეშვანარა. ბევრი უშალეს, არ შეისმინა: ერთი კიდევ მოვაკლებო თვალს აქაურობას. გადავიდა შუაღამე, კაცი არ სჩანდა. დააპირეს, მოსაძებნად გაეგზავნათ; ვეღარ გაბედეს: ეწყინებოდა. გათენდა დღია. არ უძინათ. საზარელი ამბავი ამცნეს: გუგუნა წყალს საჩქედის პირს გაუოიყავსო.

ღ ო ნ ა

საოქო სასამართლოს მაღალ კიბეებზე აატარეს დარაჯებმა. ხმალ-ამოწე-დილი მიჰყვებიან, ხალხი ეცლება და გზას იძლევეს, ის მიდის და ვერაფერს ხედავს; მანდილი სახეს უფარავს და გრძელი შავი კაბა ფეხებში ეხლართება. ნეოთხე კიბე აიარა, სულს ძლივს იბრუნებს, არ შეასვენეს. მარჯვნივ გაახვევი-ნეს, შეიყვანეს ერთ ოთახში და მოიხურა კარები. ხალხი მისდევდა უკან და მობრუნდნენ უკმაყოფილო, უნდოდათ დაენახათ.

სისხლის სასამართლოს დარბაზი სიესეა, მდაბიო მოქალაქე სკარბობს, ყველა ერთმანეთში ლაპარაკობს, თითქოს ერთი კუთხე და მეზობლებია; ყვე-ლას ეტყობა მოუთმენლობა, ყველა რაღასაც მოეღის. შედიან-გადიან. უბრალო ცნობის მოყვარენიც მოსულან. სასამართლოს სწევია ასეთი სტუმრები; თავის საქმეზე მოსული, წაწყდება ვისიმე საქმეს, შედის დარბაზში, მოეწონება იქა-ურობა, წითელი მაუდი იპყრობს ყურადღებას, უცხო პირი არის ერთხანს პირ-ლია, თან და თან ერკვევა საქმის ვითარებაში, ჩამოჯდება სკამზე, „აინტერე-ებს“, მოდის მეორე სხდომაზე, უნდა გაიგოს რით დ.თავდება დაწყებული ამ-ბავი, მოდის მესამედ, მეოთხედ და ასე დასასრულამდე გადაეკეცვა სამსჯელო მასალათ ამ ვილასიც საქმე.

ასეა იმ დღესაც, შორეული თუ ახლობელი ესწრება და არის ქოთქოთი.

— არ მოუყვანიათ?

კითხულობს ერთი.

— მოიყვანეს ქა.

— ვიიშ, მენახა მაინც.

— რას დაინახავდი, სახე დაუფარავს.

— რა გამოსაჩენი პირი აქვს.

— იიპ, მენხმა-კი ჩაიტანოს მასეთი ალ-ქაჯი.

— ნეტა რას მიუსჯიან?

— უთუოდ უმაღლეს სასჯელს.

— ვითომ?

— რა ვითომ უნდა ამას!

— ის მოხუცი ვილაა?

— დედა ყოფილა.

- ქალის?
- არა, კაცის.
- საწყალი რა ბებერია.
- მაგისი ბრალე-კი არისო ამზობენ.

ჩურჩულებს დარბაზი.

ძალზე მოხუცი, ორათ წელში გაკეცილი დედაკაცი ზის პირველ რიგში. ყვარჯენზე დაყრდნობილი, თავს არაცრაცებს და მისწერებია ფანჯრების დიდ მინებს.

სამსჯავროს დარაჯი შედის და გადის, განკარგულებას იძლევა, მოლაპარაკე ხალხს აჩუმებს, წეს-რიგს იცავს, სამმართველოს კამერაში შეჰყოფს თავს. საცა დამნაშავე ჰყავთ დროებით მოთავსებული. იქედან ბრუნდება, მსაჯულთა ოთახში შედის, ისევ დარბაზს უბრუნდება, გრძელ თეთრ უღვაშებზე ხელს ისობს, არწივივით იყურება.

შემოვიდა სამოქალაქო ვეჟილი „პორთფელით“, თავის ადგილზე მივიდა. გამოჩნდა ბრალმდებელი, დაიკავა მაგიდის თავი. მდივანი მის პირდაპირ მოთავსდა, მაგიდის შორე თავში. მოიტანეს მოწმეთა ფურცელი, დარაჯი დაბზრილდა, გაიქრა დარბაზიდან.

— გოგონაშვილის საქმეზე დაბარებული მოწმეები მოპრძინდით დარბაზში. აღმოჩნდა, რომ მოწმეებს დიდიხანია დაუტყერიათ ადგილები.

დაიწყო სიის კითხვა:

— პეტრე წიფნარიშვილი.

— აქ გახლავართ.

— ეფემია წიფნარიშვილი.

— აქ გახლავართ.

— მამო ტყეპლიაშვილი.

— აქა ვარ.

— ივანე კალატოზიშვილი...

— არ გახლავეთ.—დაიძახეს ხალხიდან.

— ნინო ეგზემაშვილი.

— აქ გახლავართ.—წამოიკლაკნა საკმაოთ მოხუცი ქალი.

— არუთინ მიქელიანცი.

— აქა ვარ...

— ელისაბედ ხასანიძე.

— აქ გახლავართ.—პირველ რიგში იჯდა ყვარჯნიან მოხუცთან.

— აბა შენ იცი ელისაბედ.—უთხრა მოხუცმა.

— რა გიყო ჩემო მაკინე! მე სულს ვერ დავწვავ, რაც ვიცი ის უნდა

ვთქვა.

მაკინემ თავი ჩაიქნია.

— თეოფილე ნინია!

— აქ გახლავართ.—წამოიქიმა აბალგაზრდა მილიციონერი..

— სევასტი ხუჭუა...

კიდევ დადგა ფეხზე კობტა მილიციელი და მის გვერდით შესაწერ ახალ-გაზრდა.

— შენც დომნბტი ბარგველიძე იქნები არა?!..

— დიახ..

— კარგი..

იჭნა სია შესწორებული.

ბრალმდებელმა ისევ აკრიბა ქალაღდები, გავიდა. ვეკილი მდივან ქალს დაბალის ხმით ელაპარაკება, იცინიან.

დარაჯი ჩქარის ნაბიჯით წამოვიდა მსაჯულთა ოთახიდან. კამერის „კარი“ გაიღო, ორასი თვალი მიაჩერდა იმ მხარეს კისერ წაგრძელებული.

შემოიყვანეს დამნაშავე, გაატარეს მარჯვნივ, კედელთან ჩადგმულ გრძლით გადაკავებულ სკამში შეუშვეს, გადალობილ კარებთან ისევ დარაჯი დადგა ხმაღ ამოწვდილი.

ქალს თავსაფარი გადაუწვევია, ფერ-მიხდილია. ახალგაზრდა, გამხდარი, უდროოთ გატეხილი სახე. მას უთხრეს დამჯდარიყო, ის დაჯდა დამნაშავის სკამზე.

პირს არიდებს მაცურებელთ, თუ არ ხედავს მათ, თუ არ უნდა დაინახოს. არც ესმის მასზე ჩურჩული...

წინა წყებაში მჯდომი ნოხუცი მისჩერებია მშვიერის თვალით, პირს აწმკუნებს, ჯოხს იმარჯვებს, თითქოს უნდა ადგეს, მივიდეს დაარტყას.

დამნაშავეს იატაკისთვის დაუშტერებია თვალი. საფეთქელის ძარღვი დასანახად უცემს, ცალი თვალი უბამხამებს.. რალაც ფიქრშია. ვიღამაც ჩაიხველა, ქალმა აიღო თავი, დაინახა პირველ წყებაში მჯდომი ნოხუცი. ტურების ზემო ნაწილი დაუტოკდა, პატარა ცხვირის ნესტოები გაებერა, თვალებში მოგონებამ გაურბინა: ჩქარია ეს მოგონება, სწრაფი, სხვა და სხვა სურათები ეშლება ქალს თვალწინ... ცხოვრების ნახევარ გზიდან იწყო წამოშლა, იწყო იქედან, რა დროდანაც ნახა ეს დედაბერი... რა იყო მიზეზი ამ ქალს რომ შეხვდა... ჰო, ეს ყველამ იცის... ყველას ახსოვს და დონასაც, რამდენი წელი გაატარა ამ ქალთან, ერთ ჭერ ქვეშ?

— მსაჯულები მობრძანდებიან ადექით ფეხზე.

დაიძახა დარაჯმა, სკამები შეინძრა, ახმაურდა დარბაზი, ყველა ფეხზე დადგა, დონამ ერთი აიღო თავი და ისევ დაპზარა... მას არავინ არ დაუნახავს, აღარც დედამთილს უყურებს.. რათ ეკირევა დონას ეს ორი ბოროტი წერტილი?

მსაჯულები დასხდნენ მაღალ ზურგიან სკამებზე, ბრალმდებელი, ვეკილი თუ მდივანი ყველა დაღაგდა. ბალხში სიჩუმე ჩამოვარდა, ბრალმდებელი ისწორებს სათვალეს და ჩაპყურებს საქმეს, თაემჯდომარეც იყურება წინ გადაშლილ ქალაღდებში. ჩაიხველა, მოათვალიერა ჯერ დარბაზი, მერე მოწმეები, დამნაშავე.

მდივანი შესწორდა სკამზე, მუხლებამდის მოკლე კაბის კალთა დაიწვია, უხეიროთ არ გამოუჩნდეს ფეხები...

ვეკილი ჩუმაღ შეეკითხა ბრალდებულს რალაცას და ქალმა თავი დაუქნია. თაემჯდომარემ გადისო ხელი მოკლეთ შეკრუკილ უღვაშზე და ისევ ჩაიხველა.

— დღეს გაირჩევა მოქალაქე დომინიკა გოგონაშვილის საქმე, რომლის მოწმებებაც გამოწვეულნი არიან შემდეგი პირები, წამოდექეთ წინ დასახელებული გვარები.

1) პეტრე წიფნარიშვილი. ეფემია წიფნარიშვილი.. ივანე კალატოზიშვილი—არ გამოცხადებულა.—მიუგეს..

— დაჯარიმებულ იქნას ათი მანეთით, თუ საპატიო მიზეზს არ წარმოადგენს.

მიმართა თავმჯდომარემ მდივანს. შეიტანეს ქალაქში ჯარიმა.

— მაშო ტუმლიაშვილი.

— აქ გახლავართ...

— ნინო ეგზემაშვილი, არუთინ მიქელიანიცი, ელისაბედ ხასანიძე, თეოფილე ნინია, სევასტი ხუჭუა.. დომენტი ბარველიძე... ეს ხალხი სამსჯავროს წინ შეეგუფდნენ..

— ეხლა მიბრძანდით, დასტოვეთ დარბაზი და სათითაოდ იქნებით გამოცხადებული..

დარაჯი გაუძღვა და გაიყვანეს მარცხნივ განის კარბში..

საბრალდებლო ფურცელი მოკლეა და მარტივი.

— „ათას ცხრაას ოცდა ხუთის წლის აგვისტოს თუთხმეტ რიცხვს, ქალაქ ტფილისის მოქალაქე დომინიკა გოგონაშვილმა, ოცდა რვა წლისამ, ივანე გოგონაშვილის კანონიერმა მეუღლემ, თავისავე ბინაზე, კარის საკეტავე რკინის ურდოთი გაუხეთქა თავი ავადმყოფ ქმარს, რომელიც იქვე გარდაიცვალა ღ დაახლოვდნის წლის ვაჟი გიორგი, თავისი საკუთარი შვილი ივანე გოგონაშვილთან შეძენილი... ისიც ავადმყოფი... როგორ ჩაიდინა ერთ და იმავე დროს ასეთი მძიმე დანაშაული? ამას მოისმენს დღეს სასამართლო და გამოიტანს თავის მსჯავროს.

— უჰ, უჰ, უჰ.—გაისმა დრტვინვა დარბაზში..

— ქმარის მოკვლა კიდევ ჰო...

— ეს.. ეს რა უყოთ.. ქმარის მოკვლა არაფერი არ არის...

— რას ამბობთ, როგორ თუ არ არის? ცხარობს ერთი მოხუცი.

— არაფერი არ არის ჰო, ყოველ ნაბიჯზე ცოლებს კლავენ, მაგრამ ეს არაფერია, მაშასადამე, არც ქმარის მოკვლა ღირს რამედ..

— შეილი!.. შეილი როგორღა მოკლა?

— აი, ეგ სხვა საქმეა..

— ჩურჩულებენ.

— გოგონაშვილო! რას იტყვით თქვენ, ღებულობთ ბრალდებას თუ არა? ქალი წამოადგა.

— აღიარებთ სასამართლოს წინაშე თქვენს დანაშაულს თუ არა?

— არა.—უბასუხა მოკლეთ.

— მაშ არ ღებულობთ ბრალდებას?

— შეილი მე არ მომიკლავს.

— ქმარი?

— ქმარი:—ა?

სიჩუმე.



- არ გინდათ მიპასუხოთ?..
- დამანებეთ თავი...
- გთხოვთ ზრდილობიანი იყოთ სასამართლოს წინაშე...
- ჩემთვის სულ ერთია, მოგკალი თუ არა.
- უსირცხვილო! — დაიჩიუჭიფა წინა რიგში მაკინემ.
- შემოიყვანეთ პირველი მოწმე პეტრე წიფნარიშვილი.

- შემოიყვანეს.
- თქვენი სახელი?
- პეტრე.
- გვარი?
- წიფნარიშვილი.
- მამის სახელი?
- თეოდორე გახლდათ.
- რამდენი წლისა ხართ?
- ვიქნები ოცდა თერამეტის.
- რა ხელობის ხართ?
- მკალავი გახლავართ.
- მექვაბე?
- ჰო, ასე ჰქვია.
- პარტიული ხართ?
- გახლავართ.
- კავშირის წევრიც იქნები?
- რა თქმა უნდა.
- სამართალში არ ყოფილხართ მიცემული.
- სამართალში არა, მხოლოდ კი ვიჯექი.

ხათესავი ხომ არა ხართ რომელიმე მხარის — დამნაშავეს ან მისი მოწინააღმდეგის..

- არავითარი...
- მეგობარი ხომ არ იყავით დახარალებულის?..
- ისე კაი ნაცნობი..
- სასამართლო გაფრთხილებთ, რომ ყოველივე სიმართლე აღიაროთ, არავითარ მიკროშობას და ტყუილს ადგილი არ ექნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დასჯილი იქნებით...

რა იცით ამ საქმის?

- რაც ვიცოდი აკი მოვახსენე გამოძიებელს.
- ის მაშინ იყო გამოძიებელთან, ეხლა სამსჯავრო გვეითებდათ. რამდენათ ერთნაირი იქნება თქვენი ჩვენება.
- რაც მაშინ ვიცოდი, ის ვიცი ეხლაც, სხვა ცნობა არ მომმატებია.
- სიყმაწვილიდან ძველი მეზობლები ვიყავით.
- რამდენი ხანია იცნობდით დამნაშავეს?
- რა დამოკიდებულებაში იყო დამნაშავე ქმართან?

— ახლა რა მოგახსენოთ... კაცი მაცხოვრებელი კაცი იყო... შეძლო მისი პატრონი... ეს დედაკაციც ჩინებული შეოჯახე გამოდგა.. მაგრამ აი, ის ყმაწვილი რომ ავადმყოფი გაუჩნდათ, ჩემი დედაკაცი მოგახსენებდათ... მისი დონსტოვრები ში დადიანო. მერე ვალოთდა და როგორც მოგახსენებდათ შეიქცა ქვეყანა.. საბერძნეთში იყო ორი წელიწადი.. მერე ამ ქალმა გამოიყვანა და შინ ინახავდა.

— რატომ გამოიყვანა?..

— რა მოგახსენოთ.. დაწყნარდა და ალბათ უთბრეს წაიყვანო...

— მერე, რომ გამოიყვანა, რა პირობებში აცხოვრებდა, ძალიან აწვალებდა, ან ეჩხუბებოდა... ერთი სიტყვით თუ სძულდა კმარი?..

— რა მოგახსენოთ... მე ერთი ხელოსანი კაცი ვარ, მთელ დღეს დუქანში ვატარებ... ჩემი ოჯახობა კი მოგახსენებდათ, ის საცოდავი ბევრს მუშაობსო, დღე და ღამ არ ისვენებსო, დედამთილი სულ ეჩხუბებოდა.

— იმ დღის შემთხვევის რა იცით?

— რომელი დღის?

— როცა მოჰკლა.

— როდესაც მე გეახელით, ყველაფერი გათავებულიყო, მილიცია გზებოდათ, და ყმაწვილის გეამიდან ძლივ ძლივ აგლეჯდნენ ქალს... დედამთილი ეკიოდა— მომიკლა შეილი და დამიქცია ოჯახიო...

— ჰკითხავთ რამეს?— შეეკითხა თავმჯდომარე გვერდით მსაჯულს...

— მეტი არაფერი იცით— ჰკითხა მსაჯულმა.

— მეტი არაფერი..

— მაშინ თქვენი თვლით არ გინახავთ რომ მოჰკლა ან ერთი ან მეორე?..

— არ ვახლდით სახლში და საიდან ვნახავდი...

— ვეჭილი წამოიწია..

— გაჭვთ საკითხი?..

— ორიოდე სიტყვა მხოლოდ... თქვენ უთხარით სასამართლოს, ბავშვის გეამიდან ძლივს აგლეჯდნენ დედასო?..

— დიახ...

— როგორი იყო ეს შემთხვევა... დედა ისევე გაფითრებული განაგრძობდა შეილის დაბრუნებას, ხელი ჰქონდა ყელში წაველებული, სცემდა თუ რაში გამოინატებოდა ეს ძალად დაშორება?..

— არა ბატონო... დედა საშინლად გულამომჯდარი ქვითინებდა და გულში იკრავდა ბავშვის გვამს...

— გთხოვთ შეიტანოთ საქმეში— მიუბრუნდა მდივანს ვეჭილი...— მეტი არაფერი. დაუკრა თავი მსაჯულებს...

— მაშ მეთი არაფერი იცით?

— არა...

მოაწერეთ ხელი თქვენს ჩვენებს.

ჰეტრემ მოაწერა ხელი.

— დაბრძანდით...

მოწმემ მდაბლათ დაუკრა თავი, მოკრძალებით დაიხია უკან და დაჯდა პირველ ცარიელ სკამზე.



ქართული

საქართველოს ეროვნული

საბიბლიოთეკო

— გოგონაშვილო!

ქალი წამოდგა.

— რას იტყვით ამ მოწმის ჩვენებაზე?

— მე მოგახსენეთ რომ არაფერსაც არ ვიტყვი. თქვენ გგონივართ შეილის მკვლეელი და რაღა უნდა ესთქვა?

— დაბრძანდით... შემოიყვანეთ ეფემია წიფნარიშვილი.

შემოვიდა ფაშემაშა ქალი, ფართე მომლიმარ სახეზე ლენაქი ხურავს, კუდიან გაზიდულ წარბებს უხდება დაბალი ჩიბტა ალმასის ქინძისთავით. აუშნოებს მხოლოდ მოკლე, გამოსუთული კაბა, მალალ ქუსლიან ფეხსაცმელზე გადმოფეხებული მსუქანი წვივი... ბაკა ბუკით მიადგა წითელ მაგიდას, გულით მიეზინა ზედ, თვალები უფლავს და გული უცემს, თავის დღეში არ ყოფილა მოწმეთ...

— ცოტა უკან დაიხით.

— უსწორებს წითური დარაჯი.

— თქვენი სახელი?

— ეფემია...

— გვარი...

— ქმარის გვარი წიფნარიშვილი, მე მირონიძე გახლავართ... იმ ჩემი მეუღლე. თავმჯდომარემ გაპხედა პირველ მოწმეს, პეტრე წამოიწია და ისევ დაჯდა.

— რამდენი წლისა ხართ?

— რა ვიცი.

კიდევ მიიხედა ქმრისაკენ. პეტრე წამოდგა.

— იცდა ცამეტი წლის გახლავთ. თვრამეტი წლის იყო ჯვარი დავიწერე, თოთხმეტი წლის ქალი გვყავს.

თავმჯდომარემ ხელი ჩაიქნია „დაჯდეს“. დარბაზში თავდაქერილათ გაეცინათ, ზარმა დაიწყოილა... წაეიდა ჩვეულებრივი დაკითხვა.

— რას იტყვით დომინიკა გოგონაშვილის საქმის შესახებ—განაგრძობს თავმჯდომარე.—

ბრალმდებელმა ასწია თავი, შეხედა მოწმეს, დამნაშავეს, ისევ ქალადღებში წაიღო ცხვირი.

— რას ვიტყვი ბატონო და სწორედ არ არის დამნაშავე.

— როგორ?—გაიკვირვებს.

— როგორ და ისეთი გამწარებული სიცოცხლე ჰქონდა მავ შავ დღისას რომ, იქნებ მე უფრო ადრე ჩამედიანა ის, რაც მავან ჩაიდინა თუ მის ადგილზე ვყოფილიყავი.

დონამ თავი აიღო, ეფემია სიმართლეს იტყვის, მართალი ქალია, ან-კი რათ მინდა, ნუ იტყვის, დამსაჯონ. მავრამ ეს ჩირქი რომ მეცხება, შეილის მკვლელს რომ მიძახიან.

— ეს სრულიად არ ამართლებს დამნაშავეს, რომ თქვენც ჩაიდენდით... თუ თქვენ ამოსწყვეტდით ქმარშვილს, თქვენც იმ სკამზე დაჯდებოდით, რომელზედაც ეხლა თქვენი მეზობელი ზის. მართალია თუ არა ამას ჩვენ დავინახავთ, და-

მცველადაც ვეჭილი ჰყავს ბრალდებულს. თქვენ მხოლოდ გადაფშლიერ სასამართლოს საქმის ვითარება.

უთხრა ბრალმდებელმა, სათვალე ჩამოიღო ცხვირიდან, ნიღბაყვემს დაიყვარნო და მიიჩერდა მოწმეს.

დამნაშავეს ყურს რაღაცა ჩასწვდა, ვიღაცამ რაღაცა სთქვა, მოათვალერა ქალმა სამსჯავრო მიგიდა, ყველას გადაჰხედა, ვერაინ იცნო ვერც გაიგო, ვინ ლაპარაკობდა ამ წუთს.

თავმჯდომარე განაგრძობს.

— დომინიკა გოგონაშვილს, უჯავრებოდა თავის ქმარი? ან თუ ენუბებოდა ხშირათ, ან თუ უთქვამს თქვენთან ოდესმე მოვკლავო...

— მოვკლავო, როგორ მეტყოდა.

— ისე ამხანავურათ თუ უთქვამს, მომაბეზრა თავი, უნდა მოვკლავო... ან თუ ჰქონდა ქმარის სიკვდილის სურვილი, ან. ეე.. რა განწყობილებაში იყო ქმართან?

— რა განწყობილებაში უნდა ყოფილიყო შერყეულ კაცთან... უვლიდა როგორც გიყს... უჯავრდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის საცვლებს დაუწყებდა ხედას...

— და ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი?..

— ძალიან ხშირათ...

— გიყურებიათ თქვენ?

— მიყურებია.

— როგორ უჯავრდებოდა იმ დროს?

— ხელებს დაუჯავებდა და ეტყოდა, შეგიკრავ ხელებს, ნუ იხვე თორემო...

— ქმარი რას უპასუხებდა ამ დროს?

— ემორჩილებოდა, ხელების შეკვრის ეშინოდა...

— და ანებებდა თავს საცვლების ხედას?

— ღიახ.

— კაცის ცნობა როგორი ჰქონდა?..

— ცნობა ჰქონდა, მხოლოდ ხანდისხან შეურეკდა და თავის თავს ებრძოდა.

— როგორ ებრძოდა?..

— გამოდით გარეთო, გამოდით გარეთო, უწყებოდა ვიღაცებს...

— საიდან გამოდითო?..

— ვკითხავდით ხოლმე ქალები.. ივანე ვინ გაწუხებს, საიდან გამოვიდეს და ვინ-თქო...

— მერე რას გაპასუხებდათ?..

— აი აქ რომ შებრძანებულან და არ გამოდიან, ბევრიაო ათასიაო, თავებიაო, სულ გიყის თავებიაო— ირტყამდა თავზე...

— მერე?..

— მერე ცივ წყალს ისხამდა ცოლი თავზე და დაწყნარდებოდა.

— კარგი... შეიღს როგორ ექცეოდა...



ივრებლენ დამამაგათ
გეგლეიქოთხა

- კარგათ...
- მაინც?
- ჰბანდა, რეცხდა, უკერავდა, პირიდან ლუქმას ავშემედა...
- რამდენი ხანია იცნობდით თქვენ დანაშავეს... — ეკითხება მსაჯული...
- როდესაც მოიყვანეს, გურული ქალი გახლავით...
- ჰო, სადაურიც არის.
- დიახ, მეც ახალ მოყვანილი გახლდით... ძალიან ამხანაგობა გვქონდა, როგორც პატარძლებს...
- საქმეზე ილაპარაკეთ...
- როგორ საქმეზე? — ქალი შეწითლდა, უხერხულად მიიხედ-მოიხედა.
- შემდეგ? განაგრძეთ!
- ის ძალიან კარგი ქალი დადგა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ დედამთილის ამბავი...
- პირველ წყებაში რაღაც გახმაურდა; მოხუცმა ქალმა ყავარჯენი დაარტყა იატაკზე...
- კახა... შენც მაგ უნამუსოს ამქარი იყავი და ამოიჭამე დედამთილი. გაისმა ზარი...
- წესიერება იქნეს დაცული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაგიყვანთ დარბაზიდან.
- მე გამიყვანთ? მე, მე... ჩემი შვილი მოჰკლა მაგ უნამუსომ, თავის შვილი დაალრიო მაგ შეჩვენებულმა და მე გამიყვანთ? — არ ცხრება.
- დონამ გადმოხედა მშვიდათ, სიღინჯე სდგას მის თვალბში. ოღნავ სიწითლემ აუფერადა სურათი სახე, რაღაც ღიმილმა გაურბინა, და მოკუმული ტუჩები ოღნავ გაუხსნა.
- კიდევ ზარი, ჩაშოშმინდა და ჩაჩუმდა მოხუცი.
- განაგრძეთ...
- აი, ბატონო! ხომ უყურებთ თქვენი ბედნიერი თვალით, მუდამ დღეს ასეთი ამბები ჰქონდა მაგ სულის მტერს... ქრისტეს ფეხის მჭამელია ეს ბებერი... ისევ ზარი...
- თქვენ გეუბნებიან საქმეზე ილაპარაკოთ...
- ჭა, როგორ მოგახსენოთ საქმე... თუ არ მათქმეინებთ, რამ მოიყვანა ქალი აქამდის... ვსთქვა რო, აიღო და უშიზხოთ მოჰკლათქო? ვერ ვიტყვი ამას. თავმჯდომარე გადაიხარა, ეწურჩულა მსაჯულებს...
- განაგრძეთ!
- ასე გახდათ ბატონო. გაკირავებული ჰქონდა სიცოცხლე. ქმარი ჰყავდა გიყი, შვილი გლახა. დედამთილი ქაჯი და იქნება შეირყა ქალი, გადავიდა ქუიდან.
- მოჰკლა თუ არა თავის ხელით და თქვენ უყურეთ ამას თუ არა? — კიდევ შეეკითხა ბრალმდებელი. დონამ ესლა სცქვიტა ყურები... და თვალთა იერიში დაეცა ბრალმდებელს.
- ქმარი რომ მოჰკლა თავიდაც არ უარყოფს მგონი...



— თქვენ გეკითხებიან, უყურეთ თუ არა?..

ეკითხება თავმჯდომარე...

— მოჰკლა თუ არა... არ ვიცი, არ მიყურებია... ეზოში სარჯცხს ჩვენდი, გვერდით დონამ ჩამომიარა...

— დონამ?!

კიდევ შეჰკითხა ბრალმდებელმა და თვალთა ხედვა გადაიტანა დამნაშავეზე. ოთხი თვალი შეხვდა ერთმანეთს. ქალის თვალები ნათელია, ბრწყინვალე, აზრ შემოკრებილი.

ბრალმდებელი ეხლა მოწამეს უყურებს.

— დიახ, სარჯცხს ვეწენდი ეზოში, დონამ წყლით ხელში გაიარა... ცოტა ხნის შემდეგ მოისმა საშინელი კივილი. ჩვენ შეეცვინდით. ივანე ეგდო თავ გაჩეხილი...

— ვინ თქვენ?—ეკითხება ერთი მსაჯული.

— მე და ჩემი მდგმურები, ყველანი აქ არიან მოწმეთ...

— თქვენი ქმარი სად იყო ამ დროს?...

— დღუქანში გახლდათ სამუშაოდ...

— დამნაშავე რას აკეთებდა ამ დროს?..

— ბევრი ხალხი ვირეოდით და არ მახსოვს...

დაჩუმდა ქალი..

— მეტი არაფერი იცით?..

— მეტი არა...

— შოაწერეთ ხელი...

ქალმა ხელის კანკალით დასჯდაბნა სახელი დ გვარი, ასოების გამოკლებით...

— დაიკითხა ოთხი მოწმე, სწრაფად მიდის საქმე, ყველას ერთი პასუხი აქვს, რომ მშრომელი იყო დონა, რომ გაუჭირდა, რომ არ უნახავთ შვილი მოჰკლა თუ არა...

— გაამართლებენ..

— ყველა ქალის სასარგებლოთ ლაპარაკობს...

— საწყალი...

— იპ, ცოცხალს ვინ მოინდურებს შვედრისთვის.—ჩურჩულებენ...

— ვილაა დასაკითხი...

— სამი მილიციელი და ისინიც რას იტყვიან?..

— ხასანიძე!.. თქვენ პირველ ჩვენებაში უთხარით გამომძიებელს შემდეგი: შემოგესმათ თუ არა კივილი გაეშურეთ იმ მხარეზე საიდანაც ხმა მოდიოდა, ველარ მოასწარით შესვლა, დამნაშავე აივანში გამოუარდა, დამღრწვალი ბავშვი ხელში ეჭირა, ეხლა ამბობთ რომ არ იცით...

— მოწამე დაიბნა, აწითლდა, დონასკენ გაიხედა.

— რას იტყვით იმ პირველ ჩვენებაზე?

— რას ვიტყვი, მოჰკლა თუ არა არ მიყურებია... არ შეიძლება ბავშვი სხვას დაეღრწო და დედას მკვდარი შვილი გამოეტაცებია ვართ?.. მე ვერ დავიჯერებ რომ ისეთი ქალი, როგორიც ის იყო დაახრწობდა შვილს...—ისევ გაიხედა ქალისკენ.

-- გოგონა შეილო! თქვენ თავიდანვე ჯიუტობთ და არ დასვენებთ სასამართლოს სწორ პასუხს. საიდან მოხვდა თქვენს ხელში დამღრწავალი ბაეჭვი და ან რა პირობებში აიყვანეთ... სთქვით ეს...

ეკითხება თავმჯდომარე.

— რა ვიცი რა პირობებში.

— მამა უწინ მოჰკალი თუ შეილი... იქნებ შეილს რომ აღრჩობდი, მამა წამოეშველა და ამიტომ ისიც მოჰკალი... ვაბეზრებულმა ჩაიდინე იქნება ასე?!

— რა ვქნა... ცოცხლივ ხომ არ გამატყავებთ... რამდენჯერ მოგახსენეთ: მამა მოკალი, შეილი არა...

— რატომ მოჰკალი მამა?..

— ბატონო მოსამართლევ! სისხლს მიმღვრევს ათასჯერ შებრუნებული იგივე კითხვა. მოკალი იმიტომ, რომ მან დააღრჩო ჩვენი შეილი.

— სტყუის, სტყუის შეწვევებული... სცემდა, გვემდა ყმაწვილს, ხელიდან ვერ გამოგვლეჯდი... ორივე მამაშვილს სცემდა გააფთრებული... მე მკითხეთ... მე გეტყვით... დაიძახა მაკინემ.

— სუუთ...— ზარი...

დონას კიდევ გაელიძა...

— ის დედამთილია ჩემი... ილაპარაკოს იმან, ილაპარაკოს მეზობლებმა, ჩემთვის სულ ერთია...

და დაჯდა ისევ...

შემოიყვანეს შემდეგი მოწმე.., ამას ხშირად უნახავს ის შემთხვევა რაც მაკინემ სთქვა... იმ უბნის მილიციელია და ხშირათ გამოუერთმეგია ხელიდან... ხშირათ შეუჩივლია დონას რომ სასიკვდილოთ არ ეშურება არც ერთი...

— ბიკოს, როგორ აურია ამ ოჯახ დისაქცეემა ყველაფერი.

— ალბათ არ ემადლიერება...

— ვინ იცის რას ფიქრობდა...

თავ დაჭერილი ჩალიმება და სიცილი...

მოწამე ხშირათ მიიღებს კისერს დამნაშავესკენ.

დონა კი არავის არ უყურებს, სიერცეში გაუშტერებია თვალი. სახეზე უცხო იერი აქვს გადაკრული, მიბნედილია, მიმკრთალა, ფიქრთა ჯარები შემოხვევია გარს.

— „ჰო, ის არის, ის არის... დაკაცებული... წვერი მოუშვია... ძნელად იცნობა-კი. მხოლოდ დონას შეუძლია იცნოს... ოოო რამდენ ამბავს გადაუვლია დონას თავზე, რამდენი ტანჯვა უნახავს ამ მცირე ცხოვრებაში... არავის გაუგია, არავის უგრძენია, პატარა უპატრონო გოგოს გულში რა ცეცხლის ქარიშხლებმა გაიარეს, ესეც იყო ერთ დროს ახალგაზრდა. და დიდი ხანია მას შემდეგ? თერთმეტი გამოაკლდეს ოცდა ცხრას... ჩვიდმეტის წლის ქალს ჩაუსვენდა ვარსკვლავი. საზაფხულოდ დაბრუნებულ სტუდენტს დახვდა, დასრულებული ასაკში შესული ქალი... „ჩამოსხმული წელი, მრგვალი თქოები, აშოლტილი ტანი, ამორცვილი მკერდი და ცეცხლიანი თვალები“ ბორგავს სტუდენტი და ძილი არ ეკარება... აივანში წვება, ზაფხულის მაცდური მთვარე უღიზიანებს ნერვებს. ის იცვამს, ჩადის ბაღში, უსტვენს, მიდი მოდის, უნდა გაპ-

ფანტოს ბოროტი ფიქრები, ისინი მაინც არ ასვენებენ და ბაღის ფანჯარასთან გაისმის წელი სტვენა...

— დონა!..— ჩუმთა იძახის ვილაც. ფიქრში ჩაყოლილ მგზნებარე სულებს, ქალიც მოუჯადოებია... პირველ დაძახილზე იღვიძებს, ფრთხილად... გამოიღო ფანჯარა...

— ვინ არის?

— მე ვარ...

— ვინ შენ?

— მე...

— შეპრო?

— ჰო...

— რა გინდა ბატონო!?

— ჩამოდი აქ...

— ვერ ჩამოვალ...

— რატომ?

ქალი უკან იყურება, არაფერს მოუსწროს.

— ჩამოდი გენაცვალე.

— ვერა ბატონო.

— რატომ? მე ვიცდი...

— არ შემიძლია.— ხმა კანკალებს...

— მაშ ასანთი გადმომიგდე პაპიროზს მოუკიდო...

ქალი წამოიშორდა, ფეხზე დადგა. წინ მოაჯირს დასწვდა, წუმწემა უნდა აიღოს, გადაუდოს... მოაჯირი ცარიელია, არაფერი შეხვდა აცეცებულ ხელებს... სამსჯავროს დარბაზს მიყურებელი შემოვმატა, კარები დაქრატუნდა და ვილასიც სკამმა გაიხმაურა. დიდ ფანჯარას ბუზი ბუზილით მიასკდა და ზედ მიაკვდა. რალაცამ გაიწვიალა, დარაჯი დარაჯს გამოენაცვლა და ამოწვდილმა ხმაღმა გაიღო ხმა. დონამ დარაჯს შეხვდა, „სახე უაზრო და უმეტყველო აქვს ამ კაცს“... უთხრეს აქ დადგეო და დადგა, აქ უნდა იდგეს ერთ ხანს-კი არ ეხალისება, მაგრამ მაინც უნდა იდგეს, ცხვირზე ბუზი დააჯდა და სახე შეანძრია...

დონა ისევ ჩაიკეცა, ჩაჯდა. ისევ მოსწყდა აქაურობას და წავიდა შორს მოგონებაში... გადაუგდო ქალმა წუმწემა. მიჰხურა ფანჯარა...

დილით უფერული ადგა გოგო, ძილი არ მიჰკარებია... მერე? ივლისის დილა იყო; სასადილოში მარტო ვიყავი, ყველა წავიდა სახლიდან, ჩაის კურკელს ელაგებდი, ბაღის ფანჯარა გავაღე, ნამცეცებიანი სუფრა გადავებრტყე... თეთრმა ბუჩქმა შეიქცია ჩემი თვალი. ჰო ჩვენ ბაღში ბლომით იყო თეთრი ჩაის ვარდი, იქ ბუჩქი რამ იყო... მაღალ გუნდის ხეზე ბულბული შემომგადარიყო და გალობდა. ჩემი სმენაც იმ ხმას გაჰყვა. მეც მიცემდა გული... ვგრძნობდი სიცოცხლეს... ვიცოდი ის ნათესავი არ იყო ჩემი... ვიცოდი რომ მე სულაც არ შეავდა ნათესავი... ჰო, მარტო ვიყავი ქვეყანაზე, გამოჩნდა კაცი ვინც მე მიყვავებდა, ვინც მპირდებოდა სამოთხეს, და მეც უგდებდი ყურს ბულბულის ყუფას, დამივიწყდა ოჯახის საქმე, მივეყრდნე ფანჯრის ჩარჩოს და წავედი

შორს. იქეთ ზღვის გაღმა მწვანე ტყეში იწყებოდა ახალი ცხოვრება, იქ მიდი-
ოდა ორი ახალგაზრდა, ორი შეყვარებული, იქსოვებოდა ლამაზი სიცოცხლე...
დაუსრულებელი ზღაპარი... დონა ქალს ხელში ჰყავდა ოქტავს... ამჟამინდელი ბიჭი
და ელოდა სანადიროთ წასულ შეყვარებულს... ტკბილმა ნეტარმა ღამიარა
ტანში, ცეცხლი მომედო, მე უკვე მის მკლავებში ვიყავი მომწყვდეული... მკო-
ცნიდა, მკოცნიდა... მაშინ პირტიტველი იყო, ეხლა რამოდენა წვერი ნოუ-
შვია, ჭაღარაც შეჰპარვია... ვინ იცის ცოლ-შვილიც ჰყავს... იქნებ საყვარელი
ცოლი ჰოუკვდა და იმაზე იღარდი? იქნებ შვილი დამარხა და ამიტომ გაქა-
ღარავდა? დონამ დონამ რა დაჰკარგა? ყველაფერი... ეხლა აღარაფერი აღარ
აქვს დონას, ის შიშველია, ფოთილ შენობაშესული... ან მოსავდა მას მწვანე
სამოსელი როდისმე? ცოტა ხანს, ორი თვის იყო ის ნეტარება... მერე? მერე
უძილო ღამეები. დაწეული ღამეა ჩემ საკუჭნაოში და მისი ტკბილი ჩურჩული...
ბევრი დაპირება, ბევრი იმედი და ეხლა ეს პირი, ეს ენა თხოულობს ჩემს დას-
ჯას... მერე კიდევ რა იყო? მერე წავიდა რუსეთს და შემდეგ აღარ უნახავს
დონას...

გათავებულა მოწმეების დაკითხვა... სხდომა შეწყვეტილა, ქალს ეხლა გა-
ზოგვნიდა. ყველაფერი გაუქრა თვალწინ... ისევ სასამართლოს დარბაზშია, მსა-
ჯულთა მაგიდა დაკლილა, ქალიც გაიყვანეს.

- გათავდება დღეს ვითომ?
- გათავდება, რა თქმა უნდა.
- მოწმეები ცოტა იყვენ კაცო...
- რათ უნდოდა მერე.. ვინც არიან ისინიც ქალისთვის ლაპარაკობენ..
- ახლა პროკურორი იტყვის თავის სიტყვას არა?
- ჰო...
- მერე ვეჭილი ილაპარაკებს არა?
- ვეჭილი თვარა მე ვიცი საუკეთესო ვეჭილები იხევენ წელებს..
- მართლაც..
- ვინ არის ნეტა ის ვეჭილი?
- რა ვიცი, სამოქალაქო... უპატრონოებს იცავს უფასოთ..
- იმიტომაც თავს არ იდებს...
- კაცო! ისიც უფასოთ არ იცავს უპატრონოებს?
- ვინ?
- ცაკიდან რომაა კაცო... ოპ, როგორ დამავეწყდა.. ლივერი რო კიდი...
— ჰო, ჰო, მეიცა... მეიცა... სენის ქუდი რომ დადის არა?..
- აბა გიყვარდეს მისი ყურება.. ცეცხლია ძმაო კაცათ მარა რა, რა
გინდა შენ, დიდგულია და რო მიდგება სულ ბრეტ გააყენებს ქალი იქნება,
თუ კაცი...
- აწი და, ამ ქალს ნათესავი არავინ ყავს?
- სად არის მერე, თუ ჰყავდეს აქ იქნება.
- იპ, ამოგდებულის შვილი ყოფილა მა უბედური...
ილაპარაკა ხალხმა, იმსჯელა..

ბრალდებული ისევ დაჯდა დამნაშავეის სკამზე. ვეჭილი წყევლა ქალადღებში. ეხლა მეტი უურადღება დარბაზში, ვალეზულ კერებიდან მოსჩანს წაგრძელებული კისრები.

ბრალმდებელი ათავეებს თავის საბრალმდებლო გრძელ სიტყვას.

— მართალია, 144 პარაგრაფი გვეუბნება; ვისაც ვალად ვყო განსაკუთრებული მზრუნველობა ადამიანზე და მან რაიმე ქვენა გრძნობით ნოჰკლა უკანასკნელი, ისარგებლა რა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობით. სცემდა და ტანჯავდა, გამოიწვევს ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას სასტიკის იზოლიაციით... მაგრამ ვინაიდან არ მინდა ვიყო სასტიკი და განუსჯელი დამნაშავეისადმი, მოვიყვან ამავე თავის 146 მუხლს, რომელიც გულმსმობს შემდეგს: მკვლელობა უტყარა, სულიერი ზე გავლენით მომხდარი გამოიწვევს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას..

მოწმეების ჩვენებიდან სჩანს, რომ დამნაშავე სასტიკად იყო დასჯილი ქმრისგან, არც თავად უარყოფს ამას რომ ნოჰკლა მაგრამ, ჩვენ თვალ-წინ არის მეორე, უფრო სასტიკი დანაშაული—შვილის მკვლელობა. რა ეშველება ამას, საიდან გვინდა მოუძებნოთ გამოსავალი, დედა აღრჩობს შვილს, რომ ის გლახაა და უმწეო, რომ ის არის მისი შესანახი, ჰკლავს ქმარს ამავე მიზეზით რომ ის არის გიჟი და უმწეო, რა-რიც ჩაიდინა?! ერთი მოჰკლა ქმარი, გადადის შვილზე, აღრჩობს მას, და ასე შეუძლია დაახრჩოს დედამთილი, მეზობელი და ყველა თუ მას არ შეაჩერებენ... ამის საკმაო ფაქტები არის ჩვენ წინ, რომ დამნაშავეა უკმები და უდიერი, მას არც ცხოვრება შიანია ჩირის ფსაით და არც კანონი, ის თითქმის მასხარათ იღებს ყველაფერს და ჯეროვან პასუხსაც არ აძლევს სასამართლოს, რასაც ჩაიდენდა ყველა მის ადგილზე. ითხოვდა პატიებას და სხვა... ქეშმარიტათ ასეთი ელემენტი მავნე პირია ცხოვრებაში.

ყოველი სახის დანაშაული ხდებოდა დღემდის, მაგრამ ვერსად შეხედებით ასეთს, რასაც ამ უკანასკნელ ხანებში აქვს ჩვენში ადგილი. რომ დედის მოკვლას თავის ნაშობი... ვაი თუ ეს მოვლენები გადაიქცეს მასიურ თვისებათ და დალუპვისაგან დააქანოს კაცობრიობა. გამოვდივარ რა ყველა ამ ნოსახრებიდან, მინდა მივაქციო მსახულთა უურადღება იმ გარემოებას რომ, ნურავითარ ჰუმანიურ გრძნობებს ნუ ექნება ადგილი და დამნაშავე უნდა დაისაჯოს უმაღლესად. .

დაჯდა ბრალმდებელი.. შეიშმუშნა დარბაზი, სიკვდილმა შავი ფრთები გაშალა და სამსჯავროს წრე შემოავლო, ვაიშხილა, თითქოს ფრთების ტაკანაც შემოესმათ... ადამიანებმა ოფლი მოიწმინდეს სახეზე..

ღონამ მოისმინა სასტიკი ბრალდება ამ კაცის პირიდან. ქალს ტანში წამოაბურა, ტუჩები შეეძრნენ, რალაც უნდა სთქვას... ფეხზე დგას, თავსათარი გადიგდო, დასცხა...

ვეჭილი ახველებს, „პიდეჯის“ საყელოს ისწორებს, უნდა დაიწყოს.. ქალი უტყარად გადმოსწვდა, ხელზე მოჰკიდა, შეაჩერა.

— მოითმინეთ, ნუ იწყებთ სიტყვას. მე ქართული კარგად ვიცი... კანონის მუხლები საჭირო არ არის, თუ საქმეს სინდისი ახლავს თან.

დარბაზში ხმა-მაღალი ჩურჩული შეიქმნა. დარაჯი აჩუმებს ხალხს... თავ-
მჯდომარე უბრუნდება ქალს.

— გოგონაშეილო! რა გინდა სიტყვა?

მარკინაშვილი

— ოოო, ბატონო ჩემო! მე ბევრი რამე მაქვს სათქმელს... (სტამბახისხვით
მათქმევეინოთ...)

— სთქვით... სასამართლო გისმენთ.. ეს სიტყვა რიგ გარეშე გეძლევა,
ხოლო ვექილის შემდეგ კიდევ გიქუთენის უკანასკნელი სიტყვა.

— დამცველი არ მინდა ბატონო და მეტ სიტყვასაც აღარ ვთხოვლობ,
უკანასკნელი იქნება ეს.

— კარგი სთქვი... ეხლა მაინც უთხარი სასამართლოს. გულ-ახდილათ,
რა მოსაზრებით და რის გავლენის ქვეშ ჩაიღინეთ ასეთი საქმე.. თუშეა ორი
მოწმის გარდა, ყველა თქვენ სასარგებლოთ ლაპარაკობს. მაგრამ სასამართლო
მაინც საშინელი ფაქტის წინაშე სდგას.. იყავით გულ-ახდილი, აღიარეთ სი-
მართლე და იქნებ კანონი შელავათით მოგვეტკუთ.

ქალი ამ ხანში ბრალმდებელს მისჩერებოდა, ისევ თავმჯდომარეზე გადა-
იტანა თვალი... გაისმა კანკალა, მთრთოლვარე წმინდა ხმა.

— მოსამართლენო! სად არის სამართალი?

— წკრრრრრ...—მისკა ზარი თავმჯდომარემ.

— თქვენ გეკითხებიან, სცნობთ თავს დამნაშავედ თუ არა?.

— მე მოგიგებთ... მომცემთ თუ არა უფლებას ვილაპარაკო უკანასკნე-
ლი ჩემი აღსარება?

ბრალმდებელმა ჩამოიღო სათვალე და დაუწყო ქალს ცქერა.

— სთქვით რა გინდათ?

— მე ბევრი რამ მინდა. მე ხომ ვამართლებას არ ვთხოვლობ, არც პატი-
ვებს. ეს მეტი სასჯელი იქნებოდა ჩემთვის, მე დავივალე ამდენი სიმამის თრე-
ვით და აღარ ვისურვებდი შეორეთ ცხოვრების დაწყებას.

მაგიდაზე მსხლმით შეხედეს ერთმანეთს, თავმჯდომარე ბრალმდებელს შე-
ეკითხა თვალებით „რა უნდაო“... იმან მხრები აიჩეჩა...

— აბა რა გინდა?

— მინდა მალაპარაკოთ, არ შემაჩეროთ, მე ცუდს არას ვიტყვი... ვიტყვი
მხოლოდ ჩემს ვინაობას, ჩემს ცხოვრებას გავაცნობ ამ პატივცემულ საზოგადოე-
ბას; მე მიწოდებენ შვილის მკვლელს, ავაზაკს. იცოდეს ჩემმა სინდისმა, არ ვი-
ყავ ეს მხოლოდ გამხადეს ამად... მე ვიტყვი სიმართლეს და ხალხმა განსჯაოს
თავის გულში... თქვენ რაც გენებოთ ის განაჩენი გამოიტიანეთ...

— სავანზე ილაპარაკეთ...

ბრალმდებელი უფრო მისჩერებია ქალს, ცნობისმოყვარეობით ადევნებს
ფართოდ დაღებულ თვალებს, მაგრამ, შორს, შორს, მივიწყების საბურველი აფა-
რია გონებას.

— სთქვას...

— ილაპარაკოს...

გაისმა დარბაზიდან.

სთქვით სათქმელი...

ქალმა მძიმედ ამოიხვნეშა, ერთს წუთს კიდევ დააშტერა თავალი ბრაღმდებელს, გადავიდა მოგონებაში... დაიწყო საშინელი ჩაფარდნილის ხმით.

— მსაჯულნო! მე ვიყავი ობოლი, მხოლოდ დედა მარტო, თეროდულში მოკვდა, ვილაცქებმა წაიღეს საღდაც, ალბად მიწას მიაბარეს. ვიყავი უთვისტომო. ტყვილა მეძახიან გურულს. არ ვიცი ვინ ვარ, დედას ქალადღები არ დარჩენია და არც ვიცი რა გვარს ვეკუთვნი. იქნებ არც იმ ტომს ვეკუთვნი რომელსაც მე ჩემს ენას უწოდებ და რომელზედაც აღვიზარდე. ერთი სიტყვით არ ვიცი ჩემი შტო. შემვიგრდომა ვარეშე ხალხმა, ვიზრდებოდი სხვათა კარზე, შიშა და მორიდებაში, მე მეძახდნენ დონას, ჩემს გამზრდელს თეკლეს, მის ქალს თამარს და ჰყავდათ ვაჟი ტიტოკო. ბრაღმდებელს რაღაც შეუძერა ფეხებში. მწარეთ უჩქმითა და წამოაგდო ფეხზე, მიიხედ-მოიხედა, უხერხულობა იგრძნო, ბეჭები ისევ შეათამაშა და დაჯდა... კბილებს მოუჭირა დ მეთად დააშტერდა ქალს.

— ის დიდი იყო ჩემზე და შევიზარდნით... თქვენ მართალი ხართ... მე ვარ ავაზაკი, შეილის მკვლელი, მაგრამ არა ჩემი უბედური გლაბა გიორგის, ივანე გოგონაშვილთან შექენილის, არამედ უფრო ადრე, თერთმეტი წლის წინ, გამზრდელის შეილა გამხვია მაცდურ ბადეში,—ქალს ამოუჯდა გული, ცრემლი ყელში მოებჯინა.

— მერე, მერე, განაგრძე.

დაუგანიერდა თვალები თავმჯდომარეს.

— დაშვეილდი და ისე ილაპარაკე, წყალი დალიე.—მიაწოდეს წყალი.

— დღევანდელ საკითხზე.

-- შეიტანა შესწორება ბრაღმდებელმა, გაბზარული ქურქლის ხმაა, გაუბედავი..

— ჯერ გუშინდელი ანგარიში ბატონო ბრაღმდებელს და დღევანდელი შემდეგ. მიარტყა ქალმა სიტყვა.

მსაჯულებმა შეპხედეს ერთმანეთს.

— მოითმინეთ... აცალეთ...—უთხრა თავმჯდომარემ ბრაღმდებელს.

მერე?

— მერე... მე დავორსულდი, ის წავიდა, დამაგდო, უპატრონოთ, უნუგეშოთ... სად წაესულიყავ, რა გზა მქონდა... მოგესხენებათ მაშინ კიდევ სხვა დრო იყო ქალისთვის... სირცხვილი იყო ასეთი საქმე... მერევე თვეზე გამიგო გამზრდელმა, იქვის თვალით შენხედა, წამავლო ხელი, დამიწყო სინჯვა, გავჰქვიც, გავარდი აივანში და მერე სართულიდან გადავარდი... მოებრუნდი შელონებისგან და დავიმაღე.. იმ ღამეს გავხდი ცუდათ...

— რა საჭიროა ყველა ეს, საქმეს არ ეხება.—წამოიჭრა ბრაღმდებელი..

— მოითმინეთ ამხანაგო! თქვენ რა გავლელვებთ... სთქვას... უნდა მოუსმინოთ...

— სთქვას, სთქვას.—დაეჭიმა დარბაზს ძარღვები.

— მერე?

— მერე, იმ ღამეს ამტკივდა მუცელი, გავიპარე შეშის საწყობ სარდაფში, უსინათლოთ, სიბნელეში, უპატრონოთ, ეიწყველე გაჩენის დღე, ვათენები-

სას გავნთავისუფლდი, ბავშვი ისევ ცოცხალი იყო... ხმა გავიგონე... დავეძვლე ხელი, ავიყვანე, ჰიპს ვიწვევდი, უნდა მომეშორებია, გამეხვია, გავსკოტოლაყავ იმიანათ სადმე, დავკარგულიყავ... მოვსწყვიტე ჰიპი... არ ვიცემ: მოგვტანა შხამივი-და შემომაკვდა ხელში.. ყელზე ჰქონდა თურმე დახვეული..¹¹ ტუკენ რას იტყვით.. თქვენ რას მიხედებით ჩემს სატანჯველს, ბატონ ბრალმდებელს დახვრეტა მიან-ნია უმაღლეს სასჯელათ.. რა იცის ბრალმდებელმა, დაუსჯია როდესმე კაცი? დედამ შეილი დაადრო... არა შემოაკვდა უცბათ.. შემოაკვდა.. ბიჭი იყო.

— უუჰ!—ამოიხვნენა დარბაზმა.

ბრალდებული თავდაკიდებული ზის, თითქოს აღარ უგდებს ყურს. დონამ დაისვენა.

— რა უყავით ბავშვს?

— ბავშვს?—და უაზრო თვალები გაფანტულათ მოაეღო დარბაზს... ხელი აიღო, მოისრისა შუბლი, საშინელი ყრუ ხმა გაისმა...

— შეშის ნაჩხი მიწა ფხენილათ ეყარა საწყობში.. ძალღივით ფრჩხილ-ებით გადმოგვექე და ჩაეფალი ში.. მომკალით დამსაჯეთ.—წაიშინა ცხვირპირში და დაჯდა..

— დაისვენეთ.. სდომას შევწყვეტ ათის წუთით..

— არა, არა, არა, მოწყალეო!.. მერე ველარ შევძლებ, ეხლა, ეხლა უნდა ვსთქვა, მომისმინეთ.. წამოვარდა ფეხზე..

თავმჯდომარე შედგა, აკრეფილი ქალღლები ისევ დააწყო, დაჯდა..

— აბა განაგრძეთ, თუ შეგწყვეთ ძალა.

— შემდეგ, როცა თვალი გავაღე, ჩემს ოთახში ვიწექ მძიმე ავადმყოფი. როცა გამოვჩრი და ისევ ღამით, ჩუმად, კანკალით შევიპარე საწყობში, სულ გადავქექე მიწა ტ ველარ ვნახე ჩემი დაფლული... აღბათ ნახეს ტ ბინა გამოუცვალეს. მერე ველარ გავიგე პირველი შეილის საფლავი.. არც არას შეკითხებოდენ ჩემი გამზრ დღელები ისე იყვენ გატყვევებული. ვატარებდი გულში ამ მძიმე ტანჯვას და არ მყავდა კაცი მისთვის გამეზიარებია.. ვიყავი დამცირებული, შეურაცყოფილი, ერთი იყო—არ მაგდებდენ ვარეთ, თავი ვერ მოვიკალი.. ტ აქ-კი, უმაღ-ლეს სასჯელზე მელაპარაკებიან..

— ვინ იყვენ ის ხალხი ვისთანაც იზრდებოდი?

— მე იმ ოჯახს არ დავასახელებ.. ან რა საპიროა..

— უნდა სთქვათ, ახალი კანონი თხოულობს ამას.. რატომ თქვენ ერთი უნდა იჯდეთ საბრალმდებლო სკამზე?

— როდესაც გამათხოვეს, იმ ქალაქიდან აქ მომიყვანეს. შემდეგ მათი არა გამიგია რა.

— რა გვარები იყვენ?

ბრალმდებელმა ასწია თავი, მიანერდა ქალს...

დონას მწარე ღიმილმა გაურბინა ტუჩის ნაკეცებში.. ნელა გაიქნია თავი.

— მე მათ არ ვიტყვი.. ისევ ჩემი დანაშაული განვაგრძობთ...

— განაგრძოს.. განაგრძოს..

ზარი.. ისევ გაინაბა ხალხი, სმენად არიან ქვეული... სმენად არის ქვეული მაკინეტ, გადაუგდია შალი, გამოუყვია ყვითელი თართო ყური, ზედ ჩამოწეწილი პუწუწებით... არ უნდა დაკარგოს ერთი სიტყვა: „აქი ამბობს...“ ამბობდა, რომ უნამუსო იყო მისი რძალი.

— მე გამათხოვეს, შეურვიდი ბედს, როგორც ასი და ათასი ჩემისადა უბედური ურიგდება. დაუდე ახალ ოჯახს თავი და ვერსახურებოდი.

უნდა მოგახსენოთ, ცოტა რამ მასწავლეს გამზრდელებმა. მადლობა მათ.. მიყვარდა კითხვა და თავისუფალ დროს ვანდომებდი კითხვას, რაც არ მოსწონდა ჩემ დედამთილს და ეშმაკის საქმეს ეძახდა. ოთხს წელიწადს არ მომეცა შვილი, მიჩნდებოდი. ზოგს მკვდარს ვშობდი ზოგს უდღეოს. წამერთვა ილაჯი, აღარ მინდოდა მეტის ვაჩენა, მაგრამ უნდა გამჩენოდა რადგან ასე უნდოდა ოჯახს.. მეხუთე იყო, გიორგი, გამიჩნდა, მივეცი ძუძუ და შემიყვარდა— ის ყველაფერი იყო ჩემთვის.

მსაჯულებს დაუწყვიათ ნიდაყვები მაგიდაზე და უსმენენ გულსხმიერებით, თანაგრძობით. ბრალმდებელი ისევ ქალაქებში იყურება, ხოლო არას კითხულობს, ტვინი ერევა, თმები ვარედ ეზიდება თავის ქალიდან... დონა შედგა... კიდევ დააპყრა თვალი პროკურორს და ჩაელიმა.

— განაგრძეთ!..

— დიახ... ბატონებო! აქ იწყება მესამე სასჯელი, ბავშვი შეიქნა მახინჯი, მუნჯი, უსახსრო, ჯდომაც არ შეეძლო, მივიქვეით ექიმებთან და აღმოჩნდა რა? ჩემმა მეუღლემ მომართვა თურმე ძვირფასი ნობათი. ის ყოფილიყო ავადმყოფი.. თქვენ ჩემზე კარგათ მოგეხსენებათ ის სენი..

— გაფრთხილებთ, საგანს ნუ უხვევთ..

— მე ხომ მეტს აღარ მოვითხოვ სიტყვას, თუ ნება დამართეთ მათქმევი-ნეთ კიდევ. დაე ერთხელ ჩვენ ვიყოთ ბრალმდებელი ანდენი უსამართლობის..

აქა იქ გაიხმაურა ხელის გულებმა, ხმა ხმას აჰყვა და დარბაზი დაჰფარა მქუხარე ტაშმა. ბევრი ცრემლი აციაგდა თვალებზე.. დონა დგას, ის გამარჯვებულია..

— წესიერებისაკენ მოგიწოდებთ... დაბრძანდით.— ეუბნებიან ხალხს..

— დიახ ბატონო მოსამართლენო...

— შემდეგ?

— შემდეგ, ქმარმა მიპყო ლოთობას ხელი, ღვინომ ძველ ავადმყოფობაზე იჭონია გავლენა და გაგიედა. მე კიდევ სულელი ვიყავი, მე კიდევ მწამდა სასწაული და ვფიქრობდი მომეზლო სასჯელი-მეთქი. მით უფრო გვირულად უმკლავდებოდი გაჭირვებას, დღე და ღამ ვმუშაობდი და ისე ვინახავდი ოჯახს.. კეთილი მოსამართლენო, დაუღეველი ტანჯვა იყო ჩემი ცხოვრება.

დალია წყალი.

— შემდეგ?

— შემდეგ ასე გახლდათ: გიგი ქმარი, მახინჯი შვილი, დღიური გაჭირვება და დავიღალე..

დაუწია ხმას.— დავიღალე..

ჩურჩულად გადაიქცა.—იქნებ მეც გავვიედი, ამა გადაავლეთ თქვენი მოკლედ თქმულს, რომელი თქვენთაგანი გაუძლებდა? იქნებ ბატონი ბრალმდებელი გაუძლებდა?..

ისევ შეხედეს ერთმანეთს—ბრალმდებელმა მოიყრუა სმენა..

— მერე და იმიტომ მოჰკალი კმარი რომ გიყი იყო, ან შვილი, რომ ის გლახა იყო?.. გინდოდა მათგან განთავისუფლება?

— არა, შვილი მე არ მომიკლავს... ავად მყავდა. აკიებდა, იმ წუთს დიდ სიციხეში იყო... იცის მეზობლებმა, მე როგორც უფლიდი მათ..

— მაგრამ მაინც?!

— მაგრამ, არაფერი მაგრამ. წყალზე წავედი, უნდა ცივ ტილოში გამეხეია.. კმარს უთხარი დამჯდარიყო ბავშვის ლოგინთან, რომ არ გადმოვარდნილიყო ბავშვი.. წინედ ჰქონდა ასეთ შემთხვევებს ადგილი, უტოვებდი, თუ საჩქაროდ გავიდოდი სადმე.. რას ევიკერებდი მე უბედური... და როდესაც ხელში წყლით დაგბრუნდი სახლში, წყალი გარეთ დაედგი და ტილოს გამოსატანათ შევედი, ჩემი გოგი აღარ იყო... გიე მამას ჩაველო ყმაწვილისთვის კვლში ხელი, აეთრია, თავით გქირა. იცინოდა და აქანავებდა... უსიცოცხლო ფეხები ჰაერზე ეკიდა და ირყეოდა.

ჭალმა თვალებზე დაიფარა ხელი, გააეყოლა.. ცოტა ხანს იყო ასე, გაიქნია თავი, თითქოს ფიქრები გაჰფანტა..

— მე არ ვიცი რა მომივიდა, ხოლო როცა გიყმა კაცმა თავი დაჰკრა იატაკზე, მე გამოვფხიზლდი, ხელში რკინის ურდული მქონდა ამართული.. აღბათ მე დავჯარი თავში.. ეხლა გკითხავთ, რომელი თქვენგანი არ მოჰკლავდა ცოლს ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი?.. შვილი მე არ მომიკლავს... ეხლა სულ ერთია, მე გავათავე ჩემი წილი ცხოვრება, მომივალა მე აღარა მაქვს და დამსაჯეთ.

დაჯდა... ასმა გულმა მაინც ამოიქშინა შიძიმეთ... რალაც შიძიმე ლოდნ ვადავარდათ სულიდან: „დედა არ ყოფილა მკვლელი, მას არ მოუკლავს.“ წმინდა ცრემლები გადმოიღვარა და გადაარყება დონას სხეულს შემთხვევით მოდებული ტანგი.

— ქალო რატომ გამოძძიებელთან არ გახსენი ეს საქმე, რას უყურებდი რომ არას ამზობდი?

შეეკითხა თავმჯდომარე ლმობიერათ, თვალებზე მოწოლილი ცრემლი დიდმა ტილოს ცხირისახოცმა შეაშრო, ჩაახველა..

ქალი ისევ წამოდგა საპასუხოთ..

— აღბად ასე უნდა ყოფილიყო ბატონო მოსამართლევ.. აღბათ ერთხელ კიდევ უნდა შევეყოდი მას.. აღბათ ერთხელ უნდა გადამეველო თვალი.. ჩემი წარსულისთვის... მე კმაყოფილი ვარ რომ ვხედავ! და თვალებმა შთანთქქეს სუფრის მეორე ბოლოში თავ ჩახრილი კაცი.

თავმჯდომარე უყურებს ქალს, აღევჩებს თვალს მის სახის მოძრაობას, უყურებს ვეკილი, ფეხზე ჩამომდნარი, წმინდა სანთლის ფერი ადევს კაცს.

თავმჯდომარე ეჩურჩულა მოთათბირეთ.

— გოგონაშვილო!.. საინტერესოა დასახელო ის პირები, ვისთანაც იზრდებოდით..

დონა ადგილზევე შეინძრა.. ბრალმდებელი წამოიშარა, წამოიწვია/ სკამიდან... მიიპყრა თვალი ქალს... ქალმა შეხედა პირდაპირ, ბრალმდებელს ულონოთ, მოკვეთით დაეშვა სკამზე.

დონას ისევ გაელიმა, მწარეა ეს ღიმილი...

— არა მსაჯულნო! მე არავის არ გავცემ მის დანაშაულში, არავის სირცხვილს არ ავხდნი ფარდას, მე ისიც შეყოფა, რომ ვხედავ აქ, ამ დარბაზში; ისმენს ჩემს აღსარებას, ჩემზე დადებულ მსჯავრს.. დაე ზიდოს მისმა სინდისმა თუ შესწევს ამის ღონე.

დარბაზი შეწრიალდა, ყველა ერთი მეორეს უყურებს, ყველა ერთი მეორეს ათვალეირებს. თავმჯდომარე განცვიფრდა, ვინ ნახოს, ვის სახეზე ამოიკითხოს შეცოდება? ყველას თვალები მოძრაობენ. ჩამოცხა, ქაერი დაიხურა, ბული დადგა, ფანჯრები დაორთქლდა, გარეთ ღრუბლები ჩამოწოლილა, მზე დაუთალხავს, და ჩრდილის სვეტები ჩამოუშვია... ბებრებიც აზუზუნდნენ, სწრაფი წვიმა წამოვიდა და ღია ფანჯარას მიაჯახუნა... ბრალმდებელი შეკრთა და გამოერკვა ფიქრისგან, თავმჯდომარემ უღელში ჩაიჭამა..

ვექილი ვერ ისვენებს, ზორგავს ადგილზე, თმები ყალყზე დადგომია: „გააჩუმეს, არა ათქმეინეს. ან რას იტყოდა უკეთეს? ეს ქალი ყოფილა, ვექილიც და ბრალმდებელიც. რაშია საქმე? აქვე სდებს ვილაყას ბრალს. პროკურორს რა აწუხებს, რა აღელვებს?“

დააშტერა ბრალმდებელს თვალი.. ის თითქოს ჩამკვდარა სკამში.. არ ესმის, ირგვლივ რა ხდება, ამ ქვეყანაში აღარ არის.. თუ პირს არიდებს ვისმეს... სიმართლემ ხომ არ შეანათა თვალებში?

— ააა!—ჩაიდუღუნა, ნერვიულათ იკბენა თითზედ. უნდა რალაც სთქვას. თავმჯდომარემ მიიღო მისკენ თავი..

— ამბანავო თავმჯდომარე, მართალია ჩემმა რწმუნებულმა, თავის სიტყვით მომხსნა საქმიდან, არ დაინახა საქიროდ ჩემ მიერ დაცვა, საერთოდ არც თხოულობს დამნაშავე გამართლებას, მაგრამ ეს კიდევ არ მაძლევს მე უფლებას დავჩემდე და არა ესთქვა რა. მე როგორც სამოქალაქო უფასო დამცველს და ერთნაირ დარაჯს უპატრონო ქვრივ-ობოლთა, მოვალეობა მაძევს დავიცვა საქმის კანონიერი მსვლელობა.

მართალია, მოქალაქე გოგონაშვილი, აღიარებს თავს დამნაშავედ თა კიდევ უფრო საშინელ სურათებს იძლევა თავის წარსულ ცხოვრებიდან, მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავეშვარებით და დამნაშავეს ჩვენების დამიხედვით ვერ გამოვიტანთ ამა თუ იმ განაჩენს. სასამართლო უნდა დაემყაროს სამართლიან საბუთებს, ნამდვილ ფაქტს.. იქნებ სრულებით ტყვილი მოგვითხოვო დამნაშავემ. როგორც ვხედავთ მას ლაპაზი ენა აქვს, და ებრახება სურათის ვაშლა: იქნებ აქვე შეთხუზა ყოველივე, რათა დღევანდელ დანაშაულის გამომწვევე მიზეზად ერეგებია წარსული და ამით შეღავათი მიეცა მისთვის კანონს.. ან იქნება მართალიც იყოს ყველაფერი, ყველა ამით უნდა ახალი გამომიება, გარეშე ამისა უკანონო იქნება ყოველივე განაჩენი.

— მოქალაქე ვარამაშვილო? რაც თქვენ ეხლა სთქვით, ეს იყო წინეთ, ძველ კანონში, დღეს ახალი კანონი, ძველის სათვალეებით არ უყურებს საქმეს.

ის პირდაპირია და მარტივი; ბრალდებულმა გახსნა საქმე, თავი აღიარა დამნაშავედ, მიიღო ბრალდება. ვათავდა. კოდექსის მუხლით მიენიჭება სასჯელი, რაღა საჭიროა აქ ახალი გამოძიებანი.

უპასუხა ვეკილს, თავმჯდომარის მარცხნივ მჯდომმა მსაჯულმა:

ვეკილმა შეჰხედა მსაჯულს წუთით...

— „ჰაია... საბრძოლველად მიწვევს? პარტიოზაა? რა უნდა ამ წითურ კაცს. წვეტიანის ცხვირით რომ ზის და მლიქვნელ თვალებს ასრიალებს?... ალბათ შენც ბევრი დავიღუპავს.“ — ვეკილს ჩაელიმა გესლით...

„არა შეილოსა, ისე აღარ ვაგვიათ“.

— მოქალაქე მსაჯულო! ასე არ იტყოდით თქვენ, რომ ჩვენ საქმე გვემდებს ფინანსიურ სისხლის სამართალთან, გაფლანგვასთან. მაშინ ეცდებოდით მრავალი წეკითხვებით ყველა ჩაგეთრიათ დანაშაულში, დანაშაულის გამოწვევ შესაძლებლობის უბრალო მიზეზს მიიღებდით მხედველობაში და ეცდებოდით, მეტი დანაშავე დაგესვათ საბრალმდებლო სკამზე.

— წრრრრრ.— დაიკვილა ზარმა

— ამხანაგო, ვარამაშვილო! თქვენ საზღვარს გადასცდით.

ბრალმდებელს თავი აუწვევია, მღვრიე თვალებით იყურება, ესმის ვეკილის სიტყვები...

— ოღნავადაც არ გადავსცდი და ათასჯერაც ვაეიმეორებ, რომ ეს ასეა. ბრალმდებელი წამოიწია.

— შეტანილ იქნას ოქმში ამხანაგ ვარამაშვილის უკანასკნელი სიტყვა კანონის შესახებ.

საშინელი ხრინწიანი ხმაა, ჩავარდნილი და უღონო, სადღაა წელანდელი ქედმაღალი კანონმდებელი.

— შეიტანეთ ბატონო! არათერი მაქვს საწინააღმდეგო, ყოველთვის შეეძლებ თავის დაცვას. მაოლოდ ნება მიბოძეთ აღეძრა შუამდგომლობა, რათა გადადებულ იქნას გოგონაშვილის საქმე. მოქალაქე ბრალმდებელს კარგად ესმის კოდექსის თვითთელი მუხლი და შეუძლია შესცვალოს 145 პარაგრაფის შეღავათიანი სასჯელი უმაღლეს სასჯელზე, მაგრამ ამავე დროს ავიწყდება 167 პარაგრაფი, რომელიც უმწუროთ დატოვებაზე მიგვითითებს... იმედი მაქვს რაკი ეს უკანასკნელი პარაგრაფი პირველი ბრალდადების შემდეგ გადაიშალა ჩვენ წინ, მოქალაქე ბრალმდებელი შესცვლის თავის პირველ აზრს და უფრო შეღავათით მოეკიდება დამნაშავეს. ადამიანებმა უნდა ვეცადოთ, წმინდა იყოს ჩვენი სინდისი. ქეშპარიტად სამართლიანი და ნათელ მოსილი იყო ამხანაგ თავმჯდომარის სიტყვა, როდესაც უთხრა დამნაშავეს: „ქალო! რატომ შენ ერთი უნდა იჯდე საბრალმდებლო სკამზე, როცა მოზიარე გყავს ამ საქმეშიო. და მართლაც, რა შია საქმე? ჩვენ გვიხიბრეს, რომ ამავე დარბაზში ზის არხენინად ის პირი, რომელმაც ესოდენ ტანჯვა მიაყენა ადამიანს, რომელიც იყო ბოროტმოქმედების სათავე. ზის თურმე ლამაზათ და ისმენს ყველაფერს. რატომ არ უნდა გამოვიძიოთ? ნუ თუ ყველა ჩვენგანს არ გვაწუხებს ის საშინელი სულიერი და ხორციელი ტრაგედია რაც ჩვენ თვალწინ გადაიშალა! ნუ თუ, არა ვართ მსურველი ყველა ჩვენგანი უსამართლობა აღმოუხვრილი იქნეს ერთხელ და სამუდამოდ?

თუ ამას არ აკეთებდა ძველი კანონი, უნდა გააკეთოს ახალმა, ახალმა უნდა დაიფაროს დაჩაგრული... ქეშმარიტად სიმაართლე ლალადჟყო თემჯდომარის ენამ... ქეშმარიტად, ახალი კაცის, ახალი კანონი მოითხოვს... მისი ვათავებ ჩემ სიტყვის და დაბეჯითებით ვითხოვ ვადადებულ რწმანს საქმე ხელ-ახალ გამოძიებამდის.

დაიხარა, მაგიდაზე გაშლილი ჭალალები ჩაალაგა „პორთფელში“.

— ბიკოს, ბიკოს..

— ვინაა კაცო ის ვეკილი?

— რა ყოჩალი ყოფილა?!

— სულ ახალგაზრდა არ არის?

— ძან გაბედა ძნაო, მარა მოხედება.

— არაფერიც არ მოხედება. რაც თქვა სულ სიმაართლეა.

ახურჩულდა ისეც დარბაზი.

თემჯდომარე ებაასა ორ წუთს მსაჯულებს. წითური კაცი იღრუბლება, შინც ეთანხმება.

თემჯდომარე კმაყოფილია, თვალი მოაეღო დარბაზს, დამნაშავეს, ვეკილს მდივანიც-კი არ დასტოვა რომ არ შეჭკითხებოდა სახით: „რას მტყუიო“.

წამოდგა...

— სხდომა შეწყვეტილია მეორე გამოძიებამდის...

— წაეიდა, გაყვინა...

ბრალმდებელი ისეც ისე ზის, ხელს მაგიდის ქვეშ აცოდვილებს.

— რახ... გავარდა..

ბრალმდებელი ერთი შეხტა, შეტრიალდა, პირალმა გადავიარდა. ხელიდან ნაგანი დავარდა და უსულლოთ დაეცა.

— გზა!

დაიძახა დონამ, პირდაპირ მოაჯირს ვადმოველო, აირბინა საფეხური და მიიჭრა, დადგა, დააცქერდა, შემობრუნდა. ეხლა მთლად უაზრო თვალები მოაეღო დარბაზს.

— სსსსუთ... დაეძინა... დაიძინე... მე არავის არ ვეტყუი... სსსსუთ..

ერთი წაიღეს და მეორე წაიყვანეს.

უღეგა*)

გრაფი თბს მტდწეეეეაე

მისამე მოქმედება

ზარაჩოს გვერდით: კარვები მუშებისათვის, ზარაჩო სხანს ერთი მხრით. წინამხრით: შამშათს თამაშობენ, სტედან მალლა. იქვე ნარდს თამაშობენ: ბიჭია და ფიჩხულ. შორიანლო: გაზეთს კითხულობენ. კერა დღეა, უკანა მხრით: ღიღინი მუშების, ზოგი ტან-ფარჯიშობას ეწყეა.

ბიჭია. დუ შაში კამათელო!..

პო, შენ კი გენაცვალე მაგ კიპურქში...

ფიჩხულა. ფანჯი!.. დასწყეელოს სუფსარქისმა... არ მოდის...

ბიჭია. ფანჯი დუ კამათელო!..

რა ქნას კარგმა მონარდემა, თუ დუ შაში არ მოუეა...

რა ქნას კარგმა მონადირემ, თუ დროს შაში არ მოუეა...

გეიმეორე ფიჩხულ!..

ფიჩხულ. დუ ჩარი!..

რა ქნას კარგმა მონარდემა, თუ დიდი შაში...

ბიჭია. სეეა დუ...

მონარდეს რად უნდა, კაცო, შაში?..

გეიმეორე კიდევ!..

ფიჩხულ. რა ქნას კარგმა მონადირემ, თუ დუ შაში...

დუ ჩარი!.. რომ არ მოდის...

ბიჭია. მონადირეს რად უნდა, ფიჩხულ შაში?..

ჩარი ფანჩ კამათელო!..

გოგმანა ხარ, გოგმანა...

გეიმეორე ჩქარა და უთუოდ მოგიეა...

(სხაპასხუპით)

რა ქნას კარგმა მონარდემა, თუ დუ შაში არ მოუეა...

რა ქნას კარგმა მონადირემ, თუ დროს შაში არ მოუეა...

გეიმეორე აჰა!..

ფიჩხულ. რა ქნას კარგმა მონად... მონარდ... თუ შეში...

დასწყეელოს მიმაზეციერმა:

კაცი ენას მოიტეხს...

*) იხ. გვრ. „მნათობი“ № 5—6.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

- ბიკია. ვერა ხარ მეტყველი, ფიჩხულ, ვერა...
კაცი მეტყველი უნდა იყო... იცი?...
დუ ბარა კამათელო...
- ფიჩხულ. მეტყველიო?... ჩემისთანა სადღინგძელოს ვინ იტყვი...
დუ შეწი... არ მოდის ეს ოხერი...
- ბიკია. სადღინგძელო სხვაა, ძამია...
დუ შაში... ასე უნდა გაავროო...
ჰო, შენ კი გენაცვალე მაგ გოგმანში...
ნუფია, ფიჩხულ, ნუფია... დავი..
- ფიჩხულ. მოდის...
- ბიკია. ფული დაუაქეი..
- ფიჩხულ. პაეალუსტა...
(ფიჩხულ ფულს დებს)
(შემოდინ ახალგაზდები).
- პირველი. ბიკებო, ქალაქიდან კალათბურთელთა გუნდი ჩამოვიდა.
მეორე. ჩვენები სად არიან?..
- პირველი. ეხლავ დაფუძახებ... ნიკო!.. ვანო!.. მიხო!..
(შემოდინ)
- მესამე. აბა, ბიკებო!.. არ დაგვამარცხონ არხის წენების წლის თავზე!..
მეორე. მუშები ყოველთვის წინ უნდა იდგენ, არა?..
- პირველი. აგრეა მაშ... აბა წავიდეთ...
(შენოდის ვამეხ)
- ვამეხ. ქიქით გაავგორებინე, ფიჩხულ, ქიქით...
ბიკიამ კამათლის დაქენა იცის!..
- ფიჩხულ. ქიქით?
- ვამეხ. ჰო, ქიქით... თუ არა—გაგცქნათავს...
ბიკია. (ვამეხს).
რას იცვერები ვეო?..
- ვამეხ. იცვერები?.. ეს რააა?..
- ბიკია. რა და: სულ ჩახმახზე რო ხარ აყენებულის!..
თუ გინდა ქიქით იყოს, თუ გინდა ყანწით:
ვერ დავაჯენ თუ?.. გაგორება უნდა, გაგორება...
დუ ფანჯი კამათელო!
ჰო, შენ კი გენაცვალე მაგ კოჭებში!..
- ფიჩხულ. იშკილ! იშკილ!.. ხელმეორეთ!..
(ვამეხ მიდის ღიმილით შაჰმათის მოთამაშეებისაკენ)
- ბიკია. სადღორი იშკილია?..
მარა მაგასაც აგისრულელებ...
დუ ფანჯი კამათელო!.. აი ხელმეორეთ!..
არ დაჯდა თუ?..
- ფიჩხულ. ეპ, ეშაქია, თუ რა ჯანდაბაა!..
- ბიკია. დავ ბა სე!..



ფიჩხულ. მოდის...

(კალათბურთელთა პირველი გამოსვლა)

ბიკია.

(ვაშხისაკენ)

ყმარწვილო!.. ერთი ყური მათხოვე!..
რაა ერთი ჩემპიონატი გამართოთ ნარდის!..
ვადადეცი, თუ ძმა ხარ, მოსკოვში ვინმეს...
რაფა, ჭადრაკს თუ მართავენ, ნარდმა რა დაგიშავა?..
რა კაცი ხარ, მითხარი, თუ ნარდი არ იცი?..
ბათუმიდან-ბაქომდე კაცი არაა, ნარდი რო მომიგოს...
ჩემპიონატი, ჩემპიონატი—მთელ „ესესერიაში“...
ყველას ვაჯობებ, ყველას ვაჯობებ...
ჰყარე!.. ჰყარე!..
ნარდის ჩემპიონი ბიკია ცხინკვაძე—
კაპაბლანკა ცხინკვაძე...
არა ბოშო?.. დუ იაქე, კამათელო!..
(იღინის. მოშაშათენიც იღინიან. ვაშხ იღიმება. გადის.)
(კალათბურთელების მეორე გამოსვლა)

ფიჩხულ.

(გაოცებით უყურებს)

კაპაბლანკა არა მამბლანკა არ გინდა?..
ძაან დაქოქილი ყოფილხარ ბიკია-ჯან...
ფანჯი ჩაროი...

ბიკია.

დუ სე... ნუფია, ნუფია...
დაქოქილი რაა?.. ჯადოქარი ვარ...
ფყურე, როგორ წამოსკუბდა?..

ფიჩხულ.

ფენჯიიი... არ იქნა და არა...

ბიკია.

ბედიცაა ფიჩხულ!..
დუ შაში!.. ხედავ, როგორ წამოვდა!..
გენაცვალე კამათელო მაგ ჰუწყა კრიკაში!..

ფიჩხულ.

ფენჯიიი-მეთქი...ი, არ იქნა რაღა ეს ოხერი!..

ბიკია.

დაება ჩარ, ფიჩხულ!..

ფიჩხულ.

მოდის...

(ბურთელების მესამე გამოსვლა)

ბიკია.

ფული ჩამოყაბე!..

ფიჩხულ.

ჰეე, ბიკიაჯან, არ მენდობი?.. ვაიმე.. ვაიმე..

ბიკია.

ბათუმში ერთხელ ტრაპიზონელი ბერძენი შემეჯიბრა...
სევა დუ...
ფენჯიიი!.. ოპ, შენი რჯული...
ჩარი დუ...

ფიჩხულ.

მეთამაშა საწყალი...
ფენჯიიი!.. შენი ჯიში ამოვარდა...

ბიკია.

დუ ფანჯი...
ისე აეკეხაფე საწყალი, რომ...

ფიჩხულ.

ფენჯიი!.. შე ოხერ-ტილო...

ბიკია.

შაში ბეშ...
ასი თუმანი ავართევი პირწმინდათ...
აეკეხაფე ისე რომ...

ფიჩხულ.

ფენჯიი!.. შე ბუდრეგო...

ბიკია.

მერე ჩუბი დამიწყო...

ფიჩხულ.

დუ სე...

ფიჩხულ.

ფენჯიი!.. უკულო ვირზე შევამე, შე ბემურაზო შენა...



ბ ი კ ი ა. რო მოვიქნეე ემარწვილო გარდაქმანივით...
 (ამ დროს ხმაური ატყდება უკანა მხრით. „წალაპარაკებულნი“ თითქო ერთი-მეორეს უტყვენ. ბიკია ულაპავეს სიტყვებ „გარდაქმანს“, წალაპარაკებულთა შორის ერთი ვამეხია. ბიკია და ფიჩხულ ინგლეზიან. ვამეხ აქეთ მოდის).

ფ ი ჩ ხ უ ლ. ერთი ფანჯიი... რო არ იქნა?..
 (ჩუმად—ვამეხის შესახებ).
 რას ირქინება თუ იცი?..

ბ ი კ ი ა. რქები ამოდის მოზვერს—ალბად მისთვის...
 ჰო. და რო წამოვიტერ გარდაქმანივით... ფან...
 (ვამეხ უკანიდან)

ვ ა მ ე ხ. რააიოო? შე ჩინაბეა!..

ბ ი კ ი ა. არაფერი ემარწვილო, არაფერი...
 (სტაცებს ფულს ხელს და მირბის. იკეცება. მიწას ვკერის.)

ფ ი ჩ ხ უ ლ. (მისდევს ფარფაშით)
 თამაში არ ვათავებულა... ფული, ფული...
 მაიცა, მაიცა სად გარბიხარ, შე ხოზონიკა იმერელო შენა. ფულები სად მივაქ, ჯერ ხომ არ მოგიგია. ჯეელებო, ჯეელებო. თუ მამა ზეციერი გიყვართ, ხელი დამიჭირეთ, რომ ჩამოვიდეთ. უკ თქვენი... ამ რჯულიდამ ხელაღებულებმა სად დამსვენს.
 (ბურთელების მეთხე გამოსვლა)

კამსამოლ, კამსამოლ, პაეალსტა, თუ მღვთის მშობელი გიყვართ მიშველეთ ჩამოვიდეთ. აი, გავიწყრეთ მღვთის მშობელიც და იესო ქრისტეც თქვენცა და თქვენ რეეისორსაც. ვაიმე ეხლა შე მარტო როგორ ჩამოვიდეთ. (ტირილით) მიშველეთ ქრისტეანებო-ჯან, ხომ ხედავთ მარტო ვერ ჩამოვსულვარ. ოოჰ! პიესის დამწერო, შენ იწვეალე საიქიოს, როგორც შე აქ მტანჯავ. ოოხ, რეეისორებო დაიქცეს თქვენი კანკრეტნი რეალისტინესკი თეატრი. ამ სიმალღე სკანი გავგიგონიათ, რა „ეიფელას“ კოშკია, შე ბუმერაშო. აწირი ძირს სცენაზედ დავმსხდარიყავით და როგორც წყვი და რიგია ისე გვეთამაშა ეს ოხერი ნარდი. მაგრამ ებლანდელი რეეისორები ვერ მოისვენებენ. აი არ მოგასვენოთ ლმერთმა, კარგი ხალხები თქვენა ხართ... ერთი უყურეთ რა ბედრანგათ იციხის. აბა ჩამობრძანდი, ადი და ვნახოთ, მარტო როგორ ჩამოხვალ.
 (მუსიკა, სიმღერა, შემოდინ გოგოები)

პ ი რ ვ ე ლ ი. დაიწყეს, დაიწყეს, შენ იცეკვებ დღეს თინა?

მ ე ო რ ე. უაქველად მინდა ელოს გავეჯიბრო.

პ ი რ ვ ე ლ ი. არა მგონია ელოს აჯობო, ხომ იცი რა აღქაჯაა.

მ ე ო რ ე. ვნახოთ, ვნახოთ?

მ ე ს ა მ ე. მგონია უკუ დაუწყიათ.

უ ვ ე ლ ა. წავიდეთ, წავიდეთ.

მ ე ო თ ხ ე. რატომ არ სჩანან ჩვენები? ნუ თუ უკვე იქ არიან?

პ ი რ ვ ე ლ ი. აღბათ. არ იცი თინას ამბავი.

მ ე ო რ ე. დღეს მგონი დიდი ზეიმი იქნება. უდევას დღის თავზე სტუმრებს მოველით.

პ ი რ ვ ე ლ ი. წავიდეთ, წავიდეთ.

მ ე ბ უ თ ე. მოდი ქალო, მოდი. რაა, ფეხები რომ უკან გრჩება?

მ ე ე ქ ვ ს ე. არაფერია, მოვასწრობთ, მოვასწრობთ.

მეხუთე. ვნახოთ ელო, ახალ ამბებს გვეტყვის. უფველია, ის უკვე/იქ იქ-
ნება.

მეექვსე. არა მგონია... წავიდეთ, წავიდეთ.

(გადიან)

(მარცხნით ელო. ვამებ მოჰკრავს თვალს. ჩერდება. მოშაქათენი
მიდიან. ელო ცქრიანით გაეჭანება ვამებისაკენ.)

ელო. ვამებ...

ვამებ. (პირს იკრავს. მოლუშული. დგას ცივად.)

ელო. ვამებ...

ვამებ. (არას ამბობს, თვალში თვალს უყრის. კიდევ უფრო მოლუშული.)

ელო. (შემკრთალი)

დამუნჯდი?..

ვამებ. (პირს არ იხსნის. ირისხება.)

ელო. (დაეკვილი)

რა იყო?

ვამებ. (ცივი მოჰკრით)

შენ თვითონ იცი...

ელო. შე რა უნდა ვიცოდე...

(კაბის წინ საფარზე ხელებს იშმუშნის)

ვამებ. (ნელი სიმაგრით)

ძალიან კარგად იცი...

ელო. (ვითომ მწყრალი)

რა უნდა ვიცოდე?..

(პაუზა ორი წამი)

ვამებ. (წუთზე ღიმილით)

პა-ე-მა-ნი...

ელო. (ძალნატანი ხალისით)

კალესთან შეხვედრა?..

ვამებ. (მწარე ირონიით)

შე-ხვე-დრა...

ელო. (ვითომ გაკვირვებით)

მერე რა?

ვამებ. (ნელი რისხვით)

ჩემი სისხლი ავია..

ელო. (თილისმით)

იყოს, ავი სისხლი უფრო ცხელია...

ვამებ. (მრისხანედ)

ნუ თვალმაქცობ...

ელო. (შეშინებული)

შეიბევიით შეეხედი .. მე შენ გეძებდი...

ვამებ. (ცხარე ღიმილით)

შემ.. თხვე...ვით შეხ...ვდი...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- მე მე...დებ...დი...
- ელო. (გაფითრებული)
დიხ. შენ...
- ვამეხ. ნუ ხარ უტიფარი!..
ყველაფერი ვიცი...
- ელო. (თილისნით)
არაფერიც არ იცი...
- ვამეხ. (იროსნით)
მართლა?..
- ელო. (მომარჯვებული ხმით)
ჰა, შე ბუტიავ, შენა... არ გრცხვენიაწ?..
- ვამეხ. (მრისხანედ)
შენ უნდა გრცხვენოდეს...
- ელო. (ოდენი ღიმილით)
გვკობ?..
- ვამეხ. (მკაცრად)
მე ყველაფერი გავიგონე...
- ელო. (თილისნით)
მეც ეგ მინდოდა...
- ვამეხ. (გაოცებული. თან—შემართებით.)
როგორ?
- ელო. (ხმას არბილებს)
მინდოდა მეცადა...
- ვამეხ. (კიდევ უფრო გაოცებული)
რა გინდოდა გეცადა?..
- ელო. (ღიმილით)
შე...ნი გუ...ლი...
- ვამეხ. (აბნეული)
არ მესმის...
- ელო. (ღიმილს აღერსს აწვეთებს)
შენ გაცული ვინმეზე..
- ვამეხ. (გაოცებული. თან ოდნავ მოშალი.)
მაშ... შენ...
- ელო. (გადაჭრით)
კალეს ვატყუებდი...
- ვამეხ. (გაორებული)
რისთვის?..
- ელო. (მეტი სიმარჯვით)
მსურდა მეცადა შენი გული...
- ვამეხ. (რისხვით)
სტყუი საძაგელო!..
- ელო. (ისიც რისხვით)



- ესტყუი?.. ჰა-ჰა-ჰა...
 ვამეხ. (მეტი რისხვით)
 გაგსრესაე...
 ელო. (სიცილით)
 ჰოო, როგორ გიყვარვარ!..
 გაიმეორე კიდევ: „გაგსრესაე“...
 ვამეხ. ჭამსრესაე არა?.. სიყვარულით გამსრესაე...
 (მთლად გარტყბული)
 მაკდურო... მაკდურო...
 (პაუზა ორი წამი. უკანა მხრით მოისმის მუსიკა. ელო ახალისდება.
 ყურს უგდებს მუსიკას. სურს წავიდეს.)
 ვამეხ. ეხლა საით?..
 ელო. იქითკენ...
 ვამეხ. ნუ იცეკვებ?...
 ელო. რატომ?..
 ვამეხ. მე ვთხოვ...
 ელო. შენთან ვიცეკვებ...
 ვამეხ. ილა, დაგავიწყდა, ჩემი ძმა!..
 ჯერ ათი დღეც არ გასულა...
 ელო. ჰაა, მესმის...
 ვამეხ. მაშ არ იცეკვებ?..
 ელო. რომ გადავცდებ?..
 ვამეხ. როგორ?..
 ელო. ისე... ხანდახან არ გინდა ცეკვა, მაგრამ ცეკვავ...
 ვამეხ. ძალას ზომ არ დავატანებენ?..
 ელო. არა... არ ვიცი, როგორ ვითბრა...
 ცეკვა არ გინდა... მაგრამ ტანს უნდა...
 ვამეხ. ეხლაც თაღლითობ?..
 ელო. კიდევ იქვიანობ?..
 ვამეხ. ტანი უნდა შეაკავო...
 ელო. ტანი შევაკავო?.. ოპ, ოპ, ოპ, ოპ...
 ვამეხ. მაშ არ იცეკვებ?..
 ელო. (თილისშიანი ღიმილით)
 არც კალესთან?..
 ვამეხ. (გაბრაზებით)
 სწორეთ მასთან არა...
 ელო. (სიცილით)
 არ ვიცეკვებ, არ ვიცეკვებ...
 (გარბის კისკისით)
 (ვამეხ თავს ღუნავს გაქვავებული)
 (პაუზა სამი წამი. შემოდის კოსტა.)
 კოსტა. რას დაღვრედილხარ ვამეხ?..



- ვაშეხ. ისე... ფიქრებზა წამილო...
- კოსტა. რა დაგემართა?...
 ვაშეხ. არაფერი...
- კოსტა. არაფერი?... ველარ გცნობილოზ ბოლო ხანს...
 (უკანა მზრიდან)
- ბზა 1. მალალი დელია, მალალი დელია!..
 ბზა 2. აბა წემოვძაზოთ!..
 (მღერიან „მალალ დელიას“. კოსტა და ვაშეხ უსმენენ. თავდება სიმ-
 ლერია.)
- ვაშეხ. ველარ მცნობილოზ?...
 კოსტა. დიახ...
- ვაშეხ. როგორ?...
 კოსტა. მგელს ჰგავხარ...
- ვაშეხ. ???
 კოსტა. არ გეწყინოს... მგელი მაგარი ნადირია...
- ვაშეხ. ???
 კოსტა. მგელს გავხარ მოშინაურებულს...
 ვაშეხ. ???
 კოსტა. ხედავ: მოთვინიერებულია...
 ხანდახან კიდევ გელაქუცება... ხელს მილოკავს...
- ვაშეხ. ???
 კოსტა. არ გეწყინოს... ამ სიტყვებს ხშირად ვზმარობთ,
 როცა ცხოველებზე ვლაპარაკობთ...
 ჰო და: გელაქუცება, ხელს გილოკავს...
 მაგრამ უეკრად აიშრიზება, აიძავრება,—
 და ფრთბილად უნდა იყო, რომ არ გიკბინოს...
- ვაშეხ. ???
 კოსტა. არაა მართალი?...
 ვაშეხ. შესაძლოა...
- კოსტა. მერე, ვანა შენ ჩვენი არა ხარ?...
 ვაშეხ. ცოტას ვმუშაობ თუ?...
 კოსტა. მუშაობით ბევრს მუშაობ,
 მაგრამ გული არ მიგდის საქმესთან...
- ვაშეხ. გული სვია...
 კოსტა. სწორეთ გულია თავი და თავი...
 ვაშეხ. (სღუმს)
- კოსტა. რათ არ გერჩის გული ჩვენ საერთო საქმეში?...
 ვაშეხ. არ ვიცი... მე თვითონ ვერ გამირკვევია...
- კოსტა. ვერ გიტაცებს საერთო მიზანი თუ?...
 ვაშეხ. მიტაცებს, მაგრამ...
 კოსტა. მაგრამ რა?...
 ვაშეხ. ტყუილს ვერ გიტყვი, მგლობარი ხარ:



- ვერ ვეგუფები ამ საერთო ნებას...
 კოსტა. მიკერის... შენი გვარი ხომ მთებშიდანაა?..
 ვამეხ. მერე?..
 კოსტა. იქ თემი იყო... ნაშთი ეხლაც არის...
 ვამეხ. ???
 კოსტა. თემმა კი ერთი ნება იცოდა...
 ვამეხ. თემი დაიშო... კარგია, რომ დაიშო...
 კოსტა. დაუდგარი ხარ ჩვეა უდგასავით.
 ვამეხ. (იციინს)
 და გინდათ ისე დამიუროთ, როგორც უდგვა?..
 კოსტა. რატომაც არა?..
 ვამეხ. ძნელი საქმეა...
 ელსმენი. (გაისმის ელსმენის წყარონი)
 კოსტა. ვინაა?.. ჰო... ძელები?.. გადაუყრიათ?..
 ვის?.. სადა?.. ჰო... კარგი...
 ვამეხ. რა ამბავია?..
 კოსტა. აი კიდე: გაუგებრობა...
 ვილაკებებს ძელები გადაუყრიათ უდგავში...
 ვამეხ. ვის გადაუყრია?..
 კოსტა. იქვე აქვთ მეტივეებზე...
 ვამეხ. ჰოო, გახელებული არიან ალბად,
 რომ არხის შენებისას ტივები ვეღარ გააქვთ...
 კოსტა. ცხვირის იჭით ვერ იხელებიან...
 ეჰ, რამდენი შრომაა კიდე საჭირო, რამდენი ჯაფა,
 რომ სიბნელეში შეგნება შეიტანო?!
 ვამეხ. მართალია ..
 კოსტა. ეხლა გზას უნდა გაუდგე...
 უნდა გავეშურო... არხს არაფერი დაუშავდეს...
 ზომებია საჭირო ზერგების ასაცილებლად...
 (მიდის)
 ვამეხ. (ადის მალომზე მარცხნით, უკანა მხრის ახლო)
 (მუშები აბამენ ფერბულს. ცეკვავენ „ხორუმს“ ხელჩართულნი. საკრავები—იარაღები: ზერხი, ფიცარი, ჩაჭენი, რკინის ფურცელი, დაზვა და სხვა. „ხორუმი“ იმორგება. მღერიან თანვე. ერთი რიტმი—ცეცლაში. ერთი ნება. ერთი ხალისი.)
 ვამეხ. (უცქერს შორიანხო. იქვე ქალებიცაა. ვამეხს ვერ ამზნევენ.)
 („ხორუმი“ გრძელდება)
 (უკანა მხრით შემოდინ ბიჭია და რევაზ. ბიჭიას ძველი ხმალი აქვს ხელში. „ხორუმის“ მოცეკვავენი დაინახავენ თუ არა რევაზს, წერდებიან: ალბად ილას ხსოვისათვის.)
 ხმა 1. რევაზ მოდის...
 ხმა 2. შეეწყვიტოთ ცეკვა!..



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

- რევაზ. (წყვეტენ ფერხულს)
განაგრძეთ, ბიჭებო, განაგრძეთ...
იცეკვეთ, იხალისეთ, იგეგეთ სიცოცხლე...
ნეტავ ეხლა თქვენში ვხედავდეთ ჩემს ილას...
ჰეე, როგორ იხალისებდა...
განაგრძეთ, განაგრძეთ...
(„ხორუმი“ შენელებით გრძელდება: ისმის ხმაჩაკმენდილი სიმღერა.
რევაზ და ბიჭია წინამხარისაკენ მოდიან.)
- ბიჭია. ბედი შაქვს, რევაზ, ბედი:
ასეთი ხმალი რო ვნახე ამ ნათხარებში...
- ხმა 1. (ფერხულიდან)
ალბად ცხინკვაძეების დანატოვარია...
- ხმა 2. ხმალი მათ ნაქები ჰქონდათ... ჰა-ჰა-ჰა...
(იციინიან)
- ბიჭია. რას იციინით?... რკინა ხორასანისაა...
ერთი ჩევიდე ქალაქში...
იკოცხლე: მუშტრებს თვალი დავუთხარო...
- რევაზ. რაფა, გაპყიდი თუ?..
- ბიჭია. აბა, ეხლა კედელზე დაეკიდებ...
ნახეს რაღა ბრიყვი ბიჭია...
მოვლენ ყმაწვილო და აგაფცქვნიან:
მეტყვიან—მუხეუმს შემოსწირეთ... ისე რომ...
არ კი წამომცდეს...
(იციინის)
- ხმა 1. (ფერხულიდან)
ეგებ ცხინკვაძეების ლერბიკია მა ხმალზე?..
(იციინიან)
- ბიჭია. თქვენ იცინეთ და: მე კი
ერთ ათას მანეთს ჰე ავცქნაფავ...
(რევაზ და ბიჭია გადიან მარცხნით)
(შეფების სენა)
- გივა. ამხანაგებო, შეფი მოვიდა, ჩენი შეფი.
- მასსა. ვაშა...
- კოსტა. ამხანაგებო, თქვენი სახელით ნება მომეცით მივესალმო ჩენს სახე-
ლოვან შეფს.
- მუშებში. ვაშა...
- ვანიკო. ამხანაგებო, მუშებო და გლეხებო, მეც, ნება მიბოძეთ თქვენი საშე-
ფო საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების სახელით გისურ-
ვთ გამარჯვება ასეთი დიდი საქმის წარმატებით მშენებლობაში.
სამეურნეო ტენიკუმის გახსნის თხოვნა მთავრობის მიერ დაკმაყო-
ფილებულია.
- მუშებში. ვაშა...

- გორგი. ამხანაგებო, დამაყოფილებულია აგრეთვე თქვენი რადიო წრის თხოვნა. ჩვენ ჩამოვიტანეთ თქვენთვის რადიოს სრული მოწყობილობა.
- მუშები. ვაშაა.
- ია. ამასთანავე, ამხანაგებო, თქვენმა საშეფო ორგანიზაციებმა დაგვა-ვალეს გადმოგცეთ მცირე საჩუქარი უდგეაზე მომუშავე მუშებისათვის.
- მუშები. ვაშაა.
- ვანიკო. მთავრობა და თქვენი საშეფო ორგანიზაციები დარწმუნებულნი არიან, ამხანაგებო, უდგეაზე მომუშავენი პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, რაც გამოიხატება, ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო აღორძინების ხელის შეწყობაში, რომლის ერთი უდიდესი ნაწილია უდგეას არხი. გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა ინდუსტრიას, გაუმარჯოს უდგეას არხს.
- მუშები. ვაშააა.
- კოსტა. ამხანაგებო, უდგეას მუშების სახელით უძღვნი გულწრფელ მადლობას ჩვენს მთავრობას და საშეფო ორგანიზაციებს. გადავცით ამხანაგებს, რომ უდგეას მუშები, ინჟინერები, ტექნიკოსები—მტკიცეთ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. გაუმარჯოს ჩვენს კავშირს, გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან შეფს.
- უშები. ვაშაა.
- ნიკო. ებლა წამობრძანდით არხი დაათვალიერეთ.
- ვანიკო. სიამოვნებით.
- მუშები. ვაშაა...
- („ხორუმი“ ჩაღდება. კალეც ფერხულშია. საერთო ცეკვაში თავს კარგად ვერ გრძნობს. ჭეცრად ელოს თვალს მოჰკრავს ქალებში. აინთება.)
- კალე. ეს რა ცეკვაა, აბა მითხარით!.. თითქო დაბეგვილები ფეხზე ააყენესო!.. (ფერხული წყდება. ჩოჩქოლი.)
- ხმები. რა ამბავია? ყოველთვის რომ გვიშლი!..
- კალე. (ატეხილი) დაუკათ მთიულური!.. ცეკვა ესაა!..
- ხმები. დაუკათ, დაუკათ!.. (უკრავენ მთიულურს)
- კალე. (მოწყდება და ჰკრავს კამირას. ცეკვავს სიშნავით.)
- ხმები. ქალიც გაჭყვეს რაღა!..
- ხმა. ელოც აქ არის... მაგასავით ვინ იცეკვებს?..
- ელო. (თავს ნაბავს, იწურება. გაღმა ვამებს შეხედავს. ვამებიც მას უცქერს. ნათ შერას სხეები ვერ აჩინებენ.)
- ხმები. აბა, ელო!..
- გადადი ელო!..
- ჩამოუარე ელო!..

- ელო. (იღწევა. უყურებს ვამებს. ვამებ დგას უძრავად. კალე რატუს ამ-
მაგებს. უახლოვდება ელოს. იწვევს.)
- ხმები. აბა ელო!..
გაეარდი ელო!..
შენებურად ელო!..
- ელო. (თითქო რალაკამ წაიღოვო: მოწყდება ადგილიდან და ერთვის ცეკ-
ვას. საერთო ახალისებაა.)
- ხმები. ცეკვა ეს არის... თამაში ეს არის...
ვამეხ. (დგას გარინდული. ეტყობა: სიშმაგე ეპარება. ცეკვა გრძელდება.)
ხმები. ცეკვა ესაა... თამაში ესაა...
ვამეხ. ცეკვას მე გიჩვენებთ! ეს რაა?..
(მოსწყდება ადგილიდან და შეიჭრება ცეკვის რკალში)
- ელო. (ჩერდება მწყრალი. განზე მიდის.)
კალე. (ჩერდება მწყრალი. განზე დგება.)
ხმები. რაა, ვამეხ, კაცს რო არ აცლი არაფერს!..
ვამეხ. ცეკვას მე გიჩვენებთ... ეს რაა?..
(მიმართავს დამკვრელებს)
დაუკათ მეორე: მე რო „ცეცხლანას“ ვეძახი!..
- ხმები. დაუკათ, დაუკათ!..
(დამკვრელები უკრავენ)
- ვამეხ. (შხადაა საცეკვაოდ)
- ხმები. ქალიცაა საჭირო... ქალი, ქალი...
ხმა. აბა ელო...
ვამეხ. ქალი—არა... კაცი... ვაჟი...
ხმები. მაშ ისევ კალე... კალე გადადი...
ვამეხ. მხოლოდ—ხანჯლით...
ხმები. ხანჯალს აქ რა უნდა?..
ვამეხ. წალდი იყოს... სულ ერთია...
ხმები. აბა წალდები...
(შოაქეთ ორი წალდი. ერთს ვამებს აწოდებენ. მეორეს—კალეს. კა-
ლეც გადის საცეკვაოდ.)
- ვამეხ. გაახურეთ საკრავები!..
ხმები. გაახურეთ, გაახურეთ!..
ხმა. თამაში აბა ეხლა იქნება!..
(ცეკვავენ. თვითუღს მათგანს წალდი ისე უჭირავს, თითქო იგი
ხანჯალია. ერთი-მეორისაკენ იწვევენ. ვამებ თანდათან გიკვება: თი-
თქო თავსესხმის კალეს. კალე უცხოობს: უკან იხევს ხოლმე).
- ელო. (გააფთრებულია)
- ვამეხ. (თითქო ხუმრობით—კალეს)
უკან რას იხევი?..
აი ასე უნდა...
(თითქო მართლა შეუტევს)

ვ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.
გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

მეოთხე მოქმედება

სცენა იგვევ, რაც შესაშვში: ცოტა უფრო ახლო ხარაზიქვან,



- ელსმენი. (ისმის წყარუნი)
(არაფინ სჩანს)
- ელსმენი. (წყარუნი მატულობს)
(არაფინ სჩანს)
- ელსმენი. (წყარუნი მატულობს. წყარუნი ნერვიულობაი)
- კოსტა. (ჩნდება რბენით. მიდის ელსმენთან.)
ჰიდრომზომიევი სადგური?... რა ამბავია?... ახლავე...
(იხედება მარცხნით. დაინახავს ლექსოს.)
- კოსტა. ლექსო, ნიკოს დაუძახე... ჰიდრომზომიევიდან იხმობენ...
ლექსო. ამ წამში...
(გარბის)
- კოსტა. (დგას შორიანლო ელსმენთან)
ნუ თუ კიდევ უნდა მოგვადგეს წყალდიდობა?...
დავიტანჯეთ... აღარ არის მეტი ძალა...
(მორბის ნიკო. მივარდება ელსმენს.)
- ნიკო. რა ამბავია?... მთებში ნიაღვარია?..
ღელეები ადიდებულან?... ახლო იქნება?... კარგი...
(ჰკიდებს ელსმენის ტარს)
- ნიკო. აბა, კოსტა! მუშებს დაუძახეთ!
- კოსტა. რა ამბავია?
- ნიკო. მთებში დიდი წვიმა მოსულა...
ღელეები ადიდებულან... გვიანობედებიან...
აბა მარჯვედ... ამასაც გადავიტანთ...
- კოსტა. ეხლავე მოვიხმობ...
(გარბის)
- ნიკო. რომ არაფერი ეშველა?...
ეს ათი დღეა განუწყვეტელი წვიმებია...
(პაუზა სამი წამი)
(მორბიან მუშები. სახეებზე: შიში...)
- ყველა. მზადა ვართ... დავრახმდეთ ..
- ნიკო. თავიდათავი დროებითი ზღუდარებია:
ერთი კაშხალზე თვითონ და მეორე არხის ყელში...
ვეცადოთ: ხერგმა არ გაარღვიოს...
- კოსტა. როგორც ამას წინად...
- ნიკო. დიახ... როგორც ამას წინად...
საჭიროა ორი რივი გამოვყოთ—
ერთი კაშხალის ზღუდარისთვის
და მეორე არხის ზღუდარისთვის...
ხელმძღვანელობა: გიგას და თადის...



- გ ი გ ა. მზადა ვართ...
 თ ა დ ი ა. მზადა ვართ...
 (მუშეზიდან გამოდის ორი ჯგუფი)
- ნ ი კ ო. წაილეთ კავეები... გრძელი კავეები...
 გ ი გ ა. იქნება...
 თ ა დ ი ა. იქნება...
 (გამოყოფილი ჯგუფები ნიდიან გიგასა და თადიას მეთაურობით)
 (პაუზა ორი წამი. შემოდის სანდრო.)
- ს ა ნ დ რ ო. კიდევ წყალიდობა?..
 ყ ვ ე ლ ა. კიდევ წყალიდობა, კიდევ უბედურება...
 ს ა ნ დ რ ო. მაგრად: ძარღვი არ შეგვიშინდეთ...
 ამასაც გადავურბებით...
 ლ ე კ ს ო. ჩვენ კი გავწყდით წელში და...
 ს ა ნ დ რ ო. ბუნებასთან ბრძოლა ძნელია...
 „უღეგა“ დაუდგარი... ურჩია... თავისნება...
 მაგრამ არაფერი: ისე დავიტყუებთ—
 როგორც ველურ თაშატს.
- კ ო ს ტ ა. დავიტყუებთ, შარა:
 ამდენი ძალა, ამდენი ხარჯი...
 ნ ი კ ო. გაზაფხულამდე უნდა მოგვესწრო...
 რ ე ვ ა ზ. მერე?
 ს ა ნ დ რ ო. მერე და: ქალაქიდან ფული არ მოგვაწოდეს დროზე...
 კ ა ც ი ა. ასე იციან ყოველთვის: აგვიანებენ და...
 კ ო ს ტ ა. კარგი... ეხლა მაგას ნუ გამოუდგებით...
 ს ა ნ დ რ ო. (ნიკოს)
 ზღუდარების დასაცავად ხომ მიიღე ზომები?..
 ნ ი კ ო. უკვე გავგზავნე ორი რაზმი...
 (შემოვიარდება ერთი მუშა)
- მ უ შ ა. მდინარე მატულობს...
 (მუშებს შიში ეღებათ)
 (სანდრო მდინარისკენ მიდის, ზვერაეს, ბრუნდება.)
- ს ა ნ დ რ ო. (ნიკოს)
 მარცხენა ფარი რომ ავუშვათ?.. ძროს-ფარი?..
 ნ ი კ ო. ჯერ არ არი, მგონი აუცილებელი...
 ს ა ნ დ რ ო. შემდეგ რომ გვიან იქნეს?..
 ნ ი კ ო. ნუ თუ წინა წყალიდობას გადააკარბებს?..
 ს ა ნ დ რ ო. ყველაფერი მოსალოდნელია...
 (პაუზა ერთი წამი)
- კ ო ს ტ ა. შევეკითხოთ სადგურს...
 (სანდრო მიდის ელსმენთან)
- ს ა ნ დ რ ო. ჰიდრომზომავი!.. როგორაა?.. ძლიერდება?..
 (უწვებს ტელეფონის ტარს)



- რევაზ. რას ამბობენ?..
- სანდრო. მთებში წვიმა მატულობს...
მოსალოდნელია წყლის დიდი მოვარდნა...
- ნიკო. მამ რა გქნათ?..
- სანდრო. უნდა ავეშვათ მარცხენა ფარი...
(ნიკო მიდის. მიჰყავს ორი მუშა.)
- კოსტა. ძირს რომ მუშაობა გვაქვს გამართული?..
- სანდრო. დამატებითი?..
- კოსტა. დიხხ, დამატებითი...
- რევაზ. წყალი ხომ წაიღებს ნაშენს!..
- კაცია. როგორც ამას წინად წაღეკა...
- სანდრო. რა გქნათ? თუ აუცილებელია?..
- კოსტა. ნუ თუ მთავარი სადენი ვერ აიტანს?..
- სანდრო. თუ წყალი ძალზე ადიდდა, სადენი ვერ დაიტევს...
- რევაზ. და მთავარ სამართს მოშლის...
- სანდრო. უთუოდ...
(შენოვარდება ნიკო)
- კოსტა. რა ამბავია?..
- ნიკო. ფარი არ მოქმედობს...
- სანდრო. რას ამბობ?..
(შიში მოიცავს ყველას)
- ნიკო. დაზიანებულია...
(შიში მატულობს)
- სანდრო. როგორ დაზიანებული?..
- ნიკო. როგორ და ისე: მგონი კაცის ხელითაა...
(გაოცება შიშნარევი)
- კოსტა. რას ამბობთ?..
- სანდრო. (ნიკოს)
ებლავ გამოარკვიე... ზეინკლები წაიყვანე...
(ნიკო მირბის. მიჰყავს ორი ზეინკალი.)
(პაუზა ოთხი წამი. ვერაინ ხმას ვერ იღებს.)
- კოსტა. ნათქვამია: ციხე შიგნიდან ტყდებაო...
- რევაზ. ჩვენ ციხეს რა ვასტეხს?..
- კაცია. რა ვასტეხს და: შური, ანზლობა, თავვერძოება...
(პაუზა)
- ვამეხ. ქარაგმებით ლაპარაკს თავი დაანებე...
- კაცია. რად დავანებო?.. არ ანზლობ თუ?..
- ვამეხ. ვანზლობ თუ არა—ზიანთან რა აქვს საერთო ამას?..
- კაცია. ციხის სიმაგრისათვის ყველაფერს აქვს მნიშვნელობა.
- კალე. საიარალოსაც ამსხერვეს...
- ვამეხ. ვინ ამსხერვეს?..
- კალე. ვინ და შენ...
(შემორბის ნიკო)



სანდრო. რა გამოარკვეე?...
 ნიკო. ფარს ხრახნი აქვს მომჭერალი, შტანგთან შემკვრელი...
 კოსტა. მართლაც კაცის ხელისგან ყოფილა გაფუჭებული?
 ხმები. ვაი სირცხვილო!..
 რევაზ. აბა სხვა რამე როგორ მოიქმედდა ამას?..
 კოსტა. ციხე შიგნიდან ტყდება...
 სანდრო. მაგას შერეე გამოვარკვეეთ...
 ეხლა კი შეველა უნდა საქმეს... ამ წამსვე...
 აბა ნიკო: აბალი ხრახნი მოაგე... ეხლავე...
 (ნიკო გარბის)
 ვამეხ. (იმეორებს კალეს მიმართ კითხვას)
 ვინ ამხებრებს საიარალოს?..
 კალე. ვინა და შენ...
 კაცია. (ვამეხზე) სულ ჩხუბობს... სულ შფოთობს...
 ვამეხ. იჩხუბებ, იშფოთებ, აბა რა იქნება—
 ამას რომ გადაეყრები?..
 (უთითებს კალეზე)
 ელო. დღეს ფილითაც იშფოთე, არა?..
 ვამეხ. ხმა გაკმინდე, შე...
 კოსტა. სად იშფოთა?..
 კალე. სად და—სწორეთ ძროს-ფართან...
 კოსტა. (ვამეხს)
 რას აკეთებდი იქ?..
 ვამეხ. ხრახნს ვუსინჯავდი ფარს...
 ნიკომ დამაწავლა...
 (გაოცება ოდენ)
 კოსტა. მერე?.. ჩხუბი რა საქირო იყო?..
 ვამეხ. (უთითებს კალეზე)
 სიცილი დამაყარა... როგორც ყოველთვის...
 კალე. (უთითებს ვამეხზე)
 მაგას ყველაფერი ელანდება...
 ვამეხ. მე გაჩვენებ შენ მოლანდებას!..
 კალე. აი ხომ ხედავთ...
 კოსტა. დამშვიდდით...
 კაცია. რა მზახდა მერე?..
 კალე. შემომიტია გიჟივით...
 ხელში მრგვალი რკინა ეჭირა...
 ლექსო. ეგებ ხრახნი...
 კალე. არ ვიცი...
 კაცია. მერე?
 კალე. მე პირი ვიბრუნე... რკინა ძირს დაანარცხა...
 ვამეხ. შენთვის დამენარცხებია, უკეთესი იყო...





სანდრო. დამწეიდლი ვამებ!..

კალე. ასეა: თუ გახელდა, ყველაფერს ამსხვრევს...

ვამებ. რა დაეამსხვრიე?..

კალე. რა და—სახერხე...
 ვამებ. ჰააა, შენ რომ დამემსხვრიე, უკეთესი იყო...

კოსტა. დამწეიდლი კაკო!..

კალე. აგრე უნდა გადარჩენისათვის!..

(შემორბის ჯგუფი ქალების. მათ შორის—ესმა.)

ესმა. წყალი მატულობს. ხრიალი მატულობს...

სანდრო. სიმწეიდლე!..

(პაუზა ერთი წამი)

ვამებ. მაშ მე მდობთ ბრალსა?..

კაცია. ბრალს გდებენ ანჩლობაში და თაენებობაში...

ვამებ. მერე რა აქვს საერთო ამას დაზიანებასთან?..

კოსტა. შენებაში ყოველი ბიჭი მნიშვნელოვანია...

ლექსო. (ვამებს).

მაშ რას იქადოდო?.. რას გვემუქრებოდო?..

ვამებ. როდის?.. რას რომაე?..

ლექსო. გუშინწინ რო გავარდი აქედან, რას იძახოდო?..

ვამებ. რას ვიძახოდო?..

ლექსო. „მაცალეთ—მაცალეთო“...

(ღუმილი, გაოცება.)

ვამებ. გაშმაგებული კაცი რას არ იტყვის?..

კაცია. დიახ, გაშმაგებული კაცი რას არ იზამს?..

(კიდევ ღუმილი. ჩოჩქოლი.)

რევაზ. დამწეიდლით, დამწეიდლით, ბიჭებო...

ის, რაც ჩვენ დაგვემართა, მხეციც არ ჩაიდენს...

მტრობა ყოფილა—მაგრამ მითხარით:

გაუგონია ვინმეს თუ არა

რომ მტერს ვინმესთვის ვაზი აეკრას ძირზე?..

ხმები. არა, არავის არ გაუგონია...

რევაზ. და ეს გაუგონარი დაგვემართა სწორედ...

არხის დაზიანება, არხის გაფუჭება.

ჩენი სისხლის, ჩენი ფულის, ჩენი ძარღვის, ჩენი მკლავის—

წირყვნა, წაბილწვა, დაშხამვა...

ამას იჭრით განა წაეა კაცის გამრუდება და წახდენა?..

ხმები. მართალია... მართალია...

რევაზ. თქვენ იცით, ბიჭებო:

ერთი ჩემი ვაჟი ამ არხს შეეწირა...

ხმა. საწყალი ილო...

რევაზ. როგორ დაევიჯრო: მეორე ვაჟს არხისთვის ელაღატოს?...

ხმა. რა დისაჯერებელია?..



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

- რევაზ. ჩვენ, გუდიაურები, მთის შვილები ვართ...
მთამ არ იცის ხანჯალი ზურგს უკან...
- ხმები. ვის გაუგონია!..
- რევაზ. მაგრამ მთამ იცის ერთი რამ:
როცა მისი შვილი თემს გადაუხვევს, მთელს,
მაშინ მას თავის ტანიდან ამოაგდებს მთა—
როგორც ზღმორდლს ხარის კანიდან...
- ხმები. მართალია... მართალია...
- რევაზ. და თუ მოხდა დაუჯერებელი,
თუ ჩემმა ძემ არხს უღალატა, ჩვენ სისხლსა და ხორცს,
რომელიც ჩვენთვის იგივე მთელია, რაც მთისათვის თემი,—
მაშინ იცოდეთ: მე, რევაზ მამა,
ამ დამპალ ნაწილს ამოვიგლეჯ, როგორც ძირშავარას,
და მიწაზე დავეანთხევე, გივხვავ...
- ხმები. გვეჯერა, გვეჯერა...
- რევაზ. მაშ, რაა ასეთი ბრალდება?..
- კოსტა. ეს მხოლოდ იქვია...
იქვი ვის არ დაედება?...
და მერე ასეთ საქმეში?..
საცა ბეწვზე ჰკიდია ყველაფერი...
- სანდრო. არც აბრალებენ მაგას...
მხოლოდ სახერხზე იყო ლაპარაკი...
- ვამეხ. სახერხზე?..
- კაციო. დიახ...
- ლექსო. (ვამეხს) ხომ დაამსხვრიე?.. (სხვებს) ჰკითხეთ აი ამას...
(უთითებს ერთ მუშაზე)
- მუშა. დანამდვილებით ვერ ვიტყვი...
ვამეხ მუშაობდა ზემოდ: ძელს ეზიდებოდა...
მე ქვეშ ვიყავი, ვმუშაობდი...
უეცრად ხმაური მომესმა: მსხვრევა...
თანვე შეძახებაც: შენც ჯანდაბანო...
- კოსტა. (ვამეხს)
მართალია?..
- ვამეხ. მართალია!..
(გაოცება)
- კალე. და მერე: რისთვის?.. გადარჩენისათვის...
- კოსტა. (კალეს) რა გადარჩენისათვის?.. თქვი ვარკვეული...
კალე. ძელს ეძიდებოდა... ძალა აღარ იყო...
ძელი უნდა დასცემოდა... მეც მივეშველე...
- კოსტა. (ვამეხს)
ასე იყო?..
- ვამეხ. დიახ, ასე იყო...
(დუმილი, გაოცება, რევაზ ბრაზდება.)



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

- კაცია. ეხლა ხომ ზედავით?..
ვამეხ. მეც ვზედავით... მაგრამ შენ ამას ვერ ზედავით...
კოსტა. რას?...
ვამეხ. აი რას!.. შოთხმინეთ, დამშვიდდით...
ვოქვით, რომელიმე თქვენგანი მუშაობს... ხორაზოზე...
ქვემოდა კი მისი დანიშნული უჩინრად, მალულად,
სიყვარულს ეფიცება თავის კუროს...
ხმები. ჰაია...
ვამეხ. ეს კიდევ ცოტაა: კუროც ეაღერსება მას...
ანდრო. კაი ადგილი მოუხაბავით...
ვამეხ. მე გეკითხებით: ვინ არ გამხეცდება ამ წამს?..
იყავით ერთი წუთით ადამიანები, სისხლით და ხორკით...
მე გეკითხებით: ვინ არ გამხეცდება ამ წამს?..
ლექსო. საიარალო რა შუაშია?..
კაცია. კურომ ხომ გადავარჩინა?..
ვამეხ. რომ არ გადავარჩინე, უკეთესი იყო...
კოსტა. როგორ?..
ვამეხ. ჯავრი უნდა იმოწყარა... ამ დროს კი—მეხმარება...
მოვარდნილი რისხვა სახერხს დაენათხიე...
ხმები. ეხლა გვესმის...
ანდრო. კურო ვინ იყო?..
ვამეხ. ეს ვაებატონი...
(უჩვენებს კალეზე)
ხმები. ჰაია...
კალე. მერე რაააო... სიყვარული დაშლილია თუ...
ვამეხ. სიყვარული არაა დაშლილი, მაგრამ დაშლილია იმ რა...
კალე. რა?..
ვამეხ. ფიცი სიყვარულში, ფიცი საზიანო...
კალე. ქარავმებით ნუ ლაპარაკობ...
ვამეხ. მაშ უქარავმობ...
კალე ელოს ეფიცებოდა არხის გახსნას...
იციტ როდისთვის?..
ხმები. როდისთვის, როდისთვის?..
ვამეხ. ელენობის დღისათვის...
ხმები. მერე?..
ვამეხ. ჰენ ვაპირებთ გახსნას პირველი მისისათვის...
ხმები. მერე?..
ვამეხ. ელენობა 21 მისსაა...
ანდრო. ასე რომ...
ვამეხ. ვისაც სურს, არხი არ მოესწროს პირველ მისისათვის...
კოსტა. ის მოიქმედებდა ამას, არა?..



ვაშეხ. რაც გინდათ, ის დასკვნით...
 (კალე ცახცახებს)
 (უეცრად ელო გამოვარდება)
 ელო. ტყუილია, ტყუილია, ტყუილია...
 (გამოხტება ესმა)
 ესმა. თუ ტყუილია, რას ტრაბახობდი?...
 ხმები. რას ტრაბახობდა?...
 ესმა. ელენობას გაიხსნებაო... ჩენთვისო...
 ელო. მე ვიტყუე... კალეს არა უთქვამს რა...
 კალე. ნუ სტყუი, ელო...
 (ელო გაოცებულია. კიდევ უფრო სხვები.)
 ანდრო. ვაშ მართალია?...
 კალე. ქალთან რაღაც წამომცდა—
 განა საქნაოა ეს ასეთი ბრალდებისათვის?..
 ვაშეხ. წამოსცდა... ჰა-ჰა-ჰა-ჰა...
 წამოგცდა კი არა—ეფიცებოდი...
 ანდრო. და მერე სად?... ხარაზოსთან, ჩენი შრომის სამართან!..
 კალე. თუ გინდ, ეგრე იყოს...
 ხმები. ოხოო...
 რევაზ. არ მჯერა, არ მჯერა...
 ანდრო. შენ არაფერი გჯერა...
 რევაზ. ჯიეელი რაცხას ქალთან წამოროშავს,
 შემდეგ თვითონაც არ ახსოვს...
 ეს რა მოსატანია აჰ...
 კოსტა. როცა არხის ბედი ბეწვზეა,
 ყველაფერი მოსატანია...
 რევაზ. კალეს ვიცი: მზნე მუშაა, მარჯვე, გამტანი...
 კალე. მშებო! თქვენ იცით ყველამ—
 ჩენი მკლავი შეზრდილია—ხეს და რკინას:
 კდელულია მათთან, შეზავებულია მათთან...
 და განა შეეძლო ამ მკლავს
 ჩენი ნაოფლარისათვის, ჩენი ნაკეთისათვის,
 ზიანი მიეყენებია რაიმე?..
 უმალ ასეთ მკლავს მოვიკრიდი...
 ანდრო. და მაინც...
 რევაზ. რა მაინც?... ნუ იცი დაეინება...
 ეთქვათ, ეფიცებოდა—ელენობისათვისო,—
 მაგრამ ზიანს თუ მიაყენებდა,
 რა ნაირად გამოიანგარიშებდა, რომ უთუოდ
 იმ დღისათვის ინჭებოდა არხი ვახსნილი?..
 კაცია. მართალია...
 ლექსო. კალე ინყენერი ხომ არაა?..

რევაზ. ჯგელი ქალთან რაღაცას წამოროშავს,
 ამას უნდა ათხოვო ყური?...
 ჯერ საქმეს ეუშელოთ, საქმეს...
 შემდეგ ყველაფერი გამოირკვევა...

ბმებო. მართალია, მართალი...

(პაუზა სამი წამი, შემორბის ნიკო გაფითრებული)

სანდრო. აუშეით ფარი?

ნიკო. რა აუშევებს?..

სანდრო. რა მოხდა?.. ხრახნი ხომ მოაგეთ?..

ნიკო. ვცადეთ მაგრამ...

კოსტა. რა მაგრამ?..

ნიკო. ფარს უკვე წყალი გადადის თავს...

სანდრო. ჰააააა...

(გბდაქანდება)

კოსტა. რა იყო?..

სანდრო. ეხლა არხის ბედი ბეწვზე ჰკიდია...

ყველა. ჰააააა...

რევაზ. არაა საშეელი?..

ანდრო. თუ წყალმა იმიტა, ძნელია ხსნა... არხის..

რევაზ. მიზეზი?..

სანდრო. მთავარი დენა ამდენ წყალის მასსას ვერ იტანს...

კოსტა. ისე არაა შესაძლოება, ხრახნი მოვაგოთ ფარს?..

სანდრო. არის მაგრამ.. ჯერ ერთი მდინარეს დაეხედო...

წავიღეთ ნიკო... ენაზოთ...

(სანდრო და ნიკო გადიან)

(მდინარის ხელი მატულობს)

რევაზ. (თავისთვის)

უბედურს ალბად უპრალო ხელის-მოქნევა ეგონა...

კაცია. ვის ეგონა?..

რევაზ. ვისა და, ვინც ხრახნი მოაძრო ფარს...

ანდრო. მერე?..

რევაზ. ის კი არ იცოდა საწყალმა,

რომ დარტყმევა სასიკვდილო იქნებოდა...

კაცია. ეჰ, შენ ყველაფრის შერბილება იცი...

რევაზ. ამა როგორ დავიჯერო:

კაცმა ასეთი საშინელება ჩაიდინოს...

კოსტა. სულ ერთია „ხელის-მოქნევა“ იყო, თუ სასიკვდილო დანა:

აქ ერთი ბეწვიც საშინელი დანაშაულია...

ყველა. აგრეა, აგრე...

ელსმენი. (ისმის წკრიალი)

კოსტა. (მივირდება ელსმენს)

აა?.. კიდევ მატულობს?.. დიდდება?..

(ჩამოუშვებს ელსმენის ტარს)





- ნიკო. მარცხი ვის არ მოუგია?..
- ლექსო. მარცხი იქნება, აბა რა იქნება,
როცა ხანდახან ზარბოზიანი იწყებ საქმეს...
- ნიკო. თქვენ კი არ გიყვართ „გადაკვრა“, რალა...
- კოსტა. ესეც ცუდია...
- სანდრო. მა რა?..
- კოსტა. მეთაურებს მეტი სიფხიზლე მართებს...
- სანდრო. მეტი ყურადღებაც...
- ნიკო. ყურადღება გვაკლია თუ?..
- კაცია. ყურადღება რო ყოფილიყო, ამასაც შეამჩნევდით...
- ნიკო. რას შევამჩნევდით?..
- გიგა. რასა და ხრახნის მოძრობას...
- სანდრო. რა ნაირად უნდა შეგვემჩნია?..
ფარის აწევას ჯერჯერობით არ ვსაქიროებდით...
- კაცია. ეხლა ხომ ვსაქიროებთ!..
- სანდრო. ეხლა წყალდიდობაა...
- თადია. სწორეთ ეს უნდა გაგეტკვრიტათ წინ...
- კოსტა. ხომ იცით, ამ დღეებში იცის ხოლმე წყალმა მოვარდნა...
- ნიკო. ასეთ წინასწარ გატვრეტას ვერავინ შესძლებს...
- ლექსო. საქმეც ისაა, უნდა შესძლო...
- სანდრო. ყელაფერის წინგატვრეტა შეუძლებელია...
- ნიკო. მერე ასეთი წვრილმანის: მომძვრალი ხრახნი...
- კოსტა. ეს წვრილმანია, რო გვლუპავს ეხლა...
(პაუზა)
- სანდრო. გვიყვარს ჩვენ ეს არხი თუ არა?..
გვწამს ჩვენ ეს კეთება, თუ არა...
- რევაზ. გიყვართ... გწამთ...
- ნიკო. მაშ რალაა ეს იქებები?..
- სანდრო. შესაძლოა სხვაგან მართლაც იყოს მოლაღატე,
მაგრამ აქ, უდევას არხზე, ეს დაუშვებელია...
- კოსტა. მეც ვიცი, გიყვართ არხი, გწამთ მისი კეთება...
მაგრამ ერთი კითხვა მხოლოდ...
- სანდრო. რომელი?..
- კოსტა. გწამთ თუ არა ის დიდი საქმე,
კომუნისტურს რომ ეტყვიან,
რომლის ერთერთი გეზი ეს არხიცაა?..
(პაუზა ერთი წამი)
- სანდრო. შე მართალი კაცი ვარ... ტყუილს ვერ გეტყვი...
არ მწამს... რა გენა, არ მწამს...
- (დღმილი)
- ბმეპი. ოხოოო...
- კოსტა. ეგ არის... ვისაც ეს რწმენა არ აქვს,



- ის ჩვენ საქმეს გულით ვერ გააკეთებს...
 ხმეზი. ვერ გააკეთებს, ვერ გააკეთებს...
 (ყველას ეტყობა ამხედრება)
 ნიკო. არ არის მართალი...
 ჩვენ ოსტატები ვართ... ოსტატს საქმე უყვარს...
 მჭედელი დანას აკეთებს—
 და ხშირად არც იცის, ვინ არის დამკვეთელი...
 მაგრამ აკეთებს გულით, სიყვარულით...
 კოსტა. ეგ ჩვენც ვიცით... მაგრამ აქ სხვა რამაა:
 შესაძლოა აქ დაუდევრობა იყო, ვერ შეამჩნიეთ რამე...
 როცა საერთო საქმის რწმენა არა გაქვს, ეს ადვილი ამბავია...
 ნიკო. მე სიგშირეს არ ეჩივადი.
 მე შუალა კაცი ვარ.
 რაც ძალა შემწვეს, არ ეზოგავ, იცის ღმერთმა.
 რაც არა მაქვს, რა ვქნა.
 ეს არც თქვენ მოგეთხოვებათ.
 (მთელი ამ დიალოგის დროს ვამებს იცვლება: ილვიძებს მუშის ალღო,
 ირკვევა კლასის ინსტიქტი.)
 რევაზ. დაფანებოთ ბკობას თავი...
 დაფანებოთ იქვეებს თავი...
 ნუ თუ საშველი არაა...
 კოსტა. ჰკითხე სანდროს.
 სანდრო. ხსნა ეხლა მხოლოდ მიღზეა.
 წყალი თანდათან მატულობს.
 თუ აწი ერთი შტკაველი მეტი არ იმატა...
 (ბიკი შემოვარდება)
 ბიკი. ერთი გოჯი იმატა კიდევ...
 (მასსაში შიში)
 რევაზ. თუ მეტი არ იმატა?
 სანდრო. სამაგრი გაუძლებს.
 რევაზ. თუ იმატა?
 სანდრო. არხი დაილუპება...
 ხმეზი. შარშანდელსავეით... ვაი ჩვენ უბედურებას...
 რევაზ. სხვა ხსნა არაა?
 სანდრო. არაა.
 რევაზ. მაინც?
 სანდრო. აბა, როგორ ვითხრა?
 კოსტა. სოჭვი თუ იცი.
 (პაუზა)
 სანდრო. შესაძლოა ვინმემ გასცუროს...
 ხმა. მერე?
 სანდრო. მერე და: ხრახნი მოაგოს ფარს...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ. აქ არა ვართ შერე?

სანდრო. ვართ, მაგრამ...

კოსტა. მაგრამ—რაა?...

სანდრო. ვინც ვასტურავს, ძნელია მისი დაბრუნება.

რევაზ. როგორ?

სანდრო. სამაგრთან დენა საშინელია.

კოსტა. შერე?

სანდრო. მდინარე თან გადაიტანს.

რევაზ. არ არის იმედი?

სანდრო. ას შემთხვევაში ზუთი... მეტი არა...

(საშინელი დუმილი. ყველას სურს რაღაც თქვას—
ვერ ამბობს. უეცრად სიტყვა გაეარდება.)

ბმა. ვინ არის ჩვენში ყველაზე უკეთესი მკურავი?

ვამეხ. (თითქოს ქვის ტანჯისაგან ამოძვრა)
შე ვარ...

ბმეზი. (განცვიფრებით)

ვამეხ, ვამეხ...

რევაზ. შენ ხარ... ვიცი... შერე...

ვამეხ. მე მიედივარ... მომეციო ხრახნი...

(დუმილი საშინელი. ვამეხ მიდის.)

რევაზ. (ჩაკეცილი მოსალოდნელ უბედურებით)

ეს—შეორე შეილი...

ბმა 1. (ჩუმად)

ეს—შესამე მუშა...

ბმა 2. (კიდევ უფრო ჩუმად)

არხის მსხვერპლი...

შესამე ბმა. (კიდევ უფრო ჩუმად)

დალაზეროს ღმერთმა...

ვამეხ. (მიდის კალესთან. ხელს გაუწვდის.)

რა? იყო—იყო...

(მიდის)

მასსა. სსს...

(ვამეხ ნაპირთანაა, ხრახნი უკვე მისცეს. იწყება თვალისდ ევენება.
მასსა ერთი სხეულია. ვანზე დგას ელო: დამნაშავეის სახით. ვანზე
დგას კალე: სახის შეტყველება კაცის, რომელიც მართალია, მაგრამ
რომელიც თავის სიმართლეს ვერ დაამტკიცებს, რევაზ ზის: შეილის
სიკვდილის მოლოდინში. სანდრო და კოსტა წინ სდგანან.)

მასსა. (ხმები ნაცვალ-ნაცვალ.)

1. შესტურა...
2. მარჯვედ მიარღვევს ტალღებს...
3. ე მაგრე, ე მაგრე...
4. მარჯვეთ, მარჯვეთ...
5. ეს რაა, რა დაემართა?...



6. ტალოამ ვადაუარა...
7. ჰაა, ამოძვრა...
8. შიდის, შიარლვეეს...
9. ყოჩალ ვამეხ...
10. იქ ღურღორია...
11. ააა: დიატრიალა...
12. ქვეშ შოიგდო...
13. აპ: ისევე ამოჰყო თავი...
14. ყოჩალ ვამეხ, ყოჩალ...
15. შივიდა სამაგრთან...
(მასსა სუნთქვა ეკვრის, საფრთხე აქაა.)
(მასსა ეხლა გაგუდული ხმით).

1. შიაწია...
2. შედგა...
3. შაგრდება...
4. წყალი აწვეება...
5. ცალ შხარეს იმაგრებს...
6. ყვინაფს...
7. ჩასძირა...
(მასსა გუდდება, ზურჩულით.)
8. რომ აღარა სჩანს...
9. ააა: შგონი, დაიღუბა...
(პაუზა)

10. არა... ამოდის... ამოდის...
11. შგონი გადარჩა... თუ მოაგო ხრახნი?...
(შეუხებელია)
12. გადარჩა, გადარჩა... აღბად მოაგო...
13. შარჯვედ ვამეხ... შარჯვედ...
14. უკან შოდის... სახე უცინის...
15. აღარ უშაფს... აღბად გვიშეელა...

ყ ვ ე ლ ა. (ერთი დიდი სიხარულის ატბორებით)
გადარჩა, გადარჩა, გადარჩა...
ზვენც ვადაგვარჩინა...

რ ე ვ ა ზ. (კრემლებს იწმენდს)

კ ა ლ ე. (კედელსაა მიყრდნობილი. მასაც უნდა იყვიროს „გადარჩა“, შაგრამ რაღაც ხელს უშლის.)

ყ ვ ე ლ ა. ყოჩალ ვამეხ, ყოჩალ.
(გადაეშვებიან. რჩებიან: რევაზ, სანდრო, კოსტა და კალე. ისმის ჭივილ-ზივილი.)
(ღუმელი.)
(მოჰყავთ შხარებზე აყვანილი.)

ყ ვ ე ლ ა. ვაშა ვამეხ! ვაშა ვამეხ!

ს ა ნ დ რ ო. აუშვით ფარი!...
(შარბიან ერთი—ორი.)

ვ ა მ ე ხ. (გაშტერებულია. სიხარული არ ეტყობა. ხელები უკანკალებს.)

ყ ვ ე ლ ა. რევაზ, შეხედე შვილს!..
(ვამეხს ჩამოსხამებს.)

რ ე ვ ა ზ. რა ემართება, შვილო, ხელებს?..

- ვ ა მ ე ხ. (ძლივს იმაგრებს ხელებს. იქით-აქეთ იხედება. თვალს კალენჯ უფრო აჩერებს და სანდროზე და ნიკოზე.)
(დღმძლი. გაოცება.)
(შემორბის ერთი მუშა.)
- მ უ შ ა. ფარი უკვე აუშვეს!..
- ხ მ ე ბ ი. მაშ არა გვიშავს რა!..
(პაუზა ერთი წამი.)
(ისმის წყლის ხუილი.)
- რ ე ვ ა ზ. (იქნეული ვამებს.)
ხელები გიკანკალებს...
- ვ ა მ ე ხ. მართალია...
სიამვემ წამძლია...
მაშინ... რო გავხელდი... ხრახნი მეჭირა...
უნდა მომეგო... დაენარცხე სიბრაზისაგან...
- რ ე ვ ა ზ. მერე?..
- ვ ა მ ე ხ. ვაპირებდი მეორის მოგებას... დამიგვიანდა...
დამიფიწყდა... მერე უეცრად—ეს აშბაეი...
- რ ე ვ ა ზ. მაშ განზრახ არ ჩავიდენია?
- ვ ა მ ე ხ. არა...
- ყ ვ ე ლ ა. (გაფუღული არიან. თან გაბარება, რომ ბოროტი განზრახვა არ ყოფილა.)
- კ ა ლ ე. (სიხარული ენთება სახეზე.)
- ნ ი კ ო. (გაბარებულია: იქვი გაბნეულია.)
- ს ა ნ დ რ ო. (აბალისებულია.)
- კ ო ს ტ ა. ვამებსა სძლია ვამებს...
ეს გამარჯვება ჩვენი ნების გამარჯვებაა...
ჩვენი შრომის... ჩვენი არხის...
ვამებს ჩვენია...
- ხ მ ე ბ ი. ჩვენია, ჩვენია...
- კ ო ს ტ ა. კალეც ჩვენია...
- ნ ი კ ო. მეც თქვენთანა ვარ...
- ს ა ნ დ რ ო. მეც თქვენთანა ვარ...
- ხ მ ე ბ ი. ჩვენთანა ხართ, ჩვენთან...
- ვ ა მ ე ხ. აამუშავეთ ეს ხელები, ძმემო...
ალარ ცახცახობენ...
- ხ მ ე ბ ი. ავამუშავებთ, ავამუშავებთ...
- ს ა ნ დ რ ო. ხარაჩოზე!... ხარაჩოზე!...
- ხ მ ე ბ ი. აბა მირჯვედ, ეხლავ!
- ს ა ნ დ რ ო. იიიარაა... უუღღვააა...
- ხ მ ე ბ ი. იიიარაა... უუღღვააა...
(აღიან ხარაჩოზე. ვამებს და კალე ერთად მიდიან. ძრაობაში მოს-
ხანს, რომ მათ შორის უფსკრული აღარაა. მასაში—ლხინია. რე-
ვაზ ნათელია მარტო. კოსტა—ნება, სანდრო—ძლევა. იწყება მუშა-
ობა. ისე—როგორც პირველი თაღის ბოლოს. შრომის გუგუნო.
გმინვა მანქანების. გრილი რკინის. სიმღერა—ამოქმედებულ ნივ-
თებთან შეხვედრული: გუგუნო „ვა დელი ვა დილას“ უკანასკნელი
ხეულის.)

სადგურის ზედამხედველი

Коллежский регистратор,
почтовой станции диктатор
Вяземский

ვინ არ სწყევლიდა სადგურის ზედამხედველთ, ვინ არ აგინებდა მათ? გან-
რისხების ეამს ვის არ მოუთხოვია მათგან საზღედისწერო წიგნი რომ ჩაეწერა
შიგ თავისი უსარგებლო საჩივარი შევიწროების, უხეში მოპყრობისა და უწყეს-
რიგობის შესახებ? ვინ არ სთელის მათ ადამიანის შთამომავლობის ნაძირალე-
ბად—მსგავსად განსვენებულ სასამართლოს მწერლებისა ან და, ვთქვათ, მურო-
მის ყაჩაღების. ჩვენ მაინც ვიქნეთ სამართლიანი, შევიდეთ მათ მდგომარეობაში
და, ვინ იცის, იქნებ შევძლოთ ვიმსჯელოთ მათზე მეტი თავდაბლობით. რა
არის სადგურის ზედამხედველი? ნამდვილი მარტვილი მეთოთხმეტე კლასის,
რომელსაც მისი ხარისხი იცავს მხოლოდ ცემისგან და ისიც ხანდახან (მივმართავ
ჩემი მკითხველების სინიღისს). როგორია თანამდებობა ამა დიქტატორის, რო-
გორ ეძახის მას ზუმრობით თავადი ვიანემსკი? ხომ ნამდვილი კატორღაა? მო-
სვენება არც დღით, არც ღამით. მთელ გულის ჯაგრს, რაიც გროვდება გრძელ,
მოსაწყენ მოგზაურობის დროს,—მგზავრი იყრის ხოლმე ზედამხედველზე... სადავე-
ლი ამინდია, ცუდი გზაა, თუ ჯიუტი მეეტლეა—ყოველთვის სადგურის ზედამხე-
დველი დაინაშავე. მის ღარიბ ბინაში შესვლისას გამველელი ისე შეჭყურებს მას,
როგორც მტერს; კარგია თუ როგორმე ეღიროსა დაუპატიებელ სტუმრისაგან
ჩქარა განთავისუფლებას; მაგრამ თუ ხელზე არ დაესწრო ცხენები? ღმერთო!
რა მექარას, რა გინებას არ დააყრიან მას თავზე წვიმაში და ტალახში იძუ-
ლებულია ის ირბინოს ვარეთ; ქარბუქში, სუსხიან ყინვების დროს მიდის ის დე-
რეფანში რომ მხოლოდ წუთით დაისვენოს გაანჩხლებული გამველელის ყვირილის
და მუგლუგუნისაგან. მოდის გენერალი:—შემკრთალი ზედამხედველი აძლევს მას
ორ უკანასკნელ „ტროიკა“-ს და მათ რიცხვში მალმობრედს. გენერალი მიდის
ისე, რომ მადლობასაც კი არ ეტყვის. გაივლის კიდევ ხუთი წუთი და—ისე
ხარის წკრილი! და ფელდეგერი გადაუგდებს მას თავის საგზაო უწყებას! ჩაუ-
კვირდეთ ყოველივე ამას არგად და, რისთვის მაგივრად, ჩვენი გული აიფიქბა
გულწრველი თანაგრძნობით. კიდევ ორიოდ სიტყვა: ოცი წლის განმავლობა-
ში ზედამხედველი ვიმოგზაურე რუსეთში ყველა მიმართულებით; თითქმის ყველა სა-
ფოსტო ტრაქტს ვიცნობ: იშვიათად იქნება ზედამხედველი რომ არ ვიცნო-
ბდე სახით, რომ არ მქონებოდა მასთან რაიმე საჭმე. ჩემი საგზაო დაკვირვება-
თა სინტერესო მასალა, მაქვს იმედა, გამოვცე უახლოეს დროში; ჯერჯერობით

კი ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ სადგურის ზედამხედველების წოდება საერთოდ ყალბად აქვთ წარმოდგენილი. ეს ამდენად განკიცხული ზედამხედველები საერთოდ მშვიდობიანი ხალხია, ბუნებით თავაზიანი, გამგონე; ვერაფერს უმოდრეკილება პატივმოყვარეობისადმი და არც ვერცხლის მოყვარულნი არიან. მათი საუბრიდან (რომელსაც მაინც და მაინც არ გაურბიან ბატონი მგზავრები) შეიძლება გამოიტანო ბევრი საყურადღებო და ჰკუის დამრიგებელი. რაც შეეხება მე, უნდა გამოვტყდე, რომ მე მითთან საუბარს მალლა ვუყენებ, ვიდრე, ვოქვათ, მეექვსე კლასის მოხელესთან, რომელიც სახაზინო საქმის გამო მიემგზავრება.

ადვილი გასაგებია, რომ მეც მყავს მეგობრები პატივცემულ ზედამხედველების წოდებიდან და, მართლაც, ერთერთი მათგანის ხსოვნა ჩემთვის მეტად ძვირფასია. გარემოებამ ჩვენ ოდესღაც დაგვახლოვა და, აი, სწორედ ამის შესახებ მინდა გამოვესაუბრო პატივცემულ მკითხველებს.

1816 წელს მაისში მომიხდა გავლა ***—ს გუბერნიაში, ამ თამად გაუქმებულ შარა გზით. ვიყავი დაბალი ხარისხის მოხელე, ემოგზაურობდი ფოსტის „პოვოზკით“ და ვიხდიდი ორი ცხენის გასამარჯელოს. ამის გამო ზედამხედველები დიდ ანგარიშს არ მიწვედენ და ხშირად მიხდებოდა ბრძოლით მიმელო ის, რაც კანონით მერგებოდა. როგორც ახალგაზრდა და მასთან ფიცხი ხასიათის პატრონი—მე ხშირად ვბრახლებოდი ზედამხედველის სიმდაბლეს და სულმოკლეობაზე, როდესაც ეს უკანასკნელი ჩემთვის გამზადებულ ცხენებს აძლევდა ვილაც ბატონ მოხელის ეტლისთვის. ასევე დიდხანს ვერ შევტყვიე მე იმ გარემოებას, რომ გავებული ლაქია ზონის ჩამოტარების დროს მივლიდა ზოლმე გვერდს-გუბერნატორის სადილზე. ახო კი ერთიც და მეორეც შეტყენება ისე, თითქოს ეს ასეც უნდა იყოს. მართლაც, რა დაგვემართებოდა ჩვენ საერთო მოსახერხებულ წესის: „ჩინმა ჩინს პატივი სცეს“ მაგიერ შემოიღონ ხმარებაში სხვა, მაგალითად, „ჰკუამ ჰკუას სცეს პატივი?“ როგორი ჩხუბი გაიმართებოდა მაშინ! მოსამსახურებსაც საიდან უნდა დაეწყოთ მაშინ საქმელის ჩამორიგება? მაგრამ დაუბრუნდეთ ისევე ჩემს მოთხოვნას.

დღისით ცხელოდა. ***— სადგურიდან სამი ვერსის მოშორებით დაიწყონელი ცრა, და ცოტა ხნის შემდეგ კოკისპირულმა წვიმამ თავიდან ფეხებამდის ერთიანად დამასველა. სადგურზე მისვლისთანავე ჩემი მთავარი საზრუნავი პირველად იყო ის, რომ საჩქაროდ გამომეცვალა ტანისამოსი, და მეორე ის, რომ მომეხოფო ჩაი. „ჰეი, ღუნია!“—დაიძახა ზედამხედველმა: დასდგი სამოვარი და გაიტყვი ნაღები მოიტანე“. ამ სიტყვებზე გატიხრული კედლის იქიდან გამოვიდა თოთხმეტი წლის გოგონა და გაიტკა დერეფნისაკენ, მისმა სილამაზემ პირდაპირ გამოაცა: „ეს შენი ქალიშვილია?“ ვკითხე ზედამხედველს:—„დაბ-მიპასუხა მან, თავმოყვარეობის გამომხატველი სხით: „მერე ისეთი გონიერი, ყაჩაღი, სულ განსვენებული დედა მისია გამოხატული“. ამის შემდეგ მან იწყა ჩემი საგზაო ბარათის გადაწერა, მე კი შეუდგე სურათების დათვალიერებას, რომელიც აშვენებდა მის მყუდრო, მაგრამ სუფთა ბინას. ისინი გამოხატადენ მრუში ვაეის ისტორიას: პირველზე პატივცემული მოხუცი თავწაყრული და ჯუბამოსხმული ამგზავრებს დაუდგარ ქაბუკს, რომელიც საჩქაროდ ღებულობს მის დალოცვას და ტომსიკას ფულებით; მეორეზე—ნათელი ხაზებით გამოხატუ-

ლია ახალგაზრდა კაცის გარყვნილი ყოფაქცევა; ის ზის მაგიდასთან გაღმავლებულ-რტყმული ცრუ მეგობრებით და უსირობეილო ქალებით. შემდეგ გაქრული ყრმა, ძონძებში ვახვეული და სამკუთხედიან ქუდით—მწყემსავენ დარჩენს და მათთან ერთად შეიქცევა ტრაპეზს. მის სახეში გამოხატულია სიბნელე და მონანიება. ბოლოს—იქვე მოსიანს მისი დაბრუნება მამასთან. კეთილი მამა იმავე ჯუბა მოსხმული და თავწაქრული გამოვრბის შესაგებებლად; მრუში ვაგი დვას დაჩოქილი; პერსპექტივაში მზარეული კლავს მსუქან ხბოს და უფროსი ძმა ეკოთხება მოსამახურებებს ასეთი მზიარულების მიზეზს. ყოველ სურათის ქვეშ ამოვიკითხე მე შესაფერი ლექსი გერმანულ ენაზე. ყოველივე ეს დღემდის შემრჩა ხსოვნაში ისე, როგორც ქოთნები ბალზამით*, და საწოლი აქრულებული ფარდით და სხვა საგნები ჩემს გაღმავლ მყოფი; ვხედავ, როგორც ახლა, თითონ სახლის უფროსს, რომოცდაათი წლის კაცს, ჯანსაღს და ფხიზელს და იმის გრძელ, მწვანე სერთუქს სამი მედალით გადახუნებულ ლენტეხზე.

ჯერ არც კი მომესწრო ჩემი მეტელისათვის ფულის გადახდა, რომ დღნია დაბრუნდა სამოვარით ხელში. პატარა, ქეკლუცმა გოგონამ ნეორე უხედევისთანავე შეაჩინა შთაბეჭდილება, რომელიც მან ჩემზე მოახდინა; მან დახარა დიდი, კისფერი თვალები; მე გამოველაპარაკე მას. ის მიპასუხებდა თამამად, როგორც ვარით ხალხში და ქვეყანაში გამოსული. მე მივაწოდე მამა მისს სტაქანი პუნში, დღნიას კი გაუწოდე ფინჯანი ჩაი და ჩვენ სამივემ დავიწყეთ საუბარი თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით.

ცხენები დიდი ხანია მზად იყვნენ, მე კი არ მინდოდა ზედამხედველის და მისი ქალიშვილის მოშორება. ბოლოს მე მათ გამოვემშვიდობე. მამამ მისურვა კეთილი მგზავრობა და ქალიშვილმა კი მიმაცხილა ეტლამდის. დერეფანში გავჩერდი და ვსთხოვე დღნიას მოეცა ჩემთვის კოცნის ნება. დღნია დამთანხმდა. ბევრი შემძლია ჩამოვთვალო ასეთი კოცნა, მას აქეთ, რაც ასეთ საქმეებს მოეკიდე ხელი, მაგრამ არც ერთს არ დაუტოვებია ჩემში ასე ხანგრძლივი, ასე სიამოვნო მოგონება.

გავიდა რამოდენიმე წელი. გარემოებამ ისევ მიმიყვანა იმავე შარა გზაზე, იმავე ადგილას. მე გამახსენდა მოხუცი ზედამხედველის ქალიშვილი და მიხაროდა, როცა წარმოვიდგენდი რომ ისევ ენახავდი მას. „მაგრამ—ვიფიქრე მე—მოხუცი ზედამხედველი ახლა იქნებ გადაყენებულია. ალბად, დღნიაც ვათხოვდა“. სიკედილის აზრი მიტრიალებდა თავში, და მე ვუახლოვდებოდი სადგურს მწუხარების წინაგრძობით. ცხენები გაჩერდნენ საფოსტო სახლთან. შევედი თუ არა ოთახში, მე მაშინვე ვიციანი სურათები, რომლებიც გამოხატავდნენ მრუში ვაგის ისტორიას; შავი და საწოლი იდგნენ ძველ ადგილას, მაგრამ ფანჯრებზე უკვე აღარ იყვნენ ყვავილები და ყველაფერს ირგვლივ ემჩნეოდა სიძველე და დაუდევრობა. ზედამხედველს ქურქწამოხურულს ეძინა. ჩემმა მისვლამ გააღვიძა იგი... წამოდგა... ეს იყო ნამდვილი სიპეონ ვირინი; მაგრამ დაბე, როგორ მოხუცებულა! სანამდის ის გადასწერდა ჩემს საგზაო ბარათს მე მივჭერებოდი მის თეთრ თმას, ღრმა ნაოჭებს დიდხინის მოუპარსავ სახეზე, მოხრილ ბეჭებს,— და ვერ გამოიმერკვია, თუ სანამ თუ ოთხმა წელმა როგორ დაამსგავსა ასეთი ახალ-

* მუცნარეა.

გაზრდა მიმეკაცი ჩამომდნარ მოხუცს. „ვერ მიციანი? შევეყიოთ მე მას: ჩვენ ზომ ძველი ნაცნობები ვართ“. — „შეიძლება—მიპასუხა მან დალონებით: აქ გზის პირია. ბევრ გამვლელს შემოუვლია ჩემთან“. — „შენი ღუნია ზრდასრული არის?“ განეაგრძობდი მე. მოხუცი მოიღუშა. — „ღმერთმა უწყის: მხოლოდ მან“. „მას, სანას, ის გათხოვდა? წარმოვსთქვი მე. მოხუცმა თითქოს ვერ გაიგონა ჩემი შეკითხვა, ჩურჩულით განაგრძობდა საგზაო ბარათის კითხვას. მე შევწყვიტე ლაპარაკი და ვუბრძანე დაეღვა ჩაიდანნი. ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა დიმიდი მჭონდა რომ პუნში აუღგამდა ენას ჩემს ძველ ნაცნობს.

არც შევმდარევი: მოხუცს არ უთქვია უარი მიწოდებულ სასმელზე. მე შევატყვე რომ არაყმა განფანტა მისი მოწყენილობა. მეორე სტაქანზე დაიწყო მან ლაპარაკი, გამიხსენა, ყოველ შემთხვევაში მეჩვენა ისე, თითქოს გავახსენდი და მე გავიგონე მისგან მოთხრობა, რომელმაც ამავე დროს ძლიერ დამაინტერესა და თანაც იმაღლედა.

„მას თქვენ იცნობდით ჩემ ღუნიას? დაიწყო მან: ან კი ვინაა არ იცნობდა მას? ეხ, ღუნია, ღუნია! რა გოგონა იყო! ეისაც არ უნდა გავგლო ყველა აქებდა, არავინ არ აფინებდა. ქალბატონები ხშირად ასაჩუქრებდენ; ზოგი ცხვირსახოცს, ზოგიც—საყურებს. გამვლელი ბატონები განგებ შეჩერდებოდენ, თითქოს სასადილოთ, ან საეზნაშმოთ, ნამდვილად კი მხოლოდ უნდოდათ დიდხანს ეცქირათ მისთვის. ხშირად ყოფილა, ბატონი, როგორი გულმოსულიც არ უნდა ყოფილიყო, მასთან მშვიდდებოდა და შეწყალებით, თავაზიანად მელაპარაკებოდა. დამიჯერებთ თუ არა, ბატონო: შიკრიკები, ფელდეგერები მასთან ნახევარი საათი საუბრობდენ. ის პატრონობდა სახლს: აქ ილაგებდა, იქ რამეს ამზადებდა, ყველაფერს ასწრებდა. მე კი მოხუცი, გამოჩერებულნი ვერ ვძლებოდი მისი ცქერით და სიხარულით. განა მე არ მიყვარდა ჩემი ღუნია, მე არ ვეაღიერებოდი ჩემ ბავშვს; განა მას უჭირდა ჩემთან ცხოვრება? ო, არა, უბედურებას ვერ გამეცვივი კაცი: რაც მისჯილი გაქვს, იმას ვერ ასცდები“.

აქ ის მომიყვა ვრცლად თავის ვასიქირს. სამი წლის წინად, ერთხელ, ზამთრის საღამოს, როდესაც ზედამხედველი ხაზავდა ახალ წიგნს, და მისი ქალიშვილი გადატიხრულ კედელს მოფარებული, იყრავდა ტანისამოსს, სადგურს მიუახლოვდა „ტროიკა“. მგზავრი, რომელსაც ესურა ჩერკეზული ქუდი, ეცვა სამხედრო მაზარა, შალში გახვეული, შემოვიდა ოთახში ცხენების სათხოვრად. ცხენები ყველა გაგზავნილი იყვნენ. ამ ამბის გაგონებაზე მგზავრმა აიმაღლა ხმა და ხელში მოიმარჯვა მათრახი; მაგრამ ღუნია, რომელიც მიჩვეული იყო ასეთ სცენებს, საჩქაროდ გამოვიდა და აღერსიანად მიმართა მგზავრს: „ხომ არ მიირთმევთ საწმელსო?“ ღუნის გამოჩენამ ჩვეულებრივად მისზედაც იმოქმედა. მგზავრი დამშვიდდა. იგი დასთანხმდა მოეცადა ცხენებისთვის და დაუტკვეთა ვახშამი. მოიხსნა სოველი, ბანჯგელიანი ქუდი, გადაიძრო შალი, გაიხსნა მაზარა და ღუნის წინ წარსდგა ახალგაზრდა, მშვენიერი მოყვანილობის, შავ ულვაშებიანი გუსარი. ის მოეწყო ზედამხედველის ბინაზე. იწყო მზიარული საუბარი ზედამხედველთან და მის ქალიშვილთან. მოიტანეს ვახშამი. ამასობაში ცხენებიც დაბრუნდენ და ზედამხედველმაც ბრძანება გასცა, რომ მაშინვე უქმელად შეებიათ ცხენები თავდახურულ ტტლში (კიბიტკაში), მაგრამ სახლში შემობრუნებისას მან

ნახა ახალგაზრდა კაცი ფიცრებზე თითქმის უგონოთ მწოლარე: ის ცუდად შეიქნა, თავი ასტკივდა, შეუძლებელი იყო მგზავრობა: რა ექნა, ჭკადუჭკადუჭკადუ! მან დაუთმო თავის საწოლი და გადასწყვიტა, თუ ხვალ ავადმყოფი: არ მისწონდებოდა, დილითვე გაგზავნა კაცი სპეციალურ ექიმის მოსაყვანად.

მეორე დღეს გუსარი უფრო ცუდად შეიქნა. მისი გაგზავნილი კაცი ცხენით გაემგზავრა ქალაქისკენ ექიმთან. დღეობა შეუხვია მას თავი ძმარში დასველებულ ცხვირსახოცით და თავის საკერავით ჩამოჯდა მის საწოლთან. ავადმყოფი როცა ხედავდა ზედამხედველს იყო ერთ ოხვრაში და არ ამზობდა თითქმის არც ერთ სიტყვას. თუმცა ორი სტაქანი ყავაც მიირთვა და სადილიც აგრეთვე შეუყვია. დღეობა არ შორდებოდა მის ლოგინს. იგი ყოველ წუთში ითხოვდა სასმელს და დღეობა მიართმევდა ხოლმე მის მიერ დამზადებულ ლიმონადს. ავადმყოფი ისველებდა ტუჩებს და როცა კი უბრუნებდა სასმისს, მადლობის ნიშნად, მაგრად უჭერდა ხელს დღეობას ხელებს. სადილობისას მოვიდა ექიმი. მან გასინჯა ავადმყოფის პულსი, რაღაც ჩაულაპარაკა გერმანულად და შემდეგ რუსულად წარმოსთქვა, რომ სჭირდება ერთად ერთი სიმშვიდე და რომ ორი დღის შემდეგ აუცილებელია გამგზავრება. გუსარმა გადუხადა დარბაზობისთვის ოცდახუთი მანეთი და მიიწვია სადილით. ექიმი დასთანხმდა. ორივე დიდის მადით შეექცეოდნენ საჭმელს, გამოსცალეს ერთი ბოთლი ღვინო და დაშორდნენ ერთმანეთს დიდად კმაყოფილნი.

გავიდა კიდევ ერთი დღე და გუსარიც თითქმის სრულიად გამოცოცხლდა. ის იყო არაჩვეულებრივად მხიარული, განუწყვეტლივ ხუმრობდა ხან დღეობასთან, ხან ზედამხედველთან. უსტვენდა სიმღერებს, ესაუბრებოდა გამვლელებს. სწერდა მთ საგზაო ბარათებს ფოსტის წიგნაკში და ისე შეეყვარა თავი ზედამხედველს, რომ მესამე დღეს დილით მას ენანებოდა კიდევ თავის საყვარელ მდგმურის მოშორება. კვირა დღე იყო. დღეობა წირვაზე წასასვლელად ემზადებოდა. გუსარს მხიარუება ეტლი. იგი დაემშვიდობა ზედამხედველს, უხვად მადლობა შესწირა ბინისა და პატივისცემისათვის. დაემშვიდობა დღეობას და შესთავაზა გაცილება ეკლესიამდის, რომელიც სოფლის ბოლოში იყო. დღეობამ არ იცოდა, რა ექნა... „რის გეშინია? უთბრა მაშამ: მისი მალაღკეთილშობილება მგელი არ არის რომ შეგკამოს; გაისეირნე ეკლესიამდის“. დღეობა ჩახსდია ეტლში გუსარის გვერდით, მოსამსახურე შეხტა ეტლის კოფოზე წინ, მეეტლემ დაუსტვინა და ცხენებმა გასწიეს.

საბრალო ზედამხედველი შემდეგ ვერ გამოერკვა, თუ როგორ მისცა მან ნება თავის დღეობას გუსართან გამგზავრებულის, როგორ დაბრმავდა ასე. და რა დაემართა მის გონებას. არ გასულა ნახევარი საათიც რომ მას გული თანდათან ეგებოდა დარდით და მოუსვენრობამ იმდენად შეიპყრო, რომ ბოლოს ველარ მოითმინა და თითონ წავიდა წირვაზე. მიუახლოვდა თუ არა ეკლესიას დაინახა, რომ ხალხი უკვე იშლებოდა, მაგრამ დღეობა არსად იყო: არც გალავანში და არც შესავალ კართან. იგი სწრაფად შეეკარა ეკლესიაში: მღვდელი გამოდიოდა საკურთხევლიდან; დიაკონი სანთლებს აქრობდა, კუთხეში ორი მოხუცი ქალი ლოცულობდა, მაგრამ დღეობა კი აღარსად სჩანდა. საწყალმა ზედამხედველმა ძლივს გადასწყვიტა შეეკითხა დიაკონისთვის, იყო თუ არა მისი

შეილი წირვაზე. დიაკონმა მიუგო, არ იყო. ზედამხედველი გაბრუნდა უკან ცოცხალ მკვდარი, ერთად ერთი იმედი ღა რჩებოდა მას: დღენამ შეიძლება ახალგაზრდული მოუფიქრებლობის გამო გადასწყვიტა გაესწავლა შემდეგ სადგურამდის, სადაც სცხოვრობდა მისი ნათლია. გაწამებულ სწავლით ელოდა იგი „ტროიკი“ს დაბრუნებას, რომელსაც დღენია გაჰყვა. მეეტლე არ ბრუნდებოდა. ბოლოს, სალამოს, დაბრუნდა იგი მარტო, ცოტა გადაკრული მომაკვდინებელი ამბით. „დღენია შემდეგი სადგურიდან გაჰყვა ქვეითკენ გუსარსო“.

მოხუცმა ვერ გადაიტანა ეს უზედურება. იგი იქვე ჩაწვა იმავე ლოგინში სადაც წინა დღით იწვა ახალგაზრდა მატყუარა კაცი. ახლა ზედამხედველი ითვალისწინებდა რა ყველა ვარემოებას, რწმუნდებოდა, რომ მისი ავადმყოფობა იყო მოგონილი. საცოდავი გახდა ავად საშინელი ცხელებით: იგი წაიყვანეს ს***ში და მის ადგილზე დროებით სხვა დანიშნეს. იგივე ექიმი, რომელიც მოიყვანეს გუსართან, სწამლობდა მასაც. მან დაარწმუნა ზედამხედველი, რომ ახალგაზრდა კაცი იყო სავესებით ჯანმრთელი და რომ იგი მაშინვე გრძობდა მის ზოროტ განზრახვას, მაგრამ არაფერს ამბობდა მისი მათრახის შიშით. მართალს ამბობდა გერმანელი თუ ტრაბახობდა თავის შორსმჭერტელობით, მაგრამ ასე თუ ისე, იგი ოდნავაც ვერ ამშვიდებდა საწყალ ავადმყოფს. ავადმყოფობისგან მკირედ გამოკეთების შემდეგ ზედამხედველმა სთხოვა ს***ს ფოსტის უფროსს შევებულება და თავის განზრახვის სხვისთვის გაუმელავენებლად, ჩემად გაემგზავრა თავის ქალიშვილის საქებრად. გზის საბუთიდან მან იცოდა რომ როტმისტრი მინსკი მიემგზავრებოდა სმოლენსკიდან პეტერბურგში. მეეტლე, რომელმაც წაიყვანა ის მაშინ, ამბობდა, რომ მთელი დღე დღენია გზაში სტეროდა, თუმცა გვეგონებოდა, თავის ნებით მიდიოდაო. „ვინ იცის—ფიქრობდა ზედამხედველი—იქნებ მოვიყვანო სახლში ჩემი დაკარგული კრავი“. ამ აზრით ჩავიდა იგი პეტერბურგში, გადმოხტა იზმაილოვის პოლკში თავის ძველ თანამოსამსახურის გადაყენებულ უნტერ ოფიცრის ბინაზე და იწყო ქალიშვილის ძებნა. მან ჩქარა გაიგო, რომ როტმისტრა მინსკი პეტერბურგშია და სცხოვრობს დემუტოვის ტრაქტიოში. ზედამხედველმა გადასწყვიტა მასთან გამგზავრება.

დილით ადრე შეიარა მის დერეფანში და სთხოვა მოეხსენებია მისი მალაქეთილშობილებიათვის, რომ ძველი ჯარისკაცი სთხოვს მას დართოს ნახვის ნება. საშუედრო საქიამ, რომელიც წალას წმენდაედა, განუცხადა მოხუცს, რომ ბატონს სძინავს და თერთმეტ საათამდის არავის არ ლებულობსო. ზედამხედველი წავიდა და მობრუნდა დანიშნულ დროს. მინსკი თითონ გამოვიდა მასთან ხალათში. წითელი სკუთითი: „რა გნებაეთ მშაო?“ ჰკითხა მან. მოხუცს გული აუძვებდა, თვალზეც ცრემლი მოადგა და ათთართოლებული ხმით წარმოსთქვა მხოლოდ: „თქვენო მალაქეთილშობილებავ! მიქენით ღვთის გულისთვის სიყვავი!..“ მინსკიმ სწრაფად გადაიღო თვალი, აენთო, მოჰკიდა მას ხელი, გაიყვანა კაბინეტში და მიიბურა კარები უკან: „თქვენო მალაქეთილშობილებავ! განაგრძობდა მოხუცი—„რაც ურმოდან ჩამოვარდება—დაკარგულია“—მაგრამ მომეციო მაინც ჩემი დღენია. თქვენ ხომ გაერთოთ მასთან. ნულა დაჰლუპავთ მას ტყუილ უბრალოდ.“ „რაც მოხდა, იმას ვეღარ დაიბრუნებ, წარმოსთქვა ახალგაზრდა კაცმა შეტად აღელვებულმა: დამწაშივე ვარ შენს წინაშე და მოხა-

რული ვარ გთხოვო პარტიება, მაგრამ არ იფიქრო, რომ მე დღენია დაგტოვო. ის იქნება ბედნიერი, გაძლევ პარტიოსან სიტყვას. რად გინდა შენ ის? მან მე უყვარ-
ვარ; იგი გადაეჭვია უკვე თავის წინანდელ მდგომარეობას, ამცემენ და ამცეც ის, თქვენ ვერ დაიფიქრებთ მას, რაც მოხდა*. შემდეგ რაღაც ჩაუტევა სახელწოდში, გაულო კარი და ზედამხედველს აღარც კი ახსოვდა თუ როგორ გამოვიდა ქუ-
ჩაში.

დიდხანს იდგა იგი უძრავად. ბოლოს დაინახა თავის სახელურში ქალა-
დის ნახევრი, მან გამოიღო იგი და გაშალა რამოდენიმე ორმოცდაათ მანეთიანი
დაქუქებული ასიგნაციები. ცრემლები ისევ მოადგენ თვალებზე—ზიზღის ცრემ-
ლები. მან მუწწი დაგრიბა ქალაღდი, გადაჰყარა მიწაზე, ქუსლით დატეხნა და
წავიდა... გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და ისევ გაჩერდა. ჩაფიქრდა... და გამობრუნ-
და მაგრამ ასიგნაციები უკვე აღარ იყო, კარგად ჩაქმულმა ახალგაზრდა კაცმა შეამ-
ჩნია თუ არა ისინი, მიიბრინა მეეტლესთან ჩაჯდა სასწრაფოდ ეტლში და შეუ-
ძახა, „გასწიო“, ზედამხედველი მას არ დასდევნებია. მან გადასწყვიტა წასუ-
ლიყო სახლში, თავის სადგურში. მაგრამ ჯერ უნდოდა ერთხელ მაინც ენახა თა-
ვის საცოდავი დღნია. ამისთვის ორი დღის შემდეგ, იგი დაბრუნდა მინსკისთან;
მაგრამ სამხედრო ლაქიამ მრისხანეთ აცნობა, რომ ბატონი არავის არ ღებუ-
ლობსო, მგელით გამოსდევნა იგი დერეფანში და ცხვირის წინ გადაუკეტა კა-
რები. ზედამხედველი იდგა, იდგა და შემდეგ წავიდა.

სწორედ ამავე დღეს საღამოთი მიდიოდა ის ლიტენის ქუჩაზე ეკლ-
სიაში მოკლენის გადახდის შემდეგ. უეცრად მის წინ გაიბრინა მორთულმა
ეტლმა. ეს ზედამხედველმა იცნო მინსკი. ეტლი გაჩერდა სამსართულიანი სახლის
წინ სადარბაზო კარებთან და გუსარმა აირბინა ზეცით. ამ დროს ბედნიერმა
აზრმა გაურბინა თავში ზედამხედველს. ის დაბრუნდა და ვაუწყორდა თუ არა
მეეტლეს:—„ვისია, ძმაო, ცხენები? აკითხა მან: „მინსკის ხომ არ-არის? სწორედ,
აგრეთა“. მიუგო მეეტლემ: მაგრამ შენ რას კითხულობ?“. „აი რა: შენმა ბატონმა
მიბრძანა მე გადავსცე მის დღნიას ბარათი, მე კი დამავიწყდა, სად ცხოვრობს
მისი დღნია“. დავაგვიანდა, ძმაო, შენ მაგ ბარათით, ახლა თითონაც მასთანაა.
„რას დავეძებ მაგას.—მიუგო ზედამხედველმა გულის გამოუცნობი ფართქალით:
„მადლობელი ვარ, რომ დამარიგე, მე კი ჩემ საქმეს გავაკეთებ“. და ამ სიტყვით
იგი გაემართა კიბისკენ.

კარი დახურული დახვდა. გაიარა მისთვის მძიმე მოლოდინის რამდენიმე
წუთი. გასაღებმა გაიწვრილა. გაუღეს კარი. „აქ ცხოვრობს ავდოტია სიმეონო-
ენა?“. იკითხა მან. „აქ არის. მიუგო ახალგაზრდა მსახურმა ქალმა, რა გინდა მას-
თან? ზედამხედველი პასუხის გაუცემლად შევიდა დარბაზში. „არ შეიძლება, არა,
მიამახა უკან მოსამსახურემ: ავდოტია სემეონოენას სტუმრები ჰყავს“.

მაგრამ ზედამხედველი ყურს არ უდებდა. ის მიიწევდა იქით. ორი ოთახი
დაბნელებული იყო. მესამეში მოსჩანდა სინათლე. ის მიუახლოვდა ვალეებულ
კარებს და გაჩერდა. ლამაზად მორთულ ოთახში მინსკი იჯდა დაფიქრებული.
დღნია „მოდის“ მთელი ფუფუნებით შემკული ისხდა მისი სავარძელის სახელუ-
რზე, როგორც ცხენოსანი ქალი ინგლისურ უნაგირზე, იგი ნახად უქქერდა მინ-
სკის, იხვევდა რა მის ხეჭქუა თმას თავის გაბრწყინებულ თითებზე. საბრალო ზე-

დამხედველი! არას დროს არ მოჩვენებია მას თავის ქალიშვილი ასეთი მომხიბლავი; იგი ძალაუნებურად სტებებოდა მისი ცქერით. „ვინ არის იქ?“ იკითხა მან თავაულებლად. ზედამხედველი სულ სდუმდა, როცა პასუხი უკრძნობო, დუნია ამწია თავი და ყვირილით დაეცა ფარდაგზე. შეშინებულ შინსკი ვერ ეცა მას ასაყვანად, მაგრამ უცერად მოჰკრა თუ არა თვალი მოხუც ზედამხედველს, მიატოვა დუნია და მიუახლოვდა მას ბრაზისაგან აცახცახებული.

რა გნებავს შენ? და კბილი კბილს მოუჭირა. „რას მეპარები უკან ყაჩაღივით? ხომ არ გინდა დამწებო? დიკარგე აქედან!“ და მიგარი ხელი წაივლო საყულოში მოხუცს და გაავლო იგი კიბისკენ. მოხუცი დაბრუნდა თავის ბინაზე, მისმა ნაცნობმა ურჩია, ეჩილა საღმე, ანის შესახებ. მაგრამ ზედამხედველში დაფიქრების შემდეგ ჩააქნია ხელი და გადასწყვიტა ისევე დაეთმო. ორი დღის შემდეგ გაემგზავრა ის პეტერბურგიდან უკან თავის სადგურზე და ისევე შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

იი უკვე სამი წელია—ფიქრობდა იგი რაც ვეცხოვრობ დუნიას უმისოთ და მასზე არაფერი არ მესწის. ცოცხალია, მკვდარი—ღმერთმა უწყის. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. პირველად და უკანასკნელად არ გაუტაცნია ასეთ რომელიმე აფარას, ყოლებია და შემდეგ დაუგდია ღვთის ანაბარა. ბევრია პეტერბურგში ახალგაზრდა, უკურო ქალიშვილები, ღღეს ატლასში და ხავერდებში გამოწყობილი, ხელ კი შეხედავ ქუჩას ხვეტავენ კაბაკის გაყვლეფილ ბალბთან ერთად. როცა ხანდახან გაეიფიქრებ რომ დუნიაც ასევე უნდა დაიღუბოს, ძალაუნებურად შეეცოდებ ხოლმე და ვუსურვებ მას სამარესა.

ასეთი ამბავი მომიყვა ჩემმა მეგობარმა, მოხუცმა ზედამხედველმა. ამბავი, რომელიც არა ერთხელ და ორჯერ შეუწყვეტია ხოლმე ცრემლებით, რომლებსაც ის ისე ლამაზად იწმენდა თავის კალით, როგორც ბუჯითი ტერენტინი დმიტრიევის მშვენიერ ბალადაში. ეს ცრემლები ნაწილობრივ გამოწყვეული იყვნენ პუნშით, რომელიც მან ბარე ზუთჯერ გადაჰკრა თავის ამბის მოყოლის დროს. მაგრამ როგორათაც არ უნდა იყოს, მათ ძლიერ ამიღლევეს გული. მასთან გამოთხოვებისას, დიდხანს არ შენეძლო მოხუცი ზედამხედველის დაეიწყება, დიდხანს ეფიქრობდი მე საცოდავ დუნიაზე.

დიდი ხანი არაა, რაც მომიხდა გავლა დაბა ***-ში. გამახსენდა ჩემი მეგობარი. გავიგე რომ სადგური, რომლის უფროსი იგი იყო, უკვე აღარ არსებობს. ჩემ შეკითხვაზე: „ცოცხალია თუ არა ზედამხედველი?“—ვერავინ ვერ მომცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. მე გადაწყვიტე მენახა ნაცნობი კუთხე. დაეიქირავე ცხენები და წავედი. სოფელ ***-ში.

ეს იყო შემოდგომაზე. ნაცრისფერ ღრუბლებს დაეფარათ ცა. პურის გაღწეულ ყანებიდან უზერავდა ცივი ქარი, რომელსაც მიჰჭონდა აქეთ-იქით ხეების წითელი და ყვითელი ფოთლები. შეგედი სოფელში მზის ჩასვლისას და გაჩერდი საფოსტო სახლთან. დერეფანში, (სადაც ერთხელ მაკოცა შე საცოდავმა დუნია) გამოვიდა ერთი მსუქანი დედაკაცი და ჩემ შეკითხვაზე მიპასუხა, რომ მოხუცი ზედამხედველი, წელიწადია, რაც მოკვდა, რომ მის სახლში და-

სახლდა ლუდისმხდელი და რომ იგი თითონ ცოლია ლუდისმხდელის. მე გული დამწყდა ჩემს ტყუილუბრალს მოგზაურობაზე და აგრეთვე უსაქმოდ დახარჯულ შეიფდ მანეთზე.

— რამ მოჰქლა იგი? ვკითხე ლუდისმხდელის ცოლს.

— ლოთობით მოუვიდა— მიპასუხა მან.

— სად დამარხეს მერე?

— სანახებში— მისი განსვენებული მუფლის გვერდით.

— არ შეიძლება მიმაცილოთ მის საფლავამდის?

— რატომ არა? ჰეი, ვანკა! გეყოფა კატის დევა! ვააცილე ერთი ბატონი სასაფლაოში და უჩვენე ზედამხედველის საფლავი.

ამ სიტყვებზე დახეულ, დაგლეჯილ ტანისამოსიანმა, ქერა და მოღრეცილმა ბიჭუნამ მოიბრინა ჩემთან და საქაროდ გამიძღვა წინ გზის საჩვენებლად.

— იცნობდი შენ განსვენებულს?— ვკითხე მას გზაში.

— როგორ არ ვიცნობდი? მან მასწავლა მე საღამურის გამოჭრა. ხშირად იყო ხოლმე როცა ის (ღმერთმა აცხონოს მისი სული) მოდის კაბაკიდან, ჩვენ კი ბავშვები უკან მოვსდევთ მას ყვირილით: „ბაბუ, ბაბუა, კაკლები კაკლები!“ ისიც გვაჩუქებდა ხოლმე კაკლებს. სულ ჩვენ გვეთამაშებოდა ხოლმე.

— გამვლელებს არავის ვახსენებია იგი?

— ახლა ცოტაა ძალიან მგზავრები, მხოლოდ თავჯდომარე თუ შემოუბვევს, მაგრამ მას მკედრებისთვის სადა სცალიან. აი, ზაფხულს გაიარა ერთმა ქალბატონმა, მან იკითხა მოხუცი ზედამხედველი და კიდევ ინახულა მისი საფლავი.

— რომელი ქალბატონი? შევეცითხე ცნობისმოყვარეობით.

— შშვენიერი ქალბატონი, მიპასუხა ბიჭმა; იგი იჯდა ექვსტენიან კარტაში სამი პატარა ბატონიშვილით ძიძით, შავი პაწაწა ძაღლით, და როგორც კი უთბრეს მას, რომ მოხუცი ზედამხედველი უკვე მოკვდაო, მან მაშინვე ტირილი დაიწყო და უთხრა ბავშვებს: „იჯექით წყნარად, მე სასაფლაოზე ვაგივლიო“. მე კი მიწოდდა მისი ვაცლილება. ქალბატონმა მითხრა: მე თითონ ვიცი გზაო და მომცა ვერცხლის შაურიანი... რა კარგი და გულგთილი ქალბატონი იყო!

ჩვენ მივიდით სასაფლაოზე, შიშველი ადგილი, სრულიად შეუღობავი, მოფენილი ხის ჯვრებით, სადაც არ არის არც ერთი ხე. ჩემს დღეში არ მინახია ასეთი მწუხარე სასაფლაო.

— აი, მოხუცი ზედამხედველის საფლავი, მითხრა ბიჭმა, მიიბრინა თუ არა ახორბებულ ჭერიანი ადგილას, რომელშიაც ჩარტობილი იყო შავი ჯვარი სპილენძის ბატით.

— ქალბატონი მერე აქ მოვიდა? ვკითხე მე.

— მოვიდა, — მიპასუხა ვანკამ, — მე შორიდან ვუყურებდი. ის დაწვა აქ და დიდხანს იყო ასე. შემდეგ წავიდა სოფელში. დაუძახა მღვდელს, მისცა მას ფული და წავიდა, მე კი მაჩუქა ვერცხლის შაურიანი.. რა კაი ქალბატონი იყო! მეც ვაჩუქე ბიჭუნას შაურიანი და აღარ ვნალობდი არც მოგზაურობაზე და აღარც ჩემ მიერ დახარჯულ შეიფდ მანეთზე.

თარგმ. ვასო გორგაძის.

მანათიონი

(მოთხრობა)

I.

შიშველს ხევში შეხილით მოსჩქეფდა მდინარე, რომლის ხმაურობას ბანს აძლევენ გარემო ქარაფები. ჩანჩქერების დაღვრილი წმინდა წყალი სისწრაფით უერთდებოდა მდინარეს და უფრო აძლიერებდა მის მდინარებას. ხევის ნაკეცებში გაფანტულიყო სოფელ კიმის სახლები; საბოლოე მიღებიდან ასული კვამლი გამვლულს ატყობინებდა, რომ ამ შთის ნაკეცებში აღამიანები სცხოვრობდნენ.

აქ სცხოვრობდა აგრეთვე ძია სიმონა.

დიდი ხანია, რაც იგი სოფელ კიმში ნავთს ჰყიდდა. მას ყველანი იცნობდა. ვის არ აძლევდა იგი ნავთს ნისიათ! კალოს დროს კი ერთი ორად ახდენებდა.

სიმონა ერთი ახოვანი კაცი იყო, მაღალიტანისა და სუქანი. სისუქნისგან თვალები ჩასცვივნოდა და დაპატარავებოდა. ჩოფურა სახე, დიდი თავი, ხოლო კისრის კანი კამეჩის კისერივით ნაკეც-ნაკეცი ჰქონდა. თავზე ეხურა ერთი დიდი ფაფახი, რომელსაც ზამთარ-ზაფხულს თავიდან არ იშორებდა. ხშირად ხელს ფაფახზე გაიწმენდავდა, მერე ფულს ფრთხილად აიღებდა, რომ ფული არ გაეჭუჭყიანებინა. მის ფაფახსა და ტანისამცეს წელიწადი—თორმეტი თვე ნავთის სუნი ასდიოდა. როდესაც სოფლის პრაქები, მთეარიან ლამის ვარსკვლავებივით სუსტად ბრწყინავდნენ სოფლის ყველა მხრიდან, სიმონა დუქნის წინ დადგებოდა და ამაყად იტყოდა:

— აბა, ერთი უყურეთ და!.. რამდენი კრაქი ინთება ჩემი ნავთით. აი, კოპერატორიც გაიხსნა, მაგრამ ხალხი ისევ ჩემგან ყიდულობს ნავთს, ვინაიდან კოპერატორი ნისიად არ იძლევა. ეე, ეს ნავთიც რომ არ იყოს? რა უნდა იყოს ამ ქვეყნის ჩარა? არა! უნავთოდ იოლადა ვერ წავლენ. სოფლის მამასახლისი და გზირი გამოიცვალენ, ტერტერა გახუნდა, პრისტავი-სტრანეიკი მოიშალენ, მაგრამ ჩემი ნავთი კი არის და არის!

სოფელ კიმში ისეთი არავინ იყო, რომ ძია სიმონასგან ეს სიტყვები არ გაეგონა.

2.

სოფლელები ჩვეულებრივ სიმონას დუქანში გროვდებოდნენ და ქვეყნის აკარგზე მუსაიფობდნენ. აქ დადიოდა აგრეთვე მოჯამაგირე ჰამბოა. ის გაზეთს კითხულობდა და უხსნიდა სოფლელებს. ჰამბოა ობოლი იყო. აქა-იქ შეცხვარედ დგებოდა და თავს ირჩენდა. კითხვა ესწავლა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში. მუშაობიდან გადაარჩენილ თავისუფალ დროს ბევრჯერ

კითხულობდა. ამიტომ მისი ენა გაკობტავებულყო და თანესუფლად სწორდა და ლაპარაკობდა. კომკავშირელების კარებებზე ხშირად ლაპარაკობდა ალფრთო-ვანებული და, როდესაც სიტყვას გაათავებდა, ამხანაგები ტანის ქვეშე წამოი-ძახებდნენ: „ვაშა ჩვენო ამზოა; ვაშა!“. ჰამზოას ავტორიტეტი უფრო ამაღლდა, როდესაც მისი წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთში.

ჰამზოას მიერ გაზეთის კითხვის დროს, როგორც მუდამ, ეხლაც სიმონამ განიმეორა იგივე სიტყვები: ჰაი ვიდი, დროებაე; უწინ გაზეთის ნკითხველს თითით უწვენებდნენ ხოლმე, რომ ხალხში ერთი კაცი გაზეთს კითხულობსო. ეხლა კი სოფლის მოჯამავირეც გაზეთს კითხულობს. ეხლა ასეთ ქვეყანაში აბა რა ხერი და ბარაჟა იქნება! სწორედ არ ვამბობ, საქო? — მიჰმართა მან ყოფილ ბრმა „სუდიას“, რომელიც დუქნის ერთ კუთხეში მობუზული და გაჩუმებული ყურს უგდებდა ჰამზოას.

საქუა ერთ დროს სოფლის ბატონი და მბრძანებელი იყო. ყელის ქვეშ ჩამოზიდული ხორცის გუნდა, გრძელი უღვაშები და მრისხანე სახე ამტკიცებდა მის წარსულს. საქუამ მხრები შეიბერტყა დი არ მოისურვა, ჰამზოას დასწრებით თავისი აზრი გამოეთქვა.

ჰამზოა ყურადღებას არ აქცევდა მათ ლაპარაკს და გაზეთის კითხვას განაგრძობდა. უცებ დუქანში რაღაც ყაყანი ატყდა. მიზეზი ჰამზოას წაკითხული ანბავი იყო. ეს ამბავი რანდენჯერმე წააკითხეს. მათ არ სჯეროდათ, რომ თავიანთ მიგდებულ სოფელში ჰიდრო-ელსადგურს გააკეთებდნენ. მია სიმონას ფერი წასვლოდა და გაყვითლებულიყო. სოფლელებს იგი ერთხელაც ენახათ ასე, სწორედ მაშინ, როდესაც სოფელში კოოპერატივი უნდა გაეხსნათ.

საკითხის გამო ლაპარაკი დაიწყეს და ყველა თავიანთ ჭკუას ძალას ატანდა

— ეე! გაზეთებს ძლიერ ნუ დაუჯერებთ, — თავისი მღელვარების გასაქარწყლებლად სთქვა სიმონამ.

დუქანში მოგროვილთა შორის უმეტესი ნაწილი სოფლის ყოფილი კულაკები იყვნენ. მამასახლისი მინასა, „სუდია“ საქუა, ტერტერაანთ ყაზარა, სოფლის ყოფილი მწერალი, უკანასკნელმა ჰამზოას წაკითხულს არ დაუჯერა, სათვალე ცხვირზე ჩამოიცვია და მარცვალ-მარცვალ წაიკითხა, შემდეგ დაუმატა:

— ეჰ, ძმაო, რომელი დაწერილი ყოფილა სწორე, რომ ეს იყოს?

— რატომ, გუბერნატორის შესახებ რომ დასწერეს, სწორე არ იყო? — მიუგო მამასახლისმა მინასამ.

— რის გუბერნატორი, კოოპერატორი? — გაუსწორა ჰამზომ.

— ერთი უყურეთ ქვეყნის ობზობას და, ესეც მე მიგდებს მასხარად!

— მასხარად არ გიგდებ, შენ შეცდომით სთქვი.

— ე ელსადგური რა არის?.. ერთი დამიხურდავეთ! — ჰკითხა გაოცებულმა ტერტერაანთ ყაზარამ, რომლის ელაში თვალი უფრო გამრუდებულიყო.

— ეგ ისეთი მაშინაა, რომ მთელ სოფელს მზესავით გაანათებს, — უპასუხა ჰამზომ და აღუსნა ელსადგურის როლი და მნიშვნელობა. ის ქალაქში კონფერენციაზე ყოფილიყო, საცა გაეცნო ელსადგურის მუშაობა.

— მაშ, კარგია რაღა!.. ჩენი სოფელიც ქალაქი გახდება. ეი, იმ სიბორო ქალაქში რომ წავედი, ღამე თითქოს დღე არისო. ისეთი სინათლე, ისეთი სინათლე იყო, როგორც ჩირაღდანია! სთქვა ტერტერაანთ უახლოესი სოფელი.

— ცხონებული მამაშენიც სინათლეში არ მოკვდა?—დააყოლა სიმონამ დაცინებით.

— არასოდეს არ დაავიწყდება ამის მამის სიკვდილი: დიდი სეტყვა რომ მოვიდა, იმ წელს იყო, ამ ჩვენ უახარას რომ მამა მოუკვდა. მამლის ყვილის დრო იყო, რომ ჩენი ერდოდან გულგახეთქილი დამიძახეს: ძია სიმონ, ეი, ძია სიმონ! კარები გააღე, ცოტა ნავთი მომე, მამა ჩემი მოკვდა, დედა ჩემს ღამშა ხელიდან გაუვარდა, გასტყდა, სახლში ერთი წვეთი ნავთი არა გვაქვსო. ეხლა კი იმისი ვატიშვილი ელექტრონზე ლაპარაკობს.

სოფლელები თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

ბნელ ღამეს თავისი შავი ფრთები გადაეფარებინა სოფელისთვის, როდესაც სიმონა დუქნიდან გამოვიდა; ბნელი იყო სოფელი, ძლიერ ბნელი. ძია სიმონას ნავთს ძალა არ ჰყოფნიდა გაენათებინა სოფლის მიყრუებული და ბნელი კუნძულები. ეგ სიბნელე უფრო და უფრო აწვებოდა სიმონას სუქან გულს, რომელიც დღეს ჩვეულებრივზე უფრო მძლავრად უცემდა. სიმონა გაჯავრებული შევიდა შინ. სიმონას ცოლმა სარამ, რაკი თავისი ქმრის არაჩვეულებრივი სახე დაინახა, შეშინდა. მისი სხეული ბევრჯერ გალურჯებულია ქმრის მუშტის ცემით, მეტადრე მაშინ, როდესაც ის გაჯავრებული შედიოდა სახლში.

სარამ სწრაფად დაუმზადა ვაბშამი, მერე ლოგინიც გაუშალა, რომ ქმარს მიზეზი არ ჰქონოდა ჩხუბისა.

ორივე გაჩუმებული იყო. მხოლოდ ბუზების ბუზილი გაისმოდა.

სიმონა დაფიქრებული დადიოდა ოთახში და თავის თავად ბუტბუტებდა.

— აი ის მამამაღლები!..

— ეგ ვის აგინებ?—დაეკითხა ქმარს სარა, იმ მიზნით, რომ მისი ჯავრი შეენსუბუჭებინა.

— ვის უნდა შევაგინო?

— ვისა? მე რა ვიცი?—შეშინებული ჰკითხა ცოლმა. სიჩუმე ჩამოვარდა. კვლავ გაისმა ბუზების ბუზილი.

— ჰა?.. რა მოხდა, სთქვი!—ხელმოვრედ მიჰმართა ქმარს სარამ, ვერ შეიკავა ცნობისმოყვარეობა.

— რა ვთქვა! ოჯახს გვიქცივენ, ელექტრიჩკი უნდა გააკეთონ.

— მერა რა?

— როგორ თუ რა? შავი კირი შენ. კომერატი გახსნეს, ნახევარი მუშტარი წამართვეს, ეხლაც დანარჩენს წამართმევენ.

— როგორ თუ წაგართმევენ?—ჰკითხა გაცოცხლებლმა სარამ, რაკი არ იცოდა საქნე რაში იყო.

— სინათლე უნდა გამოიყვანონ. მერე ნავთს ვიღა იყიდის?

— კარგი და, შე კაცო,—უთხრა სარამ.

— რა სულელურად როშავ! მართლაც რომ ქალს თმები გრძელი აქვს, კეუა კი მოკლე.

უნდოდა მივარდნოდა ცოლს, მაგრამ ამ ჯერზე მისი ხელები სუსტი იყო და უღონო.

სარა გაწუმდა.

სიმონამ სიბრაზისგან პური აღარ ჭამა. დაწვა, მხოლოდ დიდხანს მის თვალებს ძილი არ ეკარებოდა. მას სტანჯავდა ის აზრი, თუ როგორ ჩაეშალა ეს „სულელური“ საქმე. ჰფიქრობდა, ჰფიქრობდა, მაგრამ გზას ვერ პოულობდა.

3.

დილით, დუქნის ვალების წინ, მან პირი იბრუნა აღმოსავლეთისკენ და სამჯერ პირველი გადიწერა. მოაგონდა კოოპერატივის ვალების დღეები: მაშინაც ასე ნაღვლიანად იკლავებოდა.

დღეს კი სოფლის ლაპარაკის მასალა ელსადგურის აგების ამბავი გამხდარიყო.

— ქალო, შუშან, ახალი ამბავი გაიგე?

— რა?

— გუშინ მიქელანთ ჰამბოას გაზეთში წაუკითხავს, რომ ჩვენი სოფელი წყლით უნდა გაიანთონ.

— ქალო, ეგ ჰამბოა ყოველ დღე ახალ-ახალ ამბებს ავრცელებს.

— იმიტომ, რომ გაზეთს კითხულობს.

ელსადგურის შესახებ მოლაპარაკე უსათუოდ გაზეთს ხელში იიღებდა და ჩაჰყურებდა. გაზეთი ხელიდან ხელში გადასვლით გაქექილიყო; ვინც წაკითხვა არ იცოდა, ისინიც იღებდნენ გაზეთს, უყურებდნენ შავ ასოებს და თითქოს რალაცას ჰგონობდნენ: იცინოდნენ და ხელახლად პატრონს უბრუნებდნენ.

გადიოდა თეები, მაგრამ ქალაქიდან არაფერი ამბავი მოდიოდა. სიმონას ფაფახი გვერდზე მოეგდო, ამაყად დადიოდა და სოფელელებთან საუბრის დროს დაკინებით ამბობდა: როგორ არის, ა? სინათლე თვალებს არ გტყენთ? აკი ვამბობდი, გაზეთებს ნუ დაუჯერებთ შეთქი!

ხამთარიც მოვიდა. მთებსა და ხევებს თეთრი ზეწარი გადააფარა. ყველაფერი დადუმებულიყო. სოფელი ჩაფლული იყო წყვედიადში. ხანდახან ქობების ფანჯრებიდან ბზინავდნენ სანათურები, რომელნიც თითქოს გულს უკეთებდნენ სიმონას, რომ მისი გაყიდული ნაეთი ჯერ ისევ ანათებდა სოფლის მიყრუებულსა და ბნელ კუთხეებს.

ყველანი სიმონას დუქანში მოდიოდნენ, მოჯამავიერე ჰამბოას ვარდა. მას სიმონა დაკინებით ეუბნებოდა: როგორა ხარ, ჩვენო ვაჟბატონო, სად არის შენი ელსადგური?

ერთ დღეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, ლოპიანმა აბრამამ, — ასე ეძახოდნენ მას სოფელში, — მოწერილობა მიიღო ქალაქიდან, რომ სოფლის ელსადგურისთვის საჭირო ფული უკვე გადადებული იყო და გაზაფხულზე დაიწყებოდა მუშაობა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოეგდო სოფელს, ყველას სახეზე სიხარულის ღიმილი ბრწყინავდა.

გახარებული იყო აგრეთვე ჰამბოა. მას უნდოდა წასულიყო სიმონას დუქანში და ეთქვა ეს ამბავი, მაგრამ თავი შეიკავა.

5.



მთები და ხეები დიდი ხანია განთავისუფლებულიყვნენ თევზის ზეწრისგან. მათი მკერდები შემკულიყო ფერადი ყვავილებით. სოფელს კენჭის ქვეშეაქვდა ალელ-ვეზულიყო გამდნარი თოვლის წყლებით და შხუილით მიმდინარებდა სოფლის შუა, თითქოს ამბობდა: „მე ვარ, მე, რომ უნდა გავანათო თქვენი სოფელი, თქვენი ეზო და ქოხებიო“.

მზე ამილტვლიყო და თავის სხივებს აფრქვევდა მიხლობელ ტყეებს; მზის სხივების ქვეშ ახლად გაშლილი ფოთლები ინთებოდნენ და გაზაფხულის მოსვლას ულოცავდნენ. სოფელს დღესასწაულის სახე მიეღო. მოხუცი იგონებდნენ ყველიერის დღეებს, როდესაც იკვროდა ზურნა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა ფერხულში ჩაბმული მზიარულობდა. სოფელში გაისმოდა ზურნა და დოლის ხმა. მოსულიყვნენ მახლობელი სოფელებიც. ნაკლები არ იყო აგრეთვე ქალაქიდან მოსული სტუმრების რიცხვი. ყველანი ელექტროფიკაციისა და მისი დიდი მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკობდნენ.

ხალხი წითელი დროშებითა და დაფა-ზურნით მიდიოდა ელსადგურის ადგილის: საძირკველის ჩასაგდებად. ყველა შეიარაღებული იყო საბუშაო იარაღით.

„ვაშა, ვაშა“-ს ძახილისა და მზიარული ვივილ-ხვილისგან პაერს ქუხილი გაჰქონდა, რომელსაც ბანს აძლევდნენ მახლობელი ტყეები და ხეები. რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოეარდა. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე აბრამა სიტყვას აძლევს პამპოას.

საერთო სიჩუმეში უცებ გაისმის პამპოას მტკიცე და რიბიანი ხმა:

— ამხანაგებო, საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც მე ამიხილა თვალები და დღეს თვთრს და შავს ვარჩევ, ისე გაანათებს ის ჩვენი სოფლის ყველა კუთხეს.

კელავ მოისმის მუსიკა.

ყველანი მზიარულია, გარდა სიმონასი, რომელიც სეტყვის მომგვრელ ღრუბელივით გაშაფებულა და წარბები ჩამოუშვია. გალიაში დამწყვედულ პირუტყვივით აქეთ-იქით იყურება და ტუჩებს ნერვიულად აცმაცურებს.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა, მაგრამ აქეთ-იქიდან ჯერ ისევ გაისმოდა ხმები:

— ეი, მინას, ეს ოხერი წყალი რამდენი წელიწადია, რაც უსარგებლოდ მიდის-მოდის. წყლიდან სინათლე?.. ძლიერ საკვირველია!

— ვიდრე თვლით არ დავინახავ, არ დავიჯერებ,—სთქვა ერთმა სოფელმა.

— არა! როგორც ვხედავ, ჩვენი სოფელიც ბარაქაში ერევა,—დაუმატა სხვამ.

— ჯერ წყალი არ გინახავთ, ქალამნებს რათ იხდით?—დაცინვით სთქვა სიმონამ.

— ვერ რათ ამბობ, სიმონ? საქმის საფუძველი უკვე ჩაყრილია, თავს მოვა, რაღა!

სიმონამ არა უპასუხა რა, გაჩუმებული სახლისკენ წავიდა. მან სახლის კარების მაგიერ, გომის კარები შეაღო, მაგრამ ძროხების ბოავილმა ელდა ჰკრა, და სიმონა სახლში გინებით შევიდა.

ამ დღეს ბიძია სიმონას თვალში თავისი ახალი აგებული სახლისკენ მიმავალი წინააღმდეგობის კედლები მრუდედ ეჩვენებოდა, თითქოს ქერი დაწვეულიყო და ემუქრებოდა, სიმონა ჰკეშ მოეყოლებინა.

სიმონას აწუხებდა ის აზრი, ნუ თუ ელსადგური თავს მოვიდოდა? აღელვებული დადიოდა ოთახში.

სარამ ოთახის სიჩუმე დაარღვია.

— ეი, კაცო, ეს რა ამბავია? თითქოს ყველიერია, მთელი სოფელი ფეხზე დგას... მაშ, ის ჰამბოა, ნოქარი ჰამბოა?.. თითქოს ჰეყანა მისთვის ეტუქებიანთ, ისე გახარებული იყო... როგორ წინ წავიდა, და!.. ადამიანად ვინ აგდებდა?.. ებლა კი სოფელში თითით საჩვენებელია.

— ჯერ დაიცადოს, ბოლოს ნახავს,— მიუგო ბიძა სიმონამ. უკებ მოისმა კარების პრიალი და მათი ლაპარაკიც შესწყდა. მომსვლელი წურბელა ეალუა იყო, სიმონას ახლო მეგობარი. იმ დღეს ვალუაც ავრეთვე მოუსვენრად იყო, რადგანაც მისი წისქვილის წყალი უნდა შეეწყვიტათ ელსადგურის აგების გამო.

— საღამო კარგა ყოფნისა, სიმონ!

— აი, ღმერთმა კარგა გამყოფოს, ძია ვალო!

სარამ იმ წუთას ცხვირი დაიფარა და თავით ანიშნა ეალუას, დამჯდარიყო.

ვალუა მოხუცებული იყო, თმები ერთნაირად გასთეთრებოდა, წარბები ყალუხე ედგა, თვალები ტისფერი, ცხვირი ბვერი ღვინის სმისგან გაწითლებული ჰქონდა ქარხალივით.

— ეი, სიმონ! ერთი მითხარ, ამ ხალხმა როდემდინ უნდა აქციონ ჩვენი სახლები?..

— რა ვიცი, ვალო-ჯან!

— მიწები წამართვეს, სახლი აიღეს, სამკითხველო გახსნეს: ებლაც თვალი დაუჭერიათ წისქვილზე, რა არის ეს ელექტრონი? ნეტავი ერთმა ვინმემ ჰკითხოს, თუ მაგ უღმერთოებს ჩემთან ერთად უშრომიათ?

— ეგენი ჯერ კიდევ ბვერ ოინს გვიზამენ, ძია ვალო, თუ ღმერთი მაგათი ოხტიდან არ მოვიდა.

— ღმერთი? ღმერთს დიდი ხანია, რაც ჩვენგან ხელი აუღია.

— იცი, ვალო! ეს სულ იმ გასაფუქებელის საქმეა,— სთქვა სიმონამ.

— ვისი?

— ჰამბოასი.

— მეც ავრე ვეფქობ, რადგანაც ის გაზეთებში სწერს, სჩანს დაუწერიია, რომ ჩვენ სოფელში ისეთი წყალია, უბრალოდ მიდის, ელსადგური რომ გაკეთდეს, სოფელს დიდ სარგებლობას მოუტანსო.

— იმას რა ვუთხრა, ვინც ეგ ბარაქაში გარია.

კოტა ლიპარაკის შემდეგ, ვალუა შინ წავიდა.

სიმონა დაწვა, მაგრამ დიდხანს ძილი არ ეკარებოდა. ხელახლად მოიგონა კოოპერატივის გახსნა და თავისი თავის დასაშვილებლად დაიწყებდა: „ეგ ელსადგური ხომ ყველას არ მისცემს სინათლესო“, და არხეინად ჩაეძინა.

ამ დროს სოფლის მიგდებულ ჯიბანში, ნესტიანსა და ბნელ ქოხში, ჰამბოა იჯდა მკრთალი სინათლის წინ და გახეთისთვის წერტილს ამზადებდა საზეიმო დღის შესახებ.

6.

გვიდა თვეები. ელსადგურის აშენების მუშაობა სდღოდა. ჰამბოა და სოფელიქმის მოჯამაგირეები მუშაობდნენ იქ. ნაკლები არ იყო აგრეთვე ქალაქიდან მოსული მუშების რიცხვი.

ბიძია სიმონა მილი-მალ მიდიოდა და მუშაობას ზევრავდა, მაგრამ ერიდებოდა ჰამბოას შეხვედრისა; დაინახავდა თუ არა მას, გზას აუქცევდა ხოლმე. უშეშბა სიმონას „უფროსი ინეინერი“ დაარქვეს. მუშათა კოოპერატივი, სასადილო, საავადმყოფო, აბანო, კლუბი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ფოსტატელეგრაფის სადგური სრულიად ახალ სიცოცხლეს აძლევდნენ სოფელ კიმს. იქ, სადაც ერთ დროს მთის ფერდობები ყვაილებით იყო შემკული და ბატკნებისა და ცხურის ბლავილი გაისმოდა, ეხლა აფეთქების, ქექისა და ყვირილის ხმაა. ჩანჩქერები კი თითქოს უწინდელზე უფრო ძლიერ მშუიან და გაიძახიან: „ქვეითენ, ქვეითენ!“ ყოველ მხარეს ცემენტი, ქვიშა, ღორღი, რკინა და ფოლადი ჰყრია.

რამდენადაც ელსადგურის დამთავრების დრო ახლოვდებოდა, იმდენად სიმონა გვიან-გვიან დაიარებოდა იქ.

ერთ დღეს მთელი სოფელი მისულიყო იქ, ყველას სურდა ენახა, საუკუნოებით მომდინარე ჩანჩქერს, როგორ უნდა გამოეცვალა თავისი გზა და ძია ვალუას წისკვილის ყრუ ხმაურობა სამუდამოდ შეეჩერებინა. აქ იყო აგრეთვე მენათვე სიმონაც. ის გაოცებული უყურებდა მუშებს, რომელნიც გამირულად იბრძოდნენ სამუშაო ფრონტზე.

სწორედ ორი წელიწადი გასტანა ელსადგურის აგებამ. ორი წელიწადი მენათვე სიმონამ, როგორც იყო, თავი შეინახა და სინათლე მისცა სოფლის ყრუ და ბნელ კუნძულებს თავის გაყიდული ნავთით. ის მალი-მალ სთვლიდა მოგროვილ კაპეიებს, ხელ-ახლად მაგრა ჰკრავდა ქუჭყიან ხელსახოცში და ინახავდა თავის ჩეულებრივ ალაგას. ფულს ინახავდა შავი დღისთვის, ფულს ღამ-ღამობით სთვლიდა, როდესაც მთელი სოფელი მძიმე შრომის შემდეგ ღრმა ძილში იყო.

ფულების დათვლის დროს სიმონა მუდამ უჩიოდა ქვეყნის უკუღმართ ბრუნვასა და ცოლს ეუბნებოდა:

— ქვეყნის ხეირი და ბარაჟა წავიდა, ადამიანობა აღარ არის. ხეირი იმ დროს იყო, როდესაც ნავთში სურახანის ნავთს ვურევდი და ხალხს ჯანს ვავადებინებდი... ფუთხედაც ერთ აბაზს სწავზე შეტს ვივებდი. ეს ფული იმ დროს

მოვიგე, იმ დროს, ესლა მთელ დღეს ისე ვილაშობ, რომ ფულს ვერც კი ვხედავ. სოფლის მოჯამაგირეც, რომ გაზეთს კითხულობს, აბა რაღა ხეირი და ბარაქა იქნება? არა! ნეტავი მას, ვინც ადრე მოკვდება, ამ წუთისთვის ვინც ვინც იხსნის. ნეტავი ვალუანთ მიხაკას, რომ ეს დღეები არ ნახა.

— რა უბაროს ლაპარაკობ?—სიტყვა გააწყვეტინა სარამ.

— როგორ არ ვილაპარაკო? ხეალ ბოძები უნდა მოიტანონ.

— რის ბოძები?

— სინათლის მისაცემად.

— გაათავეს!—გაოცებით ჰკითხა სარამ; მას უხაროდა ელსადგურის აგება, ვინაიდან უნდოდა „ლამპონია“ ჩამოეყიდა.

— გაათავეს! ისიც როგორ! დამწველ მგლებივით დაცემოდენ... მაგათი ხელიდან რამე გადაოჩნება?

სიმონა დაწვა და სარამ სანათური მოასვენა.

ეს სოფლის უკანასკნელი სინათლე იყო, რომელიც წყვდიადის ვარსკვლავით ბელტაედა. სოფელი დადუმებულიყო, მხოლოდ ხანდახან მოისმოდა სოფლის ძაღლების ყეფა. წინედ ამისთანა მყუდრო ღამეში გაისმოდა აგრეთვე ჩანჩქერების შხუილი, მაგრამ ესლა ისიც გაჩუმებულიყო. სიმონა, კერში თვალშიპრობილი შამფურივით ტრიალებდა ლოგინში, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა.

7.

გაზაფხული იყო. სოფელში მუშაობა სდებდა. სოფელელები ჰიანჰველებივით ფუსფუსებდნენ. გაზაფხულივით ყველანი მზიარული იყვნენ. მხოლოდ მენათეე სიმონა, ჭურდ კატასავით კუდამწვარი, დუნის წინ იდგა და თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

სოფლის ქუჩებში მარჯვნივ და მარცხნივ დაყრილი ბოძები უფრო მეტად აღელვებდნენ მას.

საიღღანაც ჯობზე დაყრდნობილი მოდიოდა წურბელა ვაღუა, რომლის ცხვირი თითქოს უფრო წაგრძელებულიყო და გაწითლებულიყო. წისქვილის წყლის შეწყვეტის შემდეგ, მას დაეწყო ძლიერი სმა... ერთ დღეს კიდევ დაეპატიმრებინათ უწყობის გამო.

— დილა მშვიდობისა, სიმონ!

— აი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ძია ვალო!

— ე, ნათის ვაქრობა როგორ მიდის?

— ეჰ, ვალო-ჯან! როგორც შენი წისქვილის ქვა!

— ქვა? ქვა?... ოჯახი დამიქციეს, უკანასკნელი საცხოვრებელი მომიპყეს.

— ზემი საცხოვრებელიც, ეს არის, ისპობა. ვინდა გაგიკებულა, ნათი იყიდოს? უყურებ ამ ბოძებს?... ორმოებს რომ სთხრიან, თითქოს სისაფლაოს მითხრიან, ბოძებს გულში მარჯობენ.

— სხვა გზა არა გვაქვს, ჩვენც მუშაობა უნდა დავიწყოთ.

— არა! არა! ამ ხალხის მისხარა არ გავხდები. კოპერატივს მატყლი უნდა, მეც ცოტა შავი ფული მაქვს, წავალ სოფელში, მატყლს მოვაგრობ...

— თუგინდ არაეინ დაგეცინოს, ჰამზოაც კმარა. დაადსტურა სიმონას ნათქვამი წურბელა ვაღუამ.

— ძია ვალო! ამბობენ სინათლე ყველამ უნდა აიღოსო, როგორ არის, შენც უნდა აიღო, თუ არა?

— რომ ვიცოდე, ჩვენს ჭანდარზე ჩამომახობენ, მაინც ვერაფერი ვიქნებოდი.

— ზეც აგრე ვფიქრობ, მაგრამ ჩემი ცოლი არა შერდება, „მეზურონიანთ რძლებს ლამაზიჲა ჰჭონდეთ, და ჩვენ არაო“?

ამ ლაპარაკის დროს სოფლის მეორე მხარეს ელექტრო გამტარები ვაპყავდათ. მუშა სწრაფად აღიოდა ბოძზე, გამტარს ამავრებდა და ჩამოდიოდა.

— ერთი იმას უყურე, თითქოს უკუდო მაიმუნი იყოსო.

— ეი, ერთი უყურე და, რომ არ ვარდები! დაღვრემით სთქვა სიმონამ. მისი სიტყვები, თითქოს ვერ გაიგონა ვალუამ.

— წავიდეთ, სიმონ! პურის ჭამის დროა.

სიმონაც დუქანში შევიდა და საანგარიშო ჩოთქის ჩბაყენით დაარღვია დუქნის სიჩუფე. ის მატყლის ანგარიშს იკეთებდა.

8.

დღესასწაული იყო, შრომისა და გამარჯვების დღესასწაული. ყოველი მხრიდან მოისმოდა სიბღერა და სიცილი. ყველგან მზიარულლება იყო.

ელსადგურის შენობის შუბლზე, წითელ ლენტზე წაწერილი იყო: „ახალ ქვეყანას ავაგებთ“. სოფლის აქეთ-იქით მხარეს სოფლის ქალები თამაშობდნენ და ელექტროფიკაციას ქებას ასხამდნენ.

ისტორიული დღე იყო სოფელ კიმისთვის ეს დღე.

ქალაქიდან ათი-ათასობით მოსული ხალხი ზღვის ზვირთებივით წინ და უკან ირბეოდა და ალაგს იკავებდა. ელსადგურის პირდაპირ წითელი დროშების რიცხვი აღარებელი იყო.

სოფლის შოხუცნი ძალას ატანდნენ თავიანთ გონებას, მაგრამ ვერც ერთი ვერ აღარებდა ამ დღესასწაულს წინანდელს.

ილიმება ხალხი. ილიმება აგრეთვე წითელი მზე. წითელ მზის ქვეშ ლაპლაპებენ აღისფერო დროშები და სოფლელი ქალების ვარდისფერი სახეები.

მთელი სოფელი გარედაია: ელსადგურის გახსნის სანახავად.

ბაისობენ ელექტროფიკაციის, რადიოფიკაციისა და ხელოვნური მორწყვის შესახებ.

მხოლოდ მენავთე სიმონა იყო, რომელიც უბრალო მსახიობივით აქეთ-იქით იყურებოდა, იკვლევდა, თუ ვინ ასრულებდა თავის როლს. უცებ მან თვალი მოჰკრა ერდოზე მწოლარე ავადმყოფ საქუას.

— ეი, ერთი უყურე, ქლექიანი საქუაც გამოუყვანიათ თამაშის სანახავად.

— რატომ, ნუ თუ საქუა აღამიანი არ არის? — უთხრა ერთმა სოფელელმა.

— აღამიანია, მაგრამ...

სიმონას მიერ წარმოთქმული „მაგრამ“ გაუგონელი დარჩა სოფლის საბჭოს თავმჯდომარის აბრამას მტკვარე ხმაში. მან ზეიმი გახსნილად გამოაცხადა.

დიდი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ქალაქიდან მოსულთაგან ერთმა მაკრატლით ვადასქრა ელსადგურის შესავლის წითელი ლენტო, რის შემდეგ ტურბინი ამუშავდა. ტურბინში მქეტყარე წყალთან ერთად აბმაურდა ელსადგურის

შენობაც, ელექტრო-მოტორი კი, თითქოს ამბობდა: „ნავთი მოკვდა/ ნავთი მოკვდა!“..

სოფლის მოხუცი და ბავშვები ელსადგურს გარსშემოტყდნენ და ვეუთავად იმეორებდნენ:

— როგორ შეშაობს? როგორ ანათებს?..

ღამეა. მთელი სოფელი განათებულია ელექტრონის სანათურებით, რომელნიც წყვედიან ვარსკვლავებით ჭახჭახებდნენ. შალამისას გამველელი სოფლები ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— ეი, ეს რა სინათლეა? ჩირაღდანია, ჩირაღდანია!..

ამ დროს ჰამბოა გაზეთისთვის წერილს ამზადებდა, ელსადგურის გახსნის გამო, მხოლოდ არა ქრაქის, არამედ ელექტრონის სინათლესთან.

ელსადგურის ამუშავების ექვსი თვის შემდეგ ძია სიმონა ენახე ზირვანის ხევებში. მისი ფაფახის მატყლი დაბნეულიყო. ის ერთავად სჩიოდა მატყლტრესტის შესახებ და ამბობდა:

— რალაც შერ-ტრესტი გამოჩენილა, მატყლს აგროვებს. ჩენი საქმე ცუდად არის, ცუდად.

და მართლაც სიმონას საქმე ცუდად იყო, ძლიერ ცუდად. მის სოფელში არ ყოფნის დროს ყველა ქობში შეეტანათ ელსადგურის სინათლე. გაანათეს აგრეთვე სიმონას ოთახიც.

მისი ცოლი გახარებული იყო, რომ მეზურნიანთ რძლებს არ ჩამორჩა და თავის ოთახშიც „ლამპუჩკა“ ჩამოჰკიდა. ყოველთვის, სინათლის ანთების დროს, სარა ამბობდა: „კარგი ხარ, ეი, სინათლევ! კარგი! მაგრამ ქმარი კი მთებში გადამიგდე“...

თარგმანი სომხურიდან—**ლ. კარაპეტიანისა**

ლალასის ფასი

მირზა მაჰმუდმა ბოლოს მოახერხა ციხიდან გაქცევა. როგორც იქნა შე-
უმწმველად ეზოში ჩამოსცურდა ტანჯვის მაღალი ფანჯრიდან, სადაც დაახლო-
ებით თავისი სიცოცხლის ოთხი წელიწადი გაეტარებინა.

მაგრამ ფეხი ძლივს დაედგა დედა-მიწაზე, რომ ზევით დარაჯმა, რომლის
თვალს არაფერი გამოეპარებოდა, მაშინვე შეამჩნია, თოფი დაუმიზნა და ეს-
როლა... მირზას თუმცა ტყეია მზარში მოხვდა, და სისხლი სდიოდა, შეითან
ბაზრამდე მაინც მიიღწია და ერთ-ერთი კარების წინ დაეცა.

თუმცა ძლიერ მაგრა დაეცა, მაგრამ რაკი ჯაშუშების ბელში არ უნდოდა
ჩაეარდნა, ღონე მოიკრიბა, წამოდგა და კარები დააკაკუნა.

— ეინა ხარ?— მოისმა შიგნიდან ქალის ნახი ხმა.

მირზა ერთის წუთით გააჩერდა, არ იცოდა, რა ეპასუხა. ის ხომ უცნობ
სახლთან იმყოფებოდა.

— დამო, კარი გაშიღე, — ბოლოს ძლივს წარმოსთქვა მან.

მაგრამ ქალის ხმა ბელახლა დაეკითხა და უნდოდა გაეგო, თუ მთხოვ-
ნელი ვინ იყო და საიდან მოდიოდა.

მირზამ იცოდა, რომ მისთვის დრო ძვირფასი იყო და, პარველყოფლისა,
საჭირო იყო სადმე თავი შეეფარებინა.

— რათ შეკითხები, დამო? დაქრილი ვარ, — უპასუხა მან, — ცოტა წყალი
დამალევი. ჩემი დარდი რომ იცოდე, შემიბრალებ...
— მობრძანდით, — უთხრა ქალმა და კარი გაუღო.

მირზა შევიდა თუ არა, კარი მყისვე ჩაქკეტა.

ახალგაზრდა ქალი შეშინებული უცქერდა აღელვებულ მირზას და მის
წეშლილ სახეს.

— ნუ გეშინია, დამო! შენს სახლში თავშემფარავი, არც ქურდია, არც
მაწანწალა, პირიქით, ის ერთია, რომელიც კაცობრიობის კეთილდღეობის-
თვის წლობით ციხეში ჩამპალა და მერე იმავე მიზნის სიყვარულით დაქრილა
ციხიდან გაქცევის დროს.

ახალგაზრდა ქალი უცებ აწითლდა.

— რევოლუციონერი ხარ?

— დიახ.

— სახელი?



— მირზა მაჰმუდა.

ახალგაზრდა ქალის სახეზე რაღაც სიხარულმა იელვა.

— ძლიერ მოხარული ვარ... სიანს, უკვე განთავისუფლდნენ.

მირზამ სრულიად ვერაფერი გაიგო მისი ნალაპარაკებიდან და წუთით სულელივით მიაშტერდა მოსაუბრეს.

— ნუ თუ მიცნობ?

— დიახ.

— სახელი?

— ანა პაელოვნა.

ამ სახელის გაგონებაზე მირზა კინალამ გაგიედა, რადგან რევოლუციონერების წრეში არ მოიპოვებოდა ისეთი ვინმე, რომ ანა პაელოვნა არ ეცნო. მოსკოვში, სტუდენტობის დროს, როგორ მედგრად მუშაობდა ეს ქალი რევოლუციონერების რიგებში! ისეთი სილამაზისა და სამაგალითო ყოფაქცევის პატრონი იყო, რომ ყველას ხიზლავდა. თოვლივით მოქათათე სახეზე შოელვარე წყველი შავი თვალი ისე ფართოდ და მშვენიერად გამოიყურებოდა, რომ მნახველი დიდ სიამოვნებას ჰგრძნობდა.

მაგრამ ერთხელ, რევოლუციონერთა შორის ყუმბარასავით გასკდა ერთი ამბავი: ანა პაელოვნა მეფის ერთ-ერთ ჯაშუშს ტყუილისში მცხოვრებ ალი ბეის მისთხოვდა.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ყურიდან ყურს, მარჯვნივ და მარცხნივ, ჯეღა გაოცებული იყო. ამის გამო იმ წუთში საკრებულო ადგილები შესცვალეს და ორგანიზაციებში დიდი ცვლილება მოახდინეს. ანას სახელს კი წაველა-კრულვით იხსენიებდნენ.

აი ეს ყოველი ელვის სისწრაფით გაუკრთა თვალწინ მირზა მაჰმუდს. ცოფიან ლომივით ახრიალდა.

მირზა რომ ასეთ ყოფაში ნახა, ანას მწვავე ტრუანტელმა გაუარა... და ღონემიხდილი კედელს მიეყრდნო.

— უკაცრავად, ქალბატონო, მე გარეული ნადირთაგან თავის დასახსნელად აქ შემოველ, არ ვიცოდი რომ გველის სოროში მიეძვრებოდი... არა ქალბატონო, მე აქ ყოფნა აღარ შემძლია...

და ვიდრე მირზა კარისკენ მიბრუნდებოდა, ანა უეცრად დაიძრა და წინ გადაეღობა.

— ნუ მიხვალ. დაგიკერენ!— წასჩურჩულა მან.

ანას ხმაში თრთოლვა ისმოდა, რომელიც მხოლოდ მოლაღატის მონანების ხმას სჩვევია. ეს მთრთოლვარე ხმა თითქოს შებრალებასა და პატიებას სთხოვდა...

მაგრამ მირზამ მკლავები მაგრა დაუჭირა, ღონიერად უბიძგა და ძირს დასცა. ის იყო, უნდოდა გარედ გასულიყო, მაგრამ ერთის წუთით შესდგა.

— რა კარგ ნადავლს უთავაზებდი შენს მეუღლეს! მაგითი შენ თავს უფრო შეიყვარებდი... მაგრამ რის იზამ, რომ ვერ მოხერხდა! ეპ, რადგან ვერ შესძელ შენი საყვარელი ქმრისთვის ეს მოულოდნელი საჩუქარი მიგვრთამია, ეხლა

ის-ღა დაგრწენია, რომ იტირო! შე კი ვიცინებ,—უთხრა შირხამ კისკისით და საჩქაროდ გარედ გავარდა.

შირხას წასვლის შემდეგ ანამ გრძნობა დაჰკარგა. ყურებში მისი და-
ცინვის სიტყვები უწიოდა, თვალებში კი მისი განრისხებული და მუცხისმგების
სახე ბრწყინავდა.

ძლივს წამოდგა. ოთახში შევიდა, ლოგინზე დაემხო და ბავშვივით აქე-
თინდა.

მართლაც რომ მისი შეფულება შეუნდობელი, მძიმე დანაშაული იყო
რევოლიუციის წინაშე, მაგრამ რა!—მისი ცოდვა იმ დროას სიყმაწვილესა და
გამოუცდლობას უნდა მივაწეროთ. იგი მოსკოვის თავის ნაცნობ ერთ-ერთ
ოჯახში შეხვდა ალი ბეის და, როგორც ხშირად მოსდით ხოლმე ახალგაზრ-
და ქალებს, გულით შეიყვარა და მერე კიდევ მისთხოვდა. ვერც კი გაიგო,
თუ როგორ მოხდა ეს ყოველივე. მისი ჯაშუშობა, მხოლოდ ერთი წლის შემ-
დეგ გაიგო.

მაგრამ სიყვარული, რომელიც ყოველნაირი სიწმინდის ფეხქვეშ გათელ-
ვის საუკეთესო საშუალებაა, ნებას არ აძლევდა, რომ ჯაშუშს ჩამოშორებოდა.
ანას მაშინაც კი უყვარდა ქმარი, როცა ეს უკანასკნელი ზიზლით უპა-
სუხებდა.

და ეხლა საბრალო ქალი, ლოგინზე მწოლარე, რამდენი საათი იყო, რაც
სტიროდა...

ბოლოს კარების კაკუნმა გონს მოიყვანა.

შემოვიდა ალი ბეი. მის თვალებში მზიარულება ბრწყინავდა, მაგრამ, რა
კი ანას მოწყენილობა შეამჩნია, ძლიერ გაუჟკირდა.

— რა დაგემართა? ეგრე მოწყენილი რათა ხარ, საყვარელო? დღეს ჩვენ
ერთმანეთი უფრო უნდა შევიყვაროთ,—ღიმილით დაუმატა მან.—რომ იცოდე
ხელში რეები ჩამიგდია!

და ალი ბეიმ ცოლს მკლავი გაუყარა და სასაიდლო ოთახში შეიყვანა.

— აბა, მოიტა ენახოთ, რა საკმელები და სასმელები მაქვს? შენ უზრუნ-
ველყოფილი უნდა იყო, ანა, რადგან ამ გამარჯვების შემდეგ უსათუოდ პრის-
ტავად დანნიშნავენ.

ანა, რომელიც წელში მოდრეკილი ქმარს თვალებში უყურებდა, ხმაიმოუ-
ღებლად ადგა და წავიდა, დილიდან დამზადებული საკმელები და არაყის შოშა
მოიტახა და უხმოდ სუფრაზე დააწყო.

ალი ბეი იღიმებოდა, გაზარებული ტაშს უკრავდა.

— მოდი, ჩემთან მოდი, საყვარელო ანიჩკა! მოდი, შენც დაჯექდა ერთი
ჭიქა გადაჰკარ, რადგანაც დღეს დრო არა მაქვს შენთან დიდხანს დაერჩე!..

ანას ნაღველი უფრო მოერია: ყურებში თავისი გველი-ქმარის სიტყვებზე
უფრო შირხას დაცინვის ხმა ესმოდა.

— ეგ რა გამარჯვებაა. ხელში რომ ჩაგიგდია?—ბოლოს დაეკითხა ცოლი.

— როგორ თუ რა გამარჯვება!—არყის ჭიქების ერთმანეთზე დაკლით
უპასუხა ალი ბეიმ, ისეთი საქმე მიშოვიდა, რომ არაყის ხელიდან არ გამოვიდა!

— მაგალითად?..

— რევოლიუციონერების მთელი ორგანიზაცია აღმოვაჩინე!..

ანას უცებ ფერი წაუვიდა და გულმა ძვერა დაუწყო. არა, ანა ვეღარ აიტანს, რომ მისი თვალის წინ ერთი ახალი შეთქმულება კიდევ მოაწყონ რევოლუციის წინააღმდეგ.

— კარგი! მაგრამ შენს გარდა ვგ სხვაშიც იცის? — დაეპასუხა ანა.

— ვა! ბავში ხომ არა ვარ, რომ ჩემი ნახული სხვებს ვუთხრა?!. შარს მომდებენ და ცალიერს დამტოვებენ. მე განა მაგისტანია რამეს ვიხამ?

— საბუთები სადა გაქვს?

— აი, აქ არის! — მიუგო ალი ბეიმ და ქალაღდების ერთი დასტა ამოიღო უბიდან. — აი, ეს არის, რომ ამის ძალით პრისტავი უნდა გაეხდეს, — დაუმატა მან სიცილით, — ამის ძალით! — მაშ, ეხლა მამატიე, ჩემო საყვარელო, უნდა წავიდეს. ამალამ ყველანი უნდა დაეპატიმრო.

და ალი ბეი წამოადგა.

ანა დაბნეული იყო და ერთ წუთს არ იცოდა რა ექნა.

— მოიცა, — უცებ დაუძახა მან, ცოტა მოიცადე.

და ოთახიდან გარედ გაეარდა.

ორი წუთის შემდეგ ანა ხელ-ახლად დაბრუნდა; რალაც არაჩვეულებრივი რამ იყო მის ხმასა და მიხვრა-მოხვრაში. გაბედვით მიუახლოვდა ქმარს და დედალი ლომივით აიფაფრა მის წინ.

— ყური მიგდეს, ალი ბეი! შენ აქედან ვერ გახვალ და მაგ საბუთებსაც ვერ გადასცემს!..

ალი ბეი შეშფოთდა.

— რას ამბობ, დედაკაცო, რას? ზომ არ გაგიკებულხარ?

— არა, ნებას არ მოგცემ!

ალი ბეის უნებური სიცილი აუტყდა.

— შენ ნამდვილად გაგიკებულხარ... მხოლოდ იცოდეს, რომ მე დედაკაცის კტუაზე არ დავდივარ!.. თუ საჭიროება მოითხოვს შენც დაგიტერ და ციხეში ჩაგალობ, გაიგე?

ალი ბეის ეს სიტყვები მეხივით დაეცა თავს ანას, მყის უკან დამალული რევოლვერი იძრო და ქმარს დაუმიხნა... ანას ნახ თითებში არ იყო არცერთი თრთოლევა, მან უზიშრად გაისროლა რევოლვერი.

ტყვია სწორედ გულში მოხედა და ალი ბეი ძირს დაეცა.

ანა მივარდა ქმარს, უბიდან ამოაცალა ქალაღდების კონა და ცეცხლს მისცა იგი.

რევოლვერის ხმაზე, ცოტა ხნის შემდეგ, მეზობლები შემოცვივდნენ.

— ხელი არ მახლოთ, — დაუყვირა ანამ და რევოლვერი მათკენ მიმართა, — ხომ ხედავთ ამ უსულო გვამს? — დაუმატა მან მწარედ — ეს ჩემთვის ყველაზე საყვარელი არსება იყო, რომელიც მე მოვკალ ჩემი საყუთარი ხელით!.. აღარაფერი დამრჩა, ყოველისფერი ნაცრად იქცა!.. სინდისმა მიბრძანა... და მოვკალი... ეხლა კი ერთი სხვა ბრძანება მესმის...

და ანამ უკოყმანოდ ხელი ასწია... და რევოლვერი თავის შუბლზე მიიჭირა.

რევოლვერი გავარდა და ანაც იმ წუთში იატაკზე უსულოდ დაეცა.

თურქულიდან ნათარგმნი — ლ. კარაპეტციანის მიერ.



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

Վերականգնողական
Մեթոդաբանություն

იდეოლოგიური ფრონტზე

იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობის საკითხები ყოველთვის იპყრობდა საქართველოს კომპარტიის სერიაოზულ ყურადღებას. აქ, ჩვენს ქვეყანაში ადგილი აქვს კლასიური, ნაციონალური და წოდებრივი მომენტების განუზომელ სიჭრელეს. არის თავად-ახნაურთა ინტელიგენციის თვალსაჩინო ფენა, რომელიც, თავის თავად ცხადია, გაყვნილია ნაციონალიზმით, ადგილი აქვს კულაკური გავლენის ზრდას, რომელიც აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოში ნაციონალიზმის გავრცელებას. იმ რატიმ არის, რომ კლასიური ბრძოლის განწყობებთან ერთად, ჩვენში ადგილი აქვს ნაციონალიზმის ერთგვარ ზრდასაც.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დროს ინტელიგენცია ჩვენსკენ კიდევ უფრო მეტ მობრუნებას აპირებს. კერძოდ ის ფაქტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მშრომელი მასების მიერ პოლონელი ფაშისტების წინააღმდეგ გამართულ სტიქიურ დემონსტრაციასთან დაკავშირებით, ადასტურებს, რომ ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი მზარს გვიჭერს ჩვენ, ეს ინტელიგენცია უთუოდ საბჭოთა ხელისუფლებას სასარგებლოდ არის განწყობილი.

* * *

მაგრამ არის ინტელიგენტთა ერთი ფენა, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა საბჭოთა ხელისუფლებისაგან. შეეჩერდეთ ლიტერატურულ მაგალითებზე, კერძოდ მინდა შევეხო მიხეილ ჯავახიშვილს, რადგანაც ზოგიერთმა ჩვენმა კრიტიკოსმა, მაგალითად ანზ. სუტირინმა, მას ისეთი ატესტატი მისცეს, თითქოს იგი საუკეთესო თანამგზავრი იყოს. ეს რასაკვირველია, შეცდომაა: ჯავახიშვილი არ არის და არც ყოფილა საუკეთესო თანამგზავრი. ახლა კი უნდა ვიკითხოთ, არის თუ არა იგი, საერთოდ თანამგზავრი? თანამგზავრი უნდა მიდიოდეს რევოლუციის გზით, თუ მან ამ გზას გადაუზვია, ის მაშასადამე, თანამგზავრი არ არის, თუ ავიღებთ ჯავახიშვილის ერთ ნაწარმოებს, სადაც იგი კოლმეურნეობას დასცინის, ნათელი გახდება, რომ ამ კაცს რევოლუციასთან საერთო გზა არა აქვს. ავიღოთ შემდეგ მისი უკანასკნელი ნაწარმოები—„ზავი კლდე“. აქ ჯავახიშვილი ამბობს:

„დეე მათ ჩუსტები დააჯერონ, ქუჩები მოკირწყლონ, ან მოედანზე გავიდნ და ჩეკები წმინდან,—აიუტი მათ საჭეში არ ვოევა, მაშ წერც იანი წემოიჭრებთან ჩვენ სამფლობელაში თავიანთი ცოცხებით და თავიანთი სადგისებით და ბირდა-ბირებით. აგრე, გენაცვალეთ კალმის წყერში, შეუტოეთ, დასცხეთ, იფრინეთ, ჩუმით გივი შადღრო, ჩემათ, თორემ გაგიგებენ და შემდეგ გიფრენენ, ზე-ზე“.

* ანზ. მ. კახიანის სიტყვიდან ს. კ. პ. (ბ) მე-VI ტრილობაზე.

ამ ნაწყვეტის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ ამ კაცზე ნათელი მსჯელობა იქონიოთ. ეს არის იმ ადამიანის ფილოსოფია, რომელსაც არ სურს, რომ ლიტერატურაში შეიკრას „რაზნობინეცი“, მუშა და გლეხი თანასწარმოსაზრებით. ის ამბობს, რომ წმინდა ხელოვნებას სადგისთან და სწოვრთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს და სხვ.

შემდეგ მოთხრობაში—„წითელი ღილი“ იგი სწერს:

„... გონება დიდებული მრჩეველია, მაგრამ მარტო მას არაფერი დიდი არ შეუქმნია, კაცობრიობა ეგვიპტის ტყუობიდან არ უხსნია, მუშოდე ცაშდე კოცონებუ არ დაუნთია და საქმენი სახლარონი მარტო დევებს, ნჯონებსა და კაბულებს ჩაუდგენიათ...“

კაცობრიობას მარტო ჰაბუკი იხსნის ტყუობიდან. ამიტომ ის ჩამორცეხავს საფლავს ობს და დაუბრუნებს დაკარგულ ედემს“.

ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ—ვინ არის ეს ჰაბუკი და როგორ უნდა გაეიგოთ გამოთქმა—„დაკარგული სამოთხე“.

„ბატონო მიხეილი,—მიმართავს თვით გმირი ავტორს—რეპლიკას მაწვდის: ხელ თუ ზეგ ადამიანი მოვარგებ უნდა აფრინდეს, შადერი კი უკან გვეწევა“—თ. ვლასტინე: უკან დიდი სიხარული და ბედნიერება და გერჩა წინ კი კაცნანი და სევდა მოგველის. ასეთია, ჰაბუკო ჩემი რწმენა და გვიანლა ჩემი შეცვლა“.

ცხადია, რომ შადურის სიტყვებით თითონ ავტორი ლაპარაკობს. „მე ხშირად მგონია, რომ ქართულ ხელოვნებას თავს დასტრიალებს სიკვდილი“—ო ლაღადებს ჯაგახიშვილი.

აი, ეს არის იმ კაცის ფილოსოფია, რომელსაც რევოლიუციასთან საერთო არაფერი აქვს, რომელიც წარსულში სიხარულსა და ბედნიერებას ხედავს, ხოლო წინ—მარტოდენ ცრემლებსა თა მწუხარებას.

საკვირველია, როდის შემდეგ გახდა შესაძლებელი, ასეთ მწერალს თანამგზავრი ეწოდოს? ეს ადამიანი აშკარად შორდება რევოლიუციას, იგი მასთან კავშირს სწყვეტს. როგორ შეუძლია ასეთმა მწერალმა ხელი შეუწყოს ჩვენი ლიტერატურის შექმნის საქმეს?

მიუხედავად იმისა, რომ ჯაგახიშვილს აქვს ზოგჯერ გადახრები თანამგზავრობისაკენ, იგი საერთოდ მინც ჩვენივეს მიუღებელ თხზულებებს სწერს. მისი ნაწარმოები იმის გადამღერებას წარმოადგენს, რასაც ჩვენ ვპოულობთ ემიგრანტულ ლიტერატურაში. მისი ნაწარმოები, მაგალითად, არაფრით განსხვავდება ზოგიერთ „თხზულებებიდან“ ეურნალ „კავკასიონის“-ა, რომელიც გამოსცეს 1929 წელს საქართველოდან გადაბეჭვილმა „დემოკრატიული“ საქართველოს ცოცხალ ლეშებმა. ვინმე გელას დაუბეჭდავს ასეთი ლეშის:

ჩვენი რაზმები

მიჯვარს უდაბნო მოწყენილი კრწანისის ველი,
 ირაკლის დიდი მარტოობა, მისი ნალექლი.
 ერ, ირაკლი, გუმაზიან ჩვენი რიგება—
 ერთად ვიარაოთ და კრწანისის ვზიღათ ფიქრები.
 მოდი, ირაკლი, ჩვენი რაზმი შენ მოგიწოდებს.
 ავირჩევთ სარდლათ, არა მეფედ, ასე იცოდე...

ჩვენ გადავლახავთ ადიდებულ მტკვარსა და რიონს.
 ვაწვევით შავ-ხლვას, გამოვიზნობთ ძლიერ სტიქიონს.
 ვი, ირაკლი, ამაყია ჩვენი ხსენება...
 ჩვენ საქართველოს გიჟები ვართ, ნუ გეწყინება...



ქართული
 ენციკლოპედია

საერთოდ, ჩვენში წესად არის შემოღებული ლექსების წერა ირაკლიზე და მეფე-დედოფლებზე. ირაკლებისა და ვახუშტების მოუხსენებლად ვერ სძლებენ. რომ „თეთრი გიორგის“ ეს თაყვანისმცემელი ხალხი გავიყ, ეს არავისთვისაა საეჭვოა, რომ ისინი დეკარგული ხალხია, რომელიც ვერასოდეს ვერ იხილავს საქართველოს, როგორც საკუთარ ყურებს, ესეც გვეს ვარცხუა, მაგრამ ცუდია ის, რომ ასეთ განწყობილებას იზიარებს აქ მწერალთა ზოგიერთი წრეები.

ამჟამად ჩვენ განსაკუთრებით მწვავედ ვაყენებთ საკითხს იმის შესახებ, რომ უნდა გავაძაროთ მტკიცე კლასიკური ხაზი კულტურის საკითხებში და უნდა ითქვას, რომ ამ დარგში ჩვენ გადახრები გვაქვს. აი რას ამბობს აშხ. სტალინი ნაციონალური და პროლეტარული კულტურის შესახებ:

„ჩვენ ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას. ეს სავსებით მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ პროლეტარული კულტურა სოციალისტური თავისი შინაარსით, სხვადასხვა ფორმასა და გამოხატულებას პოულობს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხში, მათი ენის, ყოფა-ცხოვრების და სხვადასხვაობის მიხედვით. პროლეტარული თავის შინაარსით, ნაციონალური ფორმით, ასეთია ის საერთო საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც სოციალიზმი მიიხსრავდეს. პროლეტარული კულტურა არ სპობს ეროვნულ კულტურას. იგი იმას შინაარსს აძლევს, და პირიქით, ნაციონალური კულტურა არ აუქმებს პროლეტარულ კულტურას, იგი იმას ფორმას აძლევს“.

(სიტყვა—აღმოსავლეთის მშრომელთა კომ. უნივერსიტეტის სტუდენტების კრებაზე 18 მაისს, 1925 წ.).

მე ვფიქრობ, ეხლა უნდა გავარკვიოთ, რომ ამ საკითხში სერიოზული შეცდომები და გადახრები გვაქვს, ვინაიდან ერთი საქმეა, როცა ჩვენ ამ კულტურის გვინდა მივცეთ პროლეტარული შინაარსი და ამისათვის გამოვიყენოთ ნაციონალური ფორმები და სულ სხვაა, როცა ნაციონალური და კულტურული სახით ჩვენ ყოველგვარ უმსგავსოებას გვაწვდიან.

როცა ნაციონალური კულტურის სახით ხოტბას ასხამენ მეფე-დედოფლებს, ყველა ძველი და ახალი ჯურის წმინდანებს და, საერთოდ, ყოველივე ძველს, არა თუ მისაღებია ასეთი კულტურა, არამედ ჩვენ შევებრძოლებით ამ „ნაციონალურ“ კულტურას. როცა ნაციონალური კულტურის სახით ივანებენ შენობებისათვის ისეთ სტილს, რომ შენობაში სინათლე არ შეიქრას და რომ ისინი წააგედნენ ძველ ციხე-კოშკებს, თითქოს ჩვენ თავდაცვა გვჭირდება ვინმესაგან პროლეტარული ხელისუფლების პირობებში, ჩვენ არა თუ მივიღებთ ასეთ „კულტურას“, არამედ ვებრძოლებთ ამგვარი „ნაციონალური“ კულტურის წინააღმდეგ. ჩვენ გვჭირდება ისეთი კულტურა, რომელიც შეიძლება პროლეტარიატს და წინ წაისწევს მუშების და გლეხების საქმეს.

ტყვილიად ფიქრობს ზოგიერთი პოეტი და ხელოვანი, რომ ჩვენ ამ საქმეებში არ უნდა ჩავერიოთ. ჩვენ არა თუ ჩავერევით ასეთ საქმეებში, არამედ ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ.

ბრძოლაში
განსჯის

* * *

უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა სასიხარულო მოვლენას: ამიერ-კავკასიის მწერალთა დაახლოებას, მათ კულტურული დაკავშირებას. და აქ გარკვევით უნდა ითქვას, რომ საქმეს ჩვენ უნდა მივსცეთ პროლეტარული შინაარსი, სწორი ხელმძღვანელობა უნდა გავატაროთ. სხვა სიტყვებით, მწერალთა ამ კავშირში, ხელმძღვანელი მთავარი როლი ჩვენს მწერლებს, პროლეტარულ რაზმს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც არ უნდა იყვეს ა. - კ. პროლეტარულ მწერალთა მდგომარეობა, ისინი მაინც იმდენად ძლიერნი არიან, რომ მათ უფლებმა აქვთ ხელმძღვანელობა გაუწიონ ამიერ-კავკასიის ლიტერატურას.

მე უნდა ესთქვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პროლეტარულ ლიტერატორებს საქართველოში აქვთ მთელი რიგი ნაკლოვანებანი, ისინი მაინც იზრდებიან, კვეყნის ზრდასთან ერთად, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ფრონტებზე მიღწევების ზრდასთან ერთად. ამას წინადა ბეჭდვითი სიტყვის დღის 5 მაისისათვის პროლეტმწერლებმა გამოსცეს მებრძოლი შინაარსის ვაზეთი და უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს მიღწევას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამ ვაზეთში გაბედული ტონით ისინი სცხებენ ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ მწერლებს, რომელთაც სურთ თავიანთ ნაგავის ნაციონალურ კულტურად გასაღება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ პროლეტარულ ლიტერატორებს აქვთ სერიოზული შეცდომებიც. მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ვაზეთში ადგილი დაუთმეს ზოგიერთ პირებს ჩვენი მტრების ბანაკიდან. ვაზეთში მოხვდა ტროცკისტი რაქდენ კალაძის წერილი, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს პროლეტარულ გამოცემათა ფურცლებზე. ეს იყო სერიოზული შეცდომა.

მეორე შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარული ლიტერატორები ყველას ერთმანეთში ურევენ: როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე თანამგზავრებს. ეს წარმოადგენს საშიშროებას იმ მხრივ, რომ ჩვენს პროლეტარულ ლიტერატორებს არ შეუძლიათ დაიპყრონ და მიიზიდონ ისინი, რომლებიც მათთან მიდიან. პროლეტარული მწერლების ამოცანაა— შეიქნენ ჰეგემონი, არ მიუდგნენ ყველას ერთი სახომით, არამედ აწარმოონ თვითფელისადმი ინდივიდუალური მიდგომა და მტკიცე ხელმძღვანელობით წაიყვანონ ისინი, ხოლო ამსოლიტიურად არა საიმედონი ჩამოკვეთილი უნდა იქნან ჩვენგან.

მე ვაძმომცეს პროლეტარულ მწერლების ახლად გამოშვებული რამდენიმე წიგნი. მე მსურს შეგჩერდე ამ საკითხზე იმის გამო, რომ ყველა პროლეტარული მწერალი როდი სდგას სათანადო სიმაღლეზე. ავიღოთ მაგალითისათვის ახალგაზრდა პროლეტარული მწერალი—ლორთქიფანიძე. მან წიგნაკი გამოუშვა. ამ წიგნაკის დასაწყისში, სადაც იგი, როგორც სჩანს, გვამღერებს შესავალ პლატფორმას, ნათქვამია შემდეგი:

რა გარბილებით!

განა არ იქნის

ბრძოლებმა რატომ გადაიარა;



ვიცი რომ ძველი გრძობების ფესვი
 მოსასპობია ჩემში შილიანად.
 მაგრამ არა მწამს, რომ გულზე ყალბად
 — თუ სადმე განცდის შავი ტილოა.
 ჩემს თავს თვითონვე ვაუკრა დათვა:
 — ნუ შეეხები, სასიკვდილოა!
 და როგორც სხვებმა
 ბიბლიის ენით
 ვაგლექსო ცაის დადგენილება,
 ან კომპარტიის დირექტივების
 დავიწყო უშნოდ გადამღერება.

აი, ამხანაგებო, იმ მწერლის მსოფლმხედველობისათვის, რომელიც თავის თავს პროლეტარულ მწერალს უწოდებს, იმ გრანდიოზულ კლასობრივ ბრძოლების ეპოქაში, რომლებიც სწარმოებს ჩვენს ქვეყანაშიც და ჩვენი ქვეყნის გარეთაც, ფრიად დამახასიათებელია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბრძოლებმა უკვე გადაიარა, რომ შენელდა ბრძოლის წყურვილი, და, დახეთ, მას არ სურს ფილეროს თავის ლექსებში პარტიის დირექტივებს. რას გავს ეს სტილი? ვინა შეიძლება ასე ლაპარაკი ჩვენს ეპოქაში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სწარმოებს კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრა, ხოლო დასავლეთში მუშათა კლასი სასტიკად ემბრძვის ბურჟუაზიას.

აი კიდევ მეორე პოეტი—იონა ვაკელი, რომელიც სწერს „საქართველოზე“. საერთოდ ჩვენს პოეტებს, პროლეტარულს და არაპროლეტარულს, ავადმყოფობად გადაექცათ სწერონ უმკველად საქართველოზე, საერთოდ ქართულ რასაზე, ქართულ სისხლზე და სხვ.

აი, რას სწერს იონა ვაკელი:

და ამ დღეებში შორს გაეჭანე,
 სამშობლო მხარე, სისხლიან დალით,
 შენ ხარ უკვდავი ბრძოლის ქვეყანა,
 სამყაროს გულზე — გაშლილი ბალი.
 და მე ეოცნებობ ამ გაშლილ ბალში —
 უნდა ვკონაედეთ ქარბნების კონებს,
 ვეჭონდეს სიკოცხლის გაქანებაში
 სხვა ხალხთა სწორი ძალა და ღონე.
 ვიყავით ძველი ტომის და ჯიშის,
 მაგრამ მომავალ ახალ ეპოქებს —
 ჩვენ არაოდეს არ უტკერო შიშით,
 ჩვენ ამ ბრძოლაში არ გვყავს მეტოქე
 და ყველა აქ ვართ დღეს მოგროვილი...
 ქართული სისხლი თვით მშის ფერია
 და ამ სისხლითვე დავვიწერია
 დროსაზე: ქება მოოქროვილი!

ამას წინად ნაციონალისტური მწერალი გერონტი ქიქოძე სწერდა, რომ საქართველო რაღაც განსაკუთრებული ქვეყანააო, და იგი თავის მხრივ იმსჯელებდა პატრიოტიზმით, რომ მის ნაციას ჰყავს დიდებული ადამიანები, თუმცა ისინი მისთვის მტრული პარტიის წარმომადგენელნი არიან, აქ კი ვაკელი

სწერს, რომ ქართული სისხლი რაღაც განსაკუთრებული სისხლიაო. მე არ ვიცი ჯანსაღკომის რომელ ლაბორატორიაში მოახდინეს ქართული სისხლის ანალიზი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ ამას არაფერია აქვს საერთო პროლეტარულ პოეზიასთან. შემდეგ ვაკელი სწერს მიმართევას, როგორ გგონიათ, ვის—მუშათა კლასს, ფაბრიკას და კოლმეურნეობას, თუ კომკავშირისა და პიონერების სულ უფრო და უფრო გაზრდილ კადრებს? სრულიადაც არა—ეს გახლავთ „წერილი ძროხისადმი“.

აი რას სწერს იგი ამ ძროხის შესახებ:

მრავალ ბრძოლებით მოქანცული და შებერტყილი
მოვალ და ისევ მეგობრულად მოგვეყვები.
ნეტავ შენსავით მაინც ვიყო მე უღარდელი.
მაგრამ რა ფუყით ცხოვრებამ ზომ ასე იწება:
შენ სიკვდილ ბილახს, მე კი სევდის მკლავდეს ჩქერები.
ხომ სულ ერთია, დაებრუნდები მაინც ოდესმე
და ძველებური სიგულწრფელით მოგვეყვები.

ეს გახლავთ იდილია, რომელიც თავის დროზე ასწერა ილია ჭავჭავაძემ, როდესაც მიმართავდა ნიკორა ხაჩს. მხოლოდ იქ იყო ხარი, აქ კი ძროხა. ვაკელი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მას სურს მივიდეს ძროხასთან და მასთან იყოს, მასავით გულკეთილ და უწყინარ არსებად, რადგანაც იგი დაიღალა დიდი ბრძოლების შემდეგ და სურს დაისვენოს.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ვაკელი ვერ დაიღლებოდა ბრძოლისაგან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი არ იღებდა ამ ბრძოლებში მონაწილეობას. რატომ იღებს იგი თავის თავზე იმ ბრძოლებს, რომლებსაც აწარმოებენ მუშათა კლასი და პარტია? რა თქმა უნდა, იგი ვერ მოყვრება ამ მძიმე ტვირთს და იგი ჰპოულობს ნუგეშს ძროხის აღერსში.

ისეთ მომენტში, როდესაც სწარმოებს გადამწყვეტი შეტაკებები კაპიტალისტურ სამყაროსთან, მან ვერაფერი ვერ გამოიხატა იმაზე უკეთესი, რომ ისეთივე გულკეთილი და უწყინარი იყოს, როგორც „ძროხა“.

ამას არაფერი აქვს საერთო ჩვენი პარტიის ხაზთან, ძლევამოსილ პროლეტარიატის ხაზთან. ჩვენ ეს არ გვჭირდება: ჩვენ გვჭირია გამამხნეველი, ჯანსაღი ოპტიმიზმი, ჩვენ გვჭირია მღერა ფაბრიკა-ქარხნებისათვის, ყველა იმ შვენიერების, რაც დიად სოციალისტურ ქვეყანაში მოიპოვება, ხოლო ასეთი ნაციონალიზმი და ძროხის პოეზია ჩვენ არ გვჭირდება.

იმის შემდეგ უნდა დავისვენოთ, რომ პროლეტარულმა მწერლებმა სერიოზულად უნდა მოაქიდონ ხელი სწავლა-მეცადინეობას, რომ საქმარისი არ არის მხოლოდ ლექსების ფორმა იკოდნენ, არამედ უნდა იკოდნენ მარქსიზმიც, ლენინიზმიც, იკოდნენ, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო, რა მუშებრატული მუშაობა სწარმოებს ჩვენში.

სანამ პროლეტარული პოეტები ამას არ ისწავლიან, სანამ არ გაეცნობიან მარქსისა და ლენინის მოძღვრებას, მანამდე გაუძნელებათ ჰეგემონად გადაქცევა. ახლა ყველა ამ ლორთქიფანძიებზეა, ვაკელებმა და სხვებმა უნდა ისწავლონ, რათა არ დასწერონ ისეთი რამ, რისაც ჩვენ სირცხვილი გვაგდებს ხოლმე. ამიტომ, რა რიგ უხერხული არ იყოს, ყრილობაზე ასეთი დეფექტების შესა-

ბებ ლაპარაკი, მაინც უნდა ვილაპარაკოთ, რათა ეს ამხანაგები წელსზე გა-
მაგრდნენ და შეეძლოთ ბრძოლა ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ მწერლებ-
თან, ვინაიდან თუ ცოდნას არ შეიძენენ, თუ ძველი კულტურის ელემენტებს არ
შეითვისებენ, ლაპარაკი არ შეიძლება ახალი პროლეტარული კულტურის შექმ-
ნის შესახებ. აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს სწავლა-მეცა დინეობის
საქმს. მეტი სწავლა, სწავლა და სწავლა და შემდეგ წერა და დაბეჭდვა თავისი
წერილებისა, ლექსებისა პროზისა. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმასაც,
რომ მწერლები განკერძოებულნი არ იყვნენ და მეტი ბოლშევიკური, იდეური
გამობრძმედა ნიილან პარტიასა და კომკიეშირში.

* * *

თეატრალურ ფრონტზედაც აგრეთვე მოკვეპოვება ზოგიერთი მიღწევები.
ჩვენი თეატრალური პიესები, მართალია, ნათარგმნია, მაგრამ ესეც მიღწევაა,
რომ ჩვენი საუკეთესო საბჭოთა დრამატურგების პიესებს დროულად ვდგამთ
ჩვენი საუკეთესო ქართული თეატრების სცენაზე. ასეთი მდგომარეობა გასტანს
ჰანამ, სანამ ჩვენი პროლეტარული ლიტერატორები არ შექმნიან საკუთარ ორ-
გინალურ პიესებს. ეხლა საბუთი გვაქვს იმედი გამოვსთქვათ, რომ უახ-
ლოეს დროისთვის გექნება საკუთარი პიესები. მთელი რიგი პროლეტარულ
მწერალთა შეუდგა პიესების წერას (კარლო კალაძე, სამოსონიძე, ზომლეთელი).
ჩვენი პროლეტმწერლები შეუდგნენ აგრეთვე პროზის და არა მარტო ლექსის
წერას. ეს იქნება ნამდვილი წინ წასვლა და ეს ჩვენს პროლეტარულ მწერლებს
გახდის ნამდვილ წინამძღოლებად. ჩვენი პარტორგანიზაციები კი ყოველნაირად
უნდა დაეხმარონ ამ მწერლებს, რათა მათ უფრო მეტი მიღწევები ექნეთ იდეო-
ლოგიურ ფრონტზე.

* * *

შემდეგი საკითხია—წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია. ამ საქმეს
ჩვენ უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება, რადგან ამ მხრივ ჩვენ რამდენ-
იმედ ჩამოვრჩით. ლენინს არა ერთხელ უთქვამს, რომ წერა-კითხვის უკოდი-
ნარი პოლიტიკის გარეშე სდგას და რომ წერა-კითხვის უკოდინარ ქვეყანაში
კომუნისტურ საზოგადოების აშენება შეუძლებელია. ეს სწორია. ჩვენ ვერ შეეს-
ძელით ელემენტარული საქმის შესრულება კულტურულ დარგში—წერა-კითხვის
უკოდინარობის სრული ლიკვიდაცია. და ძალიან ნელი ნაბიჯით მივდივართ
წინ, რათ მოხდა ეს? ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი საუწყებო ორგანიზაციები
მათ შორის განათლების სახალხო კომისარიატი და პოლიტგანათლების მთავარი
სამმართველო სესტად მუშაობს ამ დარგში.

ისინი ასე მუშაობენ: ადგენენ კალენდარულ გეგმას, აწყობენ თათბირს,
ადგენენ რეზოლიუციას—მორჩა და გათავდა. თუ ისინი ფიქრობენ, რომ ამით
მოსპობენ წერა-კითხვის უკოდინარობას, ნება მომეცით განვიცხადო, რომ ეს
სააწუხარო შეცდომაა. ასე შეიძლება ლიკვიდაცია მოახდინო წერა-კითხვის ცო-
დნის და არა უკოდინარობის.

როცა ავტპროპა და პოლიტგანმა წარმოადგინა წინადადებები, თუ რო-
გორ უნდა მოესპოთ წერა-კითხვის უკოდინარობა, ჩვენ მათი სქემა დავიწუნეთ

იმიტომ, რომ ამ სქემაში ასე ეწერა: 350 ათასი არის წერა-კითხვის უცოდინარი, ჩვენ შეგვიძლია წლიურად წერა-კითხვა ვასწავლოთ 50 ათასს, თუ პროლეტარული სახელმწიფო თანხებს მოგვეცემს, ხოლო თუ არ მოგვეცემს, ვაძლენსაც ვერ ვასწავლითო. ამ ხნის განმავლობაში უცოდინარები კიდევ გაარავლდებიან, არავითარი გაუმჯობესება არ მოხდება და ამრიგად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მხოლოდ შვიდი ან უფრო მეტი წლის განმავლობაში თუ იქნება შესაძლებელი.

ამჟამად, როცა ჩვენ შევედით რევოლუციურ პერიოდში, ჩვენ მკოდნე ხალხი გვესაჭიროება მუშაობის ყველა დარგში და იმიტომ ჩვენ არას შემთხვევაში არ შეგვეძლო, ასეთი გეგმა მიგვეღო. რა დაავიწყდათ ამ სქემაში? დაავიწყდათ ერთი წვრილმანი—პროლეტარული საზოგადოებრივობის არსებობა. ჩვენ გვაქვს ისეთი ბერკეტები, როგორც, მაგალითად, პროფკავშირები, კომკავშირი, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი და სხვ... საჭირო იყო ამ ბერკეტების ამოქმედება, და როცა საკითხს ასე მიუღდგენ, გამოირკვა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შესაძლებელია არა შვიდი, არამედ სამი წლის განმავლობაში, და ამისათვის საჭიროა არა მილიონები, არამედ უფრო ნაკლები. საქართველოს კომპარტიის ცეკამ დაადგინა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს მუშებს შორის ერთ წელიწადში, სასოფლო-სამეურნეო მუშებს შორის—2 წელიწადში, ხოლო 3 წელიწადში წერა-კითხვის უცოდინარობა აღმოუფერელი უნდა იქნას მთელ მოსახლეობაში. ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ საქმეში ჩაბმული იქნება მთელი ჩვენი პროლეტარული საზოგადოებრივობა. მე არ მოვიტხოვ, რომ ეს საქმე ჩვენ მოვაშროთ განათლების სახალხო კომისარიატს, არამედ ვამბობ, რომ პროფკავშირები, კომკავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სტუდენტობა, მწერლობა და ყველანი უნდა ჩაბმულ იქნან ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმეში; ჩვენ მაშინ მხოლოდ შეესძლებტ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას 3 წლის განმავლობაში, და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ეს თქვათ, რომ ჩვენ მართლაც წერა-კითხვის მკოდნე ქვეყანას წარმოვადგენთ.

* * *

ორიოდე სიტყვა ჩვენი წიგნის მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ ჩვენ უთუოდ გვაქვს მიღწევები. სახელგამმა დიდი მუშაობა გააჩაღა. თუმცა ჯერჯერობით ეს მუშაობა უმთავრესად რიცხვობრივად არის დიდი.

თუ შევხებით მას თვისებრივად, დავინახავთ თითო-ოროლა გამოცემებს, რომლებიც ყოველმხრივ მოსაწონია. მაგალითად, ლენინის თხზულებათა გამოცემა, მართლაც მეტად სასიხარულოა ეს გამოცემა. ის დიდი გამარჯვებაა კულტურულ ფრონტზე. უაქველ გამარჯვებათ ჩაითვლება აგრეთვე მარქსის გამოცემა ქართულ ენაზე, მაგრამ დანარჩენი მხრით ჩვენ კიდევ ვხედავთ „კულტარშინას“. წიგნის გავრცელების საქმე ცუდათ არის დაყენებული. ჩვენ კიდევ არ გვაქვს მასიური იაფი წიგნი მუშებისა და გლეხებისათვის. ეს იმიტთ აიხსნება, რომ ამ საქმეში არ არიან ჩაბმულა არც პარტია, არც კომკავშირი, არც პროფკავშირები, არც კოოპერატიული ორგანიზაციები. ამ უკანასკნელთ

განსაკუთრებით ევალემათ ზრუნვა ამაზე, მათ ეს თეის საქმედ უნდა მიჩნდეთ. ინიციატივის გარეშე ჩვენ აქ ვერაფერს გავხედებით. ამჟამად, ჩვენ ეხედავთ, რომ ამ მხრივ მუშაობა გამოცოცხლდა, მთელ რიგ რაზმების მიხედვით და ბათომშიაც. პირველი ნაბიჯი ბათომში გადასდგა, დანიშნული შეჯიბრებები და გამოწვევა ამ დარგში. ყოველივე ეს ძალიან კარგი წამოწყებაა, რის შედეგათაც ჩვენ ეხედავთ, რომ წიგნი თანდათან ვრცელდება სოფელში.

ინიციატივა და თვითმოქმედება ჩვენ აქ გვესაჭიროება ისევე, როგორც ყოველ სხვა დარგში. ეს საქმე არ უნდა კეთდებოდეს კაზიონურად, სახელგამმა უნდა გამოაცოცხლოს მუშაობა. უმთავრესად მან მუშაობა უნდა გააცხოველოს ეროვნულ უმცირესობათათვის ლიტერატურის გამოცემის საქმეში. ჩვენ მთელი რიგი დადგენილებები გვაქვს ამ საკითხის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი მდგომარეობა ოდნედაც არ გაუმჯობესდა. სახელგამს ისიც ვერ მოუხერხებია, რომ სომეხი მწერლები ქართულ ენაზედ გადმოგვეთარგმნა, ვერ მოუხერხებია, რომ მეტი სახელმწიფანელოები გამოდიოდეს სომხურ, თურქულ და სხვა სკოლებისათვის. მიუხედავად მთელ რიგ მითითებებისა ამ დარგში ჩვენ ძირითად გარდატეხას ვერ მივაღწიეთ; უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს სახელგამი საქმროა სცემდეს ლიტერატურას არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ, აგრეთვე იმ ეროვნებათა ენებზედაც, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ. ეს უნდა შეიგნონ სახელგამის ხელმძღვანელებმა და მაშინ ჩვენ შეგვეძლება სრული მადლობა უთხრათ სახელგამს, ხოლო მაშინვე კი ჩვენ მადლობას ვეტყვიან მხოლოდ კარგისათვის, ხოლო რაც ცუდია, იმას მიწუსად ჩაუთვლით.



საკითხი, რომელსაც აგრეთვე დიდი კავშირი აქვს კულტურულ რევოლუციისთან და იდეოლოგიურ ფრონტთან, ეს არის ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხი. აქ ჩვენ ერთის მხრივ საჭირო ანტირელიგიური მუშაობა შევასუსტეთ, ხოლო მეორეს მხრივ — ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. ადგილი ჰქონდა ხაზის გამოუღებებს აღმინისტრაციული ბრძანებლობის სახით. ჩვენ რელიგიას აღმოვეყვებოდით მხოლოდ მაშინ, თუ სისტემატიურად ჩაეატარებთ სწორ მეცნიერულ მუშაობას და ამ საქმეში ჩაებათთ საუკეთესო ძალებს. ლენინი რელიგიის შესახებ შემდეგს სწერდა:

რელიგია არის ოპიუმი ხალხისათვის, — მარქსის ეს გამოთქმა ქვაკუთხედია მარქსიზმის მთელი მოძღვრებისა რელიგიის საკითხში, ყველა თანამედროვე რელიგიებს და გლესიებს, ყველა და ყველგვარ რელიგიურ ორგანიზაციებს მარქსიზმი ყოველთვის იხილავს, როგორც ბურჟუაზიული და რევუციის ორგანოებს, რომელნიც ემსახურებიან ფეოდალთათვის და ეყვან და მუშათა კლასის გაბრუნებას.

და ამავე დროს, ეწველს, არაერთხელ კიცხავდა იმ ხალხს, რომელსაც სურდა სოციალ-დემოკრატიაზე მეტი „მემარტენეობის“ და „რევოლუციონერობის“ გამოჩენა, სურდა შეეტანა მუშათა პარტიის პროგრამაში ათეიზმის პირდაპირი აღიარება, რელიგიისათვის ომის გამოცხადების სახით. 1874 წელს, ეწველს, როცა ის ლაპარაკობს კომუნის დეპერტირების, ბლანკისტების ცნობილ მანიფესტზე, სისულელეს უწოდებს მათ მიერ მყვირალა ფრანგების გამოსროლას და ომის გამოცხადებას რელიგიისათვის. ის ამბობს, რომ ომის გამოცხადება ეს საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ გა-

მოკაცლებული იქნას ინტერესი რელიგიისადმი და შეფერხდეს რელიგიის ნამდვილი აღმოფხვრა“ (ლენინი, ტომი მე-II, გვ. 251).

ყოველდღიური ცხოვრების ფაქტები გვიჩვენებენ, რომ აღმშენებლურად და დადასტურებულად გამოიწვია ის, რომ ეწყობა დების და მშენებლის საზოგადოებრივი რელიგიის დასაცავად, ქართულ ეკლესიებში გამოჩნდნენ მომღერალთა გუნდები. მე ვფიქრობ, რომ აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომპაგნოზის იმისათვის, რომ სწორად წარიმართოს ბრძოლა, რომ მეტი შედეგი იქნეს მიღწეული, ვინემ ეს იყო დღემდე.

* * *

ესლა მე მინდა შევეხო ჩვენს ბეჭდვითი სიტყვას. ბეჭდვითი სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ესლა, როცა ჩვენ უნდა დაერაზმოდ და აღვზარდოდ მასები, უნდა ითქვას, რომ ამ დიდ ამოცანას ჩვენი ორგანოები შეძლებისდაგვარად ასრულებენ. მუშგლებკორთა მოძრაობა იზრდება. საქართველოს მუშგლებკორთა ყრილობაზე დაეინახეთ, რომ შუშების, მოჯამავირების და გლებების დიდი რაოდენობაა ჩამბული ამ მოძრაობაში. მაგრამ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ვახეთები დღევანდელი დღის საჭირობორტო საკითხებს, გადაუდებელ მოთხოვნებებს არ აყენებენ, ან მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ეს ნაკლი ყოველ მიზეზის გარეშე უნდა გამოსწორდეს. უნდა გამოვიყენოდ კომუნისტების, პროლეტარულ მწერლების ყველა ძალები იმისათვის, რომ ჩვენი ორგანოები ვახდნენ ნამდვილ მებრძოდ ორგანოებათ. მართალია, ამ დარგში გვაქვს ერთგვარი მიღწევები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

რაც შეეხება „კომუნისტ“, ჩვენს ცენტრალურ ორგანოს, მომავალ საბიუჯეტო წლიდან მისი ტირაჟი 40.000 მეტი იქნება, და იგი ყოველგვარ დოტაციის გარეშე გამოვა. საქართველოსა და მთელ ამიერ-კავკასიაში ეს იქნება ერთად-ერთი გაზეთი, რომელიც სახელმწიფოს არც ერთ კაპეიკ ფულს არ მოსთხოვს.

რადგანაც ახალგაზრდობის თეორეტიული მოთხოვნალება დღიდან-დღემდე იზრდება, საჭიროა „ბოლშევიკი“-ს გამოცემა ქართულ ენაზე. მოზარდი ახალგაზრდობა, რომელიც უნივერსიტეტში, სკოლებში და თვითგანვითარების წესით სწავლობს, ვერ ერკვევა მარქსიზმის და ლენინიზმის საკითხებში. საჭიროა ახალგაზრდობის თეორეტიულად შეიარალება და „საქართველოს ბოლშევიკი“-ს გამოცემა ქართულ ენაზე, რომელმაც უნდა უჩვენოს - ახალგაზრდობას სწორი თეორეტიული გზა, რათა ჩვენს მოწინააღმდეგეებს ხელიდან გამოვაკალოთ თეორეტიული ზეგავლენის შესაძლებლობა. ამ ორგანომ ჩვენს მოზარდ თაობას თეორეტიული ცოდნა უნდა მისცეს. ცენტრალურ კომიტეტს უნდა დაევალოს პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით.

ქართული კულტურის ორი დღესასწაული *)

როგორც სომხური წყაროებიდანა ჩანს, ქართული ანბანი შემოღებული ყოფილა ბაქურ მეფის დროს და მისი ინიციატივით; ებლა, მაშასადამე, უნდა გამოირკვეულ იქნეს ვინაობა ამ ბაქურისა. მე ვგონია, ეს ის „დიდი ბაქურია“, რომელსაც მისი შვილისშვილის, პეტრე იბერიელის, ასურული „ცხოვრება“ იბერიაში ქრისტიანობის შემოღებას ზიარებს. პირველი საკითხი, რომელიც ჩვენს წინ იჭრება ბაქურის პიროვნებასთან დაკავშირებით, არის შემდეგი: იყო თუ არა ბაქური პირველი ქრისტიანი მეფე იბერიისა? თუ შედეგობაში არ მივიღებთ ამ ოცდაათი წლის წინათ პროფ. ვ. ბოლოტოვის მიერ შემთხვევით გადმოსროლილ სიტყვას, ერთადერთი დამკველი იმ აზრისა, რომ პირველი ქრისტიანი მეფე იბერიისა იყო არა მირიანი, არანედ კონსტანტინე დიდის თანამედროვე „დიდი ბაქური“, არის პროფ. ი. ჯავახიშვილი. ამ აზრის დასამტკიცებლად მას არაერთგვაროვანი სხვა საბუთი არ მოჰყავს, გარდა პეტრე იბერიელის ასულის „ცხოვრებისა“, სადაც ნათქვამია: „დიდი ბაქური ამ ქვეყნის (იბერიის) მმართველთაგან პირველი ქრისტიანი მეფე იყო და მან მთელი ეს ერი ღვთის მოწოდებამი მოაქციაო“, ანდა—„დიდი ბაქური იბერიელ მეფეთაგან პირველი იყო ქრისტიანი“ (R. Raabe, Petrus der Iberer, S. 15, 16). ეს „მეხუთე“ საუკუნის წყარო (ქართველი ერის ისტორია I³, გვ. 204), რომელსაც ივ. ჯავახიშვილი იმავე 1928 წელს გამოკვეთს „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში „მეექვსე“ საუკუნის დამდევისადა სთელის (გვ. 175), იმდენად ეჭვმიტანიელი ყოფილა, რომ იაკობ ხუცის შრომასაც კი არ ჩამოუყვარდებაო (გვ. 202), ამიტომ მე თურმე უმართებულოდ ვიტყვი, როდესაც მის ავტორს ვაბრალებ პეტრეს ნათესაების იდეალიზაციას (ავტორს მხედველობაში აქვს ჩემი მონოგრაფია „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიული-ქრონოლოგიური საკითხები“, მიმოიხილველი I, 1—53). დაუჯერებელია, ამბობს ის, ავტორი ამ „ცხოვრებისა“ შეტოვებაში წვეულებას ან ოუფინოვის, ან სოკრატეს სიტყვებს (გვ. 200, შენ. 1) იბერთა პირველი ქრისტიანი მეფის სახელის შესახებ და ნამდვილი ცნობები არ ჰქონდეს მას როგორც ბაქურის, ისე სხვა, მის თხზულებაში მოხსენებულ, პირთა შესახებო. მე ჩემს მონოგრაფიაში პეტრეს ასურული „ცხოვრების“ ღირსება-ნაკლებებთან საკითხს საგანგებოდ არ შევხებივარ, მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც მოკვეთილია პეტრეს

უმახლობელესი ნათესავეებისა და აღმზრდელების სარწმუნოებრივი უკმაყოფილოება და დასურათებულია მათი ღვთისწილობა, დაგინახე ერთგვარი გადაქარბება და იდეალიზაცია, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ, ი. ჯუღელის სიტყვით, „აღმწერელს მიზნად ქართლის გაქრისტიანების ამბეის მოთხოვნა არ ჰქონია“ (გვ. 204), შეიძლება, მაინც ათქმევინა მას, რომ იბერიაში ქრისტიანობაც კი პეტრეს პაპმ, ბაკურმა, დანერგაო. მართლაც, აი როგორ არიან აქ დახასიათებული პეტრეს მახლობელი პირები: დიდი ბაკური, პაპა პეტრესი, და მეუღლე მისი დუხტი, მეტად მორწმუნე და ქველმოქმედი ადამიანები არიან, ისინი მეფობაში ასევეტორ, ბერულ ცხოვრებას ატარებენ. ბაკური კვირაში სამჯერ თავისი ხელით სატახტო ქალაქის ეკლესიაში მოწყალებას არიგებს, სასახლეში საკმელს ამზადებინებს და ღამიღამობით თვითონვე ურიგებს ღარიბებს, რომელთათვის მას თავშესაფარიც კი აუგია. ყველა სათნოებასთან ერთად მან მოიგო აგრეთვე გვირგვინი აღმსარებლობისა ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოწამეობისა. დედოფალი დუხტი იმდენად გულმოდგინეა, რომ სამეფო სამოსელს ქვეშ ძაძას ატარებს და თავისი ძვირფას სამკაულებს ღარიბებს უყავს (ს. 16—17). ბაკურის ძმა „წმიდა“ არჩილი, მიუხედავად იმისა, რომ ცოლიანი იყო, ქალწულად დარჩა, [ჩვენი მატყანით კი მას ორი. შვილი ჰყავდა, ერთი მათგანი—მირდატი, ვახტანგ გორგასლანის მამა], დროს სულ ცრემლებსა, მარხვასა და ლოცვაში ატარებდა და, როგორც პეტრემ გვიამბოო, შენიშნავს ჰაგიოგრაფი, ნიშნებსაც კი იქმნადაო (ს. 18—19). ოსდუხტი, პეტრეს ბებია, იმდენად ღირსეული ადამიანი იყო, რომ მისი გვამი, მიწის ძვრის შემდეგ, სხვა ადგილას გადაიტანეს და დასვენენს ისე, როგორც „წმიდანს“ შეშენის. პეტრეს აღმზრდელმა ოწამ მთელი თავისი ცხოვრება გაატარა ტირილსა, ლოცვასა და მარხულობაში. დედა პეტრესი, ბაკურდუხტი, ლოცვა-ვედრებასა და მარხულობაში ატარებდა დროს, მან აიგო გლახათა თავშესაფარი და საავთმყოფო (ს. 20).

არ შეიძლება ასეთს დახასიათებაში მკვლევარმა არ დაინახოს გავიდიდება, იდეალიზაცია და დასახელებულ პირთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ფიზიონომიის განდიდება; არ შეიძლება ეს მეც არ დამენახა, მაგრამ ამ შემთხვევაში მე იმაზე მეტი არა მითქვამს რა, რასაც ეხლა თვით ი. ჯუღელი ამბობს: „ბაკურისა და მისი თანამეცხედრის შესახებ პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრებაში დაცული ცნობები, ზეპირი გარდმოცემის სახით აღბეჭდილი, ვითარცა ერთი საუკუნის შემდგომ ახალნერგ ქრისტიანთა წრეში ჩვეულებრივს იდეალიზაციას შეჰყვრის, რასაკვირველია დროთა განმავლობაში დანართითა და გავრცელებით შეფერადებული უნდა იყოს, ამის გამო იმ მოთხოვნაშიც სინამდვილისა და იდეალიზაციის ერთიმეორისაგან გარჩევა ამეუამად ძნელია“ (გვ. 214, შეად. გვ. 201, კურსივი ჩენია).

ზატარია ქართველს, ამბობს ივ. ჯავლი, „ვითარცა ქართველთა მოქცევისაგან მხოლოდ ერთი საუკუნით დაშორებულ პირს, საფიქრებელია პირველი ქრისტიანე ქართველი შეფის სახელი უნდა კარგად სცოდნოდა. ხოლო რათგან ის ამისთანავე ქართველი იყო, ქართლის სამეფო საზღოებისა და ისეთი გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის, როგორც პეტრე ქართველი იყო, დაახლოებული პირი, მას თავისი სამშობლოს ქრისტიანობის შესახებ უფრო სანდო

ცნობები უნდა ჰქონოდათ“ (გვ. 204). ავტორს, როდესაც ამ სიტყვებს სწერდა, ალბათ დაეფიქვნია ერთი გარემოება, რომელსაც ის სხვა ადგილას უნახნადა პეტრეს „ცხოვრების“ ქართული ვერსიისა, თვითონვე აღნიშნავს სახელდობრ ის, რომ „ზაქარია ქართველი პეტრეს სამშობლოდანვე თან გაჰყოლია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ვითარცა მოწაფე, თან ჰხლებია და სიკვდილამდე მასთან განუშორებელიც ყოფილა“ (გვ. 199). პეტრე, რომელიც 488 წელს გარდაიცვალა, იბერიიდან, როგორც ცნობილია მისი „ცხოვრებიდან“, 12 წლისა წაუყვანიათ და ის მას შემდეგ არც ერთხელ თავის სამშობლოს მოკლე დროითაც კი არ დაბრუნებია, არც თავისიანებს შეხვედრია სადმე; პირიქით—გაურბოდა კიდევაც მათ (დედის ნახვა არ მოისურვა) და მხოლოდ წერილებსა სწერდა, ისიც პირველ ხანებში (ს. 21). ზაქარია იყო მისი მოწაფე, მაშასადამე—მასზე უმცროსი; თუ ის მართლა სამშობლოდანვე გაჰყოლია პეტრეს, უნდა ვიფიქროთ, 12 წლისაზე მეტი არც ის იქნებოდა, ძნელი დასაჯერებელია, 12 წლის ბავშვებს იბერიის მოქცევისა და პეტრეს წინაპრების შესახებ იმდენად „კარგი“ და „სანდო“ (გვ. 204) ცნობები გამოეცანათ სამშობლოდან და ისიც, თუ მეტი არა, 80 წლის განმავლობაში (თუ ვიგულებთ, რომ „ცხოვრება“ დაწერილია პეტრეს გარდაცვალების უმაღლ, 489—490 წელს) ისე შეენახათ მეხსიერებაში, რომ ამ ცნობებში შეცნობილი კრიტიკისათვის საეჭვო არა იყოს რა.

მაგრამ საკითხავია, მართლა ქართველი იყო პეტრე იბერიელის მოწაფე, რომელშიც მისი „ცხოვრება“ აღწერა? ივ. ჯავ—ლი ამ შემთხვევაში ეწყარება ნ. მარჩის გამოკვლევას და ამბობს: „პროფ. ნ. მარჩს სამართლიანად დასკვნილი აქვს, რომ [Raabe-ს მიერ] გამოცემულ ასურულ გადაკეთებულ ცხოვრებასა და პეტრე ქართველის ცხოვრების მთარგმნელს მაკარი ხუცესს უფრო საფიქრებელია, რომ ამ ძეგლის ერთნაირი, საბედლობრ ზაქარია ქართველის მიერ აღწერილი ასურული დედანი უნდა ჰქონოდათ“ (გვ. 200). მაშასადამე, გამოდის, ზაქარია ქართველს ასურულად დაუწერია თავისი მოძღვრის, პეტრე იბერიელის, ცხოვრება, რომელიც მერე გადაუკეთებია ასურულად Raabe-ს მიერ გამოცემული ტექსტის ავტორს და ქართულად მაკარი ხუცესს. გამოვრება იმისა, რასაც ნ. მარჩი 1896 წელს ამბობდა, დღეს, როდესაც პეტრე იბერიელის ცხოვრების“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი წადგა წინ¹⁾, შეუძლებელია. დღეს ამ ძეგლის წარმოშობა და ფილიაცია შემდეგნაირადაა წარმოსადგენი: მეხუთე საუკუნის ვასულს ერთერთ მონაფიზიტ სასულიერო პირს, რომელიც 481 წელს ანტიოქიიდან მაიფუმში მოსულა და იქაური ეპისკოპოსის (პეტრეს) წრეში დარწმენილა, დაუწერია ბერძნულ ენაზე პეტრე იბერიელის „ცხოვრება“; ეს „ცხოვრება“ დაკარგულია. შენახულა მხოლოდ ასურული თარგმანი—გადმოკეთება მისი, რომელიც, როგორც Schwarz-მა დაამტკიცა,

¹⁾ St. Sikorski, Die Lebensbeschreibungen Peters des Iberers: 92. Jahresbericht der schlesischen Gesellschaft für vaterländ. Kultur. B. I. Abt. IV a, Breslau, 1915. O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, B. IV, 1924 Jah. S. 315-317. Byzantinische Zeitschrift, B. XXIII, 3-4 (doppel-) Heft, S. 456-457. Profes. A. Baumstark, Geschichte der syrischen Literatur, S. 183-184.

ეკუთენის იოანე რუფოსს (Rufus) და დღეს გამოცემულია Raabe-ს მიერ, მეხუთე საუკუნის გასულს თუ მეექვსის დასაწყისს ცნობილს ზაქარია რიტორს, აეტორს ისაიას და სევეროს ანტიოქელის ცხოვრებისა და „საეკლესიო-ისტორიისა“-ს, დაუწერია ბერძნულად „ცხოვრება“ პეტრე იბერიელისა; რომელსაც აგრეთვე არ მოუწევია ჩვენამდე; თავის დროზე ეს შრომაც უთარგმნიათ ასურულად და ამ ასურული თარგმანიდან შენახული მხოლოდ რამოდენიმე ნაწყვეტი⁷⁾. ქართულს ვერსიაში გამოყენებულია ასურული თარგმანი ზაქარია რიტორის ბერძნული შრომისა.

ამნაირად, არც ისაა მართალი, თითქოს ზაქარიას თავისი შრომა ასურულად დაეწეროს, არც ის, თითქოს ზაქარიას შრომა საფუძვლად ედოს Raabe-ს მიერ გამოცემულ ასურულ ტექსტსაც. თან არც ისაა მართალი, თითქოს ეს ზაქარია ქართველი ყოფილიყო და ის საქართველოდან გაჰყოლოდეს პეტრეს; რამდენადაც ცნობილია, ზაქარია რიტორი ქართველი არ ყოფილა, და არც ნ. მარტი ამბობს, რომ ზაქარია, აეტორი პეტრეს „ცხოვრებისა“, ქართველი იყო. ამ მისი სიტყვები: „конечно, пока нет возможности привести убедительные доводы в подтверждение того, что Захария, автор сирийского жития, был грузин, как это явствует из грузинского перевода, и вообще вопрос этот пока преждевременен“ (Житие Петра Ивера, стр. XXXIV—XXXV). ის მხოლოდ უკრავდებდას აქცევს იმ გარემოებას, რომ ასურული ტექსტის საკუთარ სახელებს: ნაბირნუგიოს, ბუზმარიოს, ბაკურიოს, ფარსმანიოს ბერძნული დაბოლოება ის რომ მოეპოვოთ, დაგვჩვენებდნენ ქართული სახელობითი ბრუნვის⁸ დაბოლოებათ. მაგრამ ეს გარემოება არ გამოგვადგება იმის დასამტკიცებლად, როგორც ეს ივ. ჯაფ-ლს ჰგონია (გვ. 199—200), რომ აეტორი ტექსტისა ქართველია: არსებობს უამრავი საკუთარი სახელი, რომელიც ბერძნულია ის მოცი-ლების შემდეგ ქართული სახელობითი ბრუნვის⁸ დაბოლოებას გვაძლევს, მაგრამ ისინი არც ქართულია, არც ქართველის მიერ დაფორმებული, მაგალითად: აეტრიკოს, აეტსენტრიოს, ალაბიოს, აკაკიოს, ავრელიოს, მაკარიოს და სხვ.

ამნაირად, პეტრე იბერიელის „ცხოვრების“ ქართულ ვერსიას ზაქარიას მიერ ბერძნულად დაწერილი შრომა ასურულად გამოუცხადებია და თვით ზაქარია რიტორი ქართველად გაუხადებია. ყველაფერი ეს საქმას საბუთს აძლევს მკვლევარს სიფრთხილით მოეპყრას როგორც ასურულს, ისე ქართულ ტექსტებს, და კათეგორიულად არ განაცხადოს, რომ ყველა მათი ცნობები იბერთა შესახებ უმეჭველია, რადგანაც ისინი ქართველი აეტორისაგან მომდინარეობენ.

7.

ეხლა მიუდგეთ საკითხს არსებითად და შევხედოთ: შეეძლო თუ არა „დიდ“ ბაკურს კონსტანტინე კეისრის თანამედროვე ყოფილიყო? ამ საკითხის გარკვევისას აუცილებელივ უნდა გვანხივდეს ტაბტის მემკვიდრეობის წესი, რომელიც, თანახმიდ სტრაბონის ცნობისა, უბუკუსობაზე ყოფილა დამყარებული: გარდაცვალებული მეფის შემდეგ ტაბტზე ადიოდა ის, ვინც სამეფო საგვარეულოში

⁷⁾ გამოცემულია Brock-ის მიერ, Corpus scriptorum orientaliaum christianorum Scriptores Syri, Ser. 3, t. 25, Paris 1907.

ყველაზე უფროსი იყო მასაკით და ყველაზე ახლო იდგა განსწავლულთა (ი ვ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია I, 170—171) და კავ—ლი არ უარყოფს ამ წესის არსებობას პეტრე იბერიელისა და მისი მოწინააღმდეგე ფროს¹⁾, პირიქით, ის ამბობს: „სტრაბონის სიტყვების სრულ შესწავრითა და სიტყვების მეტადრე მე-ნ საუკუნის დადგენას ასურულად დაწერილი პეტრე იბერის ან ქართველის ცხოვრება... როგორც ჩანს [მის მიერ შედგენილი IV—V საუკუნეთა მეფეთა შტოთაგან], მეფობის შემკვიდრების წესრიგი მართლაც პირდაპირი არ არის, არამედ გადადის მთელი სამეფო საგვარეულოს ამათლიმ წიერზე უფროსობის მიხედვით“ (იქვე, გვ. 175, 180). და თუ ეს ასეა, სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა იმეფა ბაქურის შემდეგ, რომელსაც კავდა ძმა არჩილი, ჯერ მირიანს, რომელიც არამც თუ მახლობელი არ ყოფილა მისი, შესაძლებელია, მის შტოს სრულიადაც არ ეკუთვნოდა (იქვე, გვ. 178), მერე ვლადი ფარსმანს (იქვე, გვ. 178—181), რომელიც მხოლოდ მისი სიძის, ბუხმარისის, არც ისე მახლობელი ნათესავი (დედის ძმა) იყო²⁾. სტრაბონის ცნობისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, აუცილებელი უნდა დავასკვნათ, რომ „დიდი ბაქურის შემდეგ ტახტზე უნდა ასულიყო და ავიდა კიდევაც, როგორც ამის გვაფიქრებინებს პეტრეს ასურული „ცხოვრების“, მოსე ზორნელის (III, 54, 60) ტკობისა და მისი ცნობა, მისი ღრმად მოხუცებული ძმა არჩილი. ვინა შესაძლებელია დაუშვათ, რომ „დიდი“ ბაქური, უშუალო წინამორბედი 429 წელს გამეფებულის (ივ. ჯავ—ლის ქრონოლოგიით) არჩილისა, კონსტანტინე კეისრის თანამედროვე ყოფილიყო, განსაკუთრებით თუ გვეხსოვება, რომ კონსტანტინეს დროს, ტახტზე ასულისას, ის, ივ. ჯავ—ლის სიტყვითაც (ქართველი ერის ისტორია I, 255), უკვე ღრმა მოხუცებული უნდა ყოფილიყო? ეს ერთი, მეორე: პეტრე იბერიელის ასურული „ცხოვრებამ“ ვიცით, რომ „დიდი ბაქური“ პოლიტიკური ხელშეკრულებით იყო შეკავშირებული სპარსეთის შაჰთან, მისი მხედართმთავრად ითვლებოდა და მის ირმიაში იბრძოდა; ვინა შესაძლებელია კონსტანტინე დი-

¹⁾ ზოგიერთებს ჰქონიათ, რომ ეს წესი სტრაბონის დროს, პირველ საუკუნეა, არ გადასცილებია, რადგანაც შემდეგ საუკუნეებში ჩვენ გვაქვს მაგალითი ტახტის პირდაპირი მემკვიდრეობისა, მაშინაც შეიძლება (ს. კავაძაძე, საისტორიო მოამბე 1924 წ. I, 10, საისტორიო კრებული 1928 წ. II, 14, III, 131, შედ. ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან II, 68), მაგრამ ეს სწორი არაა: სტრაბონის მიერ აღნიშნული წესი იმას კი არ ჰგულისხმობს, რომ ვარაუდაცაალებული მეფის შემდეგ შეუძლებელი იყო მისი შვილი ასულიყო ტახტზე; თუ, მეფის ვარაუდაცაალებების შემდეგ, ყველაზე უბუნეაი მის გვარში მისი შვილი იყო, რასაკვირველია ტახტი მას დაარბებოდა.

²⁾ იმით, შეიძლება გვითხრას ი. ჯავ—ლმა, რომ ბაქურის შემდეგ სამეფო გარდაცვალების უბუნეის წიერ იყო აღბათ არა არჩილი, არამედ სხვები, მაგრამ თუ მას შესაძლებლად მიაჩნია პეტრეს ასურული „ცხოვრების“ სიტყვებში: *mit Bacurios und Bosmarios regiert hatte* და *mit Bosmarios regierte* ამოკითხვის არჩილის მთავარსარდლობა და მთავარსაჯულობა, მაშინ ისიც უნდა ასთავდეს, რომ, მისივე სიტყვით, მთავარსარდლი და უბუნეაი მთაველი იყო მეფის მომდევნო უბუნეის წიერი გვარისა (ქართველი ერის ისტორია I, გვ. 255). საზოგადო მის მიერ წარმოდგენილი გვაროვნობითი შტო (ქართული სამართლის ისტორია I, 181) წყაროებით არ მართლდება: თუ ის პეტრეს „ცხოვრების“ მიხედვითაა შედგენილი, ან „ცხოვრებამ“ მირიანთა მტრება არაა, და თუ ის საზოგადო ცხრილს იძლევა, რა იქნა ბაქური, სავრომავ, ასაკვირით, თრდატი, ვარაზბატი და მირდატი?

დის დროს, ნიზიბინის ხელშეკრულების შემდეგ, 363 წლამდე მაინც იბერიის მეფეს ასეთი დამოკიდებულება და ურთიერთობა ჰქონოდა სპარსეთთან? ჩვენამდე: ბაკურის ქალს, ბაკურდუხტის, პეტრე დაბადება 409—412 წლებში კონსტანტინე-ხიშილი, ქართული სამართლის ისტორია I, 180); თუ ბაკური კონსტანტინეს თანამედროვე იყო, ისიც „ღრმა მოხუცებულობაში გამეფებული“, ბაკურდუხტი მას უნდა შესძენოდეს დაახლოებით 325—330 წლებში მაინც, თუ უფრო ადრე არა. ვანა დასაჯერებელია, ამ წლებში დაბადებულ ქალს 409—412 წლებში (როდესაც ის 80—85 წლის იქნებოდა) კიდევ შესძლებოდეს შეილოსნობა? პეტრეს ასურულ „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ თავისი ქმრის ბუზმარიოსის გარდაცვალების შემდეგ (რაც ივ. ჯავ-ლის ქრონოლოგიით 429 წლის ახლოს უნდა მომხდარიყოს, ვინაიდან ბუზმარიოსის გარდაცვალების შემდეგ, მისი აზრით, ტახტზე 429 წელს არჩილი ასულა), პეტრეს დაქვრივებულმა დედამ, ბაკურდუხტემ, თავის თავს ნება არ მისცა მეორედ გამყოლოდა ქმარს (S, 20); აქედან ჩანს, 429 წელს ის ისეთს ჰასაყნი ყოფილა, როდესაც გათხოვებაც კი შესაძლებელი ყოფილა მისი, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, ის მაშინ იქნებოდა maximum 40—45 წლისა, დაბადებული კი, ამ გამომანგარიშებით, 385—390 წლებში, როდესაც მისი მამა, დიდი ბაკური, ივ. ჯავ-ლის ქრონოლოგიითაც კი, ცოცხალი აღარ ყოფილა.

ყველა ამ მოსაზრებითა გამო უნდა დავისკვნათ, რომ 409—412 წლებში დაბადებულის პეტრეს პაპა და 429 წელს გამეფებულის არჩილის ძმა ბაკური ვერ იქნებოდა კონსტანტინე დიდის თანამედროვე მეფე; მაშასადამე, თუ ქრისტიანობა იბერიაში კონსტანტინე დიდის დროს დამყარდა, ეს ბაკური ვერც პირველი ქრისტიანე მეფე იქნებოდა. მე კვლავ ვამეორებ და ვამბობ: წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, ქართველებს დაეიწყებოდეთ სახელი პირველი ქრისტიანე მეფისა და ბაკური შიოშიანდ შეეცვალოთ! ამ დებულებას ოდნაე-დაც ვერ ასუსტებს ივ. ჯავახიშვილის კონტრ-შენიშნვა: თუ შესაძლებელია იმ ქალის სახელის დაფიქვება, რომელმაც ეს მეფე და მთელი ერი მოაქცია, რად უნდა იყოს შეუძლებელი და დაუჯერებელი მეფის სახელის დაფიქვება? (ქართული ერის ისტორია II, 197). შედარება ვერ არის შაინცადაშაინც საგულის-ხმო: ერთის მხრით მთელი ერის მზრძანებელი მეფე, ისიც თურმე არა ჩვეულებრივი, არამედ „დიდი“ ბაკური, მეორე მხრით უცხო, მწირი დედაკაცი, მხევალი-უმწყო, ტყვე ქალი, რომელიც განგებ ჰმალავდა თავის ვინაობას (Описание II, 748, 799) და რომელსაც ამიტომ საგანგებოდ ეხევიებიან თავისი პიროვნების გამოჩვენების (იქვე, გვ. 734)! რამდენად ძნელია პირველის სახელის დაფიქვება, იმდენად ადვილია მეორესი, მით უმეტეს, რომ ეს მეორე, ტყვე დედაკაცი, რომელიც იძულებულია თავის ვინაობას ფარდა აბადოს, სახელს მაინც არავის ეუბნება.

საინტერესოა მაინც ვიკოდეთ, ვინ იყო ეს ბაკურ მეფე და რა ღვაწლი მიუძღვის მას ქართველი ერის წინაშე? თუ მართალი არ არის ჰაგიოგრაფის ცნობა, რომ ბაკური ქრისტიანობის შემომღები იყო იბერიაში, რაღაც ბუნდოვან

გადმოცემას მიიღო უნდა შეიცავდეს ეს ცნობა დასახელებულ მეფის სიგნაგეზო დამსახურების შესახებ ქართული ქრისტიანობის წინაშე!) ამ საკითხზე რომ პასუხი გავსცეთ, საჭიროა, ტახტის მემკვიდრეობის ზემოდასწრებით წესის თვალსაზრისით, გავერკვეთ მეფეთა სიაში, რომელიც მოცემულია მეფე შამატინეთა მიერ. ეს წესი ლეონტი მროველის გადმოცემაში დავიწყებული თუ განგებ მიჩნეულელია, მისი ისტორია პირდაპირ მემკვიდრეობაზეა, — მაშინდანი შვილები, — აგებული, სამაგიეროდ „მოკცევაჲ ქართლისაჲ“ — ს. ქოჩიაშვილი ჩვენ გვესმის ძლიერი, მართალია დროთა ვითარებაში აქაც დაზიანებული, გამოსახილი მისი, ყოველ შემთხვევაში მირიანიდან მიყოლებული არჩილამდე. აი სია მეფეებისა, რომელიც შედგენილია ორთავე მემკვიდრეთა მიხედვით, მათი ცნობების შეჯერებისა და შესწორების გზით.

1. მირიანი. მირიანის შესახებ „მოკცევაჲ ქართლისაჲ“ უფრო სწორ ცნობებს უნდა გადმოგვეცემდეს, ვიდრე ლეონტი მროველი. დღეს უკვე ცნობილია, რომ მირიანი იყო შვილი იბერიის მეფის რევის (დედანში შეეთიბო წერია „ლევი“) და არა სპარსთა მეფისა, როგორც ლეონტი გვარწმუნებს. არც ის უნდა იყოს მართალი, ვთხოვე მეფულე მირიანისა ნანა იყო „საბერძნეთით მონტოლი“, ასევე ულოტორისი* (ლეონტი, 50), ენაიდან ნინოს შატარბეგულ-კელიშვილ-კელოვანში* ნათქვამია, რომ ნინომ განაგრძა „მოკცევაჲ ქართლისაჲ“ და არა, რომელი იყო დედის მამა ნანასი დედოფლისა* (Описаніе II, 768). უნდა გაშეველებოდეს მირიანი არაუადრეს 828 წლისა, ენაიდან მისე ზორენელი მას იხსენებს, როგორც იბერიის მმართველს (II, 85), დიმიტრის დამარცხების (828 წ.), კონსტანტინე კურატის ოცის წლისთავს (825 წ.), ნიკიას კრების (825 წ.) და ელფე დედოფლის იერუსალიმში გამგზავრების (825 წ.) ამბებთან უშუალოდ დაკავშირებით (II, 87, 88); გარდაეკლავა კი, საფიქრებელია, 362 წელს, ყოველ შემთხვევაში 361 წელს, ამაზე მარცვლისის მოწმობით, XXI, 81 ის უფედ ცოცხალია, მირიანს ჰყავდა ძე, რომელსაც რევი ურკვა (მოკც. 796, 804), მაგრამ მამის სიხედვე მას ტახტი არ მიუ-

*) ს. კაკაბაძეს ჰგონია, რომ პეტრე იბერიელის პაპა, დიდი ბაქური, არის მირიანის მომდევნო მეფე ბაქური, ძე რევისა (საისტორიო კრებული II, 13); გამოთქმა „პირველი ქრისტიანე მეფე“, მისი აზრით, ნიშნავს „первый, рожденный в христианстве царь“ (საისტორიო კრებული III, 141). ეს სიმაართეს არ შეეფერება: მირიანის შემკვირე ბაქური, როგორც ცნობილია, მომდევნო ბიზანტიელთა მხედრობითადად იტალიაში 384 წ., პეტრეს პაპა ბაქურს კი მოუღია აღმსარებლობის ან მოწამობის გვირგვინი სპარსთა მხედრობითადადობისა მათ ბანაკში (Raabe, S. 17—18). მირიანის მომდევნო ბაქური არც ქრისტიანობაში დაბადებული მეფე იყო: მისი პირადი მფლობელი, რიტორი ლიბანიოსი, პირდაპირ ამბობს, რომ ეს ბაქური თავდაპირველად წარმართი იყო და მერე გაქრისტიანდა (Epist. 960). პირველი, ვ. ა. ა. შვილი ისე გადმოცემს, თითქმის შევამტკიცებდ, რომ ის ბაქური, რომელმაც გელასი კურატის იბერთა მოქცევის ამბავი მიუთხრა, იყო პეტრე იბერიელის პაპა „დიდი“ ბაქური, ამიტომ, შენიშნავს — „ჯერ უნდა გამოირკვეს სწორად თუ არა ჩვენი ფიქრი, რომ გელასი კურატის (და რეფინესის) მომხრობლად სწორედ დიდი ბაქური იყო,“ ის იწყებს მტკიცებას, რომ ეს მომხრობელი დიდი ბაქური არ ყოფილა. ის გარემოება, განაგრძობს ის, რომ „დიდი“ ბაქური იყო. ცნად ჰყოფს, რომ „მცირე“ ან „პატარა“ ბაქურიც უნდა ყოფილიყო (ქართული ერის ისტორია I, გვ. 205). მთელი ჩემი არგუმენტაცია იქითკენაა მიმართული, რომ დავამტკიცო, რომ პეტრე იბერიელის პაპას კი არ გადაუცია გელასისათვის იბერთა მოქცევის ამბავი, არამედ სხვა ბაქურს, რომ ამ „სხვა ბაქურის“ არსებობის სასარგებლოდ დამარტობს არაფრით და ორი მონაზრება (ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, გვ. 27—28). ყოველ შემთხვევაში, უნდა დავუშვათ ეს, არა ისეთი, თითქმის თუ იყო „დიდი“ ბაქური, უნდა „მცირე“ ან „პატარა“ ბაქურიც ყოფილიყო. განა ისტორიაში ესა თუ ის პიროვნება „დიდის“ ტიტულს იმითამ დებულა, რომ იყო მცირე, მისი სახელის შატარბეგული პიროვნება? მართო ეს გარემოება „დიდად“ ან სხიდა ადამიანს!

ლია; ლეონტი მოხვედო ამბობს, რომ, მართალია, მირიანმა მას „სიკოცხლესაჲ მისა მისცა მეფობა“, მაგრამ მეფობა არ დასცლია, რადგანაც „მამისაჲ სიკოცხლესი გარდაიცვალაო“ (გვ. 110). ასეა თუ ისე, მირიანის შემდეგ მეფედ გამხდარა ბატატი ან ბატატი (ლეონტი 109, 110, 111, მოკცე. 719, 720).

2. ბ ა ტ ა რ - ბ ა ტ ე რ ი. ვინ იყო ეს ბატარი ან ბატერი? ლეონტის ცნობით ის იყო მეორე შვილი მირიანისა; „მოკცეჲა ქართლისაჲ“-ს დღესდღეობით ცნობილი წესებით კი ის თითქმის რვეის ძე იყო (გვ. 719), მაგრამ ეს რომ შეეთიშა [თავდაპირველად ალბათ ეწერა „მამა“ და არა „ძეა“], ამას აფასტურებს დასაბუღებული ქრონიკის თეორია, რომლის მიხედვით ტაბტი მძაზე გადადის და არა შეიღბე. მოსალოდნელი იყო, მირიანის სიკვდილის შემდეგ ტაბტი გადავიდოდა არა ბატარ-ბატერის, არამედ, მისი უფროსი ძმის რვეის თავბანს, რომელიც მირიანის მერ მის სიკოცხლესივე იყო შეფედ გამოცხადებული. ამით აიხსნება, რომ, როგორც ლეონტი ვადმოგვეცხს (გვ. 112), სომხებს მიუხედავებით ბატარის ტაბტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ რვეის შვილის გამოყვება, რომელიც დედით, სალომეთი, ჩამომავალი იყო სომეხთა მეფის თრდატისა. ამის გამო სომეხთა და იბერიელთა შორის იშვი კი ამტყდარა, მაგრამ სომეხს, ლეონტის ვადმოკცემით, მიზნისათვის ვერ მოუღწევიათ.

3. თ რ დ ა ტ ი. ბატარ-ბატერის შემდეგ ტაბტივე ასულა მისი ძე თრდატი, რომელსაც „მოკცეჲა ქართლისაჲ“ ბატარის ძმთა სიკვლის (გვ. 720); ქრონიკა შემეთარია, რადგანაც დანადგელებით შეიღბება ითქვას, რომ მირიანს კოველ შემთხვევაში რვეისა და ბატარის მერტი ვატი არ ჰყოლია. ლეონტი მხოველის ვადმოკცემაში თრდატი წოდებულია მირდატად (გვ. 112), მაგრამ ეს ცხადი შეეთიშა. ლეონტის თ რ დ ა ტ ს „მოკცეჲა ქართლისაჲ“ არ იცნობს, მაგრამ ის რომ ამ ქრონიკის თ რ დ ა ტ ი ა, შემდეგიდანა ჩანს: 1) მირდატიცა და თრდატიც მეფედ ხდებიან ბატარის შემდეგ, 2) ორისავე მეფობის დროს შეწყვესთთვარად არის სომეხთა ვათოლიკონის წერსეს დიაკონი იობი, 3) მათ შემდეგ მეფედ ხდება ვარაზ-ბატერი. ქრონიკის თ რ დ ა ტ ი (გვ. 720) და ლეონტის თ რ დ ა ტ ი (გვ. 115) ერთი და იგივე პიროვნებაა: ერთი და მეორეც „ამიოილეს“ რუსთავს და აშენებს გელგისას, ვეროდ ნერესს. თრდატს საბი შვილი ჰყავდა: ორი ვაჟი და და ერთი ქალი; მისი სიკვდილის შემდეგ მეფედ გამხდარა ამ ქალის ქმარი ვარაზ-ბატერი ან ვარაზბატარი (ლეონტი 115, მოკცე. 720). რად მოხდა ეს? პეტრე იბერიელის ასურული „ცხოვრებიდან“ ვტვობილობთ, რომ ვარაზბატარის შემდეგ ვამეფებულა მისი დისშვილი ბენშარიოხის, მამსადაზე, ტაბტის ვადასკულა ვათოლიკონი ქალის ხაზში დაუშვებელი არ ყოფილა, მაგრამ ეს ალბათ ხდებოდა მამს, რადგანაც ვარადაცვალელები მეფეს არ რისებოდა არც ძმა, არც ძე, არც სხვა მახლობელი მამრთბითისქესისა (თუ ეს ასე არა, რატომ მირიანის ვარადაცვალეების შემდეგ ტაბტი არ ვადავიდა მისი ქალის, რანის მმართველის, ფეროხის ცოლის, სახლში?), მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთს მოვლენას ადგილი არ ჰქონია: თრდატს, როგორც ვთქვით, ვაგები ჰყავდა. ამიტომ ცნობა თრდატის შემდეგ მისი ძმის, ვარაზბატარის, ვამეფების შესახებ სწორი არაა, ის შედგეია ერთი ვაგებობისა, რომლის შესახებ ვტვობთ ვეგნება ლაპარაკი.

4. ვ ა რ ა ზ ბ ა ტ ე რ ი ან ვ ა რ ა ზ ბ ა ტ ა რ ი. ლეონტი მხოველი, თანახმად თავისი თეორიისა, მას ვაბანს „ძეს“ თრდატ-მირდატისა (გვ. 113). მაგრამ ეს რომ შეეთიშა, იქიდანა ჩანს, რომ მეორე ადგილას (გვ. 115) თრდატ-მირდატს ის სიკვლის ვარაზბატარის „სინამრად“. ვარაზბატარს ორი ცოლისაგან ჰყავდა საბი ვაგი: ფარსმან, მირდატ და თრდატ (ლეონტი გვ. 114), მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ მეფედ გამხდარა თრდატ-მირდატის ვაგი.

5. ბ ა ტ ე რ ი (მოკცე. 720); ლეონტის ცნობა, ვითომც ვარაზბატარის შემდეგ „წარსივებულა“ მეფედ დაესვათ მისი მოხუცებული სიმამრი თრდატი (გვ. 115), მტდარია: თრდატი უფრო იყო ერთბელ მეფედ, რად უნდა დასკობებოდათ მისი მეორედ ვამეფება? თან თვითონ ლეონტი ამბობს, რომ ვარაზბატარი მას შემდეგ ვამეფდა, რაც თრდატ-მირდატი ვარადაცვალაო (გვ. 113). ბატარის შემდეგ მეფედ დაჯდა ვარაზბატარის უფროსი შვილი ფარსმანი (ლეონტი 116, მოკცე. 721), რომელსაც „მოკცეჲა ქართლისაჲ“ შეეთიშით თრდატის დისწულადა სიკვლის.

6. ფ ა რ ს მ ა ნ ი. ფარსმანი უნდა იყოს პეტრე იბერიელის ასურულ „ცხოვრებაში“ მოხსენებული ფარსმანისი, ბიძა (უფდის ძმა) ბენშარიოხისა. ფარსმანი იმპერატორი არავდის ვარზე იბრებოდა, მას მეფობისთმთვარადაც ითვლებოდა და დიდი პატივისცემა ჰქონდა დამახორებული. შემდეგში ვამომვლენდა, რომ ის იმპერატორიცა ვედოქიანა ჰყავოდა, ამიტომ ით-

ღიბული შეიქნა რომი მიეტოვებინა. გამეფების შემდეგ მან რომაელების ქვეყნიერებაში იყოთა ჩუნები მიუსია (Raabe, S. 15). ფარსმანი შემდეგ გამეფებულა მისი მომდევნო ან თორდატი.

7. შ ი რ დ ა ტ ი. როდესაც მორდატი, ლეონტის თქმით, ტყვედ წაიყვანეს ქალაქებში, ახნაურებმა გაამეფეს მისი ძმის, თრდატის, შვილი არჩილი (გვ. 116, 117). ამ შემთხვევაში, ქართლისაა არ უჩვენებს, ვისი შვილი იყო არჩილი). ეს ცნობა სწორედ არ უნდა იყოს: თუ თრდატი ამ დროს ცოცხალი იყო, მეფედ უნდა დაესვათ ის თვითონ და არა მისი შვილი, და თუ ის ცოცხალი არ იყო, მაშინ მეფობა უნდა გადასულიყო ფარსმანის სახლში. ამიტომ შემართანის თქმა, რომ არჩილი იყო ძე თრდატისა, არსებითად სწორედ, მხოლოდ აქ იგულისხმება არა ვარაზბაქურის შვილი თრდატი, არამედ ბაქარის (ზემოთ მე-5 ნომრის ქვეშ ნაჩვენები). მაშასადამე, მორდატის შემდეგ გამეფებულა ბაქარის (№ 5) ძმა, თრდატის შვილი, არჩილი, მაგრამ ეს ხომ შემეცდომების წესს არ ეთანხმება: არჩილი უნდა გამეფებულიყო ბაქარის შემდეგ უშუალოდ, და არა ვარაზბაქურის შვილების შემდეგ ეს ასე იყო, მაგრამ აქ ჩვენ საქმე ვეძებთ ერთს გავსებობისათვის, რომლის შესახებ ზემოთ გვქმნება ლაპარაკი.

8. ა რ ჩ ი ლ ი ანაირად იყო ძმა ბაქარისა და შვილი თრდატისა.

წარმოდგენილს სიაში აღნიშნულია ორი შემთხვევა, როდესაც იბერიაში მიღებული წესი ტახტის მემკვიდრეობისა თითქოს უშიზვოდ დარღვეულია: 1) თრდატის (№ 3) შემდეგ ტახტზე ადის არა მისი შვილი ბაქური, არამედ სიძე ვარაზ-ბაქური, 2) ბაქურის შემდეგ (№ 5) მეფედ ხდება უშუალოდ არა მისი მომდევნო ძმა არჩილი, არამედ ვარაზ-ბაქურის შვილები. არავითარ ანორმალობას ნამდვილად აქ აღვილი არ აქვს; საქმე ისაა, რომ ვარაზ-ბაქური და მისი შვილები სხვა ადგილის მეფეები, თრდატი და მისი შვილები სხვა ადგილისა, მხოლოდ მეზობლიანებს საქმის ნამდვილი ვითარება არ სცოდნოთ და სხვადასხვა ადგილების მეფეები ერთმანეთში აურევიათ.

ამიანე შარციელი ავტორი ვალმოგეცემს (XXVII, 12, 4), რომ 368 წელს იბერია რომაელებმა და სპარსთა ქიშპობით, გაიყო ორ ნაწილად, ერთში აღმოჩნდა სავრომაკი (ქართულად—საფრმაკი), მეორეში—ასპაკური (ქართულად—ასფაგური). არც ერთს, არც მეორეს ჩვენი მემკვიდრეები არ იცნობენ¹⁾, მაგრამ მათი ვინაობის გარკვევა გარდაუვალ სიძნელეს არ უნდა წარმოადგინდეს. ჩვენს მკვლევართ შკონიათ, რომ საფრომაკის გამეფება რომაელების მიერ მოხდა ბუნებრივად, თრდატის გარდაცვალების შემდეგ²⁾, მაგრამ ამიანე შარციელის მოთხრობიდან არ ჩანს, რომ ეს ასე იყო: ის არ აღნიშნავს, რომ ორმეფობის დამყარებას წინ უსწრებდა თრდატის ან სხვა რომელიმე მეფის უთუოდ გარდაცვალება, საქმე შემდეგნაირად უნდა წარმოედგინათ. შირიანის მომდევნო მეფე ბაქარ-ბაქური, რომელიც, თანახმად ნიზინის ხელშეკრულებისა, იბერიის ტახტზე რომაელების მიერ იქნებოდა დამტკიცებული, ჩანს, 368 წელს თვით რომაელებს ტახტიდან გადაუყენებიათ და მის მაგიერ საფრომაკი გაუშვეს.

¹⁾ ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, ვითომც ამიანე შარციელის ასპაკური არის ქართულ ტახტთანავე ვარაზბაქური (ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან II, 64, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, 216), მაგრამ ეს მართალი არ უნდა იყოს: ასპაკურს ჰქონდა ერთადერთი შვილი ულტრა, ვარაზბაქურს კი სამი შვილი: ფარსმანი, მორდატი და თრდატი. არ შეიძლება ასპაკურად არც ბაქური იქნეს მიჩნეული როგორც ეს ს. ჯავახიშვილს ჰქონია (სისტ. ერეხული II, 118), ვინაიდან ამიანე შარციელი იცნობს არა მარტო ასპაკურს, არამედ ბაქურსაც, რომელიც 378 წელს აფრიანოპოლიდან გუთებმა ებრძოდა (XXXI, 12, 16).

²⁾ იხ. შავალ, ს. გორგაძის წერილები საქართველოს ისტორიიდან II, 48.

რად უნდა გადაიყენებიათ რომაელებს მათ მიერ დამტკიცებულ ბაქარ-ბაქარში? 363 წლის სამარცხენო ხელშეკრულებამ ლაზვარი ჩასცა რომაელებს ბაქარ-ბას აღმოსავლეთში, მათ დაკარგეს არა მარტო ტიგროსის აღმოსავლეთით მდებარე პროვინციები (ამიანე მარც. XXV, 7, 9), არამედ ვალენტიან სომხეთსა და იბერიაში. ერთერთი მუხლი საზავო პირობისა ყოფილა ის, რომ ამიერიდან რომაელები სომხებს აღარ უნდა დახმარებოდნენ (ამ. მარც. XXXII, 12, 15, 18, XXV, 7, 12) და, ვგონებ, მეფის დამტკიცებაზედაც უნდა აედოთ ხელი, ყოველ შემთხვევაში ამის შემდეგ რომაელები არშაკის მეგვიდრეს პარას მეფის ტიტულს ვერ ანიჭებენ, რადგანაც ეს იქნებოდა სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევა (ამიანე მარ. XXVII, 12, 10). საფიქრებელია, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაში იბერიაზედაც იყო ლაპარაკი და შემომოყვანილი მუხლი იბერიელებზედაც ვრცელდებოდა; საქმე ისაა, რომ რომაელთა და სპარსთა ურთიერთობის მიმოხილვისას ამ დროს ამიანე შარცელნი იბერიელთა ინტერესებს არ აცალკეებს სომეხთა ინტერესებისაგან (XXVII, 12, 1-5, 15-16, 18, XXX, 2, 4, 7), თან, როდესაც შაბურმა ვალენტს იბერიიდან რომაელთა ლეგიონების გაყვანა და ორმეფობის მოსპობა მოსთხოვა და ამაზე იმისაგან უარი მიიღო (ამიანე მარ. XXX, 2, 2), წერილით აცნობა მას, რომ ამ საკითხის გამო უთანხმოება არ მოსპობა მანენდის, სანამ დაკითხულნი არ იქნებიან, ის პირნიც რომელნიც იობიანესთან ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობას ღებულობდნო (XXX, 2, 3), რად უნდა დაკითხებოდნენ ამ პირთ იბერიის საქმეების გამო, თუ ამ ხელშეკრულების დადებისას იბერიაზედაც არ იყო ლაპარაკი? ასეა თუ ისე, როდესაც სპარსელები ამის შემდეგ სომხეთში გაბატონდნენ და აქ თავისუფალი თარეში დაიწყეს (XXVI, 4, 6, XXVII, 12), ისინი თანდათანობით იბერიასაც მოადგნენ და მოინდომეს მისი ხელში ჩაგდება. აი ეხლა სწორედ სჭირდებოდა რომაელებს ბაქარ-ბაკურის ერთგულება და კავშირი, იმან კი, როდესაც სომხებთან ომი მოუხდა, „ეზრაბა სპარსთა მეფესა... დამოყურა [მის] და გაუცვალა ქუეყანა“, რომელიც“ ჰქონდა მირიანისაგან მიცემულად სიძესა მისსა ფეროზს“, სახელდობრ — „რანი ბარდაევადის“ (ლეონტი, გვ. 112). ამავე ბაკურ-ბაქარის მეფობას უნდა ჰქვლიდნობდნენ ის ამბავიც, რომელიც შემატრიანეს ვარაზ-ბაკურისათვის მიუწერია: „ამისსაზე გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს მოციქული ვარაზ-ბაქარისსა და ჰრქვეს, რათა შეჰკრბნენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან და განუხუნენ კარნი კავკასიონთანი, გამოიყვანნენ ოსნი და ლეკნი და წინააღმდეგ სპარსთა... არა ისმინა არცა სომეხთა, არც წარჩინებულთა თესთა... უკუჯდა ზეესა კახეთისასა... და უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუფარნი, მოვიდეს სპარსნი პირველად სომხეთს და მოაკრეს, შემოვიდეს ქართლს, აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტვილსი კართა შორის ციხედ მცხეთისა. მაშინ ვარაზბაქარ ეზრაბა შევრდომით და ითხოვა მშვიდობაჲ. ხოლო ერისთავმან სპარსთამან ჰრქუა მას: პირველად მომეც რანი და მოვაკანი, რამეთუ საზღვართა სპარსეთისათა არს და მათი არს რანი სრულიად [და ერისთავნი რანისანი] შეილნი არიან სპარსთა მეფეთანი და სხენან სუდართა მამათა მათთასა, და თქვენდა კმა არს ქართლი, რომელნი ნაშობნი ხართ მკველისანი,

გაქმნდეს უკუე ქართლი და ხარკსა მისცემლით მეფეთა ხუასროვანთა* (ლეონტი, გვ. 114-115). ამ მოთხოვნაში რომ ბაქარი იგულისხმება ეჭვი უნაქონებოა. ბაქარი, ეს შემდეგიდან ჩანს: 1) ვარაზბაქარი, რომელიც მემატიანის მოთხრობით, იყო ურწმუნო და მოძულე სჯულისა და ყოვლითავე იქცეოდა უსჯულოდ, რომელმან „არასადა აღაშენა ეკლესია და არცა ჰმაჯა შენებულთა“ (ლეონტი, გვ. 114), არ შეიწყობდა თავს იმისათვის, რომ ეზრუნა „ჯუართა დამალვისათვს“; 2) მირიანის სიძეს ფეროზს, „რომელსაც ჰქონდა რანი ბარდავანდის მოცემულად მირიანისაგან“, სწორედ ბაქარის დროს მოეცა „მის წილ სამშვილდითაგან მიღწართ ქუეყანაა თაჲდმდე აბოცისა“ (ლეონტი, გვ. 112), ესე იგი, სპარსელების მიერ ჩამორთმეული რანის ნაცვლად. ერთი სიტყვით, ბაქარმა უღალატა რომაელთა ორიენტაციას და აშკარად მიემხრო აღმოსავლეთში მათი ინტერესების მოქიშვე სპარსელებს. იმაღება საკითხი: რად მოხდა ეს ლალატი? აშისი მიზეზი, ზემო აზრით იყენენ სომხები. მემატთანე გადმოგვცემს, რომ სომხები მტრულად შეხედენ ბაქარის ტახტზე ასვლას, მათ მოინდომეს მის მაგიერ გაემეფებიათ მისი ძმის, რევის, შვილი, რომლის დედა იყო ასული სომეხთა მეფის თრდატისა, ამ მიზეზით მათ ომიც კი გამოუცხადეს ბაქარს (ლეონტი, გვ. 112). თუ მხედველობაში გვექნება რომ, ბაქარის ჩამოყენების შემდეგ, რომაელებს ტახტზე დაუსვამთ საერომაკი, რომელიც, როგორც ჰქვამოთ დავინახავთ, უნდა იყოს შვილი რევისა, საფიქრებელია, რომ ამ ომში რომაელები მხარს უჭერდენ სომეხებსა და მათ მიერ წამოყენებულ კანდიდატს; ეს კი საკმაო საბუთი იყო იმისათვის, რომ ბაქარს რომაელებზე გული გაგრილებოდა და სპარსეთთან ექებნა კავშირი. 363 წლის შემდეგ, როდესაც რომაელები და სპარსელები ერთმანეთს ეჭიშვებოდენ სომხეთისა და იბერიისათვის, სომხები რომაელების ორიენტაციას იზიარებდენ, ისინი მუდამ იმას ექებდენ, რათა „მორთონ ძალი ბერძენთაგან“; თავისთავად ცხადია, ბაქარი მეგობრულ ურთიერთობაში ვერ დარჩებოდა იმ სახელმწიფოსთან, რომელზედაც მთელს თავის იმედს ამაყრებდენ და რომლისგანაც შეეღას გამოელოდნენ მისი მტრები სომხები, ის სომხები, რომელნიც, სპარსელებთან ბრძოლის დროს, ქართველებსაც არ აძლევდენ მოსვენებას¹⁾. თუ ეს ასეა, ვასაკვირვი არაა, რომ რომაელებმა გადააყენეს ბაქარი, რომელმაც „არა მოირთო ძალი ბერძენთაგან“ და არამც თუ არ მოინდომა „წინააღმდეგ სპარსთა“, არამედ „ეზრახა მათ შვერლომით, ითხოვა მათგან მშვიდობა და გაუცვალა ქუეყანაა“. ნაცვლად ბაქარისა რომაელებს ბუნებრივად უნდა გაემეფებიათ რევის შვილი, რომლის კანდიდატურამ გამოიწვია სომეხ-იბერთა ომი და ბაქარის განდგომა რომაელებისაგან; ასე რომ რომაელების მიერ გამეფებული საერომაკი უნდა იყოს შვილი რევისა.

სპარსელები გამოექანაგენ მათი პოლიტიკისათვის მსხვერპლად შეწირული ბაქარის ინტერესებს, საერომაკი გააძევეს და გაამეფეს ასაკური, რომელიც.

¹⁾ ფაესტო ბიზანტიელი გადმოგვცემს, რომ დაახლოებით ამაღ ნანებში სომეხთა მხედართმთავარმა მუსედმა გაილაშქრა იბერიის წინააღმდეგ. მან ბძლით ამოსწვება და უვარს აცვა ფარნავაზიანი და აზნაურ-დღედუღნი, რომელნიც კი ზღლი იგდო (სომეხთა ისტორია, ტფილისის გამოცემა, 1913 წ., გვ. 315).

უმიკველია, უახლოესი პირი იყო ბაქარისა; ამიანე მარკელინი აწერს, რომ ასპაკური ბიძაშვილი იყო საერომაკისა (XXVII, 12, 16). მასწავლავე — ქრისტიანი რეგისა, აქედან, იგულისხმება, ის ბაქარის შვილი უნდა ყოფილიყო ბაქარი და რევი ძმები იყვნენ). საერომაკისა და ასპაკურის შორიგებობა შეზღუდვას იწვევს რომაელთა სანქციაც მიიღო, იბერიაში გაჩნდა ორი მეფე; დასავლეთ ნაწილში, რომაელთა ხელქვეით, საერომაკი, აღმოსავლეთ ნაწილში, სპარსელების ხელქვეით, ასპაკური (ამიანე მარ. XXVII, 12, 17¹⁾).

368 წელს დამყარებულის ორმეფობის გამოძახალი პეტრე იბერიელის ასურულ „ცხოვრებაშიაც“ გვესმის ჩვენ²⁾; აქ ერთ აღვილას ნათქვამია: ბაქარიოსს ჰყავდა ძმა, წმიდა არჩილი, რომელმაც „თანახვად იბერთა ძმართველობის ჩვეულებისა, იმეფა რა ღრმა მოხუცებულობაში ბაქარიოსსა და ბუზმარიოსთან ერთად, სათნოებით აღასრულა დღენი თვისნიო“ (nachdem er mit Baucrios und Bosmarios in hohen Greisenalter nach der Gewohnheit der Herrschaft der Iberer regiert hatte, Raabe, S. 15), ხოლო მეორე აღვილას: „არჩილი, ძმა ბაქარიოსისა, მოხუცებულობაში მეფობდა (regierte) ბუზმარიოსთან ერთადო“ (S. 18). გამოდის, რომ ბუზმარიოსის მეფობისას იბერიაში მეფედ ყოფილან აგრეთვე ბაქარი და არჩილი; ეს შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ორმეფობისას: როდესაც იბერიის ერთს ნაწილში მეფედ ყოფილა ბუზმარიოსი, მეორე ნაწილში იმავე დროს უმეფნია ჯერ ბაქარს და მერე არჩილს³⁾.

¹⁾ ჩვენ არ ვიცით, სანამდის ვასტანა საერომაკისა და ასპაკურის მეფობამ, ერთი ვა, რომ ისინი 375 წელსაც მეფედ არიან: ამ წელს შახური უთვლიდა ვალენტს, იბერიიდან თქვენი ჯარი გაიყვანეთ, რათა მთელი იბერიის მეფედ ისევ ასპაკური იყოს (ამიანე XXX, 2, 2) ჯარის მიღების შემდეგ ის კვლავ იმუქრება: თუ საერომაკის დამხმარე ლეგიონები მოხალეა წლია დამდგამდის გაყვანილი არ იქნება, იძულებული ვაფხედბი ვიმოქმედო ისე, როგორც არ მსურდა მოქმედება (XXX, 2, 4, 7). რაც შეეხება ბაქარს, პოლიტიკური მოღვაწეობისაგან განთავისუფლების შემდეგ, ის, როგორც ქრისტაინი, ჩანს, ისევ ბიზანტიას დაბრუნდება, სადაც მკვლამდე მძვინვარე იყო, სამხედრო სამსახურში შესულა და 378 წელს აფრიკანოზთან გუთების წინააღმდეგ ოპი უწარმოებია (ამიანე XXXI 12, 16), გარდაცვლილა 394 წელს იტალიაში ვევენო ტირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

²⁾ ვხელმძღვანელობდი რა პეტრე იბერიელის ასურული „ცხოვრების“ ცნობით, მე ჯერ კიდევ 1926 წელს გამოვთქვი მოსაზრება, რომ 368 წელს დამყარებული ორმეფობა იბერიაში მეფეთ საუკუნის პირველ ნეოთხუდშიაც არ იყო მოსაძიებელი, რომ ბაქარი და არჩილი იყვნენ სპარსელი იბერიის მეფენი, ბუზმარიოსი კი რომაელის (ვიმომხი დევილი I, 29, შენ. II, ს. 3-4) ბაძე, რომელიც შემდეგ ამ შეზღუდულებას იმეორებს, საკითხად არ სთვლის მისი პირველი წყარო დასახელების (ისტორიული კრებული, 1928 წ. II, 12—13, III, 131, 141). აღნიშნავ ასის მხოლოდ იმისათვის, რომ, როგორც ცნობილია, ს. კაკაბაძე სხვებს უკითხავს ხოლმე „ლიტერატურული წიგნის“ ლექსებს.

³⁾ ი. ჯავახიშვილი, რომელსაც ეს არა სჯერა, mit Bosmarios-ს სთარგმნის არა „ბოსმარიოსთან ერთად“, არამედ „მსავსებად ბოსმარიოსისა“; ებლანდელი ასურული თანდებულის „ამ“ (-თან) მივყერ, ამბობს ის, თავდაპირველად იქნებოდა „ამ დ“ (-მსავსებად ქართველი ერის ისტორია I², 255 შენიშ.). რასაკვირველია, ასეთი გზით ყველაფერის დამტკიცება შეიძლება, მაგრამ როგორ დაევიკროთ — ეს თანდებული ორივეჯერ დამახინჯდა (ის ორჯერაა ნახმარი S. 15, 18)? ანაოდა, შენიშავს ის, ეს სიტყვები უნდა ჩვეულებრივად იბერიაში არსებულ წესს, რომლის მიხედვით, მეფის მომდევნო უბედესი წყარო ჯარის უფროსი და უმწესესი მსაჯული იყო (იქვე). მაგრამ ჯარის უფროსისა და უმწესესი მსაჯულის უწინააღმდეგე შეუფარებელი და უადგილო იქნებოდა ისეთი ზნის ბეარება, რომელიც გერმანული regierte-თა ვადმოცემული.

ამნიარად, ჩვენს თვალწინ შემდეგი სურათი იშლება: დამახასიათებელი 323-362 წლებში იბერიაში მეფობს მირიანი, პირველი ქრისტიანე მეფე ქორონიანის მომდევნო მეფის, მისი ძის ბაქარის, დროს, 368 წელს, იბერიაში იშველად გაყოფილა: დასავლეთი იბერია, რომელთა გავლენის ქვეშ, სადაც მეფობს რევის შთამომავლობა, და აღმოსავლეთი იბერია, სპარსთა გავლენის ქვეშ, სადაც ბაქარის ხაზი მეფობს. სია ამ ნაწილთა მეფეებისა და მათი დაბრუნებითი ქრონოლოგია ასეთია:

აღმოსავლეთ იბერიაში:

- | | |
|---------------------------|--------------|
| 1. ასპაქურო, ძე ბაქარისა | } 368-422 წ. |
| 2. თრდატი, ძმა ასპაქურისა | |
| 3. ბაქური, ძე თრდატისა | |
| 4. არჩილი, ძმა ბაქურისა | |

დასავლეთ იბერიაში:


- | | | |
|---|--------------|------------|
| 1. სავრომაკი, ძე რევისა | } 368-400 წ. | |
| 2. ვარახბაქური, ძმა ¹⁾ სავრომაკისა | | |
| 3. ფარსმანი, ძე ვარახბაქურისა | | 400-406 წ. |
| 4. მირდატი, ძმა ფარსმანისა | | 406-410 წ. |
| 5. ბუნზარისი, დისშვილი ფარსმანისა | | 410-428 წ. |

აქედან, მაშასადამე ირკვევა, რომ პეტრეს შავა, დიდი ბაქური, არის ძე თრდატისა, მირიანის შვილისშვილისა (№ 3 აღმოსავლ. იბერიის მეფეებისა); მას თავისი ქალი ბაქურდუბტი მიუთხოვებია თავისი თანამედროვე, იბერიის დასავლეთ ნაწილის, მეფის ბუნზარისისათვის, ამ ქორწინებიდან წარმოშობილა პეტრე იბერელი. ეს პირველი ნათესაური კავშირი არაა ამორ შტოთა შორის: ამიანე მარცელინის ცნობით სავრომაკი და ასპაქური იყვნენ ბიძაშვილები, თრდატს თავისი ქალი მიუთხოვებია ვარახბაქურისათვის, როგორც ამას ლეონტი მროველი გადმოგვცემს (იხ. გვაროვნობითი შტო).

1) სადიკრებელია, ტაბტის შემკვიდრების წესის მიხედვითაც, რომ ვარახბაქური ძმა იყო სავრომაკისა. მაშასადამე—შვილი რევისა; მართლაც, ლეონტის ცნობით (გვ. 112), რევის ერთი კი არა, რამოდენიმე შვილი ჰყოლია; ლეონტი ამბობს, რომ ბაქარს, რევის ძმას, ჰყავდა „ძის-წულნიო.“ ვარახბაქური რომ დასავლეთი იბერიის მეფეა, ეს ლეონტის მოთხრობიდანაც ჩანს: ლეონტი ამბობს, რომ ვარახბაქარს ბერძენებმა წაართვეს „ოქროსი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე“ (გვ. 115), ეს ტერიტორია კი 363 წლის აქტით დასავლეთი იბერიის ფარგლებში იყო მოქცეული.

2) არჩილის გარდაცვალების თარიღი შეიძლება გარკვეულ აქნეს ვახტანგ გორგასლანის ქრონოლოგიით, რომელსაც მისი ისტორიკოსი იძლევა: როდესაც გარდაიცვალა. სპარსთა მეფე შირინსა, ამბობს ისტორიკოსი, და ტაბტზე ავიდა „ძე მისა“ შეროხი (458 წ.), ვახტანგი იყო 22 წლის (ქართლის ცხოვრება მარიაშისა, გვ. 130-7, 142, 158), აქედან—ვახტანგი დაბადებულა 436 წელს, მაშასადამე—მაშა მისი მირდატი გაშეფხულა 432 წელს (მატიანით ვახტანგი დაბადა მირდატის მეფობის მეოთხე წელს), მირდატი კი გაშეფხა არჩილის გარდაცვალების შემდეგ უშეულოდ (ლეონტი, გვ. 121).

3) მოსაზრებია არმეფობა იბერიაში ბუნზარისის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთ იბერიაში მეფედ იყო არჩილი. შვილის მეფელად გასტუმრების შემდეგ (422-3 წ.) ბუნზარისს, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს (ქართული საზარტლის ისტორია I, 179), დიდხანს აღარ დასცლია სიციცხლედ; უნდა გარდაიცვალა იგი ის არაუგვიანეს 428 წლისა, ვინაიდან მისი ქვრივი, ბაქურდუბტი, შირის გარდაცვალების შემდეგ წასულა კონსტანტინოპოლის თავისი შვილის პეტრეს მოსაზრებად, მაგრამ პეტრე, რომელსაც დედისა შეხვედრა არ სურდა, კონსტანტინოპოლიდან კვაბარისის ქუჩაზე დაშალულა (R a a b e, S. 20), როგორც მისი ცხოვრების ფაქტების თანამომდევრობიდან ჩანს, 428 წელს.



ვეკლაძე, რაც ამდენხან ითქვა, საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ის ისტორიული ღვაწლი ბაგურიისა ქართველთა წინაშე, რომელიც პაგიოგრაფს იბერიაში ქრისტიანობის შემოტანად გამოუცხადებია. მე ვფიქრობ, რომ პეტრე იბერიელის ასურული «ცხოვრების» გადმოცემაში ისმის ყრუ გამოძახილი ქართულ ენაზე ქრისტიანული მწერლობის შექმნისა და გაჩაღებისა, რაც შედეგი იყო, თავისთავად იგულისხმება, ქართული ანბანის შემოღებისა. გადმოღება დედაენაზე საღმრთო წერილისა და საღვთისმსახურო ელემენტებისა, რაც ურყვე საფუძვლად უნდა გახდომოდა ქრისტიანობის დამყარებისა და განმტკიცების საქმეს იბერიაში, თავისი მნიშვნელობით და პაგიოგრაფის ტენდენციის წყალობით, თვით ქრისტიანობის შემოღების ფაქტად ქცეულა შემდეგში. როგორც შემოპოყვანილი ექსკურსიდან და პეტრე იბერიელის ასურული «ცხოვრებიდან» ჩანს, ბაგური იყო ძმა არჩილისა და მისი წინამოადგილე ტახტზე. ეს გარემოება, რომელიც ქართულ წყაროებში არა ჩანს, ნდობის ღირსადა ხდის სომხური წყაროებიდან მომავალ ცნობას ქართული ანბანის შემოღების შესახებ, ვინაიდან ამ ცნობითაც ბაგურის შემდეგ იბერიის ტახტზე არჩილია. მესროპი რომ პირველად მოსულა იბერიაში ანბანის დამუშავებაში მონაწილეობის მისაღებად, შეფედ აქ ბაგური ყოფილა, ხოლო, როდესაც ამის შემდეგ ის მეორედ მოდის ჩვენში, საკუთრივ

ტაშირში, არშუშა პიტიახშის მოპატივებით, იბერიის ტახტზე უკვე არსოლია. აქედან, მასსადაამე, ქართული ანბანი შემოღებული უნდა იყოს ბაკურის მეფობის უკანასკნელ წლებში. დაახლოებით ამ წლების გარკვევაც შეუძლებელია. მისე ხორენელი გადმოგვცემს, რომ, როდესაც გარდაიცვალა სპარსეთის მეფე ირანდ-გერდ I, ესე იგი 420 წელს, მოუკლავთ სომხეთის მეფე შაფუზი, ამის შემდეგ სამი წლის განმავლობაში სომხეთში აღრეულობა და უწყსოება სუფევდა (III, 56), ამიტომ მეოთხე (424) წელს სპარსეთის მეფემ ბაჰრამ V სომხებს მეფედ მისცა არდაშირი; სწორედ ამავე ხანებში მესროპი წასულა ტაშირს (III, 60) და გაუგია, რომ იბერიაში არჩილი მეფობდა. ამნაირად, 424 წელს მეფედ არჩილია, რომელიც ცოტა უფრო აღრე უნდა იყოს ტახტზე ასული; მისი გამეფება დაკავშირებული უნდა იყოს ამ დროის სპარსეთ-ბიზანტიის ურთიერთობასთან. ცნობილია, რომ 421—422 წლებში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის წარმოებდა სარწმუნოებრივი მოტივებით გამოწვეული ომი, რომელიც დამთავრდა 422 წელს ასის წლის ზავით (Lebeau, Histoire de Bas-Empire, t. V, p. 501. И. Ерт ов, История восточно римской или Константинопольской империи I, 258. Ф. Успенский, История Византийской империи I, 193, 199). მე ვთქვობ, რომ ამ ომთანაა დაკავშირებული 12 წლის პეტრეს მძევლად წაყვანა ბიზანტიაში და ის ეპიზოდი ბაკურის შესახებ, რომელსაც პეტრეს ასურული „ცხოვრება“ გადმოგვცემს, სახელდობრ: „ბაკურმა, ყველა სათნოებასთან ერთად, მოიგო აგრეთვე გვირგვინი აღმსარებლობისა ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოწამეობისა. მას მშვიდობიანობის ხელშეკრულება ჰქონდა დაღებული სპარსეთის მეფესთან და მის მხედართმთავრად ითვლებოდა, ამიტომ ის ერთხელ ომში იყო გაწვეული შაჰისაგან. მზის ამოსვლისას შაჰი, მხედართმთავარი და დიდებული ჩამოხტენ ცხენებიდან და დაიწყეს მზის ლოცვა-ვედრება, ბაკური კი ამ დროს განაგრძობდა ცხენზე ჯდომას, ის ამისთვის შეასმინეს შაჰს, რომელმაც მას მოუწოდა და ჰკითხა: მართალია ყველაფერი ის, რასაც შენს შესახებ ამბობენ?“ „ბაკურმა კანდიერად აღიარა თავისი ქრისტიანობა, რის შემდეგ“ შაჰი მიბრუნდა და თავისიანებს საიდუმლოდ უთხრა: ეს ბაკურია და ის ჩვენ გვესაქიროება, რა უნდა ვუკეთ მას?“ (R a s e, S. 17—18). მართალია, მოთხოვნა ამაზე წყდება, არ არის ნაჩვენები, თუ რა უკვე მას ამისათვის, მაგრამ ხასიათი ამ ომისა გარანტიას იძლევა, რომ, თუ ბაკური ამისათვის სკვდილით არ დასაჯეს (რასაც გვაფიქრებინებს სიტყვები: „მოიგო გვირგვინი აღმსარებლობისა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოწამეობისა“), ყოველ შემთხვევაში ტახტიდან მაინც ჩამოაგდეს. ასე რომ ბაკურის მიერ ტახტის განთავისუფლება და არჩილის გამეფება მოდის 422 წელზე, მასსადაამე—ქართული ანბანის შემოღებას ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოებით 420—422 წლებში.

ახლად შემოღებული ანბანი არჩილის მეფობაშივე (422—432) გამოუყენებიათ, პირველ ყოვლისა, სახარების გადმოღების საქმეში. მემატიაწე მოგვითხრობს, რომ არჩილის შვილის, მირდატის, მეუღლემ, „საგდუბტ დედოფალმან, გამოიკითხა სჯული ქრისტესი, რამეთუ ჭმარმან მისმან მოგუარნა კაცნი სჯულისმეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესიო“ (ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 120). შესაძლებელია, ამ შემთხვე-

ვაში იგულისხმებოდეს სპარსულად თარგმნა სახარებისა (სავლელთა სპარსული-
 ქალი იყო), მაგრამ ეს ასეც რომ იყოს, ეს ფაქტი მაინც საყურადღებოა მით,
 რომ ის ადასტურებს არსებობას ქართული სახარებისას, რომელსაც ქვემოთ გარე-
 შვა, უთარგმნეს სავლელთს. იგივე შემატიანე მოგვითხრობს შემდეგ იმასაც, რომ
 არჩილ მეფეს ეპისკოპოსად დაუსვამს ვინმე მოზიდანნი, რომელიც თურმე „ფა-
 რულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა“ (იქვე). ჩვენთვის ამქამად
 საინტერესო არაა პიროვნება ამ მოზიდანისა, მაზდეიანი იყო ის, ნესტორიანი,
 მანიქეელი თუ მართლმადიდებელი; ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, თავისი
 თხზულებები მას, რა თქმა უნდა ქართულად უნდა დაეწერა, რადგანაც მისი
 მიზანი იყო გაერცყლება თავისი მაცთური მოძღვრებისა თავის სამწყსოში—
 ქართველთა შორის. აქედან, მაშასადამე, გასაკვირველი არაა, რომ 474—484
 წლებში ქართულ ენაზე დაწერილა ისეთი ორიგინალური თხზულება, როგორიცაა
 „ნუშანიკის მარტილობა“ იაკობისა, ამისათვის საჭირო არაა ქართული წწერ-
 ლობის დასაწყისი ქრისტეს ეპოქამდე გადავიტანოთ: ნახევარი საუკუნის განმავ-
 ლობაში, წწერლობის დაწყებიდან დასაბულებული თხზულების დაწერამდე, ქარ-
 თულ წწერლობას ინტენსიური განვითარების გზა გაუვლია, ამ ხნის განმავლო-
 ბაში ქართულ ენაზე უთარგმნით როგორც ძველისა და ახალი აღთქმის წიგნებო
 (იაკობის თხზულებაში მოხსენებულია დავითნი, ევანგელე და პავლე), მაშასადამე—
 მთელი ბიბლია, ისე პროტოტიპი იაკობის შრომისა— „ნოწამეთა წიგნი“, რო-
 მელიც მის თხზულებაშივეა მოხსენებული.



პრიტიკული შენიშვნები

მოსე გოგიბერიძის: „**პატრიარქის და დიალექტიკის პრობლემების გან-
ვითარება მარქსიზმში**“-ს (გამომ. *)

თეორიისა და ფილოსოფიისადმი ღრმა ინტერესი, რაც საბჭოთა კავშირის დღევანდელ ცხოვრებას ახასიათებს, პროლეტარულ სახელმწიფოს კულტურული და ეკონომიური სწრაფი ზრდა-განვითარების შედეგია. სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია მოითხოვს აგრეთვე აზროვნების „რეკონსტრუქციას“. თანამედროვე გაბთლებული ცხოვრების მოვლენათა შესასწავლად არ კმარა მარტო პოლიტ-კოდნის შექმნა, საჭიროა მარქსისტული მსოფლმხედველო-ბის უფრო ღრმა შესწავლაც. მარქსიზმში, პირველად ყოვლისა მთლიანი, მეცნიერულ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობაა. საფუძველთა საფუძველს კი მარქსიზმისას წარმოადგენს დიალექტიური მატერიალიზმი. ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა უფრო მეტის წარმატებით ვაწარმოოთ სოციალისტური მშენებლობა, საჭიროა ვეცადოთ დიალექტიური მატერიალიზმი პროლეტარულ მასებში შევიტანოთ. სოციალიზმის მშენებლები უნდა შეიარაღებულნი იქნენ დიალექტიური მეთოდით, რადგან დიალექტიკა არა მარტო შემეცნებისა და მეცნიებათა მეთოდოლოგიაა, არამედ იგი მოქმედების მეთოდოლოგიაცაა. მარქსიზმში თეორია და პრაქტიკა ერთმანეთთან არის შკიდროდ დაკავშირებული. არ არსებობს თეორია უპრაქტიკოდ და პრაქტიკა უთეორიოდ. მხოლოდ მარქსიზმი სწვევს სწორად პრაქტიკის და თეორიის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს. აქედან აშკარაა მარქსიზმის ღრმით შეთვისება ყოვლად შეუძლებელია მისი ფილოსოფიური საფუძვლების შესწავლელად. ძველი ბურჟუაზიული იდეოლოგიის აღმოსაფხვრელად საჭიროა გავრცელდეს დიალექტიური მატერიალიზმი, რომ მეტაფიზიკური აზროვნება, თავისი მარადი კატეგორიებით, შეცვლილი იქნეს დიალექტიური აზროვნებით; თავების რეკონსტრუქცია მეურნეობის რეკონსტრუქციის აუცილებელი მოთხოვნილებაა.

დიალექტიური მატერიალიზმი მთელი კაცობრიობის ფილოსოფიის ისტორიისა და მეცნიერების ლოლიკური განვითარება და დამთავრებაა—ის შემეცნებული მსოფლიოს რაობის სინთეზია; ამიტომ მისი გაგება და შეთვისება აუცი-

*) იხ. მოსე გოგიბერიძე: „მატ. და დილ. განვითარება მარქსიზმში-ენიერისტიკის გამოცემა, ტფილისი 1929 წ. №26XVI გვ.

ლებლად მოითხოვს ფილოსოფიის და მეცნიერებათა ისტორიის შესწავლას. მარქსის წინამორბედთა შესწავლელად შეუძლებელია თვით მარქსის ვაგებაც.

უნდა აშკარად ვიღიაროთ, რომ ქართული მარქსიზმის განვითარება ერთ მთავარ ნაკლთაგანს წარმოადგენდა უყურადღებობა მარქსიზმის—~~მარქსის~~ მათეორიულ საფუძვლებსადაში. იმ დროს, როცა მარქსისტული მოძღვრების პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ მხარეებს მთავარი ყურადღება ექცევა, დიალექტიურ მატერიალიზმს, როგორც მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძვლს არ ჰქონდა სათანადო ყურადღება მიქცეული. ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით ქართული მეცნიერების განვითარება სწრაფი ნაბიჯით გაექანა წინ; ფილოსოფიაც არ ჩამორჩა სხვა მეცნიერებათა განვითარებას, მაგრამ დღეინდლამდე ზენ არ გვექონია მარქსისტული ფილოსოფიის განვითარების კვლევა-ძიების ცდაც-კი; მოსე გოგობერიძის წიგნი კი წარმოადგენს მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარების მარქსისტული განხილვის პირველ ნაშრომს. ავტორის ასეთი დაწყება მისაღმების ღირსია.

აღნიშნული წიგნი ავტორის მიერ მოფიქრებული შრომის პირველი ტომია. ამ წიგნის მიზანია; რომ იგი ერთგვარი შესავალი იყოს დიალექტიური მატერიალიზმის ფილოსოფიაში. აქ ავტორს სურს განიხილოს მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე; ის ცდილობს აღნიშნული პრობლემების განვითარება შეისწავლოს დიალექტიური მეთოდის საშუალებით; მისი მიზანია დაამტკიცოს, რომ მარქსიზმი მთელი ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების სინთეზია. ავტორს სწორათ ესმის თავის წიგნის მიზანი და შეძლების და გვარად ცდილობს მოგვეცეს ნამდვილი შესავალი მარქსისტულ ფილოსოფიაში. მეორე ტომში კი ავტორი გვიპირდება მოგვეცეს დიალექტიური მატერიალიზმის ფილოსოფიის სისტემატიური დალაგება.

პირველი ტომი შესდგება ორ ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ის იხილავს მატერიალიზმის განვითარებას, დაწყებული ძველი ბერძნებიდან და ვათავებული საფრანგეთის მატერიალისტებით; მეორე ნაწილში კი—დიალექტიკის განვითარებას, ბერძნებიდან მარქსამდე პეგელითურთ. ორივე ნაწილს თითოეულად წამოძღვარებული აქვს შესავალი, სადაც ავტორი, არკვევს რა თავის მსოფლმხედველობას, ცდილობს მოგვეცეს მარქსისტული მსოფლმხედველობის სწორი ვაგება. წიგნი ამტკიცებს რომ ავტორმა კარგად იცის ფილოსოფიის ისტორია. მართალია მასალის სიდიდისა გამო, წიგნს ემჩნევა სხვადასხვა ფილოსოფოსთა სისტემის გარჩევის დროს საკითხებისადაში ერთგვარი ზერელე მიდგომა, მაგრამ, რამდენადაც ავტორს საშუალება ეძლევა, ის ცდილობს უფრო ღრმად მიუდგეს კლასიკურ მატერიალიზმის და დიალექტიკის წარმომადგენლებს, როგორც მაგალითად, მატერიალისტებიდან—დემოკრიტეს, სპინოზას და საფრანგეთის მატერიალისტებს,—მხოლოდ დიალექტიკებიდან—კანტს და ჰეგელს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ავტორის მიერ გატარებული კრიტიკა შესახებ კანტიტატური (რიცხობრივი) მეთოდისა, რაც გაბატონებული იყო მექანიკურ მატერიალიზმში. ის სწორეთ აკრიტიკებს მექანიკურ მატერიალიზმს და მიუთითებს კვალიტატიური (თვისობრივი) შეხედულების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. ავტორი იზიარებს ენგელსის შეხედულებას მექანიკურ მატერიალისტებ-

ზე, მიუთითებს მათ ნაკლებ და ხაზს უსვამს კვლიტატიურ (თვისობრივ) შეხედულების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ავტორი სრულყოფილ ენისწილებს ახალ მექანიკებს, რომლებიც საერთოდ ისეთივე შეცდომას უშვებენ, როგორც საც უშვებდენ ძველი მექანიკები თავისი კონტრიფიკაციის მეთოდით.

ავტორს კარგად ესმის, რომ ახალი დიალექტიური მატერიალიზმი თავის-ში იტყვის ძველი მატერიალიზმის ყველა დადებით პრინციპებს, მაგრამ ის ამვე დროს არის უფრო მეტი ძველ მატერიალიზმზე მით, რომ დიალექტიური მატერიალიზმი არის მატერიალიზმისა და დიალექტიკის სინთეზი. ავტორს კარგად აქვს გაგებული დიალექტიკის როლი მარქსისტულ ფილოსოფიაში. „ერთი სიტყვით—ამბობს ის—მარქსისტულ ფილოსოფიაში დიალექტიკას უპირავს უპირველესი ადგილი. დაწყებული ნატურფილოსოფიური პრობლემებიდან და კლასთა ბრძოლის თეორიით გათავებული, მარქსიზმი დაყრდნობილია დიალექტიურ მეთოდზე. ამიტომ მარქსიზმის თეორეტიული შესწავლა ნიშნავს დიალექტიკის საფუძვლიან შესწავლას.“ (გვ. 202). ავტორს კარგად ესმის დიალექტიკის როლი, და ამიტომ ის ცდილობს მოგვეცეს დიალექტიკის ისტორიული განვითარების განხილვა. ის სამართლიანად აქვეყნებს კანტს განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან შეგნებული დიალექტიკა წვენი პირველად გვხვდება კანტის ფილოსოფიაში. კანტმა ნიუტონისაგან განსხვავებით პირველად წამოაყენა განვითარების იდეა. ამას გარდა კანტმა პირველად აღიარა რეალურ წინააღმდეგობათა ერთარსებობა, რაც დიალექტიკის ძირითადი კანონია. „იქ, სადაც მატერია იქ განვითარებაა, სადაც განვითარებაა იქ წინააღმდეგობაა, იგი მავალითა კანტის დიალექტიური აზროვნებისა“—ამბობს ავტორი. კანტმა პირველად მიუთითა სინტეზის დიდ მნიშვნელობაზე. ავტორი სამართლიანად ყოფს კანტის მოღვაწეობას ორ პერიოდად: პირველი პერიოდი—როცა კანტში სჭარბობდა ბუნებისმეტყველური ინტერესები; მეორე—როცა ის გიიტაცია წმინდა ფილოსოფიურმა ინტერესებმა. პირველში მატერიალიზმი სჭარბობდა, მეორეში—იდეალიზმი. მართალია, ავტორი მიუთითებს რეალურ წინააღმდეგობათა მნიშვნელობაზე, მაგრამ, თუ რაშია განსხვავება კანტის უარყოფითი დიალექტიკისა და ჰეგელის დადებით დიალექტიკის შორის, ის არ არკვევს. ავტორის დიდ დადებით თვისებას წარმოადგენს როცა ის მარქსიზმის გაგებისათვის ჰეგელის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს, სრულიად მართალია ის, როცა ამბობს: „ვისაც ჰეგელი არ ვაფუცია, ის ვერც მარქს ვაიგებს საფუძვლიანად“-ო, (გვ. 286). ავტორის დადებით მხარეს წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ ის ცდილობს ჰეგელის ფილოსოფია შეგნიდან ააფეთქოს; მას სურს დაამტკიცოს, რომ მარქსიზმი ჰეგელის ფილოსოფიის იმანენტური დაძლევა იყო. ის ამბობს: „რომ ჰეგელმა თავისი ლოგიკის საბით არამც თუ იდეალისტური დიალექტიკის კლასიური სახე მოგვეცა, არამედ ის გადასასვლელი გზებიც, რომლის აუცილებელი გამოის შეზღვევ მეთოდი იდეალიზმს უნდა მოშორებოდა და მატერიალიზმში გადასულიყო“-ო. (გვ. 321). მართალია ავტორს ნათლად არ აქვს გაუჭებული, თუ მარქსის მეოხებით როგორ მოშორდა მეთოდი იდეალიზმს, ჰეგელის ფილოსოფიაში, (ალბად მეორე წიგნში ავტორი მოგვეცემს უფრო ნათელ წარმოდგენას ამის შესახებ ი. ვ.) მაგრამ ერთში კი ის უსათუოდ მართალია,

სახელდობრ იმაში, რომ მარქსიზმში ჰეგელის ფილოსოფია შეგვიძინა ერთი და დიალექტიკა, რომელიც ვერ ეგუებოდა იდეალიზმს, დააყენა თეზე. მარქსიზმში ჰეგელის იმპანენტური გადაღებვაა. ავტორს შეიძლება უსამართლოდ მასში, რომ მან სათანადოთ და ფართედ არ დაგვიხასიათა ჰეგელის დიალექტიკა, და ამიტომ ბევრი საკითხები ბუნდოვანად დარჩა. ჰეგელის ფილოსოფიის გარჩევა, რომელსაც ავტორი იძლევა, ვერ გვაძლევს სათანადო მონაზღებას მარქსისტული დიალექტიკის გასარკვევად, მის დაბასიათებას ავტორი მეორე წიგნში გვიძირდება.

სხვა დადებით მხარეებზე შეიძლება კიდევ აღნიშნული წიგნის შესახებ გაჩერება, მაგრამ ამაზე მეტს აღარ შევჩერდებით, რადგან, ჩვენის აზრით, ავტორის შეცდომების გასწორება მეტ ინტერესს წარმოადგენს. შეცდომების გასწორება კი აუცილებელია, რომ წიგნმა ითამაშოს დადებითი როლი საქართველოს მარქსისტული ფილოსოფიის განვითარებაში.

უნა აღინიშნოს რომ ავტორი გაორების პროცესშია, წიგნს ეტყობა ერთგვარი კომპრომისი, აზროვნების დაუმთავრებლობა და გაურკვეველობა; ზოგიერთ შემთხვევებში კი ადგილი აქვს პირდაპირ შეცდომებსაც. ჩვენ არ შევჩერდებით ავტორის ამა თუ იმ ფილოსოფიურ სისტემების საერთოდ ინტერპრეტაციაზე. კრიტიკის ობიექტად ავტორებმა პრინციპიალურ საკითხებს, რომლებიც ავტორის მსოფლმხედველობას ახასიათებენ.

გავაჩინოთ პირველი საკითხი, თუ როგორ ესმის ავტორს ფილოსოფია და ფილოსოფიის როლი საერთოდ. ფილოსოფიის განმარტების დროს ავტორი გვერდს უხვევს პლტანოვის და ჰეგელის მიერ მოცემულ ფორმულიროვკას „ფილოსოფიის- როგორც შემეცნებულ მსოფლიო რაობის სინთეზს“. ის განმარტავს ფილოსოფიას, როგორც მსოფლიოს შესახებ ზოგად მეცნიერებას. ავტორი სრულიად არ არკვევს ფილოსოფიის ახალ გაგებას, რომელიც ენგელსმა, ჰეგელთან დაკავშირებით მოგვცა. ავტორმა კარგად უნდა იცოდეს, თუ რემდენ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი მარქსიზმში ენგელსის მიერ მოცემული ფილოსოფიის ახალი განმარტებით. ენგელსმა „ანტი-დიურინგში“ და „ლ. ფეიერბახში“ პირდაპირ გაილაშქრა ფილოსოფიის ძველი ცნების წინააღმდეგ და აღიარა, რომ ფილოსოფიის ბოლო უნდა მოეღოს.

ჯერ კიდევ ჰეგელმა დაიყვანა ფილოსოფიის პრობლემა მეთოდოლოგიის პრობლემაში, მაგრამ მასთანვე მეთოდის ახალი გაგებაც მოგვცა. ჰეგელის აზრით, მეთოდი არ არის საგნისადმი სუბიექტიური მიდგომის ხერხი, არამედ მეთოდი არის შემეცნებელი ფორმა შინაარსის მოძრაობისა. მართალია მან შემეცნებელი ფორმა და ნამდვილი ფორმა შინაარსის მოძრაობის — აგაივივა და მით საგანი და ცნება, აზროვნება და სინამდვილე ერთმანეთში გათქვიფა. მაგრამ ჰეგელის მიერ მეთოდის გაგებაში მოხდენილი რევოლუტურია უდიდეს მონაპოვრათ უნდა ჩაითვალოს, რომლის შედეგება მეცნიერთ ჯერაც არა აქვთ შეთვისებული.

მარქსიზმში იმ საკითხში ჰეგელის შემკვიდრება მხოლოდ ჩვენ არ ვლენბულობთ ჰეგელის შეხედულებას იმ სახით, როგორც ეს მან მოგვცა. ჰეგელისათვის შემე-

ცნებული ფორმა შინაარსის მოძრაობისა და ნამდვილი ფორმა ამ მოძრაობისა აბსოლუტურ იგივეობას წარმოადგენენ; ამიტომ საგანი და ცნება, მეთოდი და სისტემა იდენტურია და ერთმანეთისაგან არ სხვადვებიან. ამიტომაც, რომ ჰეგელი სდგას აბსოლუტური კეშმარტების და აბსოლუტური სისტემის თვალსაზრისზე. აზროვნების და სინამდვილის იგივეობა, მთავარი შეცდომაა ჰეგელის ფილოსოფიისა, რომლისგანაც გამომდინარეობს მთელი მისი იდეალიზმი. მარქსიზმი ლებულობს ჰეგელის მოძღვრებას მეთოდის შესახებ, მხოლოდ უარყოფს საგნის და აზროვნების იგივეობას, შემეცნებული ფორმის და ნამდვილი ფორმის აბსოლუტურ განუსხვავებლობას, ჩვენ მხოლოდ შედარებით ვიმცნობთ მატერიის მოძრაობის ფორმებს, ჩვენ ჩვენი შემეცნების პროცესში უახლოვდებით აბსოლუტურ კეშმარტებას, მაგრამ აბსოლუტური კეშმარტება კიდევ არა გვაქვს. ჩვენი მეთოდით, რა თქმა უნდა, შემეცნებული ფორმაა შინაარსის მოძრაობისა, მაგრამ არა სრულიად შემეცნებული, სუბიექტიური დიალექტიკა და ობიექტიური დიალექტიკა, შედარებით უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ აბსოლუტურად არ უდრიან ერთმანეთს. ჩვენ ვალიარებთ, ერთობას მეთოდის და სისტემის, მეთოდი გადადის სისტემაში, მაგრამ ჩვენ ვცნობთ შედარებით სისტემას და არა აბსოლუტურ სისტემას.

ამრიგად მარქსიზმს სრულიად ახალი გაგება აქვს ფილოსოფიისა, ფილოსოფია ჩვენთვის მეცნიერებათა მეთოდოგიაა, სადაც იგი თითონ მეცნიერების სახით გვევლინება. ჩვენი მეთოდოლოგია არის მეცნიერება მატერიის მოძრაობის ყველაზე უფრო ზოგად ფორმების შესახებ, ამიტომ ის არის სინთეზი ყველა მეცნიერებათა. ენგელსი სამართლიანად აღნიშნავდა, როცა ამბობდა, რომ „ფილოსოფია ძველი ფორმით ისპობა, მაგრამ ინახება შინაარსის მხრივით“.

დიალექტიური მატერიალიზმი ფილოსოფიის ახალი გაგებაა; ის არის მეცნიერებათა მეთოდოლოგია და მსოფლმხედველობაც, მასში შენახულია ყველა დადებითი ელემენტები წარსული ფილოსოფიებისა, ის არის მათი სინთეზი. ეს მეთოდოლოგიური მნიშვნელობა მარქსისტული ფილოსოფიისა ბევრმა გაიგო ისე, თითქო მარქსიზმი ყოველგვარ ფილოსოფიას უარს ყოყმანს. ზოგისათვის სრულიად გაუგებარი დარჩა ჰეგელის და მარქსის ახალი მოძღვრება მეთოდის შესახებ, მეთოდის, როგორც შინაარსის მოძრაობის შემეცნებული ფორმისა, მაგალითად: ახალი მექანიკები ამ ნიადაგზე, მივიდნენ ფილოსოფიის უარყოფამდე; ზოგმა მარქსიზმის ფილოსოფიის ინდიფერენტულად დაუწყო ყურება და შესაძლებლად სცნო მარქსიზმის დაკავშირება სხვადასხვა — „იზმებთან“, რის მაგალითიც რუსეთის მონისტები, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის რევოლუციონისტები და სხვებია; ზოგმა კი სრულიად უარიყო ფილოსოფიისა და თეორიის მნიშვნელობაც როგორც მაგალითად მინიმა, ენჩენმა და სხვებმა.

ავტორი, რა თქმა უნდა, მომხრეა ფილოსოფიის. ის პირდაპირ აღიარებს, რომ ფილოსოფია დიალექტიური მატერიალიზმისა „საფუძველთა საფუძველია მარქსიზმის“, მას ისიც ესმის, რომ მარქსისტული ფილოსოფია, პირველად ყოვლისა, მეთოდოლოგიაა, მაგრამ ის სრულდებით არ არკვევს ფილოსოფიის ცნების

ახალ გავებას, რომელიც მოგვცა ჰეგელმა და ენგელსმა. ავტორს უნდა გაერკვია მათი მოღვაწეობა მეოთხე და მოეცა ფილოსოფიის ახალი გავების ცნება. ის კი სწერს, რომ „ფილოსოფია რჩება ის, რაც ის ძველად იყო, უბრალოდ საჩუქრით შეცვნიერებული ძიებისა“-ო. (გვ. 4). ეს განმარტება არ არის საქმარისი განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მკითხველმა უკვე კარგად იცის ენგელსის უარყოფითი აზრი ფილოსოფიის შესახებ ძველი ამ სიტყვის მნიშვნელობით.

თუ აქამდე ჩვენ საქმე გვქონდა ავტორის გაურკვეველ აზრებთან, ახლა კი საქმე გვექნება ავტორის შემცდარ დებულებებთანაც. ავტორს ნათლად არ ესმის მარქსისტული ფილოსოფიის როლი და მნიშვნელობა, იქ ის იწინს ერთგვარ კომპრომისს პოზიტივიზმის მიმართ. ფილოსოფია, ავტორის აზრით, ერთგვარ პასიურ როლს თამაშობს სპეციალურ მეცნიერებათაღმძი. ავტორი ერთის მხრივ ხაზს უსვამს ფილოსოფიის მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას, მეორე მხრივ მისი აზრით მეცნიერება ვითარდება თავის თავად, ფილოსოფია კი მხოლოდ რეგისტრაციას უკეთებს ამა-თუ იმ მეცნიერულ თეორიასა ის თითქოს არავითარ როლს არ თამაშობს მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. ფილოსოფიის ამ როლის უარყოფას, ფილოსოფიის ამ პასიურობას, ავტორი ამკარად აღიარებს შემდეგ ციტატაში, სადაც იგი ამბობს:--თუ რომელიმე მეცნიერებაში იბრძვის „ორი თითქმის ერთნაირი ძლიერებით დასაბუთებული თეორია, ასეთ შემთხვევაში მარქსიზმი არ ჩქარობს არჩევანის მოხდენაში“--და შემდეგ როცა, მაგალითად--განაგრძობს ის,--დარვინის წინააღმდეგ გამოვიდა დე-ფრიზი და ევოლუციონური თეორია რევოლუციონურად (!) შესცვალა, მარქსიზმი, რასაკვირველია, დე-ფრიზის თეორიას მიემხრობოდა, რომ ის ბიოლოგიურ ფაქტიურ განვითარებას მიელო-“ო. გამოდის რომ მარქსისტული ფილოსოფია არავითარ როლს არ თამაშობს მეცნიერებათა მიმართ და ფილოსოფიას არა აქვს, უფლება ჩაერიოს კამათში, რომელიც სწარმოებს ამა თუ იმ მეცნიერებაში. ერთი სიტყვით ფილოსოფია მეცნიერული მეთოდოლოგიის მაგივრად გარდაიქცა პასიურ „მეცნიერებათა მეცნიერებათ“, რომელიც მხოლოდ ლოლიკურად ასაფუძვლებს სხვადასხვა მეცნიერებებს და არა ხელმძღვანელობს მათ. როგორ შეურიგოთ ავტორის ეს დებულება მის შეხედულებებს ფილოსოფიაზე, როცა ის ხაზს უსვამს ფილოსოფიის მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას,--ეს ჩვენთვის გაუგებარია. ვითომ აქ ავტორი ერთნაირ შიშს განიცდის და უახლოვდება ფილოსოფიის პოზიტივისტურ გავებას.

მარქსიზმი, რა თქმა უნდა, არ ამტკიცებს იმას, თითქოს ფილოსოფიას შეეძლოს მეცნიერებისაგან დამოუკიდებლათ განვითარება, როგორც აზროვნების და ცნების თვითგანვითარება. მარქსისტული ფილოსოფია, ანუ მატერიალისტური დიალექტიკა არის სინთეზი, და დასკვნა ყველა მეცნიერებათა განვითარებისა. მაგრამ ეს არის ისეთი სინთეზი, რომელიც როგორც მეთოდოლოგია, მეცნიერებათა შემდეგ განვითარებას ხელმძღვანელობს. სპეციალ მეცნიერებათა და მატერიალისტურ დიალექტიკას შორის არსებობს დიალექტიკური ურთიერთ შეგავსება: წინააღმდეგ შემთხვევაში რაღა საქმარო იქნებოდა ფილოსოფია?

იმისათვის ხომ არა, რომ მეცნიერებათა სხვა და სხვა მიღწევების რეგისტრაცია ეწარმოებინა?

არ შეიძლება დღევანდნით ავტორს აგრეთვე მასში უკონტროლო-სოფიას განმარტავს, როგორც მხოლოდ შემეცნების თეორიის; ასეთი ტენდენცია კი გატარებულია მთელ წიგნში.

იქვებს იწვევს ჩვენში აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ავტორი თავის წიგნის შესავალში, სადა ის დიალექტიური მატერიალიზმის ფილოსოფიის საერთო ხასიათს არკვევს, სრულიათ არ ჩერდება მატერიალისტურ დიალექტიკის დახასიათებაზე. როგორ შეიძლება სწორეთ გადასჭრა მარქსისტული ფილოსოფიის პრობლემა და დასწერო შესავალი, თუ არ იქნა წინასწარ თვით დიალექტიკის ბუნება გარკვეული. მართალია, ავტორი დიალექტიკას არკვევს თავის შრომის მეორე ნაწილის შესავალში, მაგრამ დიალექტიკისა და დიალექტიურ მატერიალიზმის ფილოსოფიის ეს მექანიკური გაყოფა იძლევა შედეგად იმ ბუნდოვან წარმოდგენას მარქსისტულ ფილოსოფიაზე, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით ზემოთ. საჭირო იყო პირველი და მეორე შესავლის გაერთიანება და მათი წამძღვარება წიგნის ორივე ნაწილისადმი, მაშინ ავტორი მარქსისტულ ფილოსოფიის უფრო ნათელ წარმოდგენას მოგვცემდა.

ერთნაირი გაურკვეველობა ემზნევა ავტორს აგრეთვე მეთოდის და მსოფლმხედველობის დამოკიდებულების საკითხში. ამ გაურკვეველობისაგან წარმოსდგება აგრეთვე ავტორის მტკიცება, როცა ის თავის წიგნის 199 გვერდზე სწერს: „მარქსისტული ანუ დიალექტიური მატერიალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ისტორიული მატერიალიზმი არის“-ო; საჭირო იყო საწინააღმდეგო მტკიცება, მარქსიზმი უპირველეს ყოვლისა არის დიალექტიური მატერიალიზმი; ისტორიული მატერიალიზმი კი კონკრეტიზაციაა მატერიალისტური დიალექტიკისა საზოგადოებრივ მოვლენათა დარგში. თუ ეს ასე არ გავიგეთ, მაშინ გამოდის იგივეობა დიალექტიური და ისტორიული მატერიალიზმისა, აქედან კი ფილოსოფია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა ისპობა,—რაც, რა თქმა უნდა, ავტორს არ სურს.

გაურკვეველობას და მარქსის მეთოდის არა სწორ გაგებას იწვევს აგრეთვე, როცა ავტორი მარქსის ისტორიის მეთოდის შესახებ სწერს: „მან (მარქსმა) ისტორიაში პირველად შემოიტანა ახალი მეცნიერების ანგარიშის და რიცხვის ის მეთოდი, რომლითაც კომერნიკმა, კუპლერმა, გალილეიმ, ნიუტონმა, დეკარტმა და ლაიბნიცმა ბუნების მოვლენები გამოიანგარიშეს და შეისწავლეს. ამით მეცნიერულ-კაუზალური თვალსაზრისით დაეფუძლა ისტორიასაც. ჩამოყალიბდა მეცნიერება ისტორიის შესახებ“-ო (გვ. 20). ავტორს ესმის, რომ აქ მან ზაიდი-ნა შეცდომა და ცდილობს შემდეგში საქმე გამოაკეთოს, ის მარქსის მეთოდის განსხვავებაზე მიუთითებს და ამბობს, რომ „ანგარიშის მეთოდი, რომელიც ახლა მარქსმა ისტორიაში განამტკიცა, იყო არა მარტო ის კვანტიფიკაციის მეთოდი, არამედ ეს იყო დიალექტიური ანგარიშის გზა“-ო. მიუხედავად ამ შესწორებისა საკითხი მიინკ ბუნდოვანად რჩება და ავტორი თავს ვერ აღწევს დიალექტიური და მატემატიკური მეთოდის გაიგივების საშიშროებას.

აუცილებელ შეცდომას წარმოადგენს აგრეთვე ავტორის მტკიცება, როცა ის ამბობს, რომ „სუბიექტის და ობიექტის დამოკიდებულება არის კორელაციური ხასიათისა. უსუბიექტოდ არ არსებობს ობიექტი, მანკან მსუბიექტოდ არსებობს სუბიექტი“-ო. (გვ. 11). ასეთი ფორმულიროვნება კარგებს ყოველგვარ სუბიექტიურ იდეალიზმისათვის. ნუ თუ ავტორმა დაივიწყა მარქსიზმის ტოტალიზმის ბრძოლა? მიუხედავად ასეთი ფორმულიროვნებისა უნდა აღვნიშნოთ რომ ავტორი ფილოსოფიის მთავარ საკითხს აზროვნების ტ არსის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ სწორედ სწვევტს. პრიორიტეტი არსს, საგანს, ობიექტს ეკუთვნის და არა სუბიექტს. მაგრამ მაშინ რატ დასჭირდა ავტორს ზემოაღნიშნული, უთუოდ მკდარი ფორმულიროვნის მოყვანა?— შეიძლება ავტორს სურდა მახსტებისათვისაც ესიამოვნებინა და მიტომ დაადგა ეკლექტიზმის გზას?

ავტორი სრულიად სამართლიანათ ხაზს უსვამს ყოველგვარი იდეოლოგიისა და აგრეთვე მეცნიერებათა კლასობრივ ხასიათს,—მაგრამ ჩინური კედლებით ყოფს ის საზოგადოებათ მეცნიერებას ბუნების მეცნიერებათაგან. საზოგადოებათ მეცნიერებანი კლასობრივი ხასიათის არიან, ხოლო ბუნებათ-მეცნიერებაში ავტორის აზრით, თითქოს სრულიად არ არსებობს იდეოლოგიური ბრძოლა. სწორია ის, რომ საზოგადოებათ მეცნიერებაში იდეოლოგიური და კლასობრივი ბრძოლა უფრო მწვავედ გვევლინება, მაგრამ არც ბუნებათ-მეცნიერებანი არიან თავისუფალი იდეოლოგიური ბრძოლისაგან.

რადგან თითოეულ მეცნიერებაში მეთოდოლოგიურ მომენტებს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავთ, მეთოდი კი ყველა მეცნიერებათა დაკავშირებულია საერთო ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან, ფილოსოფია კი როგორც ვიცით, არ არის თავისუფალი იდეოლოგიურ და კლასობრივ ინტერესებისაგან,—აქედან აშკარაა, რომ არც ერთი მეცნიერება არ არის თავისუფალი იდეოლოგიური ბრძოლისაგან და, მაშასადამე, ყველა მეცნიერება განსაზღვრულ მნიშვნელობით კლასობრივ ბრძოლის გავლენის ქვეშ არის მოქცეული და ატარებს კლასობრივ ხასიათს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენთვის სრულიათ გაუგებარი დარჩებოდა ის ფაქტი, რომ მარქსისტები დიალექტიკები ვაწარმოებთ სასტიკ ბრძოლას თანამედროვე მექანიკების და მექანიკურ მსოფლმხედველობის წინააღმდეგ; რომ დავიპყრათ ბუნების მეტყველება და იქაც განვამტკიცოთ დიალექტიკის მსოფლმხედველობა. ბრძოლა ბუნების დიალექტიკურ გაგებისათვის ისეთივე მნიშვნელობის ამოცანაა ყველა მარქსისტ-ვოლუნიკონერეთათვის, როგორც ბრძოლა საზოგადოებათ მეცნიერების დასაპყრობათ.

ამასთანავე ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ იდეოლოგიის შესახებ საერთოდ. ავტორი სთვლის რა ყოველგვარ იდეოლოგიის კლასობრივ საზოგადოებაში, კლასობრივ იდეოლოგიათ, ამტკიცებს, რომ კლასთა ბრძოლის მოსპობასთან ერთად მოსპობა ყოველგვარი იდეოლოგიათ. ეს მართალი არის, მაგრამ მოითხოვს განმარტებას. იდეოლოგია შეიძლება გავიგოთ ორგვარათ. პირველი გაგება იდეოლოგიისა იქნება იდეოლოგია, როგორც არა სწორი გაგება სინამდვილისა (რა თქმა უნდა მარქსისტული იდეოლოგიის გამოკლებით.) რამ-

დენად მისში ინახება აქამდე ვაბატონებულ კლასთა ინტერესები. ასეთი კლასობრივი ინტერესები კი თანამედ კლასის ამა თუ იმ მდგომარეობასა უპირაფლეს შემთხვევაში ხელს უშლის სინამდვილის სწორ გაგებას. უკმა უნდა კლასების მოსპობასთან ერთად მოხსნა ასეთი კლასობრივი იდეოლოგიაც. მაგრამ იდეოლოგია შეიძლება გაცივოთ აგრეთვე როგორც მსოფლმხედველობა, როგორც სისტემა შედარებით სწორ შეხედულებათა. ამყარაა, რომ ასეთ „იდეოლოგიას“ ადგილი ექნება აგრეთვე კომუნისტურ საზოგადოებაშიაც, სწორეთ ისე, როგორც რჩება ფილოსოფია ამ სიტყვის ახალი მნიშვნელობით.

პროლეტარული იდეოლოგია, მხოლოდ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით შეიძლება, ჩავსთვალოთ უკანასკნელ იდეოლოგიათ. ეს იდეოლოგია როგორც ფილოსოფია დიალექტიური მატერიალიზმისა არას დროს არ მოისპობა, ის გამოიცლის მხოლოდ ფორმებს, მეცნიერებათა განვითარებასთან ერთად, — რადგან ყველა კლასებთა შორის მხოლოდ პროლეტარიატს უკარავს განსაკუთრებული ადგილი.

ავტორი გვადლევს საერთოდ, მართალ კრიტიკას მექანიკურ მსოფლმხედველობისას, მაგრამ ერთი ადგილი მის წიგნში, როცა ის ამოხსნის — მექანიკური მსოფლგაგება უნაკლოა მაშინ, როცა მის მასალას ანალიტიური დაშლისაკენ მივყევართ, მაგრამ როცა უკუქცევითი პროცესი დაიწყება და მსოფლიო მთლიანობის შემეცნება აუცილებელი ვახდება, იქ მექანიკური კვანტიტეტური თვალსაზრისი კმარაო“ (გვ. 56). არ მიგვაჩნია სწორად. ავტორი ერთი მხრივ აკრიტიკებს მექანიკურ მსოფლმხედველობას, მეორეს მხრივ კი თითქოს სდგას მექანიკურ თვალსაზრისზე. მას რომ ყურადღება მიექცია რუსეთში წარმოებულ დისკუსიასათვის მექანიკებისა და მატერიალისტ დიალექტიკების შორის, მაშინ აღნიშნულ გაუგებრობას აღარ ექნებოდა ადგილი. დიალექტიურ მეთოდში ანალიზი და სინთეზი უერთიერთმანეთოთ არ არსებობენ. მათი ერთ-არსებობა აუცილებელი პირობაა დიალექტიური აზროვნებისა, ანალიზი სწარმოებს სინთეზის საფუძველზე. ანალიტიური მეთოდის საფუძველზე შეუძლებელია დაეყრდნოს ნამდვილი დიალექტიური სინთეზი ისე, როგორც მეტაფიზიკის საფუძველზე შეუძლებელია დიალექტიკა. თუ ავტორი მექანიკურ შეხედულებას უნაკლოდ სთვლის ანალიზის საკითხში, მაშინ ის თითონ უნდა დასდგეს მექანიკურ მსოფლმხედველობაზე. ავტორი კი მთელს თავის წიგნში ებრძვის ძველ მექანიკებს, რაც მოწმობს იმას, რომ აქ შეცდომას აქვს ადგილი.

ახლა გადავიდეთ ლოგიკის და დიალექტიკის საკითხებზე. აქაც შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ერთგვარი გაურკვეველობა ავტორის შეხედულებებში. ავტორი სამართლიანად სვამს საკითხს ლოგიკის და დიალექტიკის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. მისი აზრით, ეს დამოკიდებულება არის დიალექტიური და ფორმალური ლოგიკის დამოკიდებულება. ავტორი სამართლიანად ხაზს უსვამს დიალექტიური ლოგიკის შინაარსიანობას, რაიც ანსხვავებს მას ფორმალური ლოგიკისაგან, მაგრამ ფორმალური და დიალექტიური ლოგიკის დამო-

კიდებულება ვერ აქვს მას სწორად გადაწყვეტილი. მისი აზრით ფორმალური ლოგიკა კარგად სწავლობს კერძოსა და ინდივიდუალურს, მაგრამ სტოდაეს საერთოსა და ზოგადის შემეცნებაში, ის ვერ სწავლობს საგანს, განწყობილების პროცესში, —სამაგიეროდ დიალექტიური ლოგიკა „საუცხოვრად იტანება“ საერთოსა და ზოგადს, მისი შემეცნების ფორმა სწორია, მაგრამ ხშირად სტოდაეს კერძოსა და ინდივიდუალურის მიმართ“-ო, ამბობს ის (გვ. 213). შემდეგ ავტორი კიდევ უფრო არკვევს ამ საკითხს, როცა ის სწერს: „რაც იმ თავითვე უნდა გავითვალისწინოთ, ეს არის ის, რომ დიალექტიკა არ ნიშნავს ფორმალური ლოგიკის უარყოფას, ან მის უბრალო მოსპობას და სხვა. ის მხოლოდ ფორმალური ლოგიკის გაფართოებას ნიშნავს. დიალექტიკის სისტემაში ფორმალური ლოგიკის არე მოცემულია, როგორც ერთი შესაძლებელი შემთხვევა, როგორც ერთი ნაწილი“ (გვ. 215). „სავსებით უბრალოთ რომ ვსთქვათ, სწერს ავტორი—დამოკიდებულება ისეთია, როგორც არითმეტიკასა და ალგებრას შორის“-ო (216). ამ ციტატებიდან ჩვენ შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ავტორს კანონიერათ მიაჩნია ორი ლოგიკის არსებობა; მისი აზრით, ფორმალური ლოგიკა არსებობს დიალექტიური ლოგიკის გვერდით; ერთი კარგად სწავლობს კერძოს და ინდივიდუალურს (არითმეტიკა), მეორე ზოგადს და საერთოს (ალგებრა)—ეს პირველი შეცდომა. მეორე მცდარი აზრი კი არის ის, რომ ავტორი დიალექტიურ ლოგიკას ფორმალურ ლოგიკის გაფართოებად სთვლის. პირველი სახის შეცდომას იდენს ასმუსიც (იხ. П. З. М. № 4 за 1929 г. აგრეთვე მისი წიგნი „Диалектический материализм и логика), როცა ის ამტკიცებს, რომ ფორმალური ლოგიკა მოიხმარება პრაქტიკაში, დიალექტიური კი—თეორიაში; მეორე სახის შეცდომას კი იდენს ვარიანტიში (იხ. წიგნი Логика и диалектика). რა თქმა უნდა ყველა ეს შეხედულებები შემცდარი და არა სწორი გაგებაა დიალექტიური ლოგიკისა და მარქსიზმისა. დიალექტიური მატერიალიზმი სცნობს მხოლოდ ერთ დიალექტიურ ლოგიკას, ფორმალური ლოგიკა არ შეიძლება არსებობდეს დიალექტიური ლოგიკის გვერდით. დიალექტიური ლოგიკა ხსნის (снимает) ფორმალურ ლოგიკას და რაც იყო დადებითი უკანასკნელში, ის იტევს თავისში, როგორც ზომენტს. ეს საუკეთესოდ გვაჩვენა ჯერ კიდევ ჰეგელმა თავის ლოგიკის მეცნიერებაში. დიალექტიურ ლოგიკას არ ესაჭიროება სხვა ლოგიკა, ის საუკეთესოდ არკვევს და ხსნის როგორც კერძოს, ისე ზოგადს და საერთოს.

ავტორის მიერ მოცემულ ჰეგელის ინტერტრეპაციის გარჩევას ჩვენ ფართედ არ შეგვიძლია, დაკმაყოფილებით მხოლოდ რამოდენიმე შენიშვნებით. ავტორს კარგად ესმის რომ ჰეგელის დიალექტიკა იდეალისტურია, რომ მას ესაჭიროება მატერიალისტური გადაშეგება. მან სპეციალური სათაურიც კი უძღვნა ამ საკითხს: „იდეალისტურ დიალექტიკიდან მატერიალისტურ დიალექტიკამდე“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორის ნაწერებში შეიძლება ნახოთ ისეთი ადგილები, სადა იგი არა კრიტიკულად უდგება თვით ჰეგელის დიალექტიკასაც. ბევრს სწორ დებულებებთან ერთად ავტორს უნახავთ ასეთ ადგილს: „დასაბუთება დიალექტიკისა (ჰეგელის სისტემაში) თავისუფალი იყო იდეალის-

ტური ნისტიფიკაციის ზეგავლენისაგან (ან და მივალითად შენდობენ ნისტიფიკაციისაგან ადვილად განთავისუფლება“-ო (გვ. 300) ამბობს ავტორი—ან კიდევ როცა ის სწერს: „მარქსის „კაპიტალი“ ჰეგელის ლოგიკის განსწავლავს“-ო (გვ. 320). ასეთი მტკიცება რა თქმა უნდა არ არის სწორი. მარქსის დიალექტიკა არას დროს არ ყოფილა თავისუფალი იდეალისტური ნისტიფიკაციისაგან. მარქსი პირდაპირ ხაზს უსვამს ამა, კაპიტალის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში. არც ჰეგელის დიალექტიკის ნისტიფიკაციიდან განთავისუფლება არ არის ასე ადვილი საქმე, როგორც ეს ავტორს წარმოუდგენია. ჰეგელის იდეალიზმი მის დიალექტიკის ხელთათმანს არ წარმოადგენს, რომლის მოცილება თითქოს ასე ადვილად შეიძლებაოდეს. მარქსის „კაპიტალიც“ არ არის პირდაპირი გაგრძელება ჰეგელის ლოგიკის. მარქსმა პირველად თვით ჰეგელის ლოგიკა და დიალექტიკა გადაამუშავა, და შემდეგ კაპიტალისტური მეურნეობის შესწავლაზე ამ მეთოდის უპირატესობა და მნიშვნელობა დაამტკიცა. იმ სწორი დებულებიდან, რომ ჰეგელის ლოგიკის შესწავლელად არ შეიძლება „კაპიტალის“ გაგება, არ უნდა დავსკვნათ ის, ის ყალბი დებულება, თითქოს „კაპიტალი“ ჰეგელის ლოგიკის პირდაპირი გაგრძელება იყოს. ასეთ არა ფრთხილ ფორმულიროვკას, ავტორმა თავი უნდა დაანებოს. მართალია, ავტორი მეორე ტომში გვიპრდებდა მატერიალისტური დიალექტიკის დახასიათებას, ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკისაგან განსხვავებით, მაგრამ ჩვენ მიერ აღნიშნული ფორმულიროვკები მაინც უნდა იქნან გასწორებულნი ავტორის მიერ. ეს—რაც შეეხება ჰეგელის დიალექტიკის საერთო დახასიათებას.

ეხლა გადავიდეთ დეტალებზე—ყოვლად შეუძლებელია დავეთანხმოთ ავტორს, როცა ის დიალექტიკის ახალ ძირითად კანონად სთვლის... „aufhebung“-ის კანონს. „Aufhebung“-ის კანონი არის დიალექტიკის ძირითადი კანონი“-ო—ამბობს ავტორი. ყველა მარქსისტისათვის აშკარაა, რომ ეს ავტორის მიერ ახლად „აღმოჩენილი კანონი“ დიალექტიკისა არაფითარ ძირითად კანონს არ წარმოადგენს. კატეგორია „მობსნისა“, „aufhebung“ პირდაპირ დაკავშირებულია უარყოფის კანონთან. ის მხოლოდ უფრო მკაფიოდ განმარტავს ამ ძირითად კანონს დიალექტიკისას და გვიჩვენებს მას, რომ უარყოფის უარყოფა არ არის განვითარების დაბალი საფეხურის უბრალო მოსპობა, არამედ მათი მოხსნა, შენახვა და ამაღლება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე. ავტორს არა აქვს ნათელი წარმოდგენა აგრეთვე დიალექტიკის სამი ძირითადი კანონის შრთიერთ დამოკიდებულების შესახებ; მას კარგად არ ესმის ამ კანონების ერთარსებობა (единство) და მათი განუწყვეტელი კავშირი. მის წიგნში გაურკვეველი რჩება აგრეთვე ტრიადის პრობლემა.

შემდეგში ავტორი სრულიად სამართლიანად იტყევა როცა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დიალექტიკის ძირითად კანონს, კანონს წინააღმდეგობათა ერთარსებობისას (закон единства противоположностей) და ჰეგელის დიალექტიკის თავისებურებას ხელაფს მასში, რომ ის არა თუ მარტო აღიარებს

წინააღმდეგობას, არამედ მათ გადაწყვეტის აუცილებლობას ხსენობს. მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ ავტორის ინტერპრეტაციას მთლიანად, მასში როცა ის ამტკიცებს, თითქოს ჰეგელი წინააღმდეგობას საგნებში ანუ *აუგენდურ* წინააღმდეგობებს მხოლოდ მარტო აზროვნების საშუალებით სწყვეტდეს, *სინსტიქსის* მხოლოდ თითონ აზროვნება გადალახავს წინააღმდეგობებს. მის ამის დასამტკიცებლად ციტატაც მოჰყავს ჰეგელიდან, მაგრამ ჩვენ ეს არ მიგვაჩნია ჰეგელის მთლიანად სწორ გაგებათ. ეს ჰეგელის დიალექტიკის სუბიექტივისტური გაგებაა. ჰეგელის ლოდიკა კი არ არის მარტო აზროვნების ლოდიკა, არამედ ის ონტოლოგიური, ობიექტიური ლოგიკაც არის, ის არის მოძღვრება თვით მსოფლიოს უნივერსალურ მოძრაობის ფორმებზე, თუნცა მისტიურ ფორმებში მოცემული. ამიტომაც ჰეგელს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ჰეგელის დანსახურება და განსაკუთრებული მნიშვნელობა მასში მდგომარეობს, რომ თუ კანტმა სცნო რეალურ წინააღმდეგობათა ერთარსებობა, ჰეგელმა მათი რეალური გარდაწყვეტილების აუცილებლობა აღიარა. ზოგი თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფოსები, აგრეთვე სცილიობენ დაეყრდნონ დიალექტიკას, მაგრამ არა ჰეგელისას, არამედ კანტის. ისინი ლებულობენ რეალურ წინააღმდეგობათა ერთარსებობის კანონს (закон единства противоположностей), რომელიც პირველად კანტმა აღმოაჩინა, მაგრამ უარყოფენ, ამ წინააღმდეგობათა გარდაწყვეტის რეალურ შესაძლებლობას, რაც ჰეგელის დიალექტიკის მთავარი დანსახურება იყო. ამით კი ისინი ავართლებენ კლასთა ბრძოლის მდგომარეობის კანონს. მათი აზრით, ბურჟუაზია და პროლეტარიატი, ეს წინააღმდეგობათა ერთარსებობაა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ ისეთ წინააღმდეგობათა, რომელიც თითქოს არასდროს არ გადაწყდებიან. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე ისინი, როცა ებრძვიან ჰეგელის დადებით დიალექტიკას და ლებულობენ მხოლოდ კანტის უარყოფით დიალექტიკას.

შემდეგ ავტორი ეხება რა მარქსის და ჰეგელის დიალექტიკის განსხვავებას. სწერს: „მაგრამ მაშინ, როდესაც დიალექტიური განვითარება ჰეგელთა კვალიტეტური გარკვეულობის გზით იწყება - და განსაზღვრულ მაღალ საფეხურზე ის კვანტიტეტური დამოკიდებულობის სახეს ლებულობს, მარქსთან დიალექტიური მოძრაობის მიმართულენა შეცვლილია, აქ განვითარება იწყება კვანტიტეტური დამოკიდებულებით და შემდეგ გადადის კვალიტეტურ გარკვეულობაში“-ო (გვ. 314). მე ვფიქრობ, რომ არა აქ უნდა ვეძიოთ მარქსის და ჰეგელის დიალექტიკის ურთიერთ განსხვავება. დიალექტიური ლოგიკის კატეგორიების გაშლა არ შეიძლება კვანტიტეტის (რიცხვის) კატეგორიებიდან. ის აუცილებლად კვალიტეტის კატეგორიებიდან უნდა დავიწყოთ, რადგან ყოველად შეუძლებელია კვანტიტეტურ დამოკიდებულებაზე და გარკვეულობაზე ლაპარაკიც კი სანამ არ გაგვირკვევია კვალიტეტის (თვისობრივობის) კატეგორია. ამ საკითხში ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ჰეგელის ლოგიკას. ავტორს არ მოჰყავს არავითარი საბუთი თავის ლებულების დასამტკიცებლად, ჩვენ კი ავტორის ეს აზრი სწორად არ მიგვაჩნია.

ავტორის შრომის დანაკლისს წარმოადგენს აგრეთვე ისიც, რომ ის სრულებით არ არკვევს ჰეგელის და მარქსის მოძღვრებას კონკრეტულ ცნების შესახებ, არა საქმარისად არის აგრეთვე გარკვეული, თუ როგორ ესმის ავტორს

რეალური სინთეზის საკითხი. მოძღვრებას კონკრეტულ ცნებაზე და რეალურ სინტეზზე ჰეგელის და მარქსის ფილოსოფიაში კი დიდი ხვედრითი წონა აქვს.

ჩვენ დაეკმაყოფილდებით ჯერჯერობით ამ კრიტიკულ შენიშვნებში! მიუხედავად ყველა ამ უარყოფითი მხარეებისა, აღნიშნული წიგნი — *„საბუნებისმეტყველების სასარგებლო ნაშრომს“*, როგორც თავისი მიზნებით, ისე თავისი შინაარსითაც. წიგნს შეუძლია ქართულ მარქსისტულ ფილოსოფიის განვითარების ისტორიაზე თავისებური გავლენა მოახდინოს და გარდაიქმნეს სრულ შესავლად მარქსისტულ ფილოსოფიაში. ავტორი იმედს იძლევა, თავის წიგნით, რომ ის სწორათ შეითვისებს „მატერიალისტ-დიალექტიკების“ მსოფლმხედველობას. სასურველია, ავტორმა კომპრომისის და აზრის გაორების პოზიციები დასტოვოს და დიალექტიურ მატერიალიზმის ნამდვილ სწორ შეხედულებებზე დასდგეს.

მოსკოვი. ივნისი,
ფილოსოფიის ინსტიტუტი.



მონოპოლისტური კაპიტალიზმი

II. საბანკო კაპიტალი და მისი ახალი როლი კაპიტალიზმის მონოპოლისტურ საფეხურზე *)

კაპიტალისტური მონოპოლიების ზრდა-განვითარება მართკო შინაგანი, იმანენტური კანონებით არ ხდება. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე გარეგანი ფაქტორი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მონოპოლისტურ კაპიტალიზმის განვითარების საქმეში.

ეს არის საბანკო კაპიტალი.

შეიძლება ითქვას, საბანკო კაპიტალი თითქმის გადამჭურვლ როლს თამაშობს კაპიტალისტურ მონოპოლიების წარმოშობასა დგანვითარებაში. კაპიტალიზმის მონოპოლისტურ საფეხურზე საბანკო კაპიტალის დანიშნულება სრულებით ახალ სახეს ღებულობს. საბანკო კაპიტალმა გადაუხვია თავის პირობაში, უშუალო მოვალეობას და კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში სავსებით ახლი როლი მიითვისა.

აი ეს მეტად მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიური ფაქტი უნდა ვიკონინოთ შედეგობაში, როცა მონოპოლისტურ კაპიტალიზმის საერთო პრობლემას ვარკვევთ. ამის გარეშე შეუძლებელია გაგება ძირითად დებულების, რომელსაც ლენინი მოკლეთ მოკვეთილ ორ წინადადებაში გამოხატავს: „მონოპოლიები ბანკებიდან წარმოიშვა. მორცხვ საშუამავლო წამოწყებიდან ბანკები ფინანსიურ კაპიტალის მონოპოლისტებად გადაიქცა.“¹⁾

როგორც ვიცით, სამრეწველო კაპიტალიზმის პირობებში საბანკო კაპიტალი მართლაც „მორცხვ“ როლს თამაშობს. აქ ბანკები უბრალო საშუამავლო დაწესებულებათ გველინება. ბანკების მიზანია სამრეწველო-სავაჭრო სამეურნეო ერთეულებს კრედიტი მიაწოდოს, საქონლის ტრიალი გაადვილოს, სამეურნეო ერთეულის მუშაობის გავართოვებას ხელი შეუწყოს. მაშასადამე, ბანკების „მორცხვი“ დანიშნულება არ სცილდება ვალების გასწორებაში შუამავლობის საზღვრებს. ესაა, ლენინის სიტყვით რომ ვსთქვათ, ბანკების ძირითადი და პირველდაწყებითი მოვალეობა.

საბანკო კაპიტალი, პირველ ხანებში განსაკუთრებით, სასიცოცხლო წვეწმს კერძო პირებისა და კაპიტალისტების ჯიბიდან აგროვებს. ასეთია საბანკო კა-

*) იხ. „წინათობი“ № 5—6.

1) Н. Ленин. Собр. соч., т. XIII, гл. 332. (ბაზი ჩვენია).

პიტაღორის პირველდაწყებითი დაგროვება. კ. მარქსისა და სანჯო კაპიტალის დგროვების ამ პროცესის შესახებ შენიშნავს: „ბანკების გასასესხებელი კაპიტალი შესდგება იმ ანაბარებიდან, რომლებსაც ფულადი კაპიტალის ტები წარმოებს განსასესხებლად. სანჯო დაწესებულების განვითარებით, სახელმძღვანელო, როგორც ეს დაწესებულებები დაიწყებენ ანაბარებზე პროცენტების გაცემას, ამ დაწესებულებებში თავს იყრის ყველა კლასის შენახული და დროებით გამოუყენებელი ფული. წვრილი თანხები, რომლებსაც თავისთავად არ შეუძლია იმოქმედოს, როგორც ფულად კაპიტალს, ერთდება დიდ მასსაში და, ამ რიგად, ფულად თანხათ იქცევა.“¹⁾ მაგრამ მარტო „ფულად თანხათ“ გადაქცევით არ ამოიწურება სანჯო კაპიტალის შემდგომი განვითარება და მისი „მორცხვი“ დანიშნულება. აქ ჩვენ გვაქვს მეორე მომენტი — ფულადი თანხა“ იცვლის თავის ფუნქციონალურ ხასიათს. ბანკის როლი მდგომარეობს იმაში, რომ ბანკი უმოქმედო ფულად კაპიტალს აძლევს ახალ მიმართულებას — აქცევს სამრეწველო კაპიტალად. კერძო კაპიტალისთვის საღარიბოში ფულადი კაპიტალი უმოქმედოთ დევს, ამ კაპიტალის ბანკის განაგრძობაში გადაცემა ჰკლულისხმობს უმოქმედობის მოსპობას და საწარმოო მოქმედებაში გადასვლას. მრეწველი კაპიტალისტი ბანკიდან მიღებულ სესხს მრეწველობას ახმარს, წარმოებაში აბანდებს. დღემდე ფულადი კაპიტალი იძლეოდა პროცენტს, ახლა იგი მრეწველობაში გადასვლით უკვე იძლევა მოგებას.

ამიტომ ლენინი მოსწრებულად აღნიშნავს, როცა ამბობს: ბანკი „უმოქმედო ფულად კაპიტალს აქცევს მოქმედ კაპიტალად, ე. ი. ისეთად, რომელსაც მოაქვს მოგება“.²⁾ საწარმოო მოგება, ცხადია, გაცილებით მაღალია ჩვეულებრივ პროცენტზე. ბანკებიც სკდილობს ინდივიდუალურ, უმოქმედო ფულადი კაპიტალებში მოზილზაციას და მათ მიწოდებას სამრეწველო ერთეულებისათვის.

მაშასადამე, ბანკების ჩვეულებრივი მორცხვი როლი გამოიხატება ორ მომენტში: პირველი — ბანკი აგროვებს წვრილ ფულად თანხებს, რომლებიც იმყოფება უმოქმედობაში, ახდენს ინდივიდუალურ ფულად კაპიტალის მოზილზაციას და მეორე — ფულად კაპიტალს გრძელ თუ მოკლევადიან კრედიტის სახით აწვდის მრეწველ კაპიტალისტს, ე. ი. უმოქმედო ფულად თანხას, ფულად კაპიტალს წარმოების პროცესში აბანდებს. ფულად კაპიტალს სამრეწველო დანიშნულება ეძლევა. ეს კაპიტალი, ბანკის საშუალებით, უმოქმედობიდან მოქმედებაზე გადადის, საწარმოო კაპიტალის სახეს ღებულობს. აი ეს არის სანჯო ორგანიზაციის დამახასიათებელ თვისება. სწორედ ამ თვისების შემდგომ განვითარებიდან გამომდინარეობს თანამედროვე ბანკების სრულებით ახალი, განსხვავებული როლი და დანიშნულება. კაპიტალიზმის განვითარების მონაპოლისტურ სტადიაში ბანკების გავლენის სფერო ფართოვდება და ღრმავდება.

ბანკების გავლენის სფეროების გაფართოვების პირველი დასაბუთო საფეხური არის აქციონერულ-სამეურნეო ერთეულების დაქვემდებარება, კიდევ მეტი — დამორჩილება ბანკების მიერ. სანჯო კაპიტალი იმორჩილებს აქციონერ-

¹⁾ К. Маркс. Капитал, т. III, гл. I, стр. 380.

²⁾ Op. cit. стр. 258.

რულ კაპიტალს, აქციონერულ სამეურნეო წამოწყებას. აქციონერული კაპიტალი, როგორც ვიცით, წარმოგების ცენტრალიზაციის ერთ-ერთი გამომავალურებაა, ცენტრალიზაციის აქციონერული ფორმაა. ცენტრალიზაცია ინდივიდუალურ კაპიტალების თავმოყრას ჰგულისხმობს. რა გზით ახერხებს აქციონერული საწარმოო თუ სავაჭრო ერთეული კაპიტალების მობილიზაციას? აქციონერული მეურნეობა შედარებით მსხვილი, გავრთიანებული მეურნეობაა და აქ კაპიტალის საკმაო რაოდენობაა უსათუოდ საჭირო. მართო აქციონერულ ერთეულში გავრთიანებულ პირების კაპიტალი ხშირად საკმარისი არ არის აქციონერულ მეურნეობის წამოწყებისათვის, მით უმეტეს—ამ მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. პირველ ხანებში აქციონერული საზოგადოება მიმართავს კერძო პირებს, მიმართავს ინდივიდუალურ, უმოქმედებაში მყოფ კაპიტალებს. მაგრამ კაპიტალის მობილიზაციის ეს ხერხი ყოველთვის ვერ სჭრის. საქმე იმაშია, რომ საბანკო სისტემის განვითარებამ აქციონერულ ერთეულებს მოლსპო თავისუფალ თანხების ამ წესით მოგროვების საშუალება. კერძო ფულადი კაპიტალისტი თავისუფალ თანხას „ინახავს“ საბანკო დაწესებულებებში და არა აქციონერულ საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში ფულად კაპიტალისტს რეალური და საქმიანი მოსაზრება ამოძრავებს უმთავრესად. აქციონერულ სამეურნეო ერთეული, მოსალოდნელია, გაკოტრდეს, დაეცეს. გაშმაგებულ კაპიტალისტურ კონკურენციის პირობებში „მოსალოდნელი“ ხშირად აუცილებლობით იქცევა. შედეგიც აშკარაა: არ არის სრული გარანტია სესხით გაცემულ ფულად კაპიტალის თავის დროზე და შესაფერი სარგებელით უკანვე მიღების. ამის საშიშროება წვრილ ფულად კაპიტალს უკანახებს შედარებით უფრო მეტი გარანტიის მომცემ—საბანკო დაწესებულებებში მოთავსდეს, შეიძლება უფრო ნაკლებ სარგებლით, მაგრამ რეალიზაციის გაცილებით მეტი იმედით. გარანტიის საკითხს აქ აქვს თავისი მნიშვნელობა.

ამიტომ ინდივიდუალურ თავისუფალ ფულადი კაპიტალტების ბაზარი ხშირად დახშულია აქციონერულ ერთეულებისათვის. ეს ბაზარი ზათითვის საკმაოთ დაკეტილია და მისი გასაღები ბანკების ხელშია. ცხადია, აქციონერული სამეურნეო ერთეულიც იძულებულია ბანკებს მიმართოს უშუალოდ, საბანკო კაპიტალის დახმარებით განავითაროს საწარმოო ოპერაცია. მეორე მხრივ, ბანკებისადმი მიმართვა შედარებით უფრო რეალურია თვით აქციონერულ საზოგადოებისათვის. ბანკებში თავმოყრილია საკმაოთ დიდძალი თავისუფალი კაპიტალი და კრედიტის მიღება ადვილად ხდება—აქ არ არის საჭირო დაქსაქსულ კაპიტალების მომამბეზრებელი ძებნა, თითოულ კაპიტალისტთან ცალ-ცალკე მოლაპარაკება და სხვა, აქ შრომის და დროის ეკონომიაა—ბანკი ერთბაშით და ერთ დღეს უზრუნველყოფს აქციონერულ სამეურნეო ერთეულს მისთვის საჭირო თანხებით.

მეორე მხრივ, თვით ბანკებიც დაინტერესებულია საკრედიტო პოლიტიკაში აქციონერულ სამეურნეო ერთეულების ინტერესებით იხელმძღვანელოს. ამ შემთხვევაშიაც უმთავრესად გარანტიის საკითხია წამოყენებული. ბანკი შედარებით უფრო საიმედოა და უზრუნველყოფილი გაცემული თანხების ანაზღაურების საქმეში, თუ ეს თანხები აქციონერული წარმოებაშია მოთავსებული. აქციონერული წარმოება უფრო საიმედოა, ვინემ ინდივიდუალური მრეწველი. კაპიტა-

ლისტერ კონკურენციის ფერხელში ინდივიდუალური მრეწველი ადვილად მოსალოდნელია თავ-კვე დაეცეს, გაბოვანდეს. ბანკის წინაშე ამის სანდოობა თვალსაჩინოთ სდვას. ამიტომ ბანკის ინტერესი მოითხოვს ფინანსური მრეწველ-ველუკოფის საქმეში დიდი უპირატესობა უსათუოდ აქციონერულ და სხვა მსხვილ გაერთიანებულ სამეურნეო ორგანიზაციას მიაკუთვნოს. ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, ვითომც კერძო კაპიტალისტის ინტერესი საბანკო სისტემიდან განდევნილი იყოს, ეს ასე არ არის და არც შეიძლება იყოს: ხშირად ასეთი „კერძო კაპიტალისტი მთელ აქციონერულ, კოლექტიური კაპიტალისტს უდრის და იწონის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ მხოლოდ, რომ თანამედროვე კაპიტალისტური ბანკი უმთავრესად აქციონერულ კაპიტალის ინტერესებიდან გამოდის.

მაგრამ აქ არის აგრეთვე სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მოსახრება. საბანკო კაპიტალი მიზნათ ისახავს აქციონერულ კაპიტალზე გაბატონებას. ამ მიზნის მიღწევა ერთბაშათ, ხელის ერთი დაკრით არ შეიძლება. მაგრამ საბანკო და სააქციონერო კაპიტალის ურთიერთობა ამ მიზნის განხორციელებას ემყარება, ბოლოს და ბოლოს საქმე საბანკო კაპიტალის ვაშარჯეებით თავდება.

რას ნიშნავს ფულადი კაპიტალის მიწოდება აქციონერულ სამეურნეო ერთეულისათვის? ბანკი აქ უბრალო ფუნქციას ასრულებს: ის აწვდის აქციონერულ მეურნეობას კრედიტს, ყოფს ამ მეურნეობას ჰაიებით და ამ ჰაიების გაყიდვით უკანვე იბრუნებს კაპიტალს, ე. ი. ფორმალურათ ასრულებს წმინდა ფულად ოპერაციას ფ—ფ. კაპიტალის ამ მოწოდების გადაცემისა და გაყიდვის შესაძლებლობა, რაც დამახასიათებელია აქციონერულ საზოგადოების ბუნების, საშუალებას აძლევს ბანკს „დაარსოს“, ხოლო ბოლოს და ბოლოს კიდევაც დაიმორჩილოს აქციონერული საზოგადოება“¹⁾. აქ საქმით გამოაშვარავებულია ის საიდუმლოება, რომელიც აქციონერულ კაპიტალზე ბანკების გაბატონებას ჰგული-სხმობს. აქციონერულ საზოგადოების ჰაიების შექმნით და მათი კვლავ გაყიდვით ბანკი აწარმოებს უბრალო ფინანსურ ოპერაციას, აქ ფული ფულზე იცვლება. სამაგიეროთ, ეს გზა უადვილებს ბანკს დაარსოს აქციონერული საზოგადოება და მასზე გაბატონდეს კიდევაც.

მეორე გარემოება — ბანკი პირდაპირ ხელთ იგდებს მთელ აქციონერულ კაპიტალს. ეს ხდება იმ შემთხვევაში თუ აქციონერული სამეურნეო ერთეული გაკოტრების გზას დაადგა და ამ ერთეულმა ვერ გაანაღდა ბანკის ვალები. ამ მომენტს ხაზს უსვამდა ჯერ კიდევ ჯონ ჰობსონი. „უფრო სუსტი აქციონერული საზოგადოებანი — სწერს ის, — რომლებიც ხშირათ საქირობენ დროებით დახმარებას ქონების ზედმეტი კაპიტალიზაციის, საქმის ცუდაც დაყენების ანდა მარცხის გამო, ბანკების მონებათ ხდებიან. ბანკს შეუძლია არამც თუ თავის დახმარების გასამრჯელოდ ზღაპრული ფასი მოითხოვს, კიდევ მეტი, ბანკს შეუძლია ყოველ წუთში, საზოგადოების გაკოტრებამდე მოყვანით, ხელში ჩაიგდოს მისი ქონება, რომელსაც აქვს ნამდვილი ღირებულება“...²⁾ რასაკვირველია, ეს „ბარბაროსული“ ხერხი შემთხვევითი არაა

¹⁾ P. Гильфердинг. Финансовый капитал, стр. 121—122.

²⁾ J. Гобсон. Развитие современного капитализма, стр. 224. ესარგებლობთ ნახიზონით. ხაზი ზეწია.

ბანკებისათვის კაპიტალიზმის უალრესად განვითარების პერიოდში, მაგრამ შეუძლებელია იმის მტკიცება, ეს ხერხი სისტემა კანონშეწონილი მოვლენა იყოს საბანკო კაპიტალის ევოლიუციის პროცესში.

მართალია, აქციონერულ საზოგადოების ხელოვნურმა გეგმვამ და ამ გზით აქციონერული ქონების ხელში ჩაგდება შეუძლებელი არ არის—ზოგიერთ შემთხვევაში მაინც—მსხვილი ბანკისათვის. ეს გზა ხელოვნურია, ნაძალადევი. ამ გზას არ უარყოფს საბანკო კაპიტალი, როცა იქნება ამის აუცილებელი საჭიროება. მაგრამ აქციონერულ კაპიტალის დასამორჩილებლად ბანკს გააჩნია უფრო ბუნებრივი საშუალება: ერთის მხრივ—ბანკი აძლევს აქციონერულ ერთეულს კრედიტს და, მეორე მხრივ—ბანკი თვითონაც აარსებს აქციონერულ ორგანიზაციას. ყველა გზა რომს მიდის. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი და იგივეა: ბანკი „ბოლოსდაბოლოს იმორჩილებს კიდევ აქციონერულ საზოგადოებას.“ კრედიტის სისტემატიურად გაცემა და აქციონერულ ერთეულის დაარსება აუცილებლად იწვევს „ბანკის ხანგრძლივ დანტერესებას აქციონერულ საზოგადოებით — განაგრძობს ჰილფერდინგი. — ერთის მხრივ, ბანკმა უნდა ვაუწიოს კონტროლი აქციონერულ საზოგადოებას, რათა მიიღოს კრედიტის სწორად გამოყენების გარანტია. მეორე მხრივ, ბანკი იტყუებდებარებს აქციონერულ საზოგადოებას, რათა უზრუნველყოფილი გაიხადოს ყველა მომგებიანი ფინანსიური ოპერაცია.“¹⁾ აი ასეთია ორი წმინდა ეკონომიური ინტერესი, რომელსაც ხელმძღვანელობს თითოეული ბანკი აქციონერულ საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს. კრედიტის მიზნობრივობის დაცვა და ამისათვის კონტროლის გაძლიერება, მომგებიანი ფინანსიური ოპერაციის განვითარება მოგების ნორმის გადიდების თვალსაზრისით—ასეთია საბანკო კაპიტალის სულისკვეთება და ეკონომიური მისწრაფება. ყოველივე ამის მიღწევა, სინამდვილეში განხორციელება შეიძლება მხოლოდ ერთი გზით—აქციონერულ სამეურნეო ერთეულთან მჭიდროთ დაკავშირებით და ბოლოსდაბოლოს მისი სრული დამორჩილებით.

და მართლაც, სისტემატიური საკრედიტო-ფინანსიური ურთიერთობა ყოველ სამეურნეო ორგანიზაციას მჭიდროთ აკავშირებს საბანკო დაწესებულებასთან. ვინ არ იცის, რა უდიდეს როლს თამაშობს კრედიტი კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარების საქმეში. არც ერთ კაპიტალისტურ საწარმოს არ შეუძლია კრედიტების საჭიროებას თავი დააღწიოს. კაპიტალისტური კრედიტი „სული წმიდაა“ კაპიტალისტურ მეურნეობის. კრედიტი კი მსხვილი ბანკების ხელშია. საკმარისია ბანკმა აქციონერულ სამეურნეო ერთეულს შეუწყვიტოს ფინანსიური დახმარება კრედიტის სახით, ანდა თავის დროზე არ აღმოუჩინოს ეს დახმარება—და მთელი აქციონერული მეურნეობაც სულ თუ არა, მნიშვნელოვნად მაინც დაზიანდება. ბანკების გაჯიუტებას, საბანკო კაპიტალის „ჯორის პოლიტიკას“ მიეწერება მთელ რიგ აქციონერულ ერთეულების უდროო გაკოტრება.

ამგვარაა, კაპიტალისტური ბანკი მოხერხებულად ხმარობს თავის გავლენას. ბანკს კარგათ აქვს შეგნებული საკუთარი მნიშვნელობა და ის კიდევაც სკდი-

¹⁾ Гильфердинг, op. cit. 83. 122.

ლობს ეს მნიშვნელობა შესაფერისად გამოიყენოს. პირველი და რადიკალური ნაბიჯი, ამ მიმართულებით გადადგმული, არის აქციონერულ მეურნეობაზე საწარმოო კონტროლის განხორციელება. ბანკს მორჩილებული უნდა იყოს ფაქტიური უფლებაც აქვს თვალყური ადევნოს, უზემძღვანელოს კიდევ გაცივმულ საკრედიტო თანხების ზედს. აქციონერულ მეურნეობის ცუდად დაყენება რეალურ საშინაობებს უზნადებს თვით ბანკების ინტერესებს. საბანკო და აქციონერული კაპიტალი ახლა უკვე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და აქ ერთი მთავანის მარცხი უსათუოდ იწვევს შორეს მარცხსაც. ამიტომ ბანკი გადაჭრით მოითხოვს აქციონერულ წარმოებაზე ერთგვარ კონტროლის დაწესებას, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს სისტემატიური თანამიმდევრობით ასწონ-დასწონოს აქციონერული საზოგადოების თითოეული სამერნეო ნაბიჯი, თითოეული ფინანსიური ღონისძიება.

აქ უკვე საფუძველი ეყრება საბანკო კაპიტალის ვაბატონებას აქციონერულ საწარმოო კაპიტალზე. ამას მივუმატოთ ის გარემოება, რომ ბანკი ხშირათ თვითონაც ახარებს შრავილ აქციონერულ ორგანიზაციას. ყოველ შემთხვევაში, ბანკი თავის თავზე იღებს ამ დაარსების ინიციატივას. ცხადია, ბანკის მიერ დაარსებული აქციონერული საზოგადოება ბანკის ყურ-მოჭრილ მონათ იქცევა. ასეთი აქციონერული ერთეული ხშირათ ბანკის ფილიალად ითვლება. აქ საბანკო კაპიტალი აშკარა ბატონ-პატრონია, ის ხშირათ ერევა აქციონერულ წამოწყების შინაურ ცხოვრებაში და ამ ცხოვრებას აძლევს წინასწარ გათვალისწინებულ მიმართულებას.

როგორც კონტროლი, ისე დაარსების ხერხი მიმართულია ერთ განსაზღვრულ მიზნისკენ—აქციონერულ კაპიტალზე ვაბატონებისაკენ. მართალია, ხშირათ ვერ აღწევს ბანკი ამ მიზანს, მაგრამ უმთავრესი და ძირითადი მომენტი მაინც ძალაში რჩება: საბანკო და აქციონერულ კაპიტალს შორის მჭიდრო კავშირი იქნება და, ჩვეულებრივ ხელსაყრელ პირობებში, ამ კავშირში ხელმძღვანელ როლს, გადამწყვეტ გავლენას საბანკო კაპიტალი ის აქუთრებს.

ამაშია საქმის მთელი ვითარება, საკითხის მთელი სიმძიმე.

ახალი აქციონერული საზოგადოების დაარსების სურვილი არ გამომდინარეობს ბანკის მართო „მტაცებლურ“ პოლიტიკიდან. საქმე იმაშია, რომ აქციონერულ სამეურნეო ერთეულის დაარსებით ბანკი ინაღდება მეტად მნიშვნელოვან ინტერესს. ეს არის დამფუძნებელი მოგების პრობლემა. დამფუძნებელი მოგება (учредительская прибыль, Gründer gewinn) სრულებით რეალური ეკონომიური კატეგორიაა. ეს მოგება რჩება ბანკს თითოეული აქციონერული ერთეულის დაარსებისა და ჩამოყალიბების დროს.

ზოგი ეკონომისტის აზრით, დამფუძნებელი მოგება სინამდვილეში არ არსებობს და, მაშასადამე, ის არც არავითარ როლს თამაშობს ახალ აქციონერულ წამოწყებაში. ისე მსჯელობს, მიგალითად, რუსი ეკონომისტი ფინ-ენო-

ტაევესკი¹⁾). მაგრამ საკმარისია დამუშავებული მოგების საკითხს დავეყრდნობით გავეცნოთ, რათა ასეთი შეხედულების სიყალბე ნათლად დავინახოთ.

მართლაც, რა არის დამუშავებული მოგება, რას შეიცავს ეს ანალიტიკონომორი ცნება? ამ კითხვაზე, ჩვენ ამომწურავ პასუხს გვაძლევს რ. შილფერდინგი. დამუშავებული მოგება, მისი აზრით, არის ის სხვაობა, რომელიც «წარმოიშობა მხოლოდ და მხოლოდ მოგების მომცემ კაპიტალის გადაქცევით პროცენტის მომცემ კაპიტალის ფორმაში»²⁾. ცხადია, ამ დებულებას განმარტება ესაპირობება: ჰილფერდინგი განაგრძობს: «დამუშავებული ანუ საემისო მოგება (барыш) ეს არც მოგებაა (прибыль) და არც პროცენტი. ეს არის კაპიტალიზაციამწილი სამრეწველო მოგება. მისი საწინდარია სამრეწველო კაპიტალის ფიქტიურ კაპიტალად გადაქცევა»³⁾. მაგრამ რა გზით ხდება სამრეწველო კაპიტალის ფიქტიურ კაპიტალად გადაქცევა, რომლის შედეგადაც ჩვენ ვღებულობთ დამუშავებულ მოგებას, როგორ ვღებულობთ «სხვაობას» ამ «გარდაქცევის» პროცესში? ამ კითხვის საპასუხოდ ჩვენ მოვიყვანთ საილიუსტრაციოდ ერთ მაგალითს, რომელსაც ჰილფერდინგი იძლევა და რომელსაც მრავალი გამოჩენილი ეკონომისტი უცვლელად იყენებს.

წარმოვიდგინოთ აქციონერული სამეურნეო ერთეული, რომლის კაპიტალი უდრის მილიონ მარკას. დავეთვათ, რომ ამ კაპიტალის მოგების საშუალო ნორმა იძლევა 15%/ს. ამავე დროს ჩვეულებრივი სახელმწიფო პროცენტი უდრის 5-ს. აქედან, ცხადია, რომ მოგების საშუალო ნორმის 15%/ს დროს აქციონერული კაპიტალი მოგვეცემს 150.000 მარკას მოგების სახით. ეს არის საწარმო მოგება. მაგრამ იმისათვის, რომ მივიღოთ 150 ათასი მარ. მოგება, როგორც კაპიტალიზაციამწილი ყოველწლიური შემოსავალი ჩვეულებრივ 5% კვალობაზე, საჭიროა კაპიტალი 3 მილ. მარკას რაოდენობით. მხოლოდ 3 მილ. იძლევა 150 ათას მარ. შემოსავალს ყოველწლიურად. ცნობილია, რომ აქციონერი ღებულობს პრემიის სახით განსაზღვრულ პროცენტს ე. წ. «რისკისათვის». ესთქვათ, ეს პროცენტი უდრის 2-ს, ხოლო დანარჩენი წერილი ხარჯები: ტანტიემი, აპარატის შენახვა და სხვა იძლევა 20 ათას მარ. ვასეაღს, საერთო წლიურ მოგებიდან თუ ამ ხარჯებს გამოვჭერთათ, დავგრძეობ 130 ათასი მარ. მოგება. აი ეს მოგება უნდა განაწილდეს აქციონერებს შორის. თითოეულ აქციაზე მოვა 7% (5% + 2% ე. ი. საერთო პროცენტი plus პროცენტი «რისკისათვის»). აქედან ჩვენ შეგვიძლია უბრალო მათემატიკური მანიპულიაციით გავიგოთ, თუ რას უდრის ყველა აქციის ღირებულება. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს საერთო ღირებულება იძლევა 1.853.143 მარკას დაახლოებით (130.000 × 100:7). თუ დავამრგვალებთ რიცხვს ანგარიშის გაადვილებისათვის, მივიღებთ 1.900 ათას მარკას. მაგრამ იმისთვის, რომ მივიღოთ 150 ათასი მარ. მოგება ნამდვილად საჭიროა არა 1.900 ათასი მარკა, არამედ 1 მილიონი მხოლოდ. მაშასადამე, ვღებულობთ მეტად მნიშვნელოვან სხვაობას—900 ათას მარკას დაახლოებით.

¹⁾ А. Фил-Епотаевский. Финансовый капитал и производительный. М. 1926. сс. 97—98 etc.

²⁾ Гильфердинг, op. cit., сс. 108.

³⁾ ibid., сс. 189.

„ეს 900 ათასი წარმოადგენს იქიდან—ასევენი პილფერდინგი, რომ კაპიტალი, რომელსაც მოაქვს მოგება, გადაიქცა კაპიტალად, რომელიც იძლევა პროცენტს (დივიდენდს)“. სხვანაირად რომ ესთქვათ, 900 ათასი წარმოადგენს სხვაობას იმ შემოსავალს შორის, რომელსაც იძლევა 15% და ამავე შემოსავალს შორის, რომელსაც იძლევა 7%, ე. ი. სხვაობას კაპიტალს შორის, რომელიც იძლევა მოგების საშუალო ნორმას და იმ კაპიტალს შორის, რომელსაც მოაქვს საშუალო პროცენტი“.

აქედან ცხადია, რომ „სინამდვილეში დამფუძნებელი მოგება მოტყუების შედეგი კი არაა, არც ჯილდოა და არც სამუშაო ქირა. ეს არის ეკონომიური კატეგორია *sur generis*“¹⁾ და აი ამ მოგებას ითვისებს ბანკი მთლიანად. ბანკიც უშუალოდაა დაინტერესებული ახალი აქციონერული ორგანიზაციის დაარსებით, ის კისრულობს ხშირად ამ „დაარსებას“, ამ საქმეში იზენს დიდ ინიციატივას. ჩვენ აქ ვხედავთ აგრეთვე, რატომ არის ბანკი დაინტერესებული აქციონერული წარმოების განვითარებით, ე. ი. სამრეწველო მოგების გადიდებით. რამდენად დიდია სამრეწველო მოგების საშუალო ნორმა, და რამდენად მცირეა სახელმწიფოში კაპიტალზე საშუალო პროცენტი, იმდენად მეტია თვით დამფუძნებელი მოგებაც. მცირე სამრეწველო ანუ საწარმო მოგება და მაღალი საშუალო პროცენტი კაპიტალზე მიუღებელ ბალანს ქმნის ბანკისათვის. მართალია, საშუალო პროცენტის საკითხი ინდივიდუალურ ბანკზე არ არის დამოკიდებული. სამაგიეროდ, ბანკი დაინტერესებულია საწარმო მოგების ნორმის გადიდებით და აქ მას კიდევაც ეძლევა მოქმედების შესაფერი თავისუფლება. აი რატომ მიიღტვის საბანკო კაპიტალი აქციონერულ კაპიტალის დაქვემდებარებისაკენ. ამ ლტოლვის ერთად ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა მოგების ნორმის გადიდება.

აქციონერულ კაპიტალის დაქვემდებარების სურვილი თვით ბანკს უქმნის სრულებით მოსალოდნელ სიძნელეს. აქციონერული წარმოება ფართოვდება, კაპიტალის კონცენტრალიზაცია და ცენტრალიზაცია დიდის სიჩქარით ღრმავდება, ვითარდება, ინდუსტრიალურმა მრეწველობამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. წარმოიშვა და განვითარდა კაპიტალისტური უზარმაზარი მონოპოლიები. წარმოების ცენტრალიზაციათა განვითარების უმაღლეს საფეხურს მიღწია. გართულდა კაპიტალის ორგანიზული შემადგენლობა, ცხადია, ყოველივე ეს რეალურ საწარმოებს უშზადებს თვით საბანკო კაპიტალს. წვრილი საბანკო ერთეული სრულებით უძლურია ვეებერთელა კაპიტალისტურ გაერთიანების ფინანსიური მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. აქ ლაპარაკიც ხედმეტია წვრილ საბანკო კაპიტალის რაიმე გაფლენაზე მსხვილი სამრეწველო კაპიტალის „დამორჩილების“ თვალსაზრისით. ეს უნიადაგო ოცნებაა და ფრთამოჭრილი სურვილები. ამიტომ ბანკების წინაშე ეკონომიური აუცილებლობით იჭრება საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის პრობლემა. ამ პრობლემის გადაჭრის გარეშე თვით საბანკო კაპიტალის დამოუკიდებელი როლი კითხვითი ნიშნის ქვეშ

¹⁾ *Glabfording, ibid.,* გვ. 108. პილფერდინგი გვაძლევს აგრეთვე ამ კატეგორიის ფორმულას. იბ. გვ. 111.

ისმება. საბანკო კაპიტალი სპილოს მუხლებს უნდა დაემყაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ინდუსტრიალური კაპიტალის კონცენტრაცია აუტანელ სიმძიმით დააწეება ბანკის წვრილ ხერხემალს და ეს ხერხემალიც გადატყდება აუტანელ სიმძიმეს.

საწარმოო კაპიტალის ცენტრალიზაცია იწყებს საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციას. კაპიტალისტური მონოპოლიის ბრჭყალები მკაცრათ იჭრება საბანკო ერთეულების ცხოვრებაში და საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციაც მონოპოლისტურ ფორმაში ყალიბდება. ასეთი კაპიტალისტური მეურნეობის „ისტორიის ლოკომოტივი“. კაპიტალისტურ განვითარების ამ მანქანის საცირველი თვისება იმაში მოგომარეობს, რომ მან არ იცის უკან მობრუნება, სანამ სოციალურ კატასტროფის უფსკრულში არ გადაიჩრებება.

ამ რიგათ, ინდივიდუალურ საბანკო კაპიტალს არ შეუძლია კაპიტალისტურ სამეურნეო გაერთიანების კითხვებზე პასუხი გასცეს. ცენტრალიზაცია-ქმნილი უზარმაზარი წარმოება დიდძალ საკრედიტო თანხებს მოითხოვს. წვრილ საბანკო ერთეულს არ შეუძლია ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება. მასასადამე, აქ მხოლოდ ერთი გზაა დარჩენილი—კერძო ბანკების გაერთიანება, საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაცია.

ჩვენის აზრით, სრულ კემშარიტებას აღნიშნავს ჰილფერდინგი, როცა ამ პრობლემას არკვევს: „კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას მივყევართ იქამდე, რომ საბანკო საქმეში ვითარდება კონცენტრაცია... კარტელი ან ტრესტი ისეთი სამეურნეო ერთეულია, რომელსაც უდიდესი სიძლიერის კაპიტალი გააჩნია. კაპიტალისტურ სარეწავების ურთიერთ დამოკიდებულების დროს უპირველესად ყოვლისა კაპიტალის სიდიდით სწევდება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სარეწავე უნდა დაემორჩილოს მეორეს. კარტელების დაარსების მეტად განვითარებული პროცესი იმ თავითვე ისე მიმდინარეობს, რომ ბანკებიც იწყებს გაერთიანებას და გაფართოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ემუქრება კარტელსა ან ტრესტზე დამოკიდებულება“¹⁾. კაპიტალის სიდიდე—აი რა სწვევტს საკითხს, რას აქვს გადამკრელი მნიშვნელობა. საბანკო კაპიტალი მონოპოლიის აუცილებელ გზაზე სდგას. ამ გზიდან გადახვევა მას უშეძლებს კაპიტალისტურ ტრესტზე დაქვემდებარებას, დამოუკიდებელ არსებობაზე ხელის აღებას.

ამით იახსნება უმთავრესად ის გარემოება, რომ საბანკო კაპიტალი ცენტრალიზაციის მონოპოლისტურ ფორმებს ეძებს და ამ ფორმებში ეხვევა. საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაცია სწარმოებს სამრეწველო კაპიტალის ცენტრალიზაციის პარალელურად. აქ უფრადლების შუაგულში სდგას მოგების გადიდების საკითხი: მხოლოდ მსხვილ, გაერთიანებულ საბანკო კაპიტალს შეუძლია კაპიტალისტურ მონოპოლიების სათანადო კრედიტებით უზრუნველყოფა და, მასასადამე, მოგების სათანადო ნორმის მიღწევა. მეორე მხრივ, თვით ინდივიდუალურ ბანკებს შორის ვითარდება კაპიტალისტური კონკურენცია. საბანკო კონკურენცია მკვლელის ხეობს წვრილი ბანკების გაკოტრებას და მსხვილი ერთეულების შექმნას. ამით ფართო გზა ეხსნება

¹⁾ Op. cit., გვ. 250. ხაზი ჩვენია.

საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციას. მაგრამ საბანკო საქმის მონოპოლიზაციის საფუძველი კაპიტალისტურ სამეურნეო მონოპოლიების ზრდა განვითარებაა. ამ საფუძველზე დამყარებული კაპიტალისტური კონკრეტული ინტერესების დღევანდელი საბანკო კაპიტალებს შორის.

უნინი მოსწრებულად შენიშნავს: „პრაქტულ ბანკებში, რომლებიც კონკრეტული პროცესის ნიადაგზე რჩებიან მთელ კაპიტალისტურ მეურნეობის სათავეში, ბუნებრივად წარმოიშობა და ძლიერდება ლტოლვა მონოპოლისტურ შეთანხმებისაკენ, ბანკების ტრესტიკენ¹⁾ და ეს ბუნებრივად წარმოიშობილი ლტოლვა ეკონომიურ მიზნის შედეგია—მოგების ნორმის გადიდება საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის, ბანკების ტრესტების დაარსების გარეშე შეუძლებელია კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ საფეხურზე. კაპიტალისტური სამეურნეო გიგანტიური ტრესტი აუცილებლად აყენებს საბანკო ტრესტების ორგანიზაციის საქმეობას. საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესიც ისევე ვითარდება და ღრმავდება, როგორც ვითარდება და ღრმავდება თვით წარმოების ცენტრალიზაცია. ასეთია სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შორის არსებული მიზეზობრივი დამოკიდებულება.“

საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის საილუსტრაციოთ ჩვენ შეგვიძლია დიდძალი ფაქტური მასალა მოვიყვანოთ. მაგრამ პრობლემის ფაქტოლოგიური მხარე ჩვენ არ გვაინტერესებს. ამიტომ ავლინიშნავთ მხოლოდ ორიოდ დამახასიათებელ მაგალითს, რომელსაც აქვს აგრეთვე თეორეტიული მნიშვნელობაც.

ყველა მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოში ვითარდება საბანკო კაპიტალის თავმოყრა მსხვილ გაერთიანებათა ფორმებში. ამ მხრივ პირველ რიგში სდგას კაპიტალისტური გერმანია. ეჭვს ცნობილ ბანკს გერმანიაში ჰქონდა 1911 წელს 104 ფილიალური განყოფილება სხვადასხვა ქალაქში, 276 დეპოზიტური სალარო, 450 დაწესებულება და ლეზულობა აქტიურ მონაწილეობას 63 გერმანულ აქციონერულ ბანკში. საფრანგეთში მხოლოდ სამი ბანკი განაგებს ყველა ანბარის 70% და საერთო აქტივიდან, რომელიც შეადგენს 11 მილიარდს, მათ წილს შეადგენს 8 მილიარდი. სწორედ ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, უჩანასწოებლად ბანკებში ინგლისშიც, იაპონიაში და სხ. საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაცია ხდება არა მარტო „ნაციონალურ“ ფარგლებში, ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე საბანკო კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის სრულებით გარკვეულ ტენდენციებს. მაგალითად, სახელგანთქმული გერმანული ბანკები: Die Deutsche Bank და Diskonmo-Gesellschaft უკვე მსოფლიო საბანკო გაერთიანებას წარმოადგენს. მათი მოქმედების მასშტაბი მთელი მსოფლიოა, რასაკვირველია, „მცირე“ გამოკლებით—საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრია, საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობა ამ ბანკების გავლენის გარეშე იმყოფება...

ერთი სიტყვით, საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესი მეტად ჩქარი ნაბიჯით იკავებს გზას მონოპოლისტურ გაერთიანებისაკენ. საბანკო კა-

¹⁾ ტ. XIII გვ. 265.

პიტაღორის განვითარების გზაც ისეთია, როგორცაა სამრეწველო კაპიტალის განვითარების გზა. საბანკო დამოუკიდებელ ერთეულებში რიცხობრივად მცირდება, წვრილი ბანკები ისპობა და მონოპოლისტური ფორმებში მსხვილდება. საბანკო საქმეშიც. საბანკო ერთეულების რიცხვი მცირდება, მსხვილდება მცირე რიცხოვან საბანკო გაერთიანებათა ძალა და ღონე შეუდარებლათ იზრდება. აქ ჩვენ გვაქვს გაერთიანებულ საბანკო კაპიტალის „ენერჯის“ რიცხობრივი ზრდა და გაფართოება. მონოპოლისტურად გაერთიანებული ბანკები ახლა დიდ ძალას წარმოადგენს, ვინემ ეს იყო ინდივიდუალურ არსებობის პირობებში. ცალკე კაპიტალების მგჭინკური ჯამი როდი იძლევა იმ თვისებას, რომელსაც ჩვენ ვლელბლობთ კაპიტალის ერთეულების ორგანიულ შეერთების დროს. რაოდენობა თვისებაში გადადის. საბანკო მონოპოლისტური კაპიტალის აბალ თვისებას შეიცავს. აბალი თვისება საბანკო კაპიტალის, საერთოდ—გაერთიანებულ ბანკების აბალ როლში მდგომარეობს. საბანკო კაპიტალი იცვლის თავს დანიშნულებას, ამ დანიშნულებას აბლა ეძლევა აბალი მიმართულება.

ბანკების აბალი როლი ორ ძირითად მომენტს ჰგულისხმობს: პირველი ბანკი რადიკალურად იცვლის თავის ხასიათს და მეორე—ბანკები გვევლინება ამავე დროს კაპიტალისტურ მონოპოლიების წარმოშობისა და განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. აი ორი მთავარი მოსახრება, რომელიც გაერთიანებულ, ცენტრალიზაციქნილ მსხვილ საბანკო კაპიტალს მოქმედების ვრცელ ასპარეზს უშლის. ლენინმა თავის ცნობილ შრომაში: „იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა“ სპეციალური თავი უძლევა ბანკების აბალი როლის გამორკვევას. აი რას ვკითხულობთ ჩვენ ამ ნაწარმოებში:

„საბანკო საქმის განვითარებისა და ამ საქმის მცირერიცხოვან დაწესებულებებში კონცენტრაციასთან ერთად ბანკები შეამაველთა ნორცხვ როლიდან გადააქცევა ყოველის შემძლე მონოპოლისტებათ, რომლებიც განაგებენ კაპიტალისტებისა და წერილ მეურნეთა თითქმის მთელ ფულად კაპიტალს, აგრეთვე საწარმოო საშუალებათა და ნედლეულის წყაროების დიდ ნაწილს მოცემულ ქვეყანასა ან მთელ რიგ ქვეყნებში. აი ეს გადაქცევა მრავალრიცხოვან მორცხვ შეამაველებისა მუქა მონოპოლისტებად წარმოადგენს კაპიტალიზმის, კაპიტალისტური იმპერიალიზმში გადასვლის ერთ-ერთ ძირითად პროცესს“

აქ აშკარად ვხედავთ, რაში მდგომარეობს აბალი მომენტი საბანკო კაპიტალის განვითარებაში. როგორც ლენინი ამტკიცებს, ეს არის საბანკო კაპიტალის შეჭრა ძველად მისთვის უცხო სფეროში—საწარმოო საშუალებათა და ნედლეულობის დიდი ნაწილის ხელში ჩაგდების დარგში. საბანკო კაპიტალისტური მონოპოლია განაგებს არა მარტო კერძო კაპიტალისტებისა და წერილ მეურნეთა ფულად კაპიტალს. ეს კაპიტალი დიდბანია მის განკარგულებაში არსებობს. საქმე იმაშია, რომ „მუქა მონოპოლისტები“, გაერთიანებული მსხვილი ბანკები ფლობენ აგრეთვე წარმოების იარაღებს, ნედლეულის წყაროებს. საბანკო კაპიტალი თავის გაელენას აღრმავეებს თვით მრეწველობაში. სამრეწ-

ველო კაპიტალზე ვაგლენის გაძლიერება ბოლოსდაბოლოს ბანკს მრეწველობის ბატონ-პატრონად ხდის. ამგვით მოდის კაპიტალისტური ეკონომიკის დანაშაუროვანი კაპიტალიზმის განვითარების ნამდვილი ტენდენცია.

„კაპიტალის კონცენტრაციისა და ბანკების საბრუნავ თანხების ზრდით— განაგრძობს ლენინი— ძირეულად იცვლება ამ ბანკების მნიშვნელობა... რამოდენიმე კაპიტალისტისათვის მიმდინარე ანგარიშის წარმოებით ბანკი ვითარდება ასრულუმს წმინდა ტენიკურ, მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო ოპერაციას. ხოლო როცა ეს ოპერაცია გიგანტიურ ფარგლებამდე აღწევს, მაშინ აშკარადდება, რომ ერთი მუქა მონოპოლისტები იმორჩილებენ მთელ კაპიტალისტურ საზოგადოების სივარცო-სამრეწველო ოპერაციებს, რაკი ლეზულობენ შესაძლებლობას ბანკების წყალობით, მიმდინარე ანგარიშით და დანარჩენ ფინანსიურ ოპერაციებით ჯერ ზუსტად გაფორმდეს კაპიტალისტის საქმის ვითარება, შემდეგ კონტროლი გაუწიონ მათ, მოახდინონ ვაგლენა მათზე კრედიტის გაფართოებით ან შემცირებით, ხელსაყრელ თუ შიშივე პირობებში ვაგლენით და, ბოლოს, მთლიანად განსაზღვრონ (сделать определять) მათი ბედი, განსაზღვრონ მათი შემოსავლიანობა, მოკლებული გახადონ ისინი კაპიტალს ან და მისცენ კაპიტალის სწრაფად და ფართო მასშტაბით ვადიდების საშუალება და სხ.“¹⁾

ეს აზრი ნათლად გვესურათებს ბანკებისა და მრეწველობის ურთიერთობას. ბანკი თანდათანობით, მიმდინარე ანგარიშის ტენიკური ოპერაციიდან დაწყებით, ცალკე მრეწველობის შინაურ საქმის სწორათ ვაგვებით, კრედიტების მიწოდება-არმიწოდებით მტკიცეთ მიაბიჯებს ურთიერთობის საქმათ გრძელ კიბის უკანასკნელ საფეხურისკენ— მრეწველ-კაპიტალისტების „ბედის“ მთლიანად განსაზღვრისაკენ“. ბანკი უკვე არ არსებობს, როგორც მორცხვი შუამავალი სამეურნეო ერთეულებს შორის ფინანსიურ ანგარიშების გასწორების საქმეში. ახლა საბანკო კაპიტალმა ახალი ხასიათი მიიღო— მჭიდროთ დაუკავშირდა მრეწველობას. თვით წარმოებას. კიდევ მეტი, ბანკი უკვე განაგებს მრეწველობის ბედს. მრეწველობის წარმატებით განვითარების სადავეები ბანკების ხელში იყრის თავს. ჩვენს ვლენებულობთ მრეწველ კაპიტალისტის უფრო და უფრო სრულ დამოკიდებულებას ბანკისაკენ“²⁾. ბანკმა ძირეულად შეიცვალა თავისი დანიშნულება. საბანკო კაპიტალი ბატონდება კაპიტალისტურ მეურნეობის სისტემაში. მრეწველობის დამოკიდებულება საბანკო კაპიტალზე— იმ საერთო ვითარების მოკლე შინაარსი.

საბანკო და სამრეწველო კაპიტალის მჭიდრო კავშირი მრავალი ბილული და უბილავი ძაფით ინსკვება. როგორ შეუძლია კაპიტალისტურ ბანკს „ზუსტად ვაგვოს“, „შემდეგ კონტროლი გაუწიოს“, ბოლოს-კი „მთლიანად განსაზღვროს“ მრეწველობის განვითარების საქმე, დაიმორჩილოს სამრეწველო კაპიტალი? წარმოების ფინანსიურ ოპერაციების გასაგებად და თვით საწარმოო ერთეულზე— სულ ერთია, აქციონერული იქნება ეს ერთეული თუ სხვა— კონ-

¹⁾ Ibid. გვ. 261.
²⁾ Ibid. გვ. 266.

ტროლის გასაწველ საბანკო კაპიტალი ერთ მეტად მოხერხებულ საშუალებას მიმართავს. ესაა პერსონალური უნია ბანკსა და მრეწველურ-საწარმოო შიშის.

როგორც ვიცით, აქციონერული კაპიტალი „კოლექტიურ კაპიტალისტის“ საკუთრებას შეადგენს. აქ კაპიტალი განსაზოგადოებულთა კაპიტალისტურ წყობალების საზღვრებში. აქციონერულ საეკონომიკო-სამრეწველო ერთეულს სათავეში უდგას საბჭო, გამგეობა, სამმართველო აბარატი. სწორედ ასეთივე სტრუქტურაზეა აგებული აქციონერული, გაერთიანებული ბანკიც. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს „კოლექტიურ კაპიტალისტთან“. იქაც და აქაც ჩვენ გვაქვს ზედამხედველი საბჭო, რომელიც თვალყურს ადევნებს და კონტროლს უწევს აქციონერულ ერთეულის მოქმედებას. აქციონერულ სამეურნეო ორგანიზაციის დაარსების დროს ბანკს, შეუძლია შეიძინოს აქციები და ამით ზედამხედველ საბჭოში განსაზღვრული ადგილი დაიჭიროს. ბანკს ამით საშუალება ეძლევა ჩაერიოს აქციონერულ საზოგადოების შინაურ ცხოვრებაში, გააბას ამ საზოგადოებასთან პირადი, პერსონალური კავშირი. ბანკს, როგორც აქციონერს, აქვს ამისი უფალი უფლება. „აქციების მფლობელობა ბანკს საშუალებას აძლევს მიიღოს მონაწილეობა იმ ორგანიზებში, რომლებიც განაგებს აქციონერულ ერთეულს—გამგეობისა და ზედამხედველ საბჭოში. ვითარდება ვგრედ წოდებული „პერსონალური უნია“¹⁾. ბანკი პიროვნულადაც უკავშირდება სამრეწველო აქციონერულ ორგანიზაციას. საბანკო კაპიტალის იგენტები სხედან აქციონერულ საზოგადოებათა ორგანიზებში და არწივით უთვალთვალენ ბანკის ინტერესებს და ცეცის საქმეს. როგორც კი ისინი შეამჩნევენ ამ ინტერესების შელახვას, ან სათანადოთ დიუკველობას, დაუყოვნებლივ დასვამენ საკითხს ბანკის გამგეობაში და ამ როგათ მიიღებენ რეპრესიულ ზომებს აქციონერულ წარმოების დასატუსაფად: შეამცირობენ ან სულ მოხსნიან კრედიტებს, დახურავენ მიმდინარე ანგარიშს, ერთი სიტყვით, მიელ აქციონერულ საზოგადოებას საბანკო კაპიტალს კანკს გარეშე გამოაცხადებენ.

ცნობილი ეკონომისტი ეიდელსის გამოკვლევის მიხედვით, სამრეწველო საბჭოებში ბერლინის ექვსი ბანკის მიერ გამოყოფილი იყო 1903 წელს: დირექტორებათ—345 კაცი, საბჭოს წევრებათ—407, სულ—751 კაცი. რასაკვირველია, მას შემდეგ საქმია ხანა განვლო. მაგრამ დამახასიათებელი ტენდენცია კი არ შემცირებულა, უფრო განვითარდა კიდევ. ჩვენ ხელთ გვაქვს მდიდარი სტატისტიკური მასალა, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებს. მაგალითად ავიღოთ, „გერმანიული ბანკი“. 1926 წელს ამ ბანკის საკუთარი კაპიტალი უდრიდა 220 მილ, მარკას, წლიური ბრუნვა—165 მილ. მარ. ზედამხედველ საბჭოებში ქონდა 300 ადგილი. „ნაციონალური ბანკი“ დამამ. ბანკის მიმატებით: საკუთარი კაპიტალი—100, წლიური ბრუნვა—119, ადგილი ზედამხედველ საბჭოებში—325. დრეზდენის ბანკი:—129;—142;—225. სადისკონტო საზოგადოება:—199,—88,—250. კომ. და კერძო ბანკი:—64,—86,—250 და ბერლინის საეკონომიკო საზოგადოება:—27,—20,—275. მაშასადამე, ცნობილ ექვს ბანკს გერმანიაში ეკირა მრეწველობის ზედამხედველ საბჭოებში 1625 ადგილი. თუ რამდენად მჭიდროთაა დაწული პერსონალური უნიის ბადე იქიდანაც სწანს, რომ

¹⁾ E. Пашуканис. Интернализм etc., გვ. 49-50.

შედარებით წვილ ბანკს, როგორცაა ბერლინის საეკონომიკური საზოგადოება, სამრეწველო ერთეულების ზედამხედველ საბჭოებში უჭირავს 275 ადგილი.

მეორე მხრივ, ჩვენ გვაქვს აგრეთვე უკუფენითი ^{ქვეყნებისა და ური უნია.} ამ შემთხვევაში თვითონ სამრეწველო ორგანიზაციებს აქვთ საკმაო ადგილი დაქვრივი საბანკო გაერთიანებათა ზედამხედველ საბჭოსა და სხვა მმართველ ორგანოებში. საბანკო გაერთიანებათა აქციებს აგრეთვე მრეწველო კაპიტალისტებიც იძენენ. ამით სამრეწველო კაპიტალის ინტერესი იჭრება საბანკო საქმეში, მრეწველობის წარმომადგენლებიც სხედან ბანკების ზედამხედველ საბჭოებში და არა ნაკლები ყურადღებით უთვალყურებენ ინდუსტრიული კაპიტალის ინტერესების დაცვას. აქ ბანკისა და მრეწველობის შემეერთებული ძალები მაგარ კავშირათ იხლართება, ბანკი და მრეწველობა მტკიცეთ უკავშირდება ერთმანეთს. გამონაკლისს არ შეადგენს ემთხვევა, როცა ერთი და იმავე პირი ერთ და იმავე დროს ითვლება როგორც ბანკის, ისე მრეწველობის წარმომადგენლად, ხშირად—დირექტორადაც. აქ საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ინტერესები ერთ „მოღვაწის“ არსებაში იყრის თავს. ეს არის პერსონალური უნიის ყველაზე უფრო ძლიერი და დამთავრებული სახე.

ლენინი განსაკუთრებით უსვამს ხაზს პერსონალური უნიის საკითხს, პერსონალური უნიის მნიშვნელობას საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ურთიერთ დამოკიდებულებაში. „ეთიარდება, ასე ვსთქვათ, პირადი უნია ბანკებისა, ეკონომის და მრეწველობის ყველაზე მსხვილ სარეწავებთან, მათი შედუღება (связь) აქციების მფლობელობის საშუალებით, ბანკების დირექტორების საეკონომიკური სამრეწველო სარეწავოს ზედამხედველ საბჭოს (ან გამგეობის) წევრობის საშუალებით, და პირიქით“¹⁾, ე. ი. ამ საეკონომიკური-სამრეწველო სარეწავოს დირექტორის შეყვანით ბანკის ზედამხედველ საბჭოსა ან გამგეობაში. აქ მართლა ჩვენ გვაქვს საბანკო და სამრეწველო ინტერესების „შედუღება“: ბანკის წარმომადგენელი ანხორაკიელებს კონტროლს აქციონერულ საზოგადოებაზე და პირიქით—მრეწველობის წარმომადგენელი კონტროლს უწევს ბანკის მოღვაწეობას.

კიდევ მეტი.

ჩვეულებრივი მორცხვი კონტროლი გადადის მმართველობაში, გამგებლობაში—უწულო ხელმძღვანელობაში. ბანკის წარმომადგენელი ხშირად ხელმძღვანელობს მრეწველობის საქმეს და პირიქით—მრეწველობის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს ბანკის მუშაობას. ეს ფაქტი, მართალია, მკაცრათ განსაზღვრული წესი არ არის, მაგრამ ის არ შეადგენს შემთხვევით მოვლენას ბანკსა და მრეწველობის შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობაში. ნ. ბუხარინი სამართლიანად მიგვითითებს ამ ფაქტზე, როცა სწერს: „წარმოების სხვადასხვა დარგებსა და ბანკებს შორის არსებულ თავისებურ ეკონომიურ კავშირს შეეფარდება აგრეთვე ერთსა და მეორეზე უმაღლესი ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ფორმაც, სახელდობრ მრეწველოთა წარმომადგენელები განაგებენ ბანკებს და პირიქით“²⁾. ბანკების წარმომადგენ-

¹⁾ Ленин, *ibid.*, გვ. 206.

²⁾ Н. Бухарин, *Мировое хозяйство etc.* გვ. 62. ჟრსივი ჩვენია.

ლებიც განაგებენ მრეწველობას. ამ გზით ხერხდება ბანკისა და მრეწველობის ინტერესების ჰარმონია, შეხმატპილება. აქედან ცხადზე უცხადესია, თუ რამდენად შეიცვალა ბანკის ძველი როლი, რამდენად სრულებით ახალი მინერალის მრეწველობა მიეცა საბანკო კაპიტალის დანიშნულებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. საბანკო და სამრეწველო კაპიტალს შორის არსებული პირადი უნია „გზა და გზა“ საჯულისხმო შედეგს იძლევა. ეს არის დაახლოების, შეკავშირების ტენდენცია, რომელიც თავს იჩენს დღემდე განკრძობებულ, ერთმანეთისგან გათიშულ და განცალკევებულ საწარმოო ერთეულებს შორის. ბანკის წარმომადგენელი აქტიურ მონაწილეობას ლეზულობს რამოდენიმე სამეურნეო წამოწყებაში. და იმ აქ თამაშობს ის ერთგვარ შემერთებელ რჯოლის როლს საერთო სამეურნეო განვითარების ჯაჭვში. ბანკის წარმომადგენელი სკდილობს დამოუკიდებელ ერთეულების განცალკევებული ინტერესები ერთმანეთს შეათანხმოს, ამ ინტერესებს შორის საერთო ენა გამონახოს, ინტერესები ერთმანეთს გადააჯაჭვოს. მართალია, ეს სრულებით არ შეიძენს საბანკო კაპიტალის „აგენტის“ უშუალო მოვალეობას, მაგრამ ეს მოვალეობა თავისთავად წარმოიშობა, მას ჰბადებს თვით ბანკის რეალური ინტერესი. ცხადია, ბანკი სრულებით არ არის დაინტერესებული მისი ერთგულ სამეურნეო ერთეულის ვაკატრებაში, მაგრამ მოხდება ხოლმე, როცა ერთი სამეურნეო ორგანიზაციის მტრული ისარი დაემიზნება მეორე სამეურნეო ორგანიზაციას, რომლის კეთილდღეობაში დაინტერესებულია თვით ბანკი. იმ აქ ბანკის წარმომადგენელი შესაფერ პოზიციას იკავებს და ბანკის ინტერესების გამომხატველ პოლიტიკას ანეთიარებს. ამ პოლიტიკის „უნებელი“ შედეგია თვით დამოუკიდებელ სამეურნეო სხეულების ერთმანეთთან ორგანიზაციული თუ სხვა სახის დაახლოებაც, მათი ინტერესების საერთო რკალით მოხაზვა.

რ. ჰილფერდინგი იმ რას გვეუბნება ამ საყურადღებო მოვლენის შესახებ: „პერსონალური უნია, რომელიც ამავე დროს ჰჯულისხმობს ზედამხედველ საბჭოებში თანამდებობათა შეთანხმებას რამდენიმე მსხვილ კაპიტალისტის მიერ, საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ეს უნია წარმოადგენს წინამორბედს ან და დამაჩქარებელ ზამზარაკს უფრო მკიდრო ორგანიზაციულ შეერთებისა იმ საზოგადოებების, რომელიც აქამდე დამოკიდებული იყო ერთმანეთისაგან.“¹⁾ ამ მხრივ არის აგრეთვე საყურადღებო პერსონალური უნია. საბანკო კაპიტალი არამც თუ მკიდროთ იკავშირებს პერსონალური უნიის საშუალებით მრეწველობას, მტკიცე კონტროლ ქვეშ აქცევს ამ უკანასკნელს. საქმე იმაშია, რომ პერსონალური უნიის პრინციპი ნიადებს ამზადებს კაპიტალისტური მონოპოლიების დასაარსებლად, პერსონალური უნია ერთგვარი „წინამორბედი“ და „დამაჩქარებელი ზამზარაკი“ კაპიტალისტური სამეურნეო გაერთიანებების, დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულების „მკიდრო ორგანიზაციულ შეერთების“. ხოლო განვითარების შემდგომ საფეხურზე „მკიდრო ორგანიზაციული“ კავშირი სრულ მონოპოლიაში გადადის. ამ თვალსაზრისით პერსონალური უნიის პრინციპი ირც

¹⁾ Гильбердинг, Op. cit., გვ. 123—124.

ისე უმნიშვნელო როლს თამაშობს კაპიტალისტურ სამეურნეო გაერთიანებათა წარმოშობაში.

კაპიტალისტურ მეურნეობის ევოლიუციის განსაზღვრულ წინაპირობებზე მონოპოლისტურ გაერთიანებათა აღმოცენების საქმეში საბანკო კაპიტალიზმზე მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. წარმოების ცენტრალიზაციამ წარმოშვა საბანკო საქმის ცენტრალიზაცია. კაპიტალისტური სამრეწველო მონოპოლია უსათუოდ ჰგულისხმობს საბანკო კაპიტალის მონოპოლიას. მაგრამ ამავე დროს საბანკო კაპიტალის მონოპოლიაც გზას უკაფავს კაპიტალისტურ სამეურნეო მონოპოლიას. საბანკო საქმის ცენტრალიზაცია იწვევს თვით სამეურნეო ერთეულების ცენტრალიზაციასაც. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენის დიალექტიურ განვითარებასთან: მიზეზი და შედეგი იცვლინ როლებს, იცვლის იდგილს. საბანკო კაპიტალის განვითარება შედეგია სამრეწველო კაპიტალის განვითარების. ახლა მდგომარეობა იცვლება—თვით მრეწველობის განვითარება აუცილებლად დამოკიდებულია საბანკო საქმის განვითარებაზე. ბანკი გვევლინება კაპიტალისტურ მონოპოლიების წარმოშობა—განვითარების იარაღათ. აქ მთელი თავისი სიძლიერით მოსწანს საბანკო კაპიტალის ახალი ეკონომიური დანიშნულება.

დავასაბუთოთ ეს დებულება.

როგორც ვიცით, დამფუძნებელი მოგება რეალური ეკონომიური კატეგორიაა, რომელიც საბანკო კაპიტალის საკმაოდ ძლიერ ურადღებებს საგანს შეადგენს. დამფუძნებელი მოგების მიზნით ბანკი თვითონ ხელმძღვანელობს აქციონერულ წამოწყების დაარსებას. ახალი აქციონერულ ერთეულის ჩამოყალიბება ბანკს აძლევს დამატებით მოგებას, ცხადია, აქ ბანკის ინტერესი დაბეჯითებით მოითხოვს წერილი სამეურნეო ერთეულების გაერთიანებას აქციონერულ მონოპოლისტურ ფორმებში. დამფუძნებელი მოგება ამზობს ჰილფერდინგი—„ორგვარ საფულისხმო როლს თამაშობს ტრესტის დაარსებაში. ჯერ ერთი, დამფუძნებელი მოგებისადმი ლტოლვა—ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველი იმისთვის, რათა ბანკებმა ხელი შეუწყოს მონოპოლიზაციას. მეორე დამფუძნებელი მოგების ნაწილი შეიძლება მოხმარებულ იქნეს იმისთვის, რათა მყიდველობითი ფასების აწევით იძულებული შეიქნეს მოწინააღმდეგე, მაგრამ მნიშვნელოვანი ელემენტები გაყიდოს თავიანთი ფაბრიკები, ე. ი. შესაძლებელი გახდეს კარტელის დაარსება“¹⁾ აი ეს „ორგვარი როლი“, რომელსაც დამფუძნებელი მოგება შეიცავს, საბანკო კაპიტალს აყენებს მონოპოლიზაციის აუცილებლობისა და მიზანშეწონილების წინაშე. საბანკო კაპიტალი მყიდველობითი ფასების აწევით იძულებს „მნიშვნელოვან ელემენტს“—მოცემულ სამეურნეო ერთეულს ხელი აიღოს დამფუძნებელ წარმატებაზე და მონოპოლისტურ გაერთიანების გზას დაიდგეს. ამ გზაზე კი საბანკო კაპიტალის ინტერესია მკვირცხლად წამოქიშული კაპიტალისტური მონოპოლიის აღმოცენება ბანკს საშუალებას აძლევს მოგების საერთო ნორმა გაზარდოს, შიალწიოს მიზანს, რომელიც მის იმე ნი-ს შეადგენს.

¹⁾ ibid., გვ. 251.

ამიტომ არფერია გასაკვირი იმაში, რომ „ბანკების ძალდატანებელი ძეგლებულს ხდიდა ამა თუ იმ სამრეწველო სარეწაოს განსახლებულ კავშირი შეიქმნა მეორე სარეწაოსთან, შეექმნა კონკრეტი და სხ. სწორედ ასევე, კავშირი შეიქმნა და გაერთიანების პოცესიც ჩქარათ ვითარდებოდა სსრკ-ის კოალიტიკის წყალობით¹⁾ რაში მდგომარეობს კონკრეტულად ბანკების ეს პოლიტიკა, როგორ ახერხებს ბანკი კაპიტალისტურ მონოპოლიების გზაზე დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულების დაყენებას? რასაკვირველია, აქ მართოდამფუძნებელი მოგების პოლიტიკა არ კმარა, ყველგან ვერ იჩენს თავს საბანკო კაპიტალის ინიციატივა კაპიტალისტურ გაერთიანებათა დაარსებაში. საბანკო კაპიტალის პოლიტიკა საკმაოდ გაწრთვნილია ყოველგვარ ხელსაყრელ მომენტის და საშუალების გათვალისწინებაში, ბანკი დახელოვნებულია მიზნის მისაღწევ სხვადასხვა ზერხის ოსტატურად გამოყენების საქმეში.

მონოპოლიზმის პროცესში ბანკის პოლიტიკის მნიშვნელობის დასასურათებლად რ. ჰილფერდინგი ასეთ მაგალითს მიმართავს. ესთქვით, ესა თუ ის ბანკი დაინტერესებულია ნახშირის მალაროს საქმეებით, ე. ი. ამ მალაროს საქმის კარგათ წაყვანით. ამ მიზნით ბანკი ცდილობს მოახდინოს გავლენა რკინეულის ქარხანაზე, რათა ეს ქარხანა გახდეს აღნიშნულ მალაროს მუშტარი, ბანკის „გავლენა“ უშედეგოთ არ რჩება: ნახშირის მალაროსა და რკინეულის ქარხანას შორის სათანადო კავშირი იკვრება და, ამრიგათ, წარმოიშეება „კომპინაციური წარმოება. აქ ბანკის ხელი ამკარათ არ სმანს, მაგრამ ამ ხელის სიძლიერეს ყველა გრძნობს. ნახშირის მალაროსა და რკინეულის ქარხანას შორის შეთანხმება ბანკის ფინანსიურ ინტერესს უზრუნველყოფს. ბანკი აქ თავის საქმეს მოხერხებულად აკეთებს.

ანალოგიური მაგალითი კიდევ. „ბანკი—განაგრძობს ჰილფერდინგი,—რომელიც დაინტერესებულია ორ ერთნაირ სარეწაოთი, რომელიც მეტოქეობას უწევს ერთმანეთს სხვადასხვა ბაზარზე, სცდილობს ისინი შეარიგოს,—და ამით იხსნება გზა მონოპოლისტურ შეთანხმებას ან ფუზიისაკენ.“²⁾ ამ შემთხვევაშიაც აშკარაა საბანკო კაპიტალის როლი მონოპოლიზაციის საქმეში. ბანკისათვის მიუღებელია ორი ერთნაირი სამეურნეო ერთეულის კონკურენტული ბრძოლა, თუ ეს ერთეულები მის გავლენის სფეროში იმყოფება. კონკურენცია ნიშნავს მოგების ნორმის შემცირებას და, აგრეთვე, ერთ-ერთი მხარის ვალატაკებას. ცნადია, საბანკო კაპიტალის ინტერესი სრულებითაც არ მოითხოვს მისი „კლიენტის“ განადგურებას. ამიტომ ბანკის მიზანია ეს კლიენტები მშვიდობიან ურთიერთობაში ჩააყენოს. მაგრამ ასეთი ურთიერთობა ხომ შეუძლებელია კაპიტალისტურ მეურნეობის ან არქიის პირობებში. კაპიტალისტურმა კონკურენციამ არ იცის „ზავი“ და ცალკე სამეურნეო ერთეულებს შორის „სათონობა“. ამიტომ საჭიროა თვით ამ კონკურენციის შეზღუდვა, ან მისი „მოხსნა“ კაპიტალისტური მონოპოლიის შექმნით. ბანკიც სცდილობს საკუთარ გავლენის სფეროში მოქცეულ სამეურნეო ერთეულების მონოპოლისტურ გაერთიანების გზაზე დაყენებას, სულერთია, მონოპოლისტური შეთანხმება იქნება ეს, თუ სრუ-

¹⁾ Дашукавич, Op. cit., გვ. 49. ნახი ლენინი.

²⁾ Гальфердинг, op. cit., გვ. 218.

ლი ფუზია—სრული გაერთიანება. ბანკი აღწევს ამ მიზანს: ის თავი აერთიანებულ გავლენას ახდენს თითოეულ მოპირდაპირე მხარეზე. ფერდობებზე მათგანი გაჯიუტდა, განზე გადგა, ბანკი მის წინააღმდეგ რეპრესიულ ქმედებას ახდენს—უმცირესს ან სულ უსპობს კრედიტს, ხოლო მეორე, მოწინააღმდეგე მხარეს უფრო უსლიერებს „ფინანსიურ საქმეს“. ამიტომ ბანკის გავლენის სფეროში მოქცეული თითოეულ სამეურნეო ერთეული ხშირად იძულებულია მონოპოლიზაციის საერთო მდინარეებს გააჟეფოს.

ამ რიგით, წარმოების კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას მივყავართ—ერთის მხრივ—კაპიტალისტურ მონოპოლიზაციას და—მეორე მხრივ—საბანკო კაპიტალის მონოპოლისტურ ფორმებში ჩამოყალიბებისაკენ. ასეთია კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარების საერთო კანონი. მაგრამ ამავე დროს, სოციალურ გეოლოგიის მიმდინარე საფეხურზე, მონოპოლისტური საბანკო კაპიტალიც უდიდეს გავლენას ახდენს სამრეწველო-საეაქრო მონოპოლიზმის განვითარებაზე. ბანკები მონოპოლისტურ გაერთიანებათა ინიციატორად და—თუ შეიძლება ასე ითქვას—ნესაქედ გვევლინება.

აქ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სჩანს საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესის დიალექტიური განვითარება. „ქარტელების აღორძინება აჩქარებს ბანკების გაერთიანებას და, პირიქით, ბანკების გაერთიანებაც აჩქარებს ქარტელების შექმნას“¹⁾ საბართლიანად აღნიშნავს რ. პილფერდინგი. ან კიდევ: „მრეწველობის კონცენტრაცია იძლევა ამავე დროს ბანკების კონცენტრაციას, და ეს კონცენტრაცია კიდევ უფრო ძლიერდება თვით საბანკო საქმის განვითარებით“²⁾. აქ ერთი სოციალური მოვლენა იწვევს მეორე მოვლენის განვითარებას, და პირიქით. ცხადია, პირველი „ფაქტორი“ და საფუძველი უსათუოდ სამრეწველო ცენტრალიზაცია, კაპიტალისტური მონოპოლიზების განვითარება, მაგრამ ზედნაშენი, რაკი წარმოიშვა, ახდენს უკუფენითი რეალურ გავლენას სამეურნეო მონოპოლიზაციის შენდგომ განვითარებაზე. ასეთი „ზედნაშენი“ არის ბანკი და მისი ახალი დანიშნულება.

ასეთ პირობებში, ცხადია, ჩვენ ვერ ვხედავთ მონოპოლიზაციის გზაზე ცოტათ თუ ბევრათ გადაწყვეტ დაბრკოლებას. კაპიტალიზმის განვითარება მონოპოლისტურ ფორმებში ადვილდება როგორც სამრეწველო ცენტრალიზაციით, ისე თვით საბანკო ტრესტების გავლენით. აქ ჩვენ ვეპქვს „ორი ძალა“, მაგრამ არა ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული. ორივე ძალა განვითარების ერთ მთავარ ხაზზეა დამყარებული, ერთ მთავარ მიზნისაკენაა მიმართული. ეს მიზანია მოგების ნორმის გადიდება, დამატებითი მოგების უზრუნველყოფა. მოგება—იი რა შეადგენს კაპიტალისტურ მეურნეობის მთავარ ღერბს, კაპიტალიზმის მამოძრავებელ ძალას.

აი რით აიხსნება ის ვარემოება, რომ „მონოპოლია გზას იკაფავს ყველგან და ყოველგვარი საშუალებით, დაწყებული დათმობის „მორაცხვ“ გადასახადით

¹⁾ Ibid., გვ. 250. ხაზი ჩვენი.

²⁾ Ibid., გვ. 207.

და დასრულებული მეტოქის წინააღმდეგ დინამიტის ამერიკულ „მონოპოლიზმით“. ¹⁾ კაპიტალისტური მონოპოლიებით იქსელება მთელი კაპიტალისტური მსოფლიო-მართლაც, მონოპოლისტური კაპიტალიზმი, ნ. ბუზარინის მოსწავთველნი შენიშვნით, ბუნების მსგავსად „იტანჯება horror vacuy-თ და მიინწრათის გაავსოს ყოველგვარი „სიცალიერე“—იქნება ეს „ტროიკული“, „სუბტროიკული“ თუ „პოლიარული“ მხარე—ოღონდ კი საკმაოთ იყოს მოგება“. ²⁾

ვფიქრობთ, ჩვენთვის საკმაოთ აშკარაა მონოპოლიზაციის შინაგანი ბუნება. მონოპოლია მრეწველობაში, მონოპოლია საბანკო საქმეში მტკიცე და მჭიდრო კავშირი საბანკო და სამრეწველო კაპიტალს შორის—ასეთია კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი საფეხური.

საბანკო საქმის მონოპოლიის ახსნა-განმარტებაში არ უნდა დაგვაფიქვდეს აგრეთვე საბანკო კაპიტალების კონკურენციის როლიც. კაპიტალისტური კონკურენცია თავისუფლად მოქმედებს ცალკე საბანკო ერთეულებს შორის. კონკურენცია გზას უკაფავს საბანკო კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას. კონკურენტულ ბრძოლაში წერილი საბანკო ერთეული ისევე იღუპება, როგორც წერილი საწარმოო წამოწყება. საბანკო საქმის მონოპოლია „ხსნის“, ან და შესამჩნევად ზღუდავს თავისუფალ კონკურენციას და ამით გაერთიანებულ საბანკო კაპიტალს საშუალებას აძლევს ნოგების შედარებით მაღალი ნორმა შეინარჩუნოს. ბანკების მონოპოლისტურ გაერთიანების საფეხურზე თავისუფალი კონკურენციის კანონი ჰკარგავს თავის გავლენას და ძველ მნიშვნელობას, თავისუფალ კონკურენციის განდევნა მეურნეობის ყველა დარგიდან—აი რაში მდგომარეობს მონოპოლისტურ კაპიტალიზმის რეალური ტენდენცია.

აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საყურადღებო სოციალური მოვლენა, რომელსაც ეწოდება ფინანსიური ოლიგარხია. ამ მცენების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკების მონოპოლიზაციის პერიოდში ერთი მეტა ფინანსისტები თავისუფლად, ყოველგვარ კონტროლის გარეშე, თარეშობენ სხვადასხვა აქციონერულ-მონოპოლისტურ გაერთიანებებში და განაგებენ მათ.

მაგრამ საქმე ამით როდი ამოიწურება. ფინანსიური ოლიგარხიის მექანიზმი ერთობ რთულია. „აქციონერული საქმის განვითარებით—სწერს ჰილფერდინგი—ვითარდება განსაკუთრებული ფინანსიური ტენზია, რომელიც მიზნათ ისახავს შედარებით მცირე საკუთარ კაპიტალის გაბატონებას სხვის მსხვილ კაპიტალზე“. ³⁾ „ფინანსიური ტენზიის“ აი ეს მხარე არის კიდევ უფრო საყურადღებო და საგულისხმო. რაში მდგომარეობს ეს ტენზია?

ერთი აქციონერული საზოგადოება, სულერთია, იქნება ეს საზოგადოება სამრეწველო თუ საბანკო—თავის მხრივ აარსებს მეორე აქციონერულ საზოგადოებას, იკავშირებს ასეთ საზოგადოებას, იპორჩილებს მის.

¹⁾ Н. Ленин, op. cit., გვ. 256.

²⁾ Н. Бузарин, op. cit., გვ. 47. ხაზი ჩვენია.

³⁾ Op. cit., გვ. 119.

ეკონომიურ ენაზე ამ უკანასკნელს Tochtergesellschaft (საზოგადოება — ასული) ეწოდება. ის წარმოადგენს Muttergesellschaft-ის (საზოგადოება — დედა) თითქმის ხელქვეით ორგანიზაციას. თანამედროვე კაპიტალიზმში საზოგადოებაში ერთი აქციონერული ერთეული დამოკიდებულია მეორეზე, მეორე — მესამეზე და ა. შ. აქ ჩვენ გვაქვს დამოკიდებულების საკმაოდ გრძელი ჯაჭვი, რომლის რგოლებია ცალკე აქციონერული ერთეულები.

ვსთქვათ, აქციონერული ერთეული A აარსებს აქციონერულ საზოგადოება B-ს. ამ საზოგადოებაში A-ს აქვს გადაწყვეტი ვაფუნა — აქციების 50% შეძენით. საზოგადოება B, მაშასადამე სახ. A-ს „ასულათ“ (Tochter) ითვლება. თუ B-ს საერთო აქციონერული კაპიტალი მილიონ მანეთს უდრის, ცხადია, A-ს აქციების ღირებულება ნახევარ მილიონს არ აღემატება. ნახევარი მილიონით A განაგებს მთელ მილიონს. მაგრამ აქ არ სწუდება ურთიერთ დამოკიდებულების ჯაჭვი. A+B იძენს მესამე საზოგადოების — C-ს აქციების მესამედს. ვსთქვათ, C-ს კაპიტალი 3 მილ. შეადგენს. A იძენს ერთ მილიონის აქციებს და ამით ბატონდება C-ზედაც. მაშასადამე, აქ ნახევარ მილიონიანი „კოლექტიური კაპიტალისტი“ B-ს საშუალებით ბატონდება C-ზე — მესამე უფრო მსხვილ აქციონერულ კაპიტალზე. როგორც უხედავთ, საკმარისი ილმონდა აქციების მეტეგესელი ნაწილს შეძენა და ამით შესაძლო გახდა მთელ აქციონერულ კაპიტალზე გაბატონება. ჩვენ შეგვიძლია ურთიერთ დამოკიდებულების ჯაჭვი გავაგრძელოთ და უფრო დაერწმუნდეთ, სანამ აღწევს „ფინანსიური ტენზიკა“ კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიაში.

ამრიგათ, კაპიტალისტურ ეკონომიკაშიაც ისეთივე წესს ადგელი, რომელსაც ფიზიკაში ბლოკების სისტემას უწოდებენ. ამ სისტემის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მცირე ძალით გაცილებით მეტი სიმძიმის დაძლევა შეიძლება. რამდენად რთულია ბლოკის სისტემა, იმდენად ნაკლები ძალაა საჭირო უფრო მეტი სიმძიმის ასაწევად. მრეწველობისა და ბანკების ეკონომიკაშიაც საკმაოდ გამოყენებულია ფიზიკის ეს მეტად მნიშვნელოვანი კანონი. მცირე კაპიტალი ბატონდება მსხვილ აქციონერულ კაპიტალზე, აქ შექმნილია — როგორც ამბობს ლენინი — „რანტიესა და ფინანსიური ოლიგარხიის გაბატონებული მდგომარეობა“¹⁾ კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ საფეხურზე სრულებით ზედმეტია „მურწნობის დემოკრატიზაციაზე“ ოცნება და ლაპარაკი. პირიქით, აქ მცირერიცხოვან კაპიტალისტების ფინანსიური დაქტატურაა დამკვიდრებული. ფინანსიური ოლიგარხია არის კაპიტალისტურ მრეწველობისა და საბანკო მეურნეობის მონოპოლიზაციის აუცილებელი შედეგი.

აქციონერულ სამეურნეო ერთეულის აქციები, როგორც ვიცით, ნაწილდება სხვადასხვა კაპიტალისტებს შორის. აქციონერი შეიძლება ფიზიკური პიროვნება იყოს, შეიძლება — იურიდიული. უკანასკნელი შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს „კოლექტიურ კაპიტალისტთან“²⁾. შეძენილ აქციების რაოდენობის მიხედვით ნაწილდება ხმები აქციონერულ საზოგადოებაში. ცხადია, ვისაც აქციების

¹⁾ Ibid., გვ. 282.

მეტე წილი აქვს შეძენილი, მისი ხმაც და გავლენაც მეთია შედარებით. და აი აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთობ მნიშვნელოვან მოვლენასთან: საქართველო აქციების 50% იმისათვის, რათა სრული ბიტონ-პატრონი ვახდეთ მოცუვლად. ამერიკულ სამეურნეო წამოწყების. ეს დაკანონებული წესია, საყოველთაოდ ცნობილი სისტემა. მაგრამ სინამდვილეში ეს წესი ირღვევა. ახლა საქმარისია აქციების 30% 20%, თითქმის 10%-ც კი აქციონერულ საზოგადოებაში ფინანსიურ ბატონობისა და ორგანიზაციულ გავლენის განმტკიცებისათვის. ინდივიდუალური ან კოლექტიური კაპიტალისტი, რომელსაც აქციონერულ კაპიტალის მხოლოდ 20—30% ეკუთვნის, მთელ კაპიტალის ბედ-იღბალს განაგებს, აქ აშკარათ სჩანს ფინანსიური დიქტატურა: „კაპიტალის დემოკრატიზაცია“, რომლის შესახებ ასე მწარეთ გაჰკვირვებინ ბურჟუაზიული ეკონომისტები. ფეხ-ქვეშ გათელილია სრულდებით.

როგორ ხდება ეს?

აღვილად ვასაგებია, თუ ინდივიდუალურ ან კოლექტიურ კაპიტალისტს აქციების 50% ეკუთვნის, ამ კაპიტალისტის ხელმძღვანელი როლი და გადამწყვეტი გავლენა საესებით უზრუნველყოფილია. საქმე იმაშია, რომ დანარჩენი 50% ვითარებული მასსია, შეუკავშირებელი, ორგანიზაციულად ჩამოუყვალბებელი. ის არ წარმოადგენს მილიონ ძალას, მილიონ ერთეულს. ამიტომ აქ აქციების 50%-ს მჭონე კაპიტალისტის სრული ბატონობა თავისთავად გადწყვეტილია.

მაგრამ აქციონერული კაპიტალი მართო მსხვილი ნაწილებისგან როდი შესდგება. მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პერიოდში ჩვენ ვხედავთ მეტად საყურადღებო, დამახასიათებელ, ამავე დროს სავალალო მოვლენას: აქციონერულ მოძრაობაში ჩართულია მუშათა კლასის განსაზღვრული ნაწილი. საკონდო ბირჯაზე მუშათა აქციებიც ტრიალებს. პროლეტარიატის ზედაფენები იძენს აქციას და ამით ეს ფენები „აქციონერად“ ხდებიან. მართალია, ეს აქცია ხშირათ სრულდებით უმნიშვნელოა, მაგრამ ამ აქციის მორალური გავლენა მუშა-აქციონერზე მეტად დიდია. კაპიტალისტები ხშირათ განგებ უშვებენ მცირეფასიან აქციებს, მასსიურ აქციას. მუშები იძენენ ასეთ აქციებს და ამით კაპიტალისტები აღწევენ პრაქტიკულ მიზანს: მუშები დიდ ინტერესს იჩენენ აქციონერულ წამოწყების საქმეების კარგათ წაყვანის საქმეში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში. ¹⁾ აქ გასაკვირი არაფერია: მუშებმაც იციან, რომ

¹⁾ მუშათა აქციების სისტემა განსაკუთრებით განვითარებულია ჰრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის ყველა პროფკავშირები ბელს უწყობენ და უადვილებენ მუშებს აქციების შეძენის საქმეში. ამით ეს პროფკავშირები კაპიტალის ინტერესს იცივენ აშკარათ. 1900 წელს ამერიკაში ითვლებოდა 4,5 მილიონი აქციონერი, ხალხი 1923 წელს ამ რიცხვმა რეკორდს მიაღწია—14,5-მდე გაიზარდა. ცხადია, გაიზარდა მუშების ხარჯზე. ეკანასკნელ ცნობების მიხედვით, აქციონერთა რიცხვი ამერიკაში კიდევ უფრო გაიზარდა 1923 წლის შემდეგ, ძვირფას ქაღალდების მესაკუთრეთა რიცხვი ამერიკაში 20 მილიონს აღწევს, აი კრძო მავალითები, მეტად დამახასიათებელი დაქტები: ამერიკის ფ-ტულ. კომპანიამ მუშებს შორის გაანაწილა 94 ათასი აქცია, ფოლადის ტრესტმა—81.700 აქცია. კაუჩუკის კომპანიის მუშათა 90% შეტნილი აქვს ამ კამპანიის აქციები. ასევე წაიშობების სხვადასხვა დარგებშიაც.

მუშათა აქციების სისტემას ამერიკის რეფორმისტები და ყვითელი ეკონომისტები ამერიკის კაპიტალისტურ შეურწმობის დემოკრატიას უწოდებენ! ასეთია დემოკრატიულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებული საზოგადოებრივი იდეოლოგია...

აქციონერულ მეურნეობის კარგათ წაყვანით დიდდება საწარმოო მოცემა, ხოლო ეს მოცემა ვადიდებულ დივიდენდს ჰგულისხმობს. მაშასადამე, სარკვევლიც მეტი მოდის აქციაზე. ცხადია, მთავარი მოცემა კაპიტალისტებს უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მუშები ნასუფრალითაც ადვილად კმაყოფილდებიან. მეორე მხრივ, საკუთარ აქციებში უმეტესად გაფანტულია აქციონერულ სისტემაში. აქციონერების საერთო კრებებზე მუშები არ მოდიან, კრებას მცირე აქციის შესაკუთრენი არ ესწრებიან. აქ ბურთი და მოედანი მსხვილ აქციონერებს რჩებათ. ამიტომ საკმარისია აქციების 30%-ს ქონება, რომ აქციონერულ საზოგადოებაზე ხელმძღვანელი გავლენა უზრუნველყოფილ იქნეს. და ეს ასედაც ხდება სინამდვილეში.

ლოლიკურ დასკვნებზე გადავიდეთ.

როგორც ვხედავთ, საბანკო კაპიტალიზმში ძირეულად შეიცვალა საკუთარი დანიშნულება. ბანკი უკვე ახალ როლს თამაშობს. მან კარგა ხანია ხელი აიღო უბრალო საკრედიტო ფუნქციებზე. ბანკის სამოქმედო ასპარეზი გაფართოვდა, გაღრმავდა. სამრეწველო და საბანკო კაპიტალს შორის მჭიდრო კავშირი შეიქმნა. ბანკი და მრეწველობა, როგორც შენიშნავს ნ. ბუხარინი, კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ საფეხურზე „იმყოფება ერთმანეთთან განუწყვეტელი შეზრდის პროცესში“¹). ახლა არ არსებობს დამოუკიდებელი საბანკო და სამრეწველო კაპიტალი. კაპიტალის ორი ძირითადი სახე—სამრეწველო და საკრედიტო—შეისისხლბორცა ერთმანეთს, ან და იმყოფება ამ შეისისხლბორცების აუცილებელ პროცესში. ეს არის სრულებით ახალი მოვლენა კაპიტალისტურ მეურნეობის ისტორიაში, რომელიც თავის სათავეს XX საუკუნის გარეგანიდან ღებულობს. კაპიტალის ძველებური გაყოფა ფუნქციონალურ და ფულად კატეგორიებით თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას: არ არსებობს საბანკო კაპიტალი წარმოების პროცესიდან დამოუკიდებელი და პირობით—არ არსებობს სამრეწველო კაპიტალი საბანკო კაპიტალიდინ თავისუფალი. მრეწველობისა და ბანკის ინტერესების შეზღუდვები, საწარმოო და ფულად კაპიტალის ერთ სამეურნეო სხეულში მოქცევა—აი რა არის თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამახასიათებელი.

ლენინი განსაკუთრებული ინტერესით უსვამს ხაზს საბანკო და სამრეწველო კაპიტალის „შედულების“ საკითხს. ეს საკითხი მისთვის სრულებით გამოკვეთილია და არ შეიცავს პრობლემატიურობის არავითარ ნასახს. „ვლენულობით—ასკვნის ლენინი—ერთის მხრივ საბანკო და სამრეწველო კაპიტალების სულ უფრო და უფრო შედუღებას (слияние), ან და, როგორც მოსწრებულად აღნიშნავს ნ. ი. ბუხარინი—შეზრდას (сращивание), ხოლო მეორე მხრივ—ბანკების გადაქცევას მართლაც „უნივერსალურ ხასიათის“ დაწესებულებათ“²). მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს სრულებით ახალ სოციალურ მოვლენასთან—„საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შედუღებასთან“³), ერთმანეთთან შეზრდა-შეისისხლბორცებასთან. ასეთია „უახლოესი ფაზა კაპიტალიზმის განვითარებაში“. ეს არის თანამედროვე კაპიტალიზმის დედა-ძარღვი, ხერხემალი.

¹) Н. Бухарин, *op. cit.*, გვ. 64.

²) *Ленин*, ტ. XIII გვ. 268.

³) *ibid.*, გვ. 277.

თანამედროვე კაპიტალიზმის მეორე თვისება—ესა კაპიტალის საკუთრების განცალკევება ამ კაპიტალის წარმოებაში განთავსებისაგან. ამის შედეგია ახალი საზოგადოებრივი კლასის—რანტიეს—წარმოქმნა. ეს კლასი მხოლოდ ფულადი კაპიტალის პროცენტებით სცხოვრობს, ან და როგორც ამბობენ ხოლმე, „კუბონების კრეკით“ საზრდოობს. ის არ ქმნის არაფერს, ღირებულებას, მას კავშირი არ აქვს მრეწველობასთან. რანტიე კაპიტალების ლფარსაბ თათქარიძეა, მომავლად კაპიტალიზმის ღვიძლი შეილია. ამ კლასის წარმოშობა თანამედროვე კაპიტალიზმის სიღამპლისა და სიბერის ამქარა გამომნატველია.

მონოპოლისტურ კაპიტალიზმის მესამე თვისება კაპიტალისტური მონოპოლება—კოლექტიური კაპიტალისტის წარმოშობა. აქ კაპიტალი განსაზოგადოებულია და კერძო საკუთრებაც გაუქმებულია მეფრნეობის კაპიტალისტურთ წესის ფარგლებში. საწარმოო საშუალებების განსაზოგადოება კაპიტალისტებს შორის აქ აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს.

აი სამი ძირითადი მომენტი, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმის შენახუნებას შეიცავს. ჰილფერდინგი, როგორც ცნობილია საზოგადოთ, „კაპიტალიზმის განვითარების უახლეს ფაზას“ ფინანსიური კაპიტალის ხანას უწოდებს. ფინანსიური კაპიტალი—მისი აზრით—სავსებით შეიფერება და გამოხატავს იმ ურთიერთობას, რომელიც საბანკო და სამრეწველო კაპიტალს შორის არსებობს. ჩვენ ნებას მივსცემთ ჩვენს თავს ჰილფერდინგის „ფინანსიურ კაპიტალიდან“ შედარებით გრძელი ამონაწერი მოვიყვანოთ,—ამონაწერი, რომელსაც ვერც ერთი ეკონომისტი ვერ უხვევს გვერდს თანამედროვე კაპიტალიზმის კვლევის დროს. აი ეს კლასიკური ციტატა ჰილფერდინგის შრომიდან:

„ამრიგათ, მრეწველობის დამოკიდებულება ბანკებისაგან არის კერძო საკუთრებაზე დამქარებულ ურთიერთობათა შედეგი. სამრეწველო კაპიტალის უფრო და უფრო მეტი ნაწილი არ ეკუთვნის იმ კაპიტალისტებს, რომლებიც ამ კაპიტალს ამოქმედებენ. კაპიტალის გამგებლობას ისინი ღებულობენ მხოლოდ ბანკის საშუალებით, რომელიც (ბანკი) წარმოადგენს მათთან მიმართ ამ კაპიტალის მესაკუთრებს. მეორე მხრივ, ბანკსაც უღდება თავისი კაპიტალის უფრო და უფრო მეტი ნაწილის დაბანდვა მრეწველობაში. ამის წყალობით ბანკი თანდათან მრეწველ კაპიტალისტად გვევლინება. ასეთ საბანკო კაპიტალს,—მაშასადამე, კაპიტალს ფულად ფორმაში,—რომელიც ამ საშუალებით ნამდვილად გადაქცეულია სამრეწველო კაპიტალათ, მე ვუწოდებ ფინანსიურ კაპიტალს. მესაკუთრებისათვის ის მუდმივად ინარჩუნებს ფულად ფორმას, მათ მიერ იხარჯება ფულად კაპიტალის სახით, კაპიტალის, რომელიც იძლევა პროცენტს, და ყოველთვის შეიძლება მესაკუთრების მიერ უკან იქნეს დაბრუნებული ფულად ფორმაში. მაგრამ ის ნამდვილესი უდიდესი ნაწილი კაპიტალის, რომელიც ამ გზით დაბანდებულია ბანკებში, გადაქცეულია სამრეწველო, საწარმოო კაპიტალათ (საწარმოო საშუალებათ და მუშათა ძალათ) და განმტკიცებულია წარმოების პროცესში. უფრო და უფრო მეტი ნაწილი კაპიტალისა, რომელიც მობმარებულია მრეწველობაში,

წარმოადგენს ფინანსიურ კაპიტალს: კაპიტალს, რომელიც იმუშავებს ბანკების განკარგულებაში და გამოყენებულია მრეწველობის მიერ¹⁾.

თანამედროვე კაპიტალიზმის „უახლესი ფაზის“ ასეთი განვითარება მოზენილი მარქსისტ-ეკონომისტის მიერ განიარჩებულია საერთოდ. რ. ჰილფერდინგის ამ ამონაწერში ჩვენ ვხედავთ თანამედროვე კაპიტალიზმის საკმაოდ ღრმა ანალიზს და ამ კაპიტალიზმის ბუნების საერთოდ სწორად გაგებას. ხაზგასმა იმისა, რომ ფინანსიური კაპიტალი ესაა „საბანკო კაპიტალი“, რომელიც „ნამდვილად გადაქცეულია სამრეწველო კაპიტალით“, ან და ისეთი კაპიტალია, რომელიც „იმყოფება ბანკების განკარგულებაში“, მაგრამ „გამოყენებულია მრეწველების“ მიერ, არ ეწინააღმდეგება ობიექტიურ მდგომარეობას, სწორით გამოხატავს არსებულ სინამდვილეს. ჰილფერდინგის თეორიის ძირითადი სისწორე იმაშია, რომ ეს თეორია ხაზგასმით აღნიშნავს ერთ ნათქვამ და მახასიათებელ და გადამწყვეტ მომენტს—საბანკო და სამრეწველო კაპიტალის მჭიდრო კავშირს, მათ შვერსებებს, შედეგებს. ჰილფერდინგი იძლევა სწორ ფორმულას იმ პროცესის, რომელსაც აშხ. ნ. ბუხარინი უწოდებს „საბანკო კაპიტალის შექმნას მრეწველობაში და კაპიტალის გადაქცევას ფინანსიურ კაპიტალით“²⁾. როგორც ვხედავთ, ნ. ბუხარინი მთლიანად იზიარებს ჰილფერდინგის დებულებას და სთვლის ამ დებულებას თანამედროვე კაპიტალიზმის ხასიათის სისწორით გამოხატულებად.

მაგრამ ყოველივე ეს იმის როდი ნიშნავს, ჰილფერდინგის ფორმულა პრობლემის სრული ამოწურვა იყოს. ჰილფერდინგის ფორმულა სწორია, მაგრამ სრული, დამთავრებული არ არის. რა აკლია ჰილფერდინგის დებულებას? „ჰილფერდინგის განმარტება—სწერს ლენინი—სრული არ არის იმდენად, რამდენად აქ მოკმეული არ არის ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ: წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის ზრდა ისეთ ხარისხით, როცა კონცენტრაციის მიყვებით და მიგვიყვანა კიდევ მონოპოლიზმამდე“³⁾. მართალია, ჰილფერდინგი საკმაოდ ვრცლად აშუქებს კაპიტალისტურ მონოპოლიზტების წარმოშობა-განვითარების საკითხს. მისი წიგნის „მესამე განყოფილება“ თითქმის მთლიანად მიძღვნილია ამ საკითხის გამოკვებისადმი. ლენინიც არ მალავს ამ ფაქტს და მიუდგომლად აღნიშნავს კიდევ: „ჰილფერდინგის მთელი ნაწარმოები საერთოდ, ხოლო კერძოდ იმ თავში, რომელიც წინუძღვის იმ თავს, საიდანაც ამოღებულია ეს განმარტება (ჩვენ მიერ მოყვანილი ციტატა, რომელიც ლენინს მოყავს შემოკლებით. ვ. მ.), ხაზგასმულია კაპიტალისტური მონოპოლიზტების როლი“⁴⁾. მაგრამ მოკემულ ფორმულაში „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მომენტი“—კაპიტალის ცენტრალიზაცია კაპიტალისტურ მონოპოლიის უმაღლეს ფორმაში, ყურადღების გარეშე დატოვებული. სამართლიანად აღნიშნავს აშხ. ე. პაშუკანისი, როცა ლაპარაკობს: ჰილფერდინგი „ფინანსიურ კაპიტალის განსაზღვრაში მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნავს საბანკო კაპიტალის მრეწველობასთან დაკავშირების მომენტს და მხედველობაში

1) Гильфердинг, op. cit., გვ. 252—253. ხაზი ავტორისაა.

2) Ibid., გვ. 271—272. ხაზი ჩვენია.

3) Ibidem.

4) Инвернация etc., გვ. 101.

არ ღებულა იმ ფაქტს, რომ თვით ეს დაკავშირება არის საფუძვლიანი კაპიტალისტური მონოპოლიების განვითარების პროცესში და მომზადებულია წარმოების კონცენტრაციით¹⁾. ცხადია, ჰილფერდინგის ფორმულა შეცვლას უნდა მოახდინოს საკითხის ყოველმხრივ ნათლად წარმოდგენისა და თეორეტიული სისწორის თვალსაზრისით.

„წარმოების კონცენტრაცია; მონოპოლიები, რომლებიც წარმოსდგება მისგან; შეერთება (сращивание) ან შეზღუდვა ბანკებისა მრეწველობასთან, — აი ფინანსიური კაპიტალის წარმოშობის ისტორია და ამ ცნების შინაარსი“²⁾ — ამბობს ლენინი.

მაშასადამე, იმისათვის, რათა მთლიანად წარმოვიდგინოთ ფინანსიური კაპიტალის შინაარსი, უნდა ხაზი გაუსვათ სამ შომენტს: წარმოების კონცენტრაციას, მონოპოლიებს და საბანკო კაპიტალის მრეწველობასთან „შეერთებას“. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი „ამ ცნების“ „ისტორიის“ გაგება. მაგრამ ცნების ლოლიკურ განმარტებაში „ისტორია“ კარგავს თავის მნიშვნელობას. ამიტომ კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის შომენტი იჩრდილება, ან და, სრულებითაც არ აღინიშნება მოცემული ცნების ლოლიკურად განმარტების დროს. მაგრამ მთავარი, რაც ახასიათებს კაპიტალიზმის განვითარების „უახლოეს ფაზას“ — ჰილფერდინგის ტერმინოლოგიით ფინანსიური კაპიტალს, ესაა კაპიტალისტური მონოპოლია და საბანკო-სამრეწველო კაპიტალის მჭიდროდ შეკავშირება. აი ეს ძირითადი პირობა არ უნდა იქნეს არც ერთ შემთხვევაში დაივიწყებული. სხვანაირად შეუძლებელია თანამედროვე კაპიტალიზმის ბუნების გაგება. „ფინანსიური კაპიტალი — ამტკიცებს ლენინი — არის მონოპოლისტურად გაერთიანებულ მცირერიცხოვან უმსხვილეს ბანკების კაპიტალი, რომელიც შედუღებულია მრეწველების მონოპოლისტურ გაერთიანებათა კაპიტალთან“. აი, ჩვენის ღრმა რწმენით, ფინანსიური კაპიტალის და, საერთოდ, თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალის ამომწურავი განსაზღვრა. ამ განსაზღვრის უარპყოფა ნიშნავს როგორც თეორეტიულ დაბნეულობას, ისე თანამედროვე საერთაშორისო სოციალ-ეკონომიურ პრობლემებში გაურკვევლობას და პრაქტიკულ პოლიტიკის სფეროში სწორი გზისა და კვალის დაკარგვას.

როგორც დაინახეთ, რ. ჰილფერდინგი „კაპიტალიზმის განვითარების უახლოეს ფაზას“ ფინანსიური კაპიტალს უწოდებს. ტერმინმა „ფინანსიური კაპიტალი“ კარგახანია მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და ეკონომიურ ლიტერატურაშიაც გაბატონებული ადგილი დაიკვიდრა. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო „ფასეულობის ბელ-ახალი ვადაფასება“ და ჰილფერდინგის ტერმინიც ერთგვარ „შერყევას“ განიცდის. კაპიტალიზმის განვითარების „უახლოეს ფაზის“ უფრო სწორ თერმინოლოგიურ გამომხატველად მონოპოლისტური კაპიტალიზმი ნიანჩიით. ჩვენ ვფიქრობთ, ეს უფრო სპარტოლიანია და ამავე დროს თანამედროვე კაპიტალიზმის შინაბუნების უკეთ გა-

¹⁾ ibid., გვ. 272.

²⁾ ibid., გვ. 306. ხაზი ჩვენია. აგრეთვე: გვ. 357 და 469.

მომხატველი. იშლება მრავალი საზღვარი საბანკო და სამრეწველო კაპიტალს შორის. კაპიტალის ფუნქციონალურათ გაორებას ნიდადავი ეკლებს. მონოპოლიზმი ვითარდება კაპიტალისტურ მეურნეობის ყოველ კონკრეტულ ცხადია, ფინანსიური კაპიტალის ცნებაც თითქმის შეიცავს მას. მონოპოლიზმისათებულ პროცესს, რომელსაც ადგილი აქვს კაპიტალიზმის განვითარების მიმდინარე სტადიაში. აქ დავა საქმის შინაარსს არ შეეხება უმთავრესად, სადავით მიგვაჩნია მოცემულ ეკონომიურ მოვლენის თერმინოლოგიურ ვამოხატვა. ჩვენ ევთანხმებით მ. ნახიშსონს, რომელიც თუმცა გაკვრით, მორიდებით, მაგრამ მაინც საფუძვლიანად შენიშნავს: „მონოპოლისტურ კაპიტალიზმის“ ქვეშ ჩვენ ეგულისხმობთ „შეზრდილ სატრესტო და საბანკო კაპიტალს, ე. ი. მონოპოლიურ ორგანიზაციის ბატონობას, რომელიც ეწყარება, სხვათაშორის, აგრეთვე მტკიცეთ კონცენტრალიზაციამნილ მრეწველობასთან დაკავშირებულ საბანკო კაპიტალს... ამიტომაც ჩვენ უმჯობესად მივიჩნიეთ ლაპარაკი მონოპოლისტურ კაპიტალიზმის შესახებ, იმის მაგიერ, რომ გველაპარაკა ფინანსიურ კაპიტალზე, თუმცა ჩვენ არ ვუარყოფთ ამ უკანასკნელის არსებობას, ე. ი. საბანკო და მრეწველობის ტრესტულ კაპიტალის მქიდრო კავშირს“¹. ეს შეხედულება ჩვენ სწორ შეხედულებათ მიგვაჩნია.

ჰილფერდინგი ფინანსიურ კაპიტალის განსაზღვრაში აღუნიშვნელად სტრუქტურს მონოპოლიზაციის მთავარ მომენტს. ეს შემთხვევითი არ არის ჰილფერდინგისათვის. მის მხედველობაში აქვს უმთავრესად საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შეზრდის პროცესი. ამ თვალსაზრისით ცნება „ფინანსიური კაპიტალიზმი“ სწორად გამოხატავს ჰილფერდინგის აზრს, მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე საფეხური უფრო რთულია. ეს საფეხური ჰგულისხმობს კაპიტალისტურ მონოპოლიების განვითარებას, რაც საბოლოო ანგარიშით—ბანკისა და მრეწველობის „შეზრდის“ ეკონომიურ ნიდადავს წარმოადგენს. ამიტომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი ვაცილებით უკეთ გამოხატავს „კაპიტალიზმის განვითარებაში უახლესი ფაზის“ დედა-აზრს და მის ეკონომიურ-საზოგადოებრივ შინაარსს, ისტორიულ ხასიათს.

ერთი სიტყვით, აქ აზრთა სხვაობის სარჩული პრინციპიალური არ არის. ჩვენი სურვილია მხოლოდ კაპიტალიზმის უმაღლეს საფეხურის მეტი სისრულით წარმოადგენა და ამ წარმოდგენის შესაფერ ტერმინით გამოთქმა.

მაგრამ ფინანსიურ კაპიტალის თეორიის წინააღმდეგ ბრძოლა პრინციპიალურ საფუძვლზედაც სწარმოებს. ამ შემთხვევაში საქმე შეეხება მთელი სისტემის უარყოფას. მაგალითად, უარყოფენ სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შეზრდის ფაქტს, ბანკების ახალ როლს და სხვა. მოკლეთ, უსაფუძვლოთ მიაჩნიათ „კაპიტლის გადაქცევა ფინანსიურ კაპიტალათ“, ვერ ხედავენ სამრეწველო კაპიტალიზმიდან სამეურნეო განვითარების „უახლეს ფაზაში“ გადასვლას. ცხადია, აქ თეორეტიული დავა პრინციპიალური ხასიათისაა. ამ დავის საფუძველია რიცხობრივი მომენტის თვისებრივ მომენტში გადასვლის შეუძლებლობა თანამედრო-

¹ Введение Ветс., გვ. 300.

ვე კაპიტალისტურ მეურნეობაში. რა არის „კაპიტალის გადაქვეყნება“ ფინანსიურ კაპიტალათ“? ეს არის რიცხობრიობის გადასვლა თვისებრივობაში. და მართლაც, „სამრეწველო კაპიტალიზმიდან ფინანსიურ კაპიტალიზმში“ გადასვლა არის სხვა არაფერი, გარდა საკრედიტო სისტემის მსხვილ კაპიტალისტურ წარმოების, აქციონერულ და საბანკო საქმის უბრალო რაოდენობითი ზრდის გადასვლა ახალ თვისებაში“. იმ ეს სრულებით მეცნიერული დებულება მიანიშნავს უსაფუძვლოდ და მიუღებლად.

მართალია, „თავზე ხელ-აღებულ“ მოაზროვნეთა რიცხვი თეორეტიულ ბრძოლის ამ ასპარეზზე ძალზე უმნიშვნელოა. მაგრამ აქ რიცხვის სიმცირეს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. საქმე იმაშია, რომ ასეთი შეხედულება ძირშივე ყალბია, თეორეტიულ-მეცნიერული თვალსაზრისით ყოველად უსუსური, უნიდაგო, პრაქტიკულ თვალსაზრისით კი—მაენე და მიუღებელი. რუსულ ეკონომიურ აზროვნებაში ამ შეხედულებების შებაირობა ა. ფინ-ენოტაევის კონცეპციით ვსკი ითვლება.

რასაკვირველია, ჩვენი მიზანი სრულებით არ არის ფინ-ენოტაევის ყალბი კონცეპციის კრიტიკა. ავლნიშნავთ მხოლოდ—ფაქტის კონსტატაციის წესით—ზოგიერთ მოსაზრებას, რომელიც არ არის ინტერესს მოკლებული „მოულოდნელობის“ თვალსაზრისით. ფინ-ენოტაევის მთავარი დებულება მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს არავითარი შეზღადა საბანკო კაპიტალისა მრეწველობასთან და არც ბანკსაც გამოუცვლია თავისი ძველი როლი და დანიშნულება. ფინანსიური კაპიტალი არ წარმოადგენს „უახლეს ფაზას კაპიტალიზმის განვითარებაში“. პირიქით, ის კაპიტალიზმის განვითარების დაბალი საფეხურია. სამრეწველო კაპიტალიზმი—აი, რა არის კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელი სიტყვა. ასეთია მოკლეთ ფინ-ენოტაევის შეხედულება.

რა თქმა უნდა, ეს შეხედულება დიამეტრალურად უპირისპირდება ლენინის, ჰილფერდინგის, ბუხარინის და მთელ რიგ სხვა გამოჩენილ მოაზროვნე ეკონომისტების შეხედულებას. ფინ-ენოტაევის კალმის ერთი გაბედული მოსმით უარყოფს თანამედროვე კაპიტალიზმის შინაგან ბუნების მარქსისტულ ანალიზს მიუხედავად იმისა, რომ ის თავგამოდებით სცდილობს მარქსის ციტატებს დაემყაროს და—კიდევ მეტი—ლენინის „განიერ ზურგს“ მიეფაროს. ეს ცდა ტრალი-კომიურ სახეს ღებულობს და მარქს-ლენინის მოშველება მდარე ზარისხის ყალბამანდობის შთაბეჭდილებას სტოვებს.

მოვესმინოთ აეტორს:

„ბანკები უნდა დაეხმაროს ინდუსტრიას ფინანსიურ საქმეებში. სწორედ ამისათვის დაარსა ინდუსტრიულიზმმა კაპიტალმა ბანკები. ეს უკანასკნელი რომ ჯიბეს ისტელებენ, კიდევ მეტი: ახდენენ წარმოების ექსპლოატაციას, ეს მართალია. რომ ბანკსა და ინდუსტრიას შორის კავშირი იზრდება და კიდევაც უნდა გაიზარდოს, რომ ეს კავშირი რთულდება და კიდევაც უნდა ვართულდეს, ესეც სრულებით გასაგებია. მაგრამ ყოველივე ამისგან ინდუსტრიული და საბანკო კაპიტალის შეზღადა, შეერთების ტენდენციის გამოყვანა, აი რა არის სწორი. ბან-

კები, როგორც წესი იყო და დარჩება საკრედიტო დაწესებულებების ისინი ასრულებენ ფუნქციას, რომელიც დაკავშირებულია ფულად და ფიქტიურ ფორმებში პროცენტის მომცემ კაპიტალის მოძრაობასთან, ანუ მათ უნდა შეესაბამებინათ ფულით და ქაღალდებით, შეადგენენ კაპიტალის, როგორც საწარმოების, წარმოადგენლებს, მაგრამ ისინი არ არიან ინდუსტრიალური ფუნქციონერები².

აქედანს სჩანს, რომ ბანკსა და მრეწველობას შორის ჩვეულებრივი ძველი ურთიერთობაა: ბანკი აწვდის მრეწველობას კრედიტს, ბანკი რჩება საკრედიტო დაწესებულებათ, არავითარი „შეზრდა“ არ არის გარდა იმისა, რომ საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შორის კავშირი იზრდება და რთულდება. მაგრამ ამით საბანკო კაპიტალის საკრედიტო როლი სრულებით არ იცვლება. ინდუსტრიის განვითარება ქმნის კრიტიკის ახალ ფორმებს და მათ ხდის ბანკების ფუნქციებათ, მაგრამ ბანკების ბუნება (сущность) ამით არ იცვლება³. ბანკების ახალი როლი, რომლის შესახებ სწორედ გამოჩენილი ეკონომისტები, მოჩვენებაა და სხვა არაფერი.

ცხადია, თუ ბანკის დანიშნულებაში ცვლილება არ მომხდარა, არავითარი ცვლილება არ იქნება არც ბანკის შიგნით ში. ამიტომ ბანკი არ მიისწრაფის დაიმორჩილოს მრეწველობა. ფინ-ენოტავესკიც განაგრძობს: „როგორც ემისიას, ისე მონაწილეობას აქციებით აქვს მნიშვნელობა, როგორც დამხმარე საშუალება ბანკსა და სარეწაოს შორის ხანგრძლივ რეგულიარულ კავშირის დასამყარებლად, რომელიც (კავშირი) გამოიხატება კონკრეტული ურთიერთობათა ფორმაში. როგორც წესი უნდა ავლენიყნოთ, რომ ბანკების მონაწილეობა აქციებით ინდუსტრიალურ სარეწაოებში არ არის ბანკების მიერ ინდუსტრიის დამოჩილების (овладение) ამოცანების განხორციელების საშუალება. ეს მონაწილეობა ისახავს სპეციალურათ საბანკო მიზანს. ხანგრძლივი და გავლენიანი მონაწილეობა მსხვილ, ტრანის მიმცემ ბანკებისა ინდუსტრიალურ სარეწაოში—ეს გამოიხატება სიძაბუნით და სხვა კონკრეტულ გაერთიანებულ მრეწველობის ზელშია“⁴. „... ბანკები შორსა სდგას ამ „ბრძანებულ სიძაბუნებშიდან“, მათი გავლენა „ბრძანებულ სიძაბუნებში“ ვერ აღწევს და ბანკის მიზანიც სპეციალური რჩება—საკრედიტო ფუნქციის, დამხმარე როლის შესრულება.

ამიტომ შეუძლებელია „ლაბარაკი „შეზრდაზე“, „შესისხლხორცებაზე“ მრეწველობისა და ფულად კაპიტალისტების ფუნქციებისა ერთმანეთთან“, მხოლოდ ადგილი აქვს მსხვილ ბანკების „ჩარევას ნაციონალურ წარმოებაში პირადი ფინანსიური ინტერესების თვალსაზრისით“⁵. აქედან ფინ-ენოტავესკიც გამედღლად ასკვნის: „ადგილი არ ჰქონია სამრეწველო კაპიტალს ფინანსიურ კაპიტალათ გარდაქმნას, არ მომხდარა არავითარი შეზრდა საბანკო კაპიტალისა ინდუსტრიალურთან ერთ მთლიანობაში“⁶.

¹) Финн-Енотвевский. Op. cit., გვ. 48-49. ნაზი ჩვენია.

²) ibid., გვ. 69. ნაზი ჩვენია.

³) ibid., გვ. 106.

⁴) ibid., გვ. 79-80.

მაშასადამე, ჩვენი ავტორი არ ხედავს არავითარ ცვლილებას თინანსიერო-ვე კაპიტალიზმის განვითარებაში. მისთვის ყველაფერი იცვლება, კაპიტალიზმის განვითარების გარდა! ავტორი ებლაუქება დიალექტიურ მატერიალიზმს, მაგრამ საჭიროა როგორც კი კაპიტალიზმის ევოლუციას შეეხება, მატერიალიზმს დიალექტიკა ავტორის ხელში გადამტყდარ ხმალად იქცევა: „კაპიტალის საერთაშორისო ურთიერთობაში — გვეუბნება ფინ-ენოტაეცსკი—ხელმძღვანელი მნიშვნელობა კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიაში ეკუთვნის არა ფინანსიურ, არამედ სამრეწველო კაპიტალს.“²⁾ კაპიტალიზმის განვითარების კლასიკური პერიოდი — ავტორის აზრით — არ არის განვლილი საფეხური და კაცობრიობა ჯერ კიდევ ამ საფეხურზე იმყოფება!

მაშ რა არის ფინანსიური კაპიტალი? ამ კითხვაზე პასუხს ავტორი ეკონომიკურ მოძღვრების ეტიმოლოგიაში ეძებს. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ტერმინი „ფინანსიური კაპიტალი“ მთლიანად ვერ ამოწურავს კაპიტალიზმის უმაღლეს—მონოპოლიურ საფეხურს და მოითხოვს „შევსებას“. მაგრამ ფინ-ენოტაეცსკი ღრმად იჭრება თეორეტიულ დაბნეულობის უდაბურ ტყეში და მით უფრო უხვად ნახულობს გონებრივ ვარჯიშობის უნაყოფო ხეებსაც. „კაპიტალი, რომელსაც მოაქვს პროცენტი, ჩვენ ვუწოდებთ ფინანსიურ კაპიტალს“³⁾ — სწერს ის. ცხადია, ასე გაგებული ფინანსიური კაპიტალი კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი კი არა, უმდაბლესი საფეხურია უსათუოდ. როგორც ვიცით, საჯახო კაპიტალი იყო პირველი ბარბაროსული სიტყვა, რომელიც გაიგონა კაცობრიობამ კაპიტალიზმის ევოლუციის განთიადზე. კაპიტალი, რომელსაც მოაქვს პროცენტი, ისტორიულად წინ უსწრებდა სამრეწველო, ინდუსტრიალურ კაპიტალს. მაშასადამე, ფინ-ენოტაეცსკისებურად გაგებული ფინანსიური კაპიტალი ინდუსტრიალურ კაპიტალის „წინასტორიული ფორმაა“. ფინანსიური კაპიტალი—გვესწავლის ავტორი—არ არის ინდუსტრიალურ კაპიტალის უმაღლესი ორგანიზაციული ფორმა, როგორც ეს წარმოუდგენია ჰილფერდინგს.⁴⁾

აქ ავტორის შეცდომა იმაშია, რომ ის მოცემულ ეკონომიურ ცნების გაგებას სცდილობს ეტიმოლოგიური თვალსაზრისით და სიტყვა „ფინანსიური“ ესმის, როგორც სიტყვა „ფულადი“. ხოლო ფულადი კაპიტალი, რა თქმა უნდა, ინდუსტრიალურ კაპიტალის „უმაღლესი ფორმა“ არ არის და არც შეიძლება იყოს. ეს ფორმალური მოსაზრება და ჩვენ არც ვაქცევთ მას ყურადღებას. ეს იმას ამტკიცებს მხოლოდ, თუ რამდენად ელემენტარულია ავტორის აზროვნება ეკონომიურ შეცნირების ძირითად პრობლემის სფეროში. მაგრამ მთავარი შეცდომა და მთავარი ყალბი დებულება—ბანკების ახალი როლის, საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ერთმანეთთან შეზრდის, კაპიტალიზმის ახალი საფეხურის უარყოფა etc.—აი რა არის საყურადღებო და საგულისხმო ფინ-ენოტაეცსკის „თეორიაში“. ფინ-ენოტაეცსკი ხელაღებით უარყოფს „უახლეს ფაზას კაპიტალიზმის განვითარებაში“ და ამ უარყოფას აქვს არა მარტო თეორეტიული მნიშვნელობა. ფინ-ენოტაეცსკის ყალბი შეზღუდულება ამავე დროს მავნე პრაქტიკული მომენტებით ხსიათდება.

²⁾ Ibid., გვ. 113.

³⁾ Ibid., გვ. 12, 13, 23 etc.

⁴⁾ Ibid., გვ. 75.

„კაპიტალის სხვადასხვა ფორმის „შეზრდის“ თეორია... ფინანსური კაპიტალი დამარბულია სამუდამოთ.“¹⁾ — ამტკიცებს ფინ-ენოტაევესკი.

რასაკვირველია, ამ „მტკიცებას“ არაფერი აქვს საერთო-ფინანსურ შეხედულებასთან, რომელსაც ჩვენ საკმაოდ ვავეცანიით. ფინ-ენოტაევესკის კონცეპცია დამეტრალურად ეწინააღმდეგება ლენინის თეალსაზრისს, რომლის დასაბუთებას შეიცავს მთელი წიგნი: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი“. და თუ ფინ-ენოტაევესკი მარკს-ლენინის ავტორიტეტს დობე-ყურეს ეფარება. ეს — მისივე „ახალგაზრდა ეკონომისტების“ წინააღმდეგ მიმართულსიტყვებით რომ ვსთქვათ, „ქმნის კუროიზულ შთაბეჭდილებას“.

მაგრამ რაში მდგომარეობს ფინ-ენოტაევესკის შეხედულების მიანე პრაქტიკული ხასიათი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ძველია. საქმე იმაშია, რომ კაპიტალიზმის განვითარების უახლეს საფეხურის არ დანახვა, მისი უარყოფა და სხვა — თავზე გვახვევს კაპიტალიზმის დამცველის მეტად არასასიამოვნო როლს. ფინ-ენოტაევესკის „თეორია“ თანამედროვე კაპიტალიზმთან ბრძოლის თეორია კი არ არის. ეს არის კაპიტალიზმის დაცვა ობიექტიურათ. იმპერიალიზმი კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადია. კაპიტალიზმის მონოპოლისტურ საფეხურზე საბანკო და სამრეწველო კაპიტალი ერთმანეთთან შეზრდის პროცესს გინიციდის. ვინც ამ პროცესს არ ამჩნევს — ან ვერ ამჩნევს, სულ ერთია, — ცხადია, გვერდს აუხვევს თანამედროვე კაპიტალიზმის მონოპოლისტურ სტადიის კვლევა-ძიებას, უარყოფს თვით კაპიტალისტურ იმპერიალიზმის რეალურ არსებობას, ამ არსებისაგან გამომდინარე პრაქტიკული შედეგებით. არ დანახვა იმისა, რაც არის, ნიშნავს იმის უარყოფას, რაც უნდა იყოს. ფაქტის უარყოფა უეჭველად ნიშნავს ამ ფაქტთან ბრძოლის უარყოფასაც.

აქედან დასკვნაც ლოდიკურია: ფინ-ენოტაევესკი სუბიექტიურად უარყოფს კაპიტალიზმის განვითარების „უახლეს ფაზას“ და ამ უარყოფით ობიექტიურად ხელს იღებს ამ „ფაზასთან“ ბრძოლაზე. სამართლიანად აღნიშნავს ე. პაშუკანისი, რომ ფინანსური კაპიტალის თეორიის, საბანკო კაპიტალის ახალი როლის, კაპიტალიზმის „უახლეს ფაზის“ უარყოფით ფინ-ენოტაევესკი იცავს „კაპიტალიზმის აპოლოგიის თეალსაზრისს“, კაპიტალიზმის მიმართ „აპოლოგეტურ თეალსაზრისზე სდგება“.²⁾ სხვანაირად არ შეიძლება იყოს: ფინანსური კაპიტალის „სამუდამოთ დამარბულად“ გამოცხადება ამ კაპიტალის ბატონობის პირობებში უსათუოდ მოგვიყვანს კაპიტალიზმის დაცვამდე, ობიექტიურად მაინც. ფინ-ენოტაევესკი მოხერხებულად სცდილობს ლენინის „შესწორებას“, მისი აზრით ამ საკითხში ლენინი „ახალგაზრდა ეკონომისტებს“ საშუალებას აძლევს „შეცდომას შეცდომებით“ ერბოლონ, რადგან ლენინი „არა სწორად“ გამოთქვამს აზრს“³⁾ და მრავალი სხვა. ლენინის სწორი თეორეტიულ შეხედულებას „შესწორების“ ყოველივე ცდა იძლევა მხოლოდ ერთ გზას, რომელსაც აუცილებლად მიგვიყვართ თანამედროვე კაპიტალიზმის უნებლიეთ დაცვამდე.

საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ურთიერთობა რადიკალურად იცვლება კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ სტადიაში — ასეთია თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობის სინამდვილე.

¹⁾ ibid., გვ. 119.

²⁾ Op. cit., გვ. 69. ფინ-ენოტაევესკის კრიტიკა: გვ. 61-70.

³⁾ Фин-Евотавский, ibid., гв. 142.

ქართველი ბიზნის სოციალური

ბიზნისიდან პარაზიტობამდე

ოთხ ივნისს ლამის 11 საათზე ქართველ მწერალთა დელეგაცია ტფილისიდან გავიდა ერევნისკენ.

თითქმის ყველა დელეგაციის წევრი პირველად მიდიოდა სომხეთში.

ჩვენთან ერთად მოდიოდა აგრეთვე თურქი მწერლების დელეგაცია.

ორივე დელეგაციას წინ უძღოდა ტფილისიდან ავტადორათ ცნობილი სომხეთის მწერალი ალექსანდრე შირვან-ზადე.

გზაში და შემდეგ სომხეთშიც ჩვენ დავრწმუნდით, რომ უკეთეს წინამძღვარს ვერ ვიშოვიდით.

შირვან-ზადე მიუხედავად იმისა, რომ სამოც წელს უკვე გადასულია, მაინც დიდი ტემპერამენტის და პათოსის კაცია, და ამის გარდა, ასე ვსთქვათ, ბუნებრივად ტრანს-კავკასიის ადამიანია--რადგან დაბადებულია აზერბეიჯანში,--შემახაში, სადაც ბავშობიდან იზრდებოდა--უკანასკნელ ათ წელში კიდევ სცხოვრობდა ტფილისში. თითქმის ყველა დელეგატებს პირადად დიდი ხანია იცნობს.

შჟალამეა. მატარებელი ნელა მიჰყვება აღმართს.

გაგონის ფანჯრებიდან მოსმანს მხოლოდ მკრთალი ჩრდილები და სილუეტები; სოლიდულიდან უკვე ყველასთვის უცნობი ქვეყანაა და აქ შინაურ ავტადორათ გვევლინება მიხეილ ჯავახიშვილი.

ჯავახიშვილი თვითონ ბორჩალოელია და ამის გარდა კავკასიის გეოგრაფია მისი სტიქიაა.

და ამიტომაც ჩვენ ყველანი უსმენთ:

გავიარეთ ყუმისი, კოდი, ვაშლოვანი, მარაბდა.

შორით დაკიდებულა იალღუჯის მთა და მარაბდის ზევით კიდევ ქოროლის ციხე.

ერთმანეთს სცვლიან საბელები: ბერღუჯის წყალი, სამშვილდე, ორბეთი, ბირთვისი, აშაგა სერალი, თრიალეთი, ალგეთი, აზოცი, ხუნანი, ბამბაკა, ლორი, ბეზობდალი, დებედა ჩაი, შულავერი.

ან და რომელ ერთს მოიგონებ.

აქ ითხრება ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლავვარდისა. აქ იცის ფრინველი მრავალი: ხოხობი, კაკაბი, იხვი ურიცხვი. აქ იცის თევზი მრავალი: ორაგული, ლოქო, წანარი, ზრამული, კაპოეტი. აქ იცის ხიზინ მწიწკალი: ბროწეული, ლეღვი, ზეთისხალი და სხვ. თითქოს სიტყვა-სიტყვით შემოიხრებოდა კრთხელობდეს ვახუშტის გეოგრაფიას.

მაგრამ მსმენელი ხალხი თანდათან დნება და სხვა კუპეში კიდევ კადრატს თამაშობენ:

მაღე ყველანი მილაგდენ და ერთი მეორესთან სანეტლაო დასდეს, ვინ ვის აასწრებდა დილას ადგომას.

მაგრამ ყველამ თვალი მხოლოდ მოატყუა. დილის ხუთ საათზე მთელი მატარებელი გაღვიძებული იყო.

მატარებლის გამყოლი ყველას სათითაოდ აღვიძებდა, ყარაკლის უახლოვდებოდა.

წამოვიკერით ზეზე, სახეზე ცივი წყალი გადავისხით.

ჩვენს წინ მთელი სიდიადით იდგა ლორის სილაიანზე. ალიონზე გაღვიძებული ტყე ზღვასავით მოვიარდნილიყო და უზარმაზარი წვანილოვანი კლდეები და ხომლები ცაზე დაკიდებულიყვნენ. გარშემო ფრინველების ყრიაშული იდგა და ჩიტები თითქო ვაგონებში მოფრინავდენ, ფუტკრებს კიდევ გუგუნნი გაჰქონდათ. ყოველ თვალის მონაცულებაზე მოსწადენ ფუტკრის სკები და მოჩაჩახე ნაკადულები.

ყველას ერთად მოგვაგონდა ოვანეს თუმანიანი, რომელიც სწორედ ამ ადგილას დაიბადა, მისმა ახლობელმა მეგობრებმა კარგად ვიცოდით, რასაც იძლეოდა ლორის მიწა, რადგან მისი მუდამ ღია სახლის კარი და გაშლილი სუფრა—სწორედ ნატურ-მორტი იყო მისი საყვარელი ლორის ნაყოფთა: და აქ უმთავრესად თავლი იყო სუფრის თავს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძინება ვერავენ მოასწრო, მაინც ყველას ცნობისმოყვარეობა ეტყობა და ყოჩალობა.

რამდენიმე სადგური კიდევ მატარებელი ებლა თითქო მუხლმოდრეკილი მიყვება მთის გრებილს და ძლივს მიჩოჩავს.

გამოჩნდა ყარაკლისა:

სადგურზე ხალხი ირევა. ჩვენ შესახვედრათ ამ ალიონზე აუარებულ ხალხს მოუყრია თავი. ისმის მუსიკის გრიალი... და მატარებელიც ჩერდება. ყოველთვის უზერზულობას იწვევდა ჩვენი დელეგაციების მოგზაურობის დროს, ის ამბავი, რომ ზოგიერთები დატვირთული იყვნენ ჩემოდანებით, ორივე ხელზე გაკავებული ზანდისბან ზოგი მწერალი საცოდავ შთაბეჭდილებას სტოვებდა—მაღე ყველამ მიყარ-მოყარა თავისი ბარგი და მოემზადა ალღუმის მისაღებათ.

იმდენი ხალხია, რომ ნაცნობს ვერცკი გაარჩევ: მაგრამ ზოგან ჯგუფებში თვალს მოკრავ, რომელიმე ძველ ნაცნობს და შორიდან ღიმილით მიესალმები. სომხეთის განათლების კომისარიატის სახელით დელეგაციას მიესალმა კომისარის მოადგილე ამხ. არტო ვეიზაროვი და მწერალთა ფედერაციის სახელით მწერალი ალაზანი.

ორივენი აღნიშნავენ: რა მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის ხალხთა მწერლების ერთმანეთის გაცნობას და კულტურულ კავშირს და ამის გარდა გამო-სთქვამდნენ სიხარულს, რომ საპივე რესპუბლიკის მწერლები წარმოადგინებდნენ თავს პირველათ: და მუსიკა ავრიალებდა ინტერნაციონალს, რისიღაცა ვაჟს და-ხილი. ჭარბველ მწერალთა დელეგაციის სახელით მიესალმა გრიგოლ რობაქიძე, თურქ მწერალთა სახელით — აბდულ რაჰიმ ახვერდოვი.

აქვე სადგურზე გამაჩნდა მიწადმოქმედების სახალხო კომისარი არამაის ერზიკიანი: ისიც ღორვლია და თავისი რევოლუციონური მოღვაწეობა ტფილისში აქვს დაწყებული, ამიტომ ბევრისათვის ისიც ძველი ნაცნობია.

სადგურის უკან გვიციდიდნენ ავტომობილები:

ჩაელაგდით და დავიძარიტ.

მინდა მოვიგონო და ვერ მომიგონებია ყარაქლისის სახე.

ისე აღელვებული ვიყავი, ისე ჩქარა გავიარეთ, თუ რა იყო არ ვიცი, მაგრამ ყველაფერი, რაც ვნახე სომხეთში თვალწინ მიდგა, ყარაქლისი კი თითქო გამოვარდა შეგნებიდან.

გაჩერდით ერთ-ერთ დასასვენებელ სახლში: ეს სახლი თურმე წინათ გუ-თვნოდა ცნობილ სოფდაგარს თაიროვს. ეხლა იქ მუშების დასასვენებელი სახ-ლია და უნდა ითქვას, იშვიათი ლამაზი და მოწყობილი სახლია. სახლს გარშე-მო არტყავს უზარმაზარი ბაღი, რომელსაც შუა გულში ჩაუდის დიდი წყარო, წყალი შეუგუბებიათ და აუშენებიათ საბანაო აუზები, ეხლა ჩვენ უფრო ლაზა-თიანათ დავიბანეთ ხელპირი და მოვიცილეთ მტვერი. უკვე ამდგარან დასასვენ-ებლათ ჩამოსული მუშები, პირს იბანენ და ბაღში სეირნობენ, ეს სახლი აღბაი-ასზე მეტ ავადმყოფს დაიტევს, თუმცა ყველა სახლები არ დაგვითვალისწინებია.

წაგვიყვანეს საერთო სასადილოში საუზმისთვის: ეხლა უკვე ყველასთვის იყო ის თათლი, რომელსაც გზაში ვხედავდით და არარატის კონიაკი. ჩვენ ჯგუფში უკვე დავასახელეთ დილის თამადათ სანდრო შანშიაშვილი, მაგრამ ჯერ კიდევ აღრეა: სიტყვები თქვეს მიხ. ჯავახიშვილმა, არ. ჭუმბაძემ — მაგრამ ჯერ ისევ პრელიუდიაა მომავალი ორატორიების.

აქედან მივდივართ ავტომობილებით ერევანში, უნდა გავიაროთ დელიეანი და სევანი.

მშვენიერი დარი დგას. ცა მოკრიალებულია და ლილის ფერი მთები გან-ცხრომით გაწოლილან.

მივედით დელიევანში: დელიეანი სომხეთის კურორტია, როგორც ჩვენნი აბასთუმანი. აუარებელი თეთრი სახლები მტრედების გუნდებივით დაკრულან მთებზე, ყველაფერს ეტყობა მზრუნველი ხელი, იშვიათი სისუფთავეა და სიწყნა-რე. აქაც გაჩერდით ერთ-ერთ სანატორიუმში.

ეს სახლიც თურმე წინათ რომელიღაც მდიდარ სომხს ეკუთვნოდა, ეხლა, რასაკვირველია, ჩამორთმეულია და აქ „მუშების ჯანმრთელობის სახელოსნო“ არის მოწყობილი.

შემოგვეგებნენ ექიმები და ტექნიკური პერსონალი.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა სომხეთის ჯანმრთელობის კომისარმა ამხ. ყარდაშიანმა.

აღნიშნა თუ რა მნიშვნელობა აქვს სამივე რესპუბლიკის მწერლობის დაახლოვებას და აგრეთვე ისიც, რომ სწორეთ წინათ ამ ინტელიგენციაში ჰქონდა ფესვი გადგმული ეროვნულ შუღლსა და ერთმანეთზე გადაქრდნაჲს. მწრომელ ხალხს ერთმანეთთან არაფერი აქვს გასაყოფი, ყველანი უნდა ვზრუნავდეთ სწორეთ ამ ხალხისთვისო და აქ მწერლებს უფრო მეტი მოეთხოვება: დაახლოვებით ასეთივე იყო ჩვენი დელეგაციის პასუხი: აქ კი პირველად ლაპარაკობდა აღმშენებლობის პათოსი: ეს იყო უფროსი ექიმი და ჰეორე წინწამოყენებული მუშა ამ სანატორიუმის გამგე: ესენი მოგვითხრობდენ, თუ რა ტანჯვა გამოიარა ამ ჟიანასკნელ წლებში სომხეთის ხალხმა და რამდენია დარჩენილი ობოლი და რომელთაც ესაქიროებათ ჯანმრთელობის რემონტი: აგრეთვე იმას თუ რადენი სიმდიდრე ჩნდება დელიჯანის ახლო-მახლო სხვა-და-სხვა სამკურნალო წყაროების აღმოჩენით.

აქაც მიგვიწვიეს საუბრეზე: იგივე სისუფთავე, იგივე თივაზიანობა: მაგრამ ეხლა მენიუს შოკოლადი და ყავა შეემატა.

გადავედით კიდევ დელიჯანზე.

აქ ჩვენ შემოგვეყარა აურაცხელი პიონერები, მოწაფეები და გლეხები მუსიკითა და დროშებით.

გაგრძენ აეტომობილები: ლაპარაკობენ მასწავლებელი კაცები და ქალები, მერე მოწაფეები.

ჩვენი მხრით სიტყვა სთქვა არისტო ჭუმბაძემ.—ეტყობა ა. ჭუმბაძემ ჰქვე დაიმორჩილა თავისი ხმა და მთებში ისმოდა მისი ძაბილი.

მოდჩის ტბა

სევანი

... შევეუდექით სემიონოვის უღელტეხილს: გავიარეთ თერამეტი მოსახვევი აღმართი და აეტომობილმა თითქო ძალა მოიკრიბა და დასვენებით ამოისუნთქა.

მთების ფერდობზე ჩარღმავებულ უბეში კვლავ მოსჩანს ჩარჩენილი თოვლი: და ეს ატირებელი თეთრი ლანქერი, თითქო იმ მტრედების გუნდია—რომელიც ბიბლიური გადმოცემით პატრიარქმა ნოემ გამოუშვა თავის კიდობნიდან, წარღვნის შემდგომ არარატზე რომ დარჩა:

მტრედებს უნდა გაეგოთ წარღვნის შემდეგ რა ხდებოდა ამ ქვეყანაზე.

ბიბლიური მოგონება აქ მართლაც სავალდებულოა და რაც უნდა დაბადებული ზღმერთო არ იყო ვერ დაივიწყებ იმ ადგილებს, რომელიც აწერილია „შექმნათა“ წიგნში.

მართლაც ეს ადგილი საკაცობრიო კულტურის უძველესი კერაა...

ამას განსაკუთრებით გრძნობ როცა მიუახლოვდები არარატს და წინ გადაგვლება უზარმაზარი მთის დაბლა დაღრუბული არარატის ველი.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ მარტო სემიონოვის უღელტეხილზე ვართ:

ეს გზა გენერალ სემიონოვს გაუკაფია და ამიტომაც ჰქვია სემიონოვის სახელი. საზოგადოთ, მე მგონია ასეთ ბუნების უზარმაზარ კმნილებას კაცის სა-

ხელი არ უნდა ჰქვიოდეს და მით უმეტეს გაუგებარია, რომ ეს სახელი დაუტოვებიათ, რადგან ეს დამპყრობელი გენერალი სემიონოვი ყველაზე ნაკლებათ ეგუება თანამედროვე სომხეთს:

ეს ჩემი შენიშვნა რასაკვირველია, არ ეხება ახალ ქვეყნების აღმოჩენის გამორებს: როგორც კოლუმბია, ამუნდსენი ან ნანსენი: და სხ. ამ ხალხს მართლაც ეკუთვნის ბუნების მგორვეერ შექმნა.

როდესაც ტფილისიდან მივემგზავრებოდით, სომხეთის მწერლებმა შემოგვითვალეს სახამთრო პალტოები წამოგვედო:

ჩვენც დავეჯერეთ, მატარებელში ეს ბარგი მხოლოდ ხელს გვიშლიდა, ყარაღლისშიც ვერ მივხვდით რა საჭირო იყო ეს გაფრთხილება, მაგრამ ამ უღელტეხილზე კი ჩვენ ტროპიკულ რეისს შევრჩია არკტიკის სიცივე და დავრწმუნდით, რომ კარგად გყოფილვართ გაფრთხილებული: ადვილი წარმოსადგენია მართლა რა იქნება აქ ზამთარში და ვასაგებთა რატომ დამაღლულან სახლები მიწაში და რატომ აურჩევია აქ გლუხს თხუნელას ხერელი.

მიუხედავით სიცივისა, გზაზე საშინელი მტვერის ბული სდგას, და ჰაერით გაბერილ ფილტვებს ქვარტლათ ეღება:

ექვსი ავტომობილი ერთმანეთს მისდევს, ისმის მოტორის რაბრაბი. თითქო ყუბაბა სკდებოდეს და ხან აქ ავარდება მტვერის ქარი და ხან იქ:

ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მანქანის ძალა და შოფერის სიმარჯვე თუ გიხსნის, საჭიროა ყველას გაუსწორო წინ: არ ვიცი ჩვენ დავედო პატივი შოფერმა სედრაკმა, თუ თავის საყვარელ არამაისს, მხოლოდ ისე კი მოხდა, რომ ჩვენ ყოველთვის წინ მივდიოდით, მართლა მაგარი გულია საჭირო, რომ აქ დამშვიდებით იყო, რადგან ეს გზა ნამდვილი ბეწვის ხილია—ერთი გადაქანება და თვალწუწდენი ჟფსკრული შემოგანათებს თვალბში და თავს ბრუ გესმის: ეს გზა ძალიან მიაგავს მლეითის აღმართს ამ ადგილას, ისე კი უფრო ცივ გომპორის მთებს მიემსგავსება:

ჩვენ ყველანი ხედვით ვართ გადაქცეული, სადაც არის ან უზარმაზარ მთის ფლატოზე უნდა გამოჩნდეს გოჭის ტბა—ანუ სევანი, ძველი ქართულით ამ ტბას გელაქუნის ტბაც ჰქვია.

მე მგონია სწორეთ ეს უწყალობა ედვა საფუძვლათ დაშაყელების ტიმერიულ დიდ სომხეთზე ზღვიდან ზღვამდე.

მაგრამ უეჭველია, არც ისე გაზვიადება შეიძლებოდა ამ მიზეზისა:

თითქო წინდაწინ კითხულობდეს შენ ვაფიჭრებას, იღიშება თავისი აუწყრელი ღიმილით არამაის ერზიკიანი და იგონებს ერთ ამბავს:

როდესაც სულთანის ყიზილბაშები შესრას ავლებდენ სომხებს, ერთი სომხეთის მეგობარი ინგლისელი შეკითხებია ინგლისის თემთა საბჭოში მაშინდელ პრემიერს, გვარიც ახსენა მაგრამ არ ჩამიწერია, რა ზომებს იღებს ინგლისი სომხეთის დასაცავათო: ამ კეჟა მახვილ პრემიერ მინისტრს კიდევ უპასუხია:

საუბედუროთ ჩემი დრედნოუტები ვერ ავლენ არარატვო:

უეჭველია ეს პასუხი კეჟამახვილობისათვის იყო ნათქვამი, ინგლისელი არასდროს არ გაუშვებს შემთხვევას კალამბურის სათქმელათ. ჩვენ ებლა

ყანა სბეწვის ხიდიდან ჩამოვარდნილი და შემთხვევითი გადარჩენილი ხალხი არი დასახლებული:

ვისაც მხოლოდ გაზეთების ქრონიკა წაუკითხავს, თუ როგორ იტყობდა მუსრს აქ ენვერ ფაშას არმია იმპერიალისტურ ომის დროს, ვინც იცის ყოფილი მეფის ჯარის გენერალებიც როგორ უთაყებდნენ ხელს სომხების ელექტას, აგრეთვე კავკასიის ფრონტის მოშლის შემდეგ როგორი რისხვით გაიარა აქ ოსმალეთის ჯარმა, და ვარშემო დასახლებულმა მუსულმანებმა ტომებშიც, როგორ გაიწაფეს ხელი ლტოლვილთა ელექტაში, მას კიდევ არ აქვს წარმოდგენა, თუ რა ჯოჯოხეთის გენია ყოფილა აქ დატრიალებული.

უნდა თვალთ ნახო ეს ნაფუხარი, გაოხრებული, გაპარტახებული და მოსპობილი მიდამო, რომ ვაიგო, თუ რა გადაუტანია აქ ხალხს და გაიკვიროვო, რომ კიდევ დარჩენილა აქ მოსახლეობა.

ვიტორ შკლოვსკის „სანტიმენტალურ მოგზაურობა“-ში მოყოლილი ამბები, მხოლოდ ლიტერატურაა—იმ უბრალო საუბართან შედარებით, რომელსაც მოისმენთ, ამ ეპოპეის გადარჩენილთაგან.

რასაც ოსმალის ჯარი ვერ გაწვდა, ის მოათავა პარტახტიანმა ტიფმა და შიმშილმა: სწორედ აქ სევანის ნაპირზე ყოფილა მთავარი ბანაკი ლტოლვილებისა—ეს უზარმაზარი ტბა, თურმე მაშინ რალაც ვეებერთელა მორგვს წარმოადგენდა, სადაც მკვდრების გახრწნილ ორმოებში სულს ლევდა ჯერ კიდევ ცოცხალი ხალხი.

გახრწნა კიდევ უფრო ამძვინვარებდა გადამდებ სენს...

ზოლშევიკებს აქ ხალხი უხსნია ფიზიკურ განადგურებისაგან, კიდევ ცოტა რომ დაგვიანებით მოხდენოდათ მოსვლა, აქ ამბის მომტანი კაცი არ დარჩებოდა და როგორც ნათქვამია, სომხეთის ხალხი „ალიგებოდა პირისაგან მიწისა.“

ეს იცის ხალხმა და მართლაც საბჭოთა ხელისუფლებას მაგარი ფესვი აქვს ამ ქვეყანაში, კლასობრივი ინტერესის შეგნებას, რომელზედაც დამყარებულია კომუნისტური, აქ ემატება, მოსპობას გადარჩენის გრძნობა, რომელსაც ყოველი სომეხი გრძნობს.

და ამიტომ არსად ისე დაწაფებული არ მინახავს ხალხი აღმშენებლობას, როგორც აქ:

ამ ენტუზიაზმს თქვენ წაიკითხავთ სახალხო კომისარის, ინტელიგენტის, გლეხის, მუშისა, მწერლისა და ქვის მთელის თვალში:

აქაც სევანში: ამ ბუნების სანაბნობასთან ერთად დაუწყიათ დიდი მშენებლობა: თითქმის მთავებულა უზარმაზარი საცოვებელი, ეს თევზების წარმოებისთვის არის საჭირო, სევანი მთავარი აუზია თევზის წარმოებისა:

აქ არის გამართული ინტელიგენტური სადგური: აქ მე გადმომიცეს ამ სადგურის მეცნიერული ნაშრომები, ამ წერილში შეუძლებელია ამ მასალების გამოყენება. ისე კი უნდა ითქვას, რომ ეს ტბა მთელ მსოფლიოში იშვიათი ღირსების ტბაა, და ამის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. პროფესორი ფორტუნატოვი, ერთი იშვიათი ენტუზიასტი მეცნიერია, რომელიც დიდხანს მუშაობს ამ ტბაზე, ჩვენი ყოფნის დროს, ის იქ არ იყო, მაგრამ მას არა ნაკლები ენტუზიასტი თანამშრომლები ჟდეს და ჩვენ დაწვრილებით გავეცანით ამ სადგურის მუშაობას:

გემი მზათ არი და უნდა წავიდეთო, მაგრამ სანამ გეშე დაეძინებოდით, თავს იყრის აქაურ შკოლების პიონერები, კომკავშირელები და მალე წავთსადგურზე მთელი მიტინგია, ისმის დაუდაფების ხმა და სიტყვები: „მეცნობითა—ლაპარაკობენ თვალებითაც და სახითაც. ოგივე ენტუზიაზმს, ოგივე ახალ ცხოვრებით ვატყობა.“

დაესტედიო გეშე: სევანის ტბა მართლაც ზღვისავით არის, თვალი ნაპირს ვერ გაწელება, მისი რადიუსია 76 ვერსი სიგრძით და 3ნ სიგანით, სიღრმე კიდევ რამდენიმე ასი მეტრი: აქ მგონია დრედნაოუტის ატურებაც შეიძლება: ორთქლმავალი ჭრის სევანის ლურჯ ტალღებს, თანდათან ეშორდებით ნაპირს და მივიღვართ ტბის კუნძულზე აშენებულ მონასტრის სანახავათ:

უკეთესს ადგილს ციხისა და მონასტრის ასაშენებლათ მართლაც ძნელათ მონახავდენ, უნებურათ გიპყრობს სიღიადე და გრძნობ რომ რალაც გადასულ უზარმაზარ კულტურის გავლენის ქვეშ ხარ:

კლერიკალებს და ფეოდალებს ცოდნით, როგორი ჩარჩო მოუხდება მისტიურ გრძნობას და ცდილან გეოგრაფია კარგათ გამოეყენებიათ:

იშვიათად იქნება კაცი, რომ აქ მართლა გული არ შეუღონდეს და რალაც ზეადამიანური გრძნობა არ განიცადოს: უზარმაზარ ტაძრები ერთმანეთს ეხვევიან, ეხლა ყველაფერი გაუქმებულია, კაციც ვერ ვიპოვეთ, ტაძრების კარები გაეღო, შიგნით კედლები დაგვეთვალეირებია.

ამბობენ აქ იშვიათი ფრესკები ყოფილა და მოზაიკური მხატვრობაც.

ჩვენ მხოლოდ ხვრელებიდან ეიკვირტიბოდით, ამ დახვსებულ ქვებიდან, რომელსაც ბაიას ფერი აქვს და მზეზე გასაოცრათ ბრჭყვიალებს, ვეიცქროდა ათასი წლის გადასული ისტორია.

ეხლა ამბობენ რომ ამ მონასტრის მიდამოში უნდა გააშენონ კლიმატიური სადგური და თვითონ სევანი აქციონ კურორტათ.

უქველია სევანს აქვს კურორტის მომავალი, მაგრამ როგორც ყველაფერი ეს რესურსებზე არის დამოკიდებული და ეტყობა მალე შევა სამეურნეო გეგმაში და რამდენიმე ხნის შემდეგ აქ თვალწარმტაცი აგარაკი გაშენდება:

სევანს აქვს ყველა ელემენტები ზღვის კურორტისა:

წინათაც თურმე არსებობდა პრაექტი ამ ტბის ელექტროფიკაციისა, ინგლისელ ინჟინერს სტიუარტს უთხოვია კონცესია პიდრო სადგურის ასაშენებლათ, მაგრამ ეს ყოფილა ომამდე.

ახლაც ახდენენ ცდებს ელექტრო-სადგურის ასაშენებლად, მაგრამ სომხებს ისე ეშინიათ ტბას არაფერი დაემართოს, ისე უფრთხილდებიან მას, რომ ერთსა და ორ გამოკვლევას არ დაუჯერებენ:

აქ მხოლოდ მაშინ აშენდება ელექტრო-სადგური, თუ სრული გარანტია იქნება, რომ სევანს კატასტროფა არ მოუხდება.

აქამდე სევანს კი დარჩენილი აქვს ძველი კოლიზის ელფერი, თითქო მისი მიდამო არ გამოცვლილა მის შემდეგ, რაც ოთხმოცდა რვა წლის წინათ აწერა პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ — მართლაც „გოქნის ტბა“ მის ლექსებში საუკეთესოა. როგორც ცნობილია, ალექსანდრე ჭავჭავაძე 30-ათიან წლებში მთელი სასომხეთის უფროსი იყო და ეს ლექსიც აქ დაუწერია: და

ჩვენ თვალწინ იქმნა ეს ძველი ტბა „ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მზადავი“ „ვით ბროლი გულუბრყვილო, წმიდა, უძრავი“, რომელიც თავის შორის ჰხატავს ცისა ლაქვარდს და მათათა მწვანეთი:

„სად ჰყვავებულან, დადებულათ ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა.“

აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი

აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხედრი უცილო!

შემდეგ იწყება მოგონება, თუ როგორი იყო: ჩოგნის ტაცება ჰაბუკ მხედართ გამოსაცდელათ, შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა და ისარით სროლა, თუ როგორ ამადლებულან ეს შაენი ქეები ურთიერთთა კავშირობით.

თუ როგორ მუდარა აქ განცხრობით გამწვენებული ძალი მალალს ტახტსა ამაყათ, წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა:

აქ მოცემულია შეუდარებელი რომანტიული სევდა გადასულ სიყვარულისა:

ტრფილნი აქაც შემკვალულან კვლავ ერთმანეთთა
რამდენ ბანოვანთა შეენებანი ახლათ მშლილობნი
ქაელის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას,
ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი და გიშრის მწყობნი,
რამდენ გზის ტურფათ გარდღულია სარკვესა წყლისას...

და ყველაფერს ამას მაინც ბოლო ერთი აქვს, ყველაფერს წარწყმედს დრო თავის მსვრელი ცვლითთ: აქ მოცემულია მიმავალი ფეოდალური კლასის საუკეთესო ოსტატის გულგატეხილობა და ამოებვის გრძნობა:

თითქმის ასი წელია ამის შემდეგ, ბუნება ისევ ასეთია—იგივე ძველი კოლიზეის ნანგრევები, ამ ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწელში გოჭის ტბამ უფრო მეტი საშინელება განიცადა, როცა მისი ნაპირი შეყვარებულ მოჯნურებს კი არა ხედავდა, არამედ დაუშარბავ აყროლებულ ათასობით ლტოლვილებს და იქ მგალობელ მფსალმუნე ბერების მაგიერ ტყიდან გადმოვარდნილი აფთარები და ტურები ღმუოდენ და ლეშით ვერ ძლებოდენ.

მაგრამ მაინც აქ საგრძნობია ახალი ცხოვრების დაბადება, და შეიძლება არსად არ იყოს ისეთი კონტრასტი—ძველისა და ახლისა, როგორც აქ ამ გოჭის ტბაზე.

აღექსანდრე ჭავჭავაძეს ამ პოემაში აქვს ორი ვარიანტი, როდესაც ასწერს ამავე ადგილს, როგორც საქარავნო გზას, სადაც სავაჭროთ მდიდრათ წყობილანო, თან უმატებს:

სომეხნი მკრთალნი, ხელოვანი მომგებლობისაო.

მეორე ვარიანტი ასე იკითხება:

სომეხნი მხენნი, ხელოვანი მომგებლობისაო.

რასაკვირველია, მნიშვნელობა არ აქვს დღეს ჩვენთვის, პოეტი მხნეს თუ მკრთალს უწოდებდა მომგებლობის ხელოვანთა.

უბეველია, ის ანგარიშს უსწორებდა მაინც ახლათ ფეხადგმულ სომხეთის ბურჟუაზიის „მომგებლობის ხელოვანთა“.

დღეს კი სევანზე არ არიან „მომგებლობის ხელოვანნი“—აქ წილს იმაგრებს, უიასავით შუაზე გაწყვეტილი მშრომელი ხალხი, რომელმაც ასეთი ჯოჯობებით გამოიარა, სწორეთ ყველა ქვეყანათა „მომგებლობის ხელოვანნი“ წყალობით, რომელმაც ეხლა იმპერიალისტური სამყარო პქვიანს **ИМПЕРИЯ**

თუ მხნეობა და ხელოვნებას იჩენს დღეს ეს ხალხი, მხოლოდ ახალ ცხოვრების აღმშენებლობაში, ეს ვიგობებით ჩვენ ქართველმა მწერლებმა სევანის ტბაზე და ამას ვეუბნებით ჩვენ ხალხსაც, რადგან სხვა მხნეობა არ სჭირია დღეს არც ჩვენ ქვეყანას ვარდა ოფლისა ტ შრომის მხნეობისა და აღმშენებლობის გულდადებისა და აქ კი მეზობლებმა უნდა იცოდენ ერთმანეთის მუშაობის შესახებ.

* * *

ოთხი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ დავბრუნდით მონასტრიდან ნაპირზე. ავტომობილით ერევანიდან ჩამოსულიყო მწერალთა ერთი ჯგუფი. ავტოცი ისაკიანისა და დერენიკ დემორჩიანის მეთაურობით.

ოროვე ჩემი ძველი ნაცნობია: სევანზე შეხვედრა უფრო გაგვიხარდა.

იქვე, ტბის ნაპირას, გაიმართა სუფრა:

ეს სევანის ტბა ანკარა და ლაჟვარდი, ხალხის ვადმოცემით, თითქო ცრემლებიდან არის აღმოცენებული, წარსულში სომხეთის ხალხმა, ბევრი ტანჯვა გამოიარა, ამბობს დერენიკ დემორჩიანი, თავის სიტყვაში, მხოლოდ დღეს იწყება მისი ნამდვილი ცხოვრება შრომისა და მშვიდობიანობის ატმოსფეროში:

განა უნდა თქმა, ჩვენი მოძმე რესპუბლიკების საუკეთესო მწერლების სტუმრობა რომ გაგვიხარდა. ჩვენი გულებიც ისევე სუფთა იყოს, როგორც სევანის ტალღები,—რომ მშრომელ ხალხს გაუადვილოთ ახალი ცხოვრების შენება და ჩვენერგოთ მოძმე ხალხთა შორის მეგობრობისა და ერთობის გრძნობაო.

ჩემ საპასუხო სიტყვაში დაახლოებით ისა ვსთქვი, რასაც ეხლა ვწერ. მაგრამ მგონი ვერც მაშინ და ვერც ეხლა ვერ ვნახე სიტყვები, ამ გრძნობის ვადმოსაცემათ, რასაც იმ წამში ვგრძნობდი—გოჭის ტბის პირას, რომელიც ამიერიდან ჩემთვის მარტო პოემის სათაური კი არ არის, არამედ ნაწილი და განცდილი ადგილია.

მაგრამ წინ კიდევ დიდი გზა გვიძევს და ჩვენც სამქაროთ ავიშაღენით.

ა რ ა რ ა ბ ი

დაწყებული ყარაკლისიდან, დელიჯანი და სევანიდან—ერევანამდე გზაში გვხვდებოდა მომთაბარე ხალხი. თათრები ყაზახიდან მოდიოდენ მთებში—ცხვართან. ვისაც უნდა წარმოიდგინოს რა იქნებოდა ხალხთა დიდი ვადასახლება, ან რა იქნებოდა აზიურ დამპყრობელთა ურდოები, შეიძლება აქედან იქონიოს წარმოდგენა: მომთაბარე თათრებთან მოაქვთ მთელი თავისი ქონება: მათი დიდი ჩარდახიანი, ხალიჩებით ვადაკრული ურშები საესეა ზამაკით: უზარმაზარი ქვაბები, ქუჭკიანი ლოგინი, უთვალავი ბავშვები, მაგრამ ამ ჯურღმულში თვალს ვერ შეატან: კამეჩებს ან ხარებს წინ მიუძღვის დიდ ხანჯლიანი თათარი, ხში-

რად დედაკაცებიც, მაგრამ ეს დედაკაცები ისეთი შესახებდავია—რომ ზეგრ ვაჟ-
კაცს ფერს უცვლის და გააფითრებს. როცა ღრმები გაიჭედება გზაზე და ავტო-
მობილი ვერ გადის, როცა კამუზები დაფრთხებიან და მიაღწევენ *მწველი* უნდა
შებნეთ როგორია მაშინ მეურნეები, ცოტა არის, ხანჯალზე უნდა *მწველი* და-
იდოს ხელი. ჩვენმა სედრაქმა იცის, რომ მათი ვულისწყრომა ხათაბალაა გასაო-
ცარი, ოსტატობას ხმარობს, მიატანოს მანქანა ზრამს, მაგრამ ლამის ეხლა ჩვენ
წაგვივიდეს გული—როგორც იქნება გაიარს ერთი ურემი და მიჰყვებიან სხვები:
ურემებს თან ახლავან ვეებერთელა ნავაზები, ზოგჯერ ნავაზი ურემზეა მიბ-
ნული, ზოგჯერ კიდევ უკან მიჰყვება დინჯათ—ერთი მაგრაით დაიყუფებს და
ყუფის ხმა დაიკარგება მთაში—ავტომობილიც როცა გზას იშვების თავდავიწყე-
ბით ვარბის: ირგვლივ ხშირია ნასოფლარი, წინათ ეს სოფელი აყრილი იყო,
ეხლა კიდევ დაბრუნებულან, მაგრამ მაინცა და მაინც არც სოფელი ახდენს სო-
ფლის შთაბეჭდილებას: მიწური სახლები სადღაც ჯურღმულეებში იკარგება, ვერც
კი წარმოვიდგენია, აქ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა.

ამ გზით როცა მოგზაურობ, სომხეთი სრულიადაც არ სტოვებს მწირი ქვეყ-
ნის შთაბეჭდილებას, მაგრამ რაც უფრო უახლოვდები ერევანს, უფრო და უფრო
ტიტელდება მიდამო და უდაბური ხდება.

გზაზე ჩვენი ლოდინი სულ არარატია.

ცოტა ხანიცა და გამოჩნდა თეთრი გოლიათი, გვერდით კიდევ თითქო პა-
ტარა მხა ან წვილი ჰყავდეს მოსჩანს პატარა არარატი: არარატი პირდაპირ
მიწიდან აღის ზევით, წინ არც ერთი მთა არ აქვს, როცა შეტყურობ მყინვარს,
ზოგჯერ ვერც კი ამჩნევ რომელია მყინვარი, ისეა მის გარშემო დაყრილი უთ-
ვალავი მწვერვალები, ზოგიერთი მათგანი არც კი ჩამორჩება მყინვარს სიმაღ-
ლით—აქ კი არარატი სომხეთის მხრიდან მარტოა, როგორც კალსი, თითქო
საფუძველი არც კი აქვს, ისე პირდაპირ მიწიდან არის ამოსული.

და უეჭველია თავში ვაგიარს ბიბლიური თქმულება და წარღვნის ამბავი.

საზოგადოთ არარატი სომხეთის ხალხს არ უყვარს, ჩვენ გვითხრეს, რომ
სომხურ ხალხურ თქმულებაში არარატი, თურმე, არ არის სიყვარულის საგანი,
ის იმდენათ გამოუსადეგარია, იმდენათ ყამირი, უწყალო და უბარაქო, რომ ვერ
უძლებს ალაგებთან შედარებას, ალაგები კიდევ მეორე დიდი ყინულის მწვერვა-
ლია სომხეთში, ალაგებს სომხები ეტანებან თავიანთ დედას და უჭებენ საძოვ-
რებსა და წყალს, ალაგები მიჩნეულია ადგილის დედათ. მაგრამ ბიარწობა და
ყამირობა არ უშლის მაინც არარატს იყოს მედიდური და ზეიადი—და როცა
კაგრი დარია, ჩვენ სწორეთ ამ კარგი დარის ზონაში მოვხდით იქ, მისი თეთრი
ყინულის გვირგვინი ანათებს სიშორიდან. თან ისეთი გრძნობა აქვს მგზავრს,
თითქო არარატის ქვეშ არის და ეს არის ხელით შეეხება, მაშინ როცა არა-
რატი ნამდვილათ ის კილომეტრზე მეტით არის დაშორებული.

არარატის ქვევით კიდევ გაშლილია თვალუწვდენი არარატის ველი, ვი-
საც ალაზნის ველი უნახავს სიღნაღიდან, მას, რასაკვირველია, ვერ ვააკვირვებს
არარატის ველი, მით უმეტეს, რომ ის არ არის მწვენი ტყეებით დაბურული, მაგრამ
მაინც არაჩვეულებრივი სანახაობისაა: გგონია კიდევ რომ მას არ აქვს საზღვარი
და ხელში რომ არ შინჯავდეს რუქას, იფიქრებ არაბეთის უდაბნოში მოვხვდეთ.

პირდაპირ არ გჯერა, რომ ერთ დღეს კაცმა ამდენი სანახაობა ერთი ნახო. ყარაკლისი, დელითანი, სევანი და არარატი, მაგრამ ეს ფაქტია და მალე ერევანსაც უახლოვდებით. გზაზე მეტი მოგზაურობაა, ჩვენ შესახებ ვერც მოსულან ავტომობილები, მაგრამ ისეთი მტვერის ბოლი სდგას, რომ ჩვენს მანქანაში ბილშიც ძლივს ვარჩევთ ერთმანეთს.

მართალი რომ ვსთქვა, მე მტვერი სრულიადაც არ მაშინებს და არც მაწუხებს, მაგრამ ჩვენ ისეთი „მტვერის ავადმყოფობით“ შეპყრობილი ხალხი გვიჩის ავტომობილში, რომ ამას როგორ გავაძლავებ, და ამიტომ უნებურათ მეც ვიფურთხები და ვიწმინდ მტვერს, ისე კი მტვერში ვამჩნევ, აქლემების ქარავანს და რატომღაც უსაზღვრო სიყვარულით ვივსები ამ ცხოველებისადმი. აქამდე არ ვიცი რატომ მიყვარს ასე აქლემი, არასდროს ქარავანს არ ვხვდებივარ, არასდროს ცხელ ქვეყნებში არ მიმგზავრია—მაგრამ საკმარისია შევხედო აქლემებს, რომ გული რაღაც სიამით ამეგსოს და ტანში ყოფანტელმა დამიაროს, ამას წინადაც, როცა მარაბდაში ვიყავით და დღამებისას ყუმისში ვნახე საპალნეებით დატვირთული აქლემები, ლამის სიბარულისაგან გული გამიიწერდა.

სალამოვდება—ნისლი თანდათან ეხვევა არარატს და ღრუბლები იკუმშებიან, მალე სადაც არი, თეთრი ორთქლი აიტაცებს ამ გიგანტს და ცას შეუერთდება:

მართალია ამ ადგილთან არ არის შეერთებული პირდაპირ, მაგრამ მაინც მაგონდება ჩვენი მეურმეების სიმღერა აღზევანს რომ მიდიოდენ მარილზე: თითქო მესმის ვანო სარაჯიშვილის ნელი ჭკითინი:

აღზევანს წაეღო მარილზე
მარილს მოვიტან ბროლსაო
ჯერ დედას გადაეხვევი
მერე შვილსა და ცოლსაო...

ასე მგონია ვხედავ ქართველ მეურმეების ქარავანს და ათასი ხმა მღერის ამ ურბულს და ასე უახლოვდებით ერევანს, ერევანის სიახლოვეს ქართულ რომანტიულ წარსულში გადაყვებით აქ ჩვენ გვაგონდება გრიგოლ ორბელიანის: „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს“... მალე ამ ერევნის ციხესაც ვნახავთ:

— ქალაქი, უმკვილია, არ მოგეწონებათ, ძველი მიყრუებული პროვინციის სამაზრო ქალაქია, მაგრამ მდებარეობა დიდებული აქვს, სულ ბაღებშია ჩაფლული, ზანგის მდინარეც მოგეწონებათ—მაგრამ ნახავთ, როგორ ვამშენებთ ჩვენ ახალ ქალაქს, გვეუბნება არამაისი.

ჩვენც მის სანახავად ვართ წამოსული.

ზედ ერევანთან უზარმაზარი მთის ხომლებია და საღამოს მზეზე უცნაურათ ბზინავს.

შემდეგ ჩვენ გავიგეთ სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ტერ-გაბრიელიანი-საგან, რომ უკანასკნელმა გამოკვლევამ აღმოაჩინა მოსკოვში, რომ აქედან შეიძლება სილიკატის წარმოების მოწყობა.

ლამდებოდა როცა ჩამოვედით ერევანში და გაეჩერდით ახალ სასტუმროში.

ვერ მოვასწარით ავტომობილიდან ჩამოსვლა, რომ თავზე დაგვეცხა ტოტო-გრაფებისა და კორესპონდენტების ურდო.

მართლა რა კვიმატი ხალხია, მიმინო ის ევამწარებით არ დააჩხრანთ თავზე კრუხის წიწილებს, როგორც ეს სენსაციის მოყვარული ხალხი დაღლილ მგზავრებს.

მადონა

ჩვენ ვიცოდით, რომ ერთად ერთი უზერბულობა ამ მგზავრობაში ის იქნებოდა, რომ ბინას ვერ ვიშოვიდით. ამის შესახებ ჩვენ წინადაც ვყოფილვართ გაფრთხილებული და ეს ერთად ერთი იყო, რაც ჩვენ მასპინძლებში იწვევდა ცოტა შიშს.

ერთად ერთი დიდი სასტუმრო ერევანში, — ახალი სასტუმრო, მხოლოდ წელს დაასრულეს, მაგრამ სასტუმრო ამას სახელათ ჰქვია, ისე უზარმაზარი საერთო სახლია და აქ ოჯახობით ცხოვრობენ სომხეთის პასუხისმგებელი მუშაკები.

როგორც იყო მაინც მოვეწყვეთ, ჩვენი ოთახი სამისთვის იყო გამზადებული მაგრამ ნიკოლოზ მიწიშვილმა, როგორც ერთხელ ნოემ კილობანში დაიწყო ხალხით შეგება და ბოლოს ხუთამდე კაცი მოვხვდით, ძირს კი უფრო დიდ დარბაზში გამართული იყო 18 კაციისთვის ბინა და სხვაგან ათისთვის. ჩვენ ოთახში ერთი აზერბეიჯანელი მწერალი ჰუსეინ-ჯავიდ გვერია და ძალა უნებურათ უნდა მოვრიდებოდით, მაგრამ ჩვენი მორიდება, რაში ღონდა გამოხატულიყო, უმთავრეს უზერბულობას იწვევდა ჩემი და სანდრო შანშიაშვილის ძილში ხერინვა, რომელიც მთელ ამ მოგზაურობის დროს ერთ უბედურებათ გადააქცა.

დაღამდა. მიგვიწვიეს კომუნარების ბაღში სავახშმოთ: ეს ბაღიც წინათ ლტოლვილთა ბანაკი ყოფილა და ხალხი ვერ აღიარდა აქედან მკვდრების გაზიდვას.

ებლა ბალი მშენიერი სანახავია — ორგელივ ეზოები შემოუერთებიათ და უზარმაზარი ბალი გაუშენებიათ: ბაღში მოწყობილია თეატრი, კინო და რესტორანი.

ვახშამზე დაიწყო დღევანდელი შთაბეჭდილების გაზიარება.

ყველამ ენა ამოიღვა:

ერთმანეთს შეებმენ არისტო ჭუმბაძე და თურქი მწერალი, რომელიც ერთად ერთი წარმომადგენელია აზერბეიჯანში გლეხური პოეზიისა საანლი. როცა მან გაიგო სანდრო შანშიაშვილის შესახებ, რომ მასაც გლეხური განხრა აქვს პოეზიაში, ძალიან დაუახლოვდა და ყონალამა შეჭუცია — მგონია მათ მართლა გადაწყვიტეს დაარსონ გლეხური პოეტების კავშირი ამიერკავკასიაში.

სიტყვა სიტყვას სცვლიდა — მაგრამ ამ დღეს მაინც გ. ჭუჩუშვილის ტემპერამენტი ყველას სჩაგრავდა.

სიტყვების თემა ერთი იყო, ამიერ-კავკასიის ხალხთა მწერლობის ერთმანეთთან გაცნობა და დაკავშირება:

ყველანი თავისას ამბობდენ, ყველანი იგონებდენ თავიანთ ცხოვრებიდან ეპიზოდებს, საერთოდ ეპიზოდების მოგონება ძალიან ეხერხებოდათ თურქებს. ჩვენში ყველაზე უფრო ინტერნაციონალური აღმოჩნდნენ: მიხეილ გვირგვინიშვილი და ი. გრიშაშვილი, მიხეილ ჯაქაბიშვილი თათრულადაც ამბობდა სიტყვას და სომხურადაც — როცა გაუჭირდებოდა რუსულზე გადავიდოდა.

ბორჩალოს, სადაც ის დაბადებულია და აღზრდილა უსწავლებია მისთვის ეს კავკასიის ლინგვისტიკა, მაგრამ მერე თანდათან დაეიწყებია — ყოველ შემთხვევაში აქ ყველაზე უფრო ეხერხება ლაპარაკი.

იოსებ გრიშაშვილიც კითხულობდა თავის თარგმნებს სომხურ ენიდან — უმთავრესათ ოვანეს თუმანიანს.

სომხების მწერლები უმთავრესათ სომხურათ ლაპარაკობდენ, და ამ სიტყვებს თავისუფლათ სთარგმნიდა არამისი, მაგრამ ეს თავისუფალი თარგმანი იყო სწორეთ, რომ იწყვედა დიდ ალიაჭოსს, რადგან არამისს შიგადა შიგ შექმნიდა თავისი კომენტარიები.

მუსიკა უკრავდა ნამდვილ ინტერნაციონალს.

სომხურ სიმღერას, სცვლიდა თათრული და უფრო ხშირათ კიდევ ქართული. ყველაზე მეტი გასავალი ჰქონდა ყივჩაღურ ჰიმნს, მოზდოკის ლეგერს, რომელიც ჩვენ პირველად ფუნქციონირზე აღმოვაჩინეთ: ამ სიმღერას მღეროდა ქართველ ებრაელთა დასტა:

ანე ბიჭო, ასე...

ერთხელ შემეყვარდა.

პატარა გოგონა...

ამ რიტმზე არის აწებებული ახნეტელის „ანზორი“ — აულის სცენა და ნ. შენგელაიას ცეკვის კადრი „ელისოში“.

* * *

მთელ ამ მოგზაურობის დროს ჩვენ ყველაზე უფრო გვაგონდებოდა ოვანეს თუმანიანი. ოვანეს თუმანიანი თითქოს უხილავათ ჩვენში იყო. ის იყო პირველი ენტუზიასტი ამიერ-კავკასიის ხალხთა მწერლობის დაკავშირებისა. მისი სახლი ამის ნამდვილი შტაბი იყო. მახსოვს, როცა საქართველოს განათლების სახალხო კომისარმა ო. თუმანიანი პენსიონერთა სიაში ჩარიცხა, ოვანესმა მიგვიწვია თავის ბინაზე ამალღების ქუჩაზე, აქ იყო მთელი ქართველი მწერლობა და აგრეთვე სომხური მწერლობაც, ამ ბანკეტს დაესწრო დავით კანდელაკი.

დაუვიწყარი სიტყვები ითქვა იმ ღამეს: ბევრი იმ მწერლებისაგან დღეს კრებალიც არ არიან, როგორც თვითონ ოვანეს, შიო არაგვისპირელი და კოტე შაყაშვილი.

პირველი დეკლარაცია ხალხთა შეგობრობაზე და ერთმანეთის გატანაზე ვასილ ბარნოემა წარმოსთქვა.

ოვანეს თუმანიანის იუბილე სანახევროთ ქართველმა მწერლებმა გადაიხადეს ტუვილისში, „ჰაიარტუნში“, რომლის თავმჯდომარეც იყო განსვენებული ო. თუმანიანი — ხშირად მართავდა ქართულ მწერლობის შესახებ მოხსენებებს, ზოგიერთ ამ მოხსენებებს ისტორიული ხასიათი ჰქონდა. ყველა ჩვენ გამარ-

თულ საღამოზე ოვანესი საპატიო წევრი იყო და არასდრამს ხელუკრებელი არ მოვიდოდა.

მისი ლექსი „ქართულ პოეტებს“ სწორედ ასეთ საღამოზე უნდა წა-კითხული.

დღეს ხალხი სისხლით, თუ იწურება
ეს დაგვრჩეს მაინც ძველ გაკვეთილათ,
რომ ერთი ერის უმბედურება
ვერ გადიქცევა სხვისთვის გეთილათ.

ვის შეუძლია რომ გადაგეთელოს,
ჩვენ სულში ლმერთი არ იწვის განა?
დე იგრძნოს ყველამ, რომ საქართველო
არის მგოსანთა წმიდა ქვეყანა...

სადაც წავედით, ყველგან მუსიკა უკრავდა კოტე მაყაშვილის „დავრდომი-ლი სნეულს“. — ჩვენ, რომელნიც მიჩვეული ვაყავით ათი წლის განმავლობაში კო-ტე მაყაშვილის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობით მუშაობას — მწუხარებით ვაგონებდით, რომ ის ჩვენთან არ იყო, მაგრამ უბილავათ მისი ხმა მაინც მღე-როდა ამ სვედიან მოტივს და თითქო ეს ორი ლაღი ყოველთვის ჩვენთან იყო და არ გვეშორებოდა და განურჩევლათ ყველანი ვგრძნობდით, რომ ისინიც მონაწილენი იყვენ ჩვენი შეხვედრისა.

* * *

დილიდანვე გვიცდიდა აეტრომობილები, უნდა წავედით ქ. ერევანის ახლოს გაშენებულ ქარხნებისა და ჰიდრო სადგურის დასათვალისწინებლათ.

ჩვენ ჯერ კიდევ თვითონ ერევანი არ დაგვითვისებია.

ამიტომ დილით ადრე ავედექით.

ტფილისთან და ბაქოსთან შედარებით ერევანი ძალიან პატარა ქალაქია. სომხეთის ბურჟუაზიას არ უყვარდა ერევანი: უფრო ბაქოსა და ტფილისში აშე-ნებდნენ სახლებს და სასახლეებს.

მეფის მთავრობაც არ ცდილობდა, სომხეთს თავისი ცენტრი ჰქონოდა. გვი-ამბეს თურმე გუმბერნატორი ტიზენგაუზენი ამ ქალაქში ერთ თვესაც არ ცხოვრო-ბდა — ამის შესახებ რალაც მოსწრებული „ჩინოვნიკური“ ჟურნალი მახვილობაც დარჩენილა, მაგრამ აღარ მახსოვს, რაში იყო ამის მორალი.

სამაგიეროთ ვერ იცნობთ ახალ ერევანს.

აქ პირდაპირ შენების ციებ ცხელებაა.

ქოჩები შეკრულია ახალი სახლების შენობათა ფარდულებით.

ყველგან დგას კირისა და სილის ქრეში.

სახლებს აშენებენ სომხურ ტიფიდან, ეს ერთგვარი გრანიტის ქვაა.

თუ სადმე ნახავთ კარგ შენობას, ეს უთუოდ ახალი აშენებულია.

ყველაზე ლამაზია მაინც მიწათმოქმედების კომისარიატის შენობა, სომ-ხურ სტილზე აშენებული.

არქიტექტურის სტილის პრობლემა სომხეთშიაც მწვავეთ სდგას, აქაც ჰქონია ერთგვარ გადახრას ადგილი, მაგრამ თანდათან ასწორებენ ხაზს.

ახალ სომხეთის აღმშენებელია აკადემიკოსი თამანიანი.

საკმაოა გადახედოთ მის რუკებს, ნახატებსა და პროექტებს, რომ იგონოთ დიდი ოსტატის შემოქმედება.

მისი პროექტი ახალი სახალხო სახლისა გასაოცარია.

ამ მოხუცებულ ადამიანში უფეთქია ახალგაზრდობას და მშენებლობას მოწყურებული ახალი სომხეთი საუკეთესო ასპარეზია მისი შემოქმედებისათვის. ამ ხელოვანში უთუოდ ცხოვრების ისეთი უტები ნებისყოფის ადამიანია, რომელმაც ოდესღაც ააშენა ზვარტნოცი.

ამიტომ თამანიანს დიდი პატივისცემა აქვს სომხეთში დამსახურებული, და მას ერევანის ამშენებელს ეძახიან.

ყველაზე დიდი ქუზა ერევანში არის აბოვიანციის პროსპექტი.

ქუჩების ორივე მხარეს ჩამოდის პატარა ლეღე და ქუჩებს მეგზოვენი ღლე-ში რამდენჯერმე რწყავენ.

ბევრია მალაზიები იმ ტიპისა, როგორც ჩვენში ერკოპის მალაზიებია და ხილის დუქნები სარიანის ნატიურ-მორტებით.

მთავარ ბაღის ერთ მხარეზე ქარვისლაა, ფეხის მწმენდელთა პატარა ფარ-დუღებით.

საერთოდ ერევნის ძველი ნაწილი ძალიან მიაგავს სპარსულ ქალაქს, ბჭყვრიალა მჩეტებით და ინით შეღებილი სპარსელებით. ქალაქი ბაღებსა ჩაფლული, შიგა და შიგ არის ვენახიც, უფრო-კი ხილის ბაღებია.

გზები ვიწროა და ურმები და ავტომობილები ძლივს უარენ ერთმანეთს გვერდს, როცა ვაიქედება გზა, დადგება ერთი ალიაქოთი. მაგრამ გზები კეთ-დება და თითქმის ყველგან სხედან ქვის მჭკრელები და გუგუნებს სატკეპნი მანქანა.

ეტყობა ეს ქვეყანა ღარიბია, მაგრამ ამ სიღარიბეს მიუცია სწორეთ ეს გამწარება და შრომით გატაცება.

მშენიერათ არის მოწყობილი კულტურის სასახლე და სასახლეში მუ-ზეუმო.

ჩვენი მოსელის გამო სასახლე მოურთავთ და განათებულია ილიუმინაციე-ბით. უზარმაზარი პლაკატებია ვაკრული ქართულ, თურქულ და სომხურ ენაზე პლაკატებზე დაწერილია ლოზუნგები მოძვე რესპუბლიკების კულტურულ კავ-შირის შესახებ და მწერლებისადმი მისალმება. სახელმწიფო მუზეუმში ორი განყო-ფილებისაგან შესდგება: ერთი ევროპიული და თანამედროვე, მეორე—ძველი კულტურის ნაშთები.

პირველი განყოფილება მდიდარია სურათებით და ღამაზათ არის მოწყო-ბილი, ბევრი სურათები სომხებს საჩუქრათ მიუღიათ ერმიტაგიდან, ზოგი კიდევ გადმოუტანიათ მოსკოვის ღაზარევის ინსტიტუტიდან. თანამედროვე მხატვრო-ბაში ყურადღებას იპყრობს მარტიროს სარიანის ოთახი.

სიმძველეთა განყოფილება უფრო მდიდარია და საყურადღებო, უმთავრე-სათ ეს არის სომხეთის წარსული კულტურის ნაშთი, აქ ადვილი შესამჩნევია

ქართულ და სომხურ კულტურის ნათესაობა, ბევრია ქართული წარწერები და ქართული ფრესკები. ძალიან მდიდარია ნუმისმატიური კოლექცია.

დავითელიერეთ სახელმწიფო უნივერსიტეტი. ძველი მშენებლობა და მიანც ვერ იძლევა უნივერსიტეტის შთაბეჭდილებას.

სამაგიეროთ განზრახულია ახალი შენობის აგება.

ვეტერინარული ინსტიტუტის შენობა უკვე დაუწყიათ.

ახსნა-განმარტებას უნივერსიტეტის ცხოვრების შესახებ გვაძლევდა რექტორი იონესიანი.

ეს ტიპიური წარმომადგენელია ახალი საბჭოთა ინტელიგენციის, უდრეკი ნებისყოფა და უპრალოება, აი რა ახასიათებს ამ ახალ ადამიანს.

ბევრი ისეთი შორეული კითხვები მისცეს, რომ სხვა შეიძლება არცკი უპასუხებდა, მაგრამ ის სხეანაირათ მიუდგებოდა საკითხს, ისე გააშუქებდა, რომ კითხვის მიმცემი არცკი მოელოდა.

უნივერსიტეტში უმთავრესად იზრდება მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა, არის ქართული ენის კათედრა.

კულტურული კავშირი გააბეს სომხეთის უნივერსიტეტთან ქართულმა პროფესორებმა, რომელნიც ამ მიზნით შარშან ჩავიდნ ერევანში.

ჯერ უნივერსიტეტს არ აქვს მტკიცე მატერიალური ბაზა, რაც ყველაზე უფრო გამომცემლობას ეტყობა.

ერევანში გამოდის სომხური გაზეთები და ერთიც თურქული.

ჩვენ ჩასვლას გაზეთები დიდი ამბით შეხედნ.

ყოველ დღე იბეჭდებოდა მოწინავე წერილები და თითქმის ნახევარი გაზეთი დელეგაციის ქრონიკას ჰქონდა დათმობილი:

ჩვენი დელეგაციის მიზნისა და დანიშნულების შესახებ დაიბეჭდა ჩემი და გრიგოლ რობაქიძის წერილები.

თითქმის ყველა მწერლებმა მისცეს თავიანი ავტობიოგრაფიები და ვრცელი ანკეტები.

კულტურის სახლში გაიმართა დიდი საღამო.

დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით. პირველი სიტყვა წარმოსთქვა განათლების სახალხო კომისარმა ანბ. მრავიანმა.

მობხენება შეეხებოდა თანამედროვე სომხეთის კულტურულ ცხოვრებას. სიტყვები წარმოსთქვეს: დერენიკ დემირჩიანიმა, ცოლაკ ხანზადიანიმა. ჩვენი მზრივ გრ. რობაქიძემ და სანდრო ეულმა.

შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება:

ახალგაზრდა კონსერვატორიის ორკესტრმა შეასრულა სომხეთის ცნობილ კომპოზიტორის სპენდიაროვის ნაწარმოებნი, განსაკუთრებით შესანიშნავათ შესრულებულ იქნა სპარსული მარში. თავისი ნაწარმოები შეასრულა აგრეთვე კონსერვატორიის რექტორმა ტერ-გეგონდიანიმა.

მეტათ საინტერესო იყო ეროვნული ცეკვა. სასუნის სომხებისა, ყველა ესენი ლტოლვილები არიან. ცეკვა გამოხატავს მუშაობის რიტმს და წარუხოცელ შთაბეჭდილებასაც სტოვებს.

ეს ცეკვა მშვენიერათ აქვს აწერილი მაქსიმ გორკის თავის წერილში—
 „По Союз Советов“.

ქალაქ გარეთ დავათვალიერეთ ლენინის სახელობის პილდოვკოვსკოვის
 სადგური. თვალწევდნელი წყალვარდნილი თითქო ციდან ვარდებს, სადგურს
 მშვენიერი მდებარეობა აქვს.

გარშემო წარმტაცი ბაღია აშენებული.

ზოგი მწერლები თუთის ხეს მოექცენ კინწეროში.

ინგენერი, რომელსაც შეეძლო ჩვენთვის აეხსნა და განემარტა ეს სადგური,
 არ სჩანდა, და ჩვენ მუშების საშუალებით ვსწავლობდით ამ სადგურს.

ცოტა თუ ბევრი მექანიკის ცოდნა გამოიჩინეს: ს. აბაშელმა და სანდრო
 შანშიაშვილმა—მაგრამ ისინი ჩვენ ამხსნელათ ვერ გამოდგებოდნენ, რადგან
 ეტყობოდა თვითონაც ძლივს ერკვეოდნენ.

შემდეგ ჩვენ დავათვალიერეთ უზარმაზარი კონიაკის ქარხანა „არარატი“—
 აქ ჩვენ გაგვიმასპინძლდნენ უძველესი კონიაკით, თუ არ ვცდები სამოცი წლის
 უნდა ყოფილიყო, მართლაც არაჩვეულებრივი გემო, სურნელება და ფერი ჰქონდა.
 დავათვალიერეთ აგრეთვე ზეთის და ბამბის სარჩევი ქარხნები, და მუშათა
 სახლები.

ავტომობილიდან შორს სჩანდა ერევნის ციხის გალავანი, ეს კიდევ უფრო
 აწიკრათ ხდიდა ძველსა და ახალის კონტრასტს. საერთოთ ერევანის შთაბეჭ-
 დილება ასეთი იყო, თითქო მთელ ქალაქს ერთბაშათ აშენებდნენ; ყველას სახეზე
 წიკითხავთ ამ აღფრთოვანებას და შრომის შთაგონებას.

რამდენადაც ავი და სასტიკი იყო სტიქია დანგრევისა, იმდენად დიდია
 ეხლა აშენების პაჭოსი:

ქვა, კირი და ხრეში: და კიდევ ქვა... და ქვათა ლალადი ახალ აღმშენე-
 ბლობაზე...

ბიბლიობრაჟია

საქართველო
ბიბლიოქოლოგია

რიჰარდ შიქელანდი. ქართულ-გერმანული სიტყვარი. Georgisch-Deutsches wörterbuch von Richard Meckelein. Oktav. XXIII, 656 Seiten. 1928. Verlag von Walter de Gruyter & Co. Berlin und Leipzig. Rm. 40. [Lerhbücher des Seminars für orientalische Sprachen zu Berlin, herausgegeben von dem Direktor des Seminars. Band XXXII].

საში საუკუნეა, რაც ევროპელები ქართული ენით დაინტერესდნენ.

ამ ხნის განმავლობაში ქართული ენისა და კულტურის შესახებ მრავალი ნაშრომი გამოქვეყნდა.

ამ დარგში რომს, ვენას, პარიზს, ბერლინსა და ლონდონში გამოსულ ლიტერატურის აღნუსხეა საგანგებო ბიბლიოგრაფიის საქმეა, სადაც რიჰარდ შიქელანდის ნაშრომებს საპატიო ადგილი განეკუთვნებათ.

ჩვენს ყურადღებას კი, ამჟამად, შემოხსენებული ქართულ-გერმანული ლექსიკონი იპყრობს.

იგი პირველი ცდაა. ავტორს მიზნად დაუსახავს: წარმოგიდგინოს თანამედროვე სამწერლობო ქართულ ენის სიტყვათა საუნჯე ზედმიწევნითი გერმანული თარგმანით.

ლექსიკონი ასრულებს იმ ლოდინს, რომელიც დღემდის ასე საგრძნობი იყო ევროპის შედარებით ენათმეცნიერებაში.

ითელება გზა მდიდარ ქართულ ლიტერატურისა და ენის კვლევისათვის და ამ გზაზე მოწინავე სადროშოში რიჰარდ შიქელანდიც გვევლინება.

ასეთია პირველი შთაბეჭდილება ლექსიკონის ხელში აღებისას. მაგრამ, მკითხველს, ალბად, ისიც აინტერესებს, თუ როგორია იგი „გამოწველილეთ“ თვალგადავლებული.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „ლექსიკონში მოცემულია სიტყვის ყოველდღიური, უმეტესად ხმარებული გამოყენება“. აქედან ივლისხნება, რომ მასში არ არის წარმოდგენილი მოცემულ სიტყვის ყველა მნიშვნელობა და ლექსიკონი არ არის სრული.

რაც შეეხება სპეციალ ლიტერატურის სიტყვათა საუნჯის გამოყენებას, აქ შიქელანდს უფერძნია, რომ რამდენადაც საქმე ეხება ტექნიკის, მათემატიკის, მედიცინის და სხვა ლექსიკონებს, იმდენად, მცირე გამოანაკლისის გარდა, საქირთა სათანადო სიფრთხილდ. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ ხსენებულ ლექსიკონებში წარმოდგენილი მასალა „ხელოვნურია და ხშირად შეიცავს პირ-

დაპირ ქართული ენის სულის საწინააღმდეგო, ტექნიკური მცნების, თარგმანს, რომელიც სპეციალისტების კომისიის მიერ ჯერაც მიუღებელია“¹⁾.

სამწურობა მხოლოდ ის გარემოება, რომ ეს წინასწარმნიშვნობილ მკეკელაინს თითქმის დაეწეებია და, თუ რაიმე ნაკლი აქვს მის ნაშრომს, უპირველეს ყოვლისა ეს გულუბრყვილო ცთუნება „ტექნიკურ სიტყვარება“.

ყოვლად შეუძლებელია ასეთი ხელოვნური სიტყვები ქართული ენის საუნჯეს შეჰრჩეს.

მთელ ლექსიკონის მანძილზე ამ ხელოვნურ სიტყვებს რომ გერმანული თარგმანი არ ქონდეთ,—მათი გაგება, ალბად, განათლებულ ქართველსაც გაუჭირდებოდა.

ფიქრობთ, რომ შემდგომ გამოცემებში ამ ნაკლის აცდენა ლექსიკონს შეტლირებულებას მიანიჭებს; ამისათვის ჩვენ აქ, ანბანურ თანამიმდევრობით, წარმოვადგენთ ასეთ ხელოვნურ სიტყვებს (მეკეკელაინის ლექსიკონიდან) და მათვე გვერდით ამათუიმ ცნების დადგენილ ან უფრო სასურველ სახეს ფიხილებში.

ა. აგებრი ნივთგნობა (ორგანიული ქიმი), აგზარება (იონიზაცია), ადგილსახური (ტოპოგრაფიული), ავლარი (ინვენტარი), აირბანი (ჰიდრაულიკა), აირინი (გაზოლინი), ალთეთრა (მაგნეზიუმი), აღწყლიდი (ჰიროპიდრატი), აღჯრედინი (ჰიროქსილინი), ამინტოზი (აზბესტი), ამყვანი ქშოსი (ამყვანი მანქანა), ამშჯი (კატალიზატორი), არაგებრი ნივთგნობა (არაორგანიული ქიმი), არასხეობი (ფორგანიზაცია), აირეთი (ატმოსფერა, ჰაერეთი?) აქსისი (ელექსირი), აღლევა შლინუქტური (სპექტრალური ანალიზი), აღლევითი ქოგნობა (ანალიტიური მექანიკა), აჯამი (ინტეგრალი), აფთიონი (ოპიუმი).

ბ. ბანჭარი (კარბოლის სიმეავე), ბანჭარის საპონი (კარბოლის საპონი), ბანჭენი (ბენზინი), ბანჭული (ბენზოლი), ბანჭქალქანგი (სალიცილის სიმეავე) ბრგენა (კრია (მხრიალა ვერცხლის წყალი), ბრუნარო (ტურბინი), ბუნებაზრტლი (რაციონალური), ბუნებძალი (ელემენტი), ბურთობადი (სფეროიდი, სფეროები), ბურთოული (სფერული).

გ. გამზირითი ნასახი (პერსექტექტიული), განივა (დიამეტრი), განუკვეთელი (ატომი), გეგმარი (პროექტი, გეგმა), გეზრი (გეტტორი, მეგზრი?) გზარი (იონი), გზაწყობი (მეთოდი), გორდადი (გოკორდმეავა მარილი) გორდწია (გოგირდატომი), გუტაფისი (გულტაპერჩი).

დ. დამწყვაბი (კრისტალი), დანდსახი (ლოგარითმი), დარეჯავი (ფორმა, ყალიბი), დგარელვისო (სტატიური ელექტრო), დგარი (სადგამი, შტატივი), დგომგეზი (ორდინატი), დენბადი (გალვანური ელემენტი), დენზობი (გალვანზობი, გალვანომეტრი), დენსარქი (შტეპსელი), დენქშოსი (დინამო, დინამომანქანა), დენჩენი (გალვანოსკოპი), დიახითიელვისი (დადებითი ელექტრობა), დროზობი (ქრონომეტრი, დროზობი), დროშწერი (ქრონოგრაფი).

¹⁾ ...gekünstelte und oft direkt dem Geist der georgischen Sprache widersprechende Übersetzungen technischer Begriffe enthält, die von der Kommission der Fachgelehrten noch nicht anerkannt sind. Vorwort VII S.

ვ. ელამწყოზი (ელექტრომონტორი, ელექტროამწყოზი), ელვისეზა (და-ელექტრეზა, ელექტროზაცია), ელვისური სისხნე (ელექტრო ენერგია), ელკუწი (ელექტრონი), ელმაგუზარი (აქუმულატორი, მაუნჯებელი), ელმანქანი (ელექტრო-სკოპი), ელმოლითეა (გალვანოპლასტიკა), ელნივეტნური (ელექტროკინეტიკი) ელ-პერწკი (ელექტრო ნაპერწკალი), ელრონარა (ტრამევი), ელსიმხნე (ელექტრო-ენერგია) ელქმოსანი (ელექტრო ტექნიკი), ელქმოსი (ელექტრო მანქანა), ელ-ძვრივი ძალა (ელექტრული ძალა), ელწერი (ტელეგრაფი), ელწერილი (ტელე-გრაფა), ენდრონი (ალიზარინი, ენდროს საღებავი) ერგწესა (ნახევრად ნორმა-ლური).

ზ. ზაბარედი (ტოპაზი), ზარზამინი (სარდაფი), ზარმოზა (სიზარმაცე, ინერცია), ზეჭვივი (ეფექტიური), ზეწერტი (ზენიტი), ზღვრითი (საზღვარი).

თ. თბოერთეული (სითბოს ერთეული), თბომატარა (სითბოს გამტარი), თუთიბექდარო (ციანოგრაფია), თუთის ჭემი (ნაძვის მარაო?).

ი. იალი (ეთერი), იალქანგი (ეთერ-ქანგი), იაქვი (ამეთვისტო), იმლიკი (უზიაკი, უცნაური), ირეჯა (ირეკი, მახე), ირბა (დიაგონალი, ქეშა?)

კ. კალაფირი (ფურცლოვანი ტყვია), კამენი (ბოთლსაგობი), კარგიერი (წესიერი), კაჟუნა (მუქთახორა, გემოთმოყვარე), კარგიერობა (წესიერობა).

ლ. ლითარი (მეტალოიდი), ლითებრი (ლითონური, ლითონის), ლინჯა (კობალტი), ლიპარა (საპრიალეხელი).

მ. მატყვა (მაცნე, შიკრიკი), მზიდარო (მაგნეტი), მზიდაროს არე (მაგნე-ტის არე), მზიდარობა (მაგნეტიზმი), მიჩემებითი ზმნა (რელატიური ზმნა), მო-ფანტკალეზა (ფრთათრხევეა), მგავანმგავა (მგაუნის მგავა), მრუტი (მურტი, მცე-ნარეა).

ნ. ნარა (ბრძოლის ყივინა), ნისა (ფლუეტი), ნაწი (მაჭიკი, დვრიტა), ნესტ-ზომი (მიგრომეტრი) ნესტშიდარი (მიგროსკოპიული).

ო. იამბი (ტომი), იფორა (მასშტაბი), იქიფარი (კარუსელი, საქანელი).

პ. პეტრეტეკონი (ეტრეტი), პირდასწავლა (ზეპირი), პირმარხეა (მარხეა), პსიზი (სული).

რ. რზო (ფრინველთ გუნდი), რენარი (ნარევი, რელი), რთო (რადიკალი, სადესვარი), რკინა-კაქმანი (ფეროსილიციუმი), რკინალდანი (პირიტი), რკინაო-ზა (რკინაობა, რკინა, რჩოლა), რუსუმი (საურავი, გარდახდევინება).

ც. სადიჯი (დაფნი), საკიკი (ჩამიჩი), სარბიკი (საზღვაო ქსელი), საქვირ-მინო (ოპტიკური), საქვირმინოსნო (საოპტიკო), საჭურავო (არსენალი, საჯაბად-რო) სახელსენზია (სენზა), სიმზნეზობა (თერმოდინამიკა), სკანი (პრიზმა), სკანუ-რი (პრიზმული), სმენარა (რუპორი, სასმენი მილი), სპეტიდი (ქლორიტი), სპე-ტის უწყელი (ქლორალჰიდრიტი), სწვრიგვერდი (პარალელოგრამი).

ტ. ტოლფარდი (პროფორცია), ტვიტა (კალიუმი, კალაქვა), ტიბერი (თი-თისტარი).

უ. უაღრესობა (კულმინაცია), უბუნებაზრო (იზაციონალური).

ფ. ფერანა (ქრომი), ფერანუწყლო (ქრომოპიდრიტი).

ქ. ქვესპეტადი (ქლორეტი), ქვიბექდარო (ლითოგრაფია), ქსაქსი (ლაბი-რინტი).



- დ. ღულეჟა (წყეპლა), ღურკანი (კუზი).
- ე. ყაზალახი (კაჟკაჟი), ყალმათ (ერთის მხრივ), ყიბრუსი (არჯისპი, შამი-ამანი).
- ზ. ჩამრახიზი (ფიქვის ფისი), ჩურეჟი (მქალი).
- ბ. წილარა (წილადი), წოწი (კონუსი), წოწოლა (პირამიდა), წოწური (კონუსური).

ბ. ბახწერტარი (პუნქტირი, წყვეტილბაზი), ხისძალარი (ხის სპირტი), ხმადადილი (მიკროფონი), ხმამწერი (ფონოგრაფი), ხროადი (მასივი).

მეორე ყურადსაღები გარემოება შესწორებისათვის.
 ავტორის ზმნები მასდარში მოუცია: წერა, კითხვა, სწავლა და სხვ. ზმნების თარგმანი—გერმანული ინფინიტივით. ამ ნიადაგზე წარმოშობილია თარგმანის უსრულობა, რადგან მასდარში მოცემულ ზმნას სახელის მნიშვნელობაც აქვს და მეკელაინის მიერ კი ეს გარემოება უგულვებელსყოფილია.

- მცირე მაგალითები:
- აგზნება—erregen, უნდა იყოს აგრეთვე—Erregung.
 - განცდა—erleben, " " Erlebnis.
 - გამოკითხვა ausfragen,—Ausfragung.
 - დამშვიდება—beruhigen,—Beruhigung.
 - შეფერხება—verhindert sein,—Hemmung.
 - შეხება—beruhren,—Berührung.
 - შემზადება—vorbereiten,—Vorbereitung.
- მესამე გაუთვალისწინებლობა უფრო მცირეა, მაგრამ მაინც აღსანიშნავი.
 ა) ზშირად სიტყვა ზედმიწევნითი თარგმანით არ არის მოცემული.
 მაგალითები:

- გ ა ნ ფ ე ნ ი ლ ო ბ ა—Ausbreitung. უმჯობესი იყო—Ausdehnung.
- უ ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა Unannehmlichkeit,—Unlust.
- ყ ო ჭ ა ქ ც ე ვ ა Betragen,—Verhalten.
- ძ გ ე რ ა Stoss, აგრეთვე—Schwelung.
- ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა—Verständigkeit,—Bewusstsein.
- ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა—Zufriedenheit,—Lust.
- უ დ ე ბ ე ბ ა—nicht tun,—Fahrlässigkeit.

არის უსრული და უმართებლო თარგმანებიც.
 აქმა s. აღქმა, აქუმა, აღქმას-თარგმანი კი გამოჩნენილია. უნდა იყოს: wahrnehmen; Wahrnehmung.

- შ უ ნ ი—wilde Kuh—ნამდვილად კი დედალი ჯახვია (Turgeis. Capra Cylindricornus ♀).
- ტ უ ლ ა ო ბ ა—Paarung,—უნდა იყოს: Paarung des Fisches, რადგან ტულაობა მხოლოდ თევზთ პეპელის ნიშნავს.
- მ ძ უ ნ ა ო ბ ა—Paarung,—უნდა იყოს: Paarung des Hundes.
- კ ე რ შ ი ლ ო ბ ა—Paarung,—უნდა იყოს: Paarung des Wildes.
- ს ი ძ ვ ა—ehebrechen: ნამდვილად კი სიძვა დაუქორწინებელ ქალავთის სქესებრივი კავშირია, გერმანულად Hurerei, ausscherehliche Geschlechtsverkehr.

იონა შაკალი — ლმხმბი. წიგნი შეორე. სახელგამი. 1929 წ. 188 გვ. ტირ. 2,000. ფ. 1 მ. 30 კ.

პარკინსონი

ი. ვაკელი ხაკმაოდ ცნობილი მწერალია, მისთვის მეთრე წიგნის გამოცემა ერთგვარი უამის გაკეთებაა და უნდა ითქვას, რომ ეს უამის გაკეთება მარცხით დასრულდა.

საქმე იმანია, რომ შეიკვალა ი. ვაკელის იდეურია სახე ამ წიგნში ვაკელი დაუხლოვდა ჩვეულებრივი „ქართული პოეტის“ იმ ტიპს, რომელიც ერთნაირად აბსტრაქტულად „აქებს“ ახალ“ დროებას და არანაკლებ აღფრთოვანებით უმიღერის... თამარ მეფეს და „მშვენიერ საქართველოს“.

პირველად ყოვლისა, ეურადღებას იქცევს მოწინააღმდეგე და ერთი მუარის მომსპობი მოტივების აღრგვა. ნაციონალიზმი და რევოლიუცია, ინდუსტრიალიზაცია და სოფლის იდეალიზაცია, აღფრთოვანებული ენტუზიაზმი და ესენინური დაცემულობა და სხვ.

მაგრამ მთავარ მოტივად მაინც ნაციონალური მოტივი რჩება, აქ ვაკელი სრული ნაციონალიზტი:

განთავისუფლდა სამშობლო ენა.

ჩვენივეს ეს იფო საქმე პირველი.

ფუნება ი. ვაკელი ავასი და რომ ნაციონალური საკითხი ავტორის ესმის, როგორც რევოლიუციის მთავარი დანიშნულება, ამაზე ლაპარაკობს ყოველი მისი ლექსი. „ტფილისში“ პოეტი დედაქალაქს ეუბნება, რომ „შენ არასოდეს არ დაბერდები“-ო, „ბოლნისის გზაზე გაგონილ სიმღერაში ესმის მშობლიურ სევდის ბანგების კენესა, („ბოლნისის გზაზე“), და რაც მთავარია ლექსში „საქართველო“ შლის ნაციონალიზმის მთელ პროგრამას:

„ყოყაი ძველი ტომის და უინის, მაგრამ მომავალ ახალ ეპოქებს,— ჩვენ არასოდეს არ უტკბართ შიშით, ჩვენ ამ ბრძოლაშიც არ გვყავს მეტოქე.“

და ვეუღა აქ ვართ დღეს მოგროვები... ქართული სისხლი თვით მზის ფერი“

გარდა ნაციონალური მოტივისა ი. ვაკელის შემოქმედებაში გაბატონებულია პესიმისტური ეკლო:

გვწომ ასეა მფობრებო, მაგრამ ხალისი, რად არის მაინც აშვიათი ჩვენი სტუმარი“

სწერის იგი „ლექსნი მფობრებინსდმბ“ და ეს სასოწარკვეთილება თავის თავის და საერთოდ პოეტის „მწერ“ და „მწირო“ ადამიანად გამოცხადებამდე მიდის.

ძლიერ აიდეალებს სოფელს ვაკელი წინააღმდეგ ქალაქის ყოფა-ცხოვრებისა. აიდეალებს იგი სოფელს, როგორც დაღლილ თათვის დასასვენებელ სიმეფლოს და არა როგორც შრომის და ბრძოლის ასპარეზს. პოეტს ებერება ძროხისებური უდარდვლობა და უბოროტობა („წერილი ძროხას“). ამგვარად ი. ვაკელი სავსებით გაუბრბის ჩვენთანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას და კერძოთ კლასთა ბრძოლას.

განსაკუთრებით გადააპარბა ი. ვაკელმა თავისი „ეროტეიტი“. ეს სრული არასაზოგადოებრივი „ქებათა-ქება“ ქალის საერთოდ და ქალის განწყვებული სიღამაზისა. „ერთი შეხედვის“ და მიჯნურობის მოტივებით დაწყებული რევოლიუციის ქალთან შედარებამდე მიდის ავტორი („გრიგალი“) და ამ მხრე მან მოლოდინს გადააპარბა.

ბუნებრივ სურათების მოცემაშიაც გამოსტევის ვაკელის ნაციონალიზმი. ლექსები ალაზანზე, მტკვარზე და ლორზე ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ აქაც ვაკელი ძველი ლიტერატურის გაგუნენს ტვემ არის. რატომ მტკვარი და არა რიონი, რატომ იორი და არა რომელიმე სურსა? იმიტომ რომ მტკვარი და ალაზანი ნაციონალური სიმეფლოა და არა უბრალო მიდინარე.

მაგრამ აქვს ვაკელს კარგი ლექსებიც, რომელთა მნიშვნელობა სავსებით იკარგება ამ ზღვა მთლულელ და მანვე ლექსებში. კარგია „ერთი თანამედროვეობაზე“:

„მაშ ავაპაროთ ძმებო სიარული მოდის ეპოქა ინდუსტრიალური“.

კარგია „ქებათა-ქება ზაქეს“ (რატომ „ქებათა-ქება“, როგორ შეიძლება ასე წერა, მეფეზე ხომ არ სწერს ვაკელი?), რომ ზოგჯერითი კესომისტური და ნაციონალისტური ადგილები არ აფუტებდენ მას. კარგი იქნებოდა „გლეხის სიმღერა“, რომ რაიმე საკითხი, მაგ. ინდუსტრიალიზაციის შესახებ დაესვა შოგ, არის კიდევ მთელი რიგი ლექსებისა, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს წვეთია

მოთქმათა და „ქართულეთისათა“ იმ ბუნში, რომელიც დაუყენებია ავტორის.

ფორმის შირიგ ი. ვაკელს აქვს ერთგვარი დაუდევრობა. ლექსს არ ამუშავებს, მშვენიერად გაკეთებულ სტრიქონს ხშირად საფსებლით მახინჯი და დაუშუშავებელი სტრიქონი მოაქვება ხოლმე. ეს იმიტომ ხდება, რომ ვაკელი „მუხით“ სწერს და არა გონებით. მუხისა და აკაკის მეთოდით წერის დრო წავიდა ამის შეგნება უნდა. ლექსს კვობნა უნდა, გარდა ამისა, ლექსს არ დახვეჭვდაც ურჩევნია ხანდახან. მაგ. რა იქნებოდა რომ არ დაეხვეჭა ავტორის განყოფილება „ეროტიკის“ უმრავლესობა? ძალიან კარგი იქნებოდა.

ი. ვაკელი სწავლობს კლასიციკლებს და ნ. მაგრაძე როდესაც ის სწავლით არ კმაყოფილდება და პირდაპირ მიზანდასრულებს, ეს უკვე უხეშდარებაა. საერთოდ ვაკელი გაველენების ადვილად მიმდებია ავტორია. ბესიკის, გ. ორბელიანის, უტკინის, —ვის გაველენებს არ შეხედებით, ამითაც აიხსნება ბევრი წინააღმდეგობა მის შემოქმედებაში.

რეცენზიის დასასრულს უნდა დავასაყავს საკითხი: შეიძლება თუ არა ეს ლაკველი ნათელაღლოს პროლეტარულ მწერებაში? ზენი კბრით— არა! რამ გამოიწვია ვაკელის ასეთი „გადაზრა“? გამოიწვევლია იგი საერთო რადიკალური მიზნებით, რომელსაც კლასთა ბრძოლის განუწყვეტება ჰქვია. გაძლიერდა პროლეტარიატის სოციალისტური შეტევა, მაგრამ გაძლიერდა ბურჟუაზიის შემოტევა და წერილ-ბურჟუაზიის რყევაც. ლიტერატურაში სოციალისტური შეტევის შედეგია პროლეტარული მწერლობის ზოგადი ზრდა. მეორე შირიგ ბურჟუაზიის შემოტევის და წერილ-ბურჟუაზიის რყევია შედეგია რეაქციონერ მწერლებს და მოტივების ზრდა და პროლეტარულ მწერლობა ზოგორთ წერილ-ბურჟუაზიულ ფენებზე მათი გაველენის გაძლიერება. ამ პროლეტარულ მწერლობაზე წერილ-ბურჟუაზიულ გაველენათა გამოაშკარაების ერთ-ერთი ფაქტია ი. ვაკელის უკანასკნელი წიგნი.

3. კიკოძე.

3. ქუჩიშვილი, ლექსები. გ-მა „წიგნი“, 1929.

(კრიტიკული რეცენზია)

გ. ქუჩიშვილის ლექსების ეს კრებული ცალკე კრიტიკული მონოგრაფიის ღირსია. აღბათ, ზენი მატერული კრიტიკა კიდევაც შეაფასებს სათანადოდ გ. ქუჩიშვილის პოეზიას და გარკვევს ამ მწერლის შემოქმედების უკანასკნელ საფერხობებს გამსაკუთრებით.

მართალია, საქართველო წერილ-ბურჟუაზიული მეტრეობის კვეყანა უნდა იყოს, ძლიერი გლუმობით და სუსტი სამოწყველო პროლეტარიატით. ასეთი სოციალური არე, რასაკარგველია, ვერ იძლევა პროლეტარულ პოეზიის სათანადო ნაიდაგს. ამით აიხსნება ჩვენში პროლეტარული მწერლობის შედარებითი სისუსტე.

მაგრამ განა ჩვენში მუშათა კლასი არ არის? არის, რა თქმა უნდა. რეცენზიორივით ჩვენი მუშათა კლასი მცირეა უკრუჯობით, სამაგორით, საქართველოს მუშათა კლასი ერთ-ერთი მოწინავე რაზმი სოციალისტისათვის ბრძოლაში, მას განაზღვრავს თაყუი მწერლებიც.

გ. ქუჩიშვილი საქართველოს მუშათა კლასის პოეტია, ამ კლასის ღვიძლი შვილი, მისი მო-

ღერალი. ის დაიბადა და დაეგავიდა მუშათა უბნებში. ფიქრობთ, ამ უბნებში მოკვდება გ. ქუჩიშვილი, ამაშია გ. ქუჩიშვილის ბედნიერება— ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მე დაიბადაც ერთ ბნელ სარდაფში, სადაც მზის სწივი ვერა სწვდება, სად შემოდგომის სასტოკო ქაიი ველურ ღმუჯილით შემოქრებოდა...

ვიმ იტყვის, სოციალურ წარმოშობას არ აქვს მნიშვნელობა მწერლის შემდგომ შემოქმედებაზე და აი გ. ქუჩიშვილიც გადამწეა „ქუჩიშვილი“— ბრძოლისა და რევოლუციის ქუჩებში, ბნელი იყო ამ ქუჩაზე ცხოვრება, ამ „ქუჩისათა“ დაძლიება. გ. ქუჩიშვილს ერთგვარად არ უღალატნია ამ „ქუჩისათვის“. მას ასულდგმულებდა რწმენა, იღუა— რწმენა გამარჯვებისა და იღუა სოციალისტის. მას ტინის თითოულ უჯრედში ღრმად ტონდა გამჯდარი ნ. ჩერნიშვილის უდიდესი ოპტიმიზმით გაველენათი სიტყვები: „ჩვენს ქუჩაშიც იქნება დიდგამსწავლი“. ტონამ გამარჯვება...

გ. ქუჩიშვილიც მოეცა აზვირთებულ ქრესანო, მუდამ მუშათა კლასთან ჩუოფი, ის დღესაც ამ კლასის შეაგულშია და ვაგაკურად ატრიალებს კალამს კლასიურ მტრების წინააღმდეგ.

გ. ქუჩიშვილს ქონდა წყევლოვნები. საერთოდ, უყოფელის ჰაპი იშვიათია ქვეყნად. უყოფელი არ არის არც გ. ქუჩიშვილი, ერთი დროს გ. ქუჩიშვილიც განიცდიდა მენშვიცურ რომანტიზმით დასწრულებას. მაგრამ ეს მართლაც გ. ქუჩიშვილის სენი არ იყო. ეს საჭარბოვლოდ მუშათა კლასის საკმაო წაწილის საერთო სენი იყო, საერთო შტეცდამა.

დრონი წაივინენ!

საჭარბოვლოდ მუშათა კლასი განათვნილდა, კომუნისმის დროის ქვეშ დადგა, ლენინისმის ალამი ადრიალა. გ. ქუჩიშვილიც მუშათა მოწინავე რანგებში დარჩა—მტკიცეთ და შურტყველად. მას არ დაუბრეია უკან, არ გატყვეულა „ქუჩიდან“. წითელ „ქუჩას“ გაყვა გ. ქუჩიშვილი.

გ. ქუჩიშვილი მუშათა კლასის მგოსანია. ასეთია ის არა მართლ შეგნებით, მისი აღფლვებელი გრძობა, შინაგანი წვა, დაუფგარო სტიქია, უანგარო გატაცება თავმუშეკვებელი სიმძაფრით გათქვეფილია მუშათა კლასის ჭრ-ვარაშის, მისი ლენინისა და ბრძოლის წყურვილის უძლიერეს ზვირთებში.

მე არ ვუმღერი
ლაშხ გოგონებს
მათთვის არ ვანთებ
ცეცხლს გაუქრობელს;
ამბობებისკენ ვგვივი მოიწებს
და ბელში ვაძლევ
მახილს უღმობელს.
მე მიყვარს შავი
მუშათა ჯარი,
რველირეციის
დარაჯათ მდგარი;
მას უღელის ჩემი
ფოლაჟის ქნარი,
მისებრ მუდგარი,
შეუპოვარი.

(„ჩემი გულისთქმა“)

ან კიდევ:
თქვენდა სადიდებლად
ვამუსიკებ ვნას;
თავანასა ვცემ, ვემობევი
თქვენს მყერდს,
თქვენს სარჯვენას...

(„ამანაგ მუშებს“)

„შავი მუშათა ჯარის“ საყვარელი გამაგვა
ღული და ენტუზიაზმით აღსავსე ლექსები მრავალია გ. ქუჩიშვილის ქვეყნივე ქუჩის პოეზია პროლეტარული, ქვეყნად ქვეყნის სოციალისტურ პროლეტარიატის, მოწინავე მუშათა კლასის. გ. ქუჩიშვილი არ უმღერს „ლაშხ გოგონებს“, ის ეძებს არა სირაქლენას ლექსებს, — „ოქროს ფუბებს“. გ. ქუჩიშვილი ეტრფის კონთებათ ქვეულ მეჯაფებს, სპილოს ძარღვებთ დაგრზილებს.

იცოც, გულ-ნაში პოეტებო ჩამოვლიან მუცად,
რომ პოეზიის ვეფილთ ნაცვლად ვგანტავ
ლენცოვებს...

მოსწრებულად შენიწავს თვით გ. ქუჩიშვილი.. „პოეზია პოეზიისათვის“ არ სწამს გ. ქუჩიშვილს. ის არ ჯრუფს „პოეზიის ვეფილცოდ“. ასე ამბობს გ. ქუჩიშვილი და ამასვე ანოტაციულენს ის შემოკმედებამოც. მისი სიტყვა — საგნა, აქ არ არის „დიდი ზღვარი“. გ. ქუჩიშვილის სიტყვა პირდაპირია, პროლეტარული, მზრათ უბნში და არიატორიატიულ სინაშეა მოვლებული. ვადრე-და გულწრფელიყოა გ. ქუჩიშვილი, მან არ იცის რამაგე ბუნაბლერია, არ იცის „პოეტური პირფერობა“ — ის არ არის თამარ ცებერიის მგოსანი. არ არის და არც იქნება არასოდეს.

განდიდებისთვის არასოდეს არ მივიქრია,
ამის მსჯერველი უჩემოდაც დღეს მრავალი...

დაე სხვებს ვაპრათ მალღობები და მწვერვალები,

დაფის გვირგვინშიც არაფის არ მწვეცილები..
გაბედულია ეს თქმა, გულწრფელი, არა რანზროვანი. ასე ამბობს, ასე მსჯელობს მავარ-მეჯაფებში პროლეტარი. გ. ქუჩიშვილიც იმეორებს იმას, რასაც ნებრძოლი პროლეტარი უშეულოდ განიცდის და მისმე ჩაქუჩის რიტმიულ მოძრაობაში აფრტვეს.

თანამედროვეობის მიღების პრობლემა არ სდგას გ. ქუჩიშვილის წინაშე. ეს პრობლემა კარგა ხანია მან გადასტრა პროლეტარული პირდაპირობით. გ. ქუჩიშვილი რველირეციის პოეტია, გამარჯვებული პროლეტარიატის მწვერალი.

გ. ქუჩიშვილი ნამდვილი პროლეტარული პოეტია საქართველოში. ის უკვე არ არის თანამეზავერი, ის მტხავარი, რომელიც მტკიცეთ მიამბუებს პროლეტარული რველირეციის გზაზე. ლექსი „ლენინი“, „ხაქეს“, პოემა „ოქტომბრიადა“ და სხვა მრავალი — ის ვეფილფერი ეს ამკარათ მოწინაშე გ. ქუჩიშვილის შემოკმედების ძირითად ხაზზე.

გ. ქუჩიშვილი მოხორდა მენშევიკურ რომანტიზმს, მენშევიზმის ფესვები მძალაერი ხელებით აღმოფხვრა მან საკეთარ ტვირის სიღრმიდან. გ. ქუჩიშვილი ბოლშევიზმის ტერ ქვეშ სდგას და სდგას მტკიცეთ. ამ როგორ „აფრთხილებს“ ის აყვლა ქვეყნის შოვინისტებსა და რეაქციონერებს, კერძოდ—ქართველ მენშევიკებს:

ხმალს ნუ ჰლესავთ,
ღვარძალს ნუ სთვსავთ,
ნუ აღვივებთ შულს და მტრობას,—
თორემ ვერცინ გადურბებით
ისტორიის მსჯავრს და გმობას;
მოხურნენო,
მოძულენო,
თქვენე გლუბათ
თქვენი ტყვეა
და ძილშიაც არ გასვენებთ
გამარჯვებულ ხალხის წვევა!
პირში ტკბილად ულაქტუვებით
ეფიცებით სიტყვით ძობას
და საქმით კი აწარმოებთ
ნის დამობას, მის გაქრობას!
უმსგავსნი და უჯიშონო,
ვერ მიადწევთ ამ თქვენს წადილს,—

უნალ თქვენზე გადავიბნდით
ყვა-ყორანების მუქთა საღილა
ასეთია გ. ქუჩიშვილის, ზრუნანე მანიფესტი, შოვინისტებსა და რეაქციონერებს დაწერილი. ამ ღვარძლიანი პასკვილით რთიორული სიტყვა საყუთარი გულიდან ამოღებული სისხლითაა დაწერილი. უანგაროა ეს „აფრთხილება“, არა დიპლომატიური, აქ გ. ქუჩიშვილი სტეკს და ჰქუბს, თითოულ სტრიქონს სეტყვით და ნებათ აფრქვევს „უმსგავსობას“ და „უჯიშობას“, რომლებიც მუშათა კლასს „პირში ტკბილად ულაქტუვებენ“, ეფიცებთან „სიტყვით ძობას“ და საქმით კი მის გაბეწვლობას ეწევიან.

საუყუთესო დახასიათებაა ქართული მენშევიზმის, შოვინისტ-მენშევიკების...
მაღე შედარებულდება გ. ქუჩიშვილს სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი. საქართველოს გამარჯვებული მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა შესაფერისად გადაუბდის გ. ქუჩიშვილს იტბილეს—გლეხის პროლეტარულ „მადლობას“ და მისცემს პროლეტარულ საღამოს პროლეტარულ შატრულ სიტყვის შედროსებს.

გ. მ—ლი.

პანაიოტ ისტრატი. ქორკრა თურინჯი. თარგმანი ფრანგულით მ. ჯავახიშვილისა. საბელგამი, 1929. გვ. 184, ფსი 80 კაპ.

ჯერ კიდევ ანაღგაზრდა მწერალი პანაიოტ ისტრატი. მიუხედავად ამისა, პანაიოტ ისტრატი საბელგანთქმული მხატვარია, რომლის ნიჭსა და შემოქმედებაზე მთელი კულტურული კაცობრიობა ლაპარაკობს.

რომენ როლანმა სამართლიანად უწოდა პანაიოტ ისტრატის ბალკანეთის გორკი. როლანმა ისტრატი გორკის შეადარა

შეიძლება გაბედულიც იყოს ეს შედარება, ყოველ შემთხვევაში. გაბედულება ხშირათ არ ნიშნავს გადარებას. ფეიქრობო, საბელოვანი ფრანგი მწერალი არ შემიძღარა პანაიოტ ისტრატის შეფასებაში. ჩვენ საესტებით ვეთამბებებით როლანს, რომ პანაიოტ ისტრატი იშეიათი ნიჭის მწერალია, უმკველად დიდი მხატვარია, დიდი მომავლის მქონე.

მაქსიმ გორკთან პანაიოტ ისტრატის შედარებას საქმით საფუძველი აქვს. მართალია, მ. გორკი დაფუძავებული მწერალია, პროლეტარული

მსოფლმშედეგლობით და უდიდესი გამოცდილებით. მ. გორკის გმირები „ესკერის“ ადამიანებია, რომლებიც მხოლოდ სიბუნდელია და აღშფოთებას ატარებენ ძველი ენოფრების მიმართ. არც პანაიოტ ისტრატის გმირები არიან სხვა მასალოდან გაყუთებულნი. მაგრამ ეს გმირები უფრო „ეკრამიელი“ არიან.

პ. ისტრატი უფრო უხვად იმდევს რომანიულ ელემენტებს. მისი კალამი ოდნავადაც არ შრება რომანიული ფონის გაშლის დროს. ისტრატის გმირებიც „პირდაუბანელი, მშვიდი და დამაბნელი ავარი“ არიან, მაგრამ მათ სიყვარულია და „ადამიანობის“ საკეთარ ძლიერი ცეცხლი გააჩნიათ. პანაიოტ ისტრატის მხატვრულ ტილოზე ჩვენ ხშირათ უფრო რომანიულ მომენტებს ვამჩნევთ აშკარათ, ვანემ სოციალურს. ამაშია პ. ისტრატის მთავარი „განმსხვავება“ მაქსიმ გორკისაგან.

იშეიათი მხატვრული ნიჭითაა პ. ისტრატი

დაჯილდოებული. როგორც მხატვარი, პ. ისტრატი შეიძლება ხშირად უფრო მალეა ცი იდგეს მაქსიმ გორკიმ. პირადად ჩვენ ასე გგონია ეს, ამ მხრივ პ. ისტრატის უსათუოდ მიეკუთვნება უპირატესობა მრავალ პროლეტარულ მწერალთა ზორის—შეიძლება მივღო მხატვრულ მწერლობაშიც კი.

„ქორა კირალინა“-ს ავტორს თითქმის მთელი ქვეყანა იცნობს. „ქორა კირალინა“-მ სახელი გაუთქვა პანაიტ ისტრატის, მაგრამ განა „ქორა თორინჯი“ ჩამოყვარდება თავისი მხატვრული ღირსებით „ქორა კირალინა“-ს? არაფრით: კიდევ მეტი. „ქორა თორინჯი“ უძლიერესი ნაწარმოებია, უძლიერესი შენაქმედებითი წყევლი გაკლენთილი. „ქორა თორინჯი“ სან იმ ენო მხატვრული ფაქტია. ის უკვე კლასიკურ ნაწარმოებთა ჯგუფს მიეკუთვნება.

„ქორა თორინჯი“-ს მხატვრული ღირებულება უსათუოდ დიდია და მნიშვნელოვანი. აი ამ ნაწარმოებში მოხატეს პანაიტ ისტრატის მხატვრული ძლიერება მთელი თავისი სიგრძეს სიგანით. აქ ფეხნობით ჩვენ პანაიტ ისტრატის, როგორც მხატვარს, პროლეტარულ მწერალს და, რაც ასევე საგულესხმოა, — მთავრად.

„ქორა თორინჯი“ მსუქანი მხატვრული კალმის ნაყოფია. კითხულობთ მას თავდავიწყებით, თავდავებით, გატაცებით, ინტერესით. პანაიტ ისტრატი იტაცებს თავის მკითხველს, „სიყრობს“ მას, იზიარებებს მის ნებას, გრძობებს. პ. ისტრატი მკითხველს მონა როდია, პირაქით, მკითხველია მისი ერთგული. ამაშია პ. ისტრატის უდიდესი განარჯდება, მისი უდიდესი ღირსება, უღირსად ძლიერი მხარე. პ. ისტრატის შეუძლია მკითხველი დაითანხმოს, დაყაბუდოს, მკითხველზე გაუღენა ნოახდინოს. მკითხველი ვერსად გაქცევა პანაიტ ისტრატის, საზოგადოთ, ამით არის ყოველი დიდი მწერალი „ენობილი“ და „გენიალური“.

„ქორა თორინჯი“ დაწერილია თავისებური ბერბით. აქ ერთი ადამიანის თავდადასავალია მხატვრულად აწერილი. ეს ხერხი აბალი არ არის ლიტერატურაში. ე ი უ ლ რ ი მ ე ნ ი კ ა რ გ ა ლ ი ვ ე ბ ს ა მ ხ ე რ ს — „მოთხრობის მოთხრობას“. ამავე ხერხს მიმართავს ხშირად ჩვენში მის. ჯ ა ვ ა ნ ი შ ე ლ ი ც („გვიე შადურა“), უნდა ითქვას, სერიოზულ მწერალს ხელში ეს ხერხი უსათუოდ აღწევს მიზანს.

ეს ამბავი იმ კაცმა მიამბო, რომელიც აღჭყანდრიის მახლობლად, რამდენს უბანში, ფართო

აივანზე ეპოვე—მოგვიღობს ისტრატი — ეს კაცი მიყვას—არც ვიცი რისთვის, იგი ხშირად მიწწავდა გულს ფრთხილად სიბღერით, რომლის პირველქმედი წინაშე დაახლოებით ასე გადავთარგმნო:

წყლის ნაპირს, როგვზე—
ნგრანდელა ფუნდოტი.
ქალი კაბას ირეცხავს—
ნგრანდელა ფუნდოტი.

და იწყება მეტად ამაღლელებელი მოთხრობა „ავრა“ მარკოსი, რომელიც საციოციელი მხატვრებით და ინტერესით მოგვითხრობს ორი პატარა „ბოსიკის“ ფრთაშესხველ სიყვარულის ამბავს რომანს.

იშვითი მხატვრული გ-საქმებით, მხატვრული ხერხით და კონსტრუქციითა ეს რომანიც შესრულებული.

სოციალური მომენტები ძალიან მკრთალადაა რომანში მოცემული. პროლეტარული მწერლისათვის სოციალური მომენტი შეუძლებელია მერეგხარისხოვანი იყოს შემოქმედების პროცესში. სამწუხაროთ, ასეთ ცალმხრიობას ვამჩნევთ ჩვენ ბანაიტ ისტრატის ზოგიერთ ნაწარმოებში. ერთობ, ამასვე ვხედავთ „ქორა თორინჯი“-შიც. სოციალური მომენტების მიქმალდა უსათუოდ ჩაეთულება ავტორს საგულესხმო ნაკლათ. მთელ ნაწარმოებში მხოლოდ ასეთი მშრალი ფრაზები გვხვდება სოციალურ თქმაზე:

„პროისტრატარული უბნები ისევე ცოცხა და მღუღარე, როგორც იქ მოსახლეთა გული. მიწების გარეუბნებში კი მუდამი ჩონჩხილია და ქუტუტი. სამაგიეროთ აქ მეტია ადამიანობაც და მათთვის უფრო გასაგებია საიდუმლო ორი ვაქრისა, რომელნიც ფანჯრებს ჩისერებიან და ისე ჰყვირიან, ისე სტორიან, თითქო ქორწილს დაშეს დანიშნულები გაქცეოდეთ და დაეებენო“, დაეგორებელი მკითხველი დაგვთანხმება. რომ ამ ზოგად სიტყვებში სრულებით ჩამტკალია პროლეტარული ბრძოლისა და მოქმედების ცუბელი, ზოლო ამ სიტყვებზე უფრო ძლიერი და მგრანობიარე გამოთქმები ჩვენ ვერ ეპოვეთ მთელ ნაწარმოებში.

ავტორი გაიტაცა წმინდა მხატვრულმა განცდებმა და ანან ბუნებრივად გამოიწვია სოციალური მომენტების მიქმალდა.

პ. ისტრატისათვის ეს გარემოება შექმნივეითი არ არის. შესაძლოა პ. ისტრატი კიდევც „გადავარდეს“ წმინდა ესთეტიკის ტაობში და პროლეტარულ შემოქმედების გზას გადაუტოვოს. ამის ნიშნები უკვე არის. პანაიტ ისტრატი

საკმაო ხანს ეცნობოდა საბჭოთა „ავშირს, იყო ჩვენი შიაც, საქართველოში. ევროპაში დაბრუნების შემდეგ, საკმაოდ „იკვალა ფრონტი“ — აღმართოვანება პეტიციონებით შეცვალა. ზოგიერთი მწერლისათვის ენტრუნიზმი, მართლაც, „მეხივით ძლიერია და ელვასავით მოკლე“. ანუ დანართა პანაიტ ისტრატისაც. საბჭოთა ავშირიდან დაბრუნებულმა ისტრატმა ფრანგულ მხატვრულ გაზეთ „Les nouvelles litteraires-ში მოათავსა „შთაბეჭდილება“ (ინტერვიუს სახით), სადაც გამოხატა „ღრმა ეჭვები“ სოციალიზმის გამარჯვებაზე ჩვენში. ჩვენი გულწრფელი სურვილია, პანაიტ ისტრატო არ გაეფეს ამ გზას — არ შეუფრთხეს ევროპის ბერევაზიულ მწერლებს საბჭოთა პროლეტარიატის წინააღმდეგ მომართულ კორებსა და ცილისწამებაში...

ორიოდე სიტყვა თარგმანის შესახებ გულახდილად ვამბობთ. ფრანგულის მკოდნე არ ვართ. ამიტომ თარგმანის სისწრეზე ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ ჩვენთვის უკლებლივ კუადია: გგონიათ, ფრანგულათ ვი არა, პანაიტ ისტრატის ეს წიგნი ქართულად დაწერილია. უდიდესი სიყვარულით, მუკაოთობით და ინტერესითა ეს თარგმანი შესრულებული.

ვინ არ იცის, ცუდ თარგმანს, ცუდ ენას შეუძლია გააფუტოს ყოველგვარი გერიალტრი ნაწარმოები. კარგინაწარმოები კარგმა ხელოვანმა უნდა სთარგმნოს — ეს ტეშმარიტება უნდა დავიმასოვროთ.

წიგნი სუფთად და ლამაზათა გამოცემული. წიგნის გამოცემის კულტურას სახელგამი უყვე ატყვეს გვრადღებებს. ფასიც იაფია.

მოსკოვლი

ლ. მ. ძიარლი — სისხლი. რომანი. წიგნი — პირველი. სახელგამი. 1929 წ.

412 გვ. ფ. 3 მ. ტირ. 2.00

ამ რომანის გამოცემა უმეველად მიღწევად უნდა ჩაითვალოს, როგორც ავტორისათვის ისე ჩვენი გამოცემისათვისაც. რომანი უმეველად სასარგებლო და აღმზრდელია და აღმზრდელია იმნიშვნელობისა.

„სისხლი“ მოცემულია 905 წლის რევოლიუციის, რამან რომანის და არა მანალიათად ტრონიკის სახით არის გაშლილი თბრობა, ამიტომ გასაგებია, რომ სიუჟეტის რომანიულ განთავსების აუცილებლობამ ცოტათი დასარტა ფაქტური მზარც. მაგრამ ის მოვლენები და ბრძოლები, რომელიც აქ არის მოცემული, ეს სრულიად საკმაოა იმისათვის, რომ მკითხველს წარმოუფტეს 905-ის სტრათით თუ მიუღ საქართველოსი, არა, დასაყრეთ საქართველოს მისიც, ქუთაისის ციხის გათბრის მასალები, ფოთის რევოლიუციონერთა ბრძოლა და სხვა მრავალი ეპიზოდები კარგად არის გამოტეხებული.

მაგრამ პარალელურად ამბავისა 905-ის წესაზე, რომანში მოცემულია ტიპიკური მოვლი გალურია. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამითგან უფრო მკაფიოდ და ეცენტრალურ ფიგურად არის არამოთლანი, არადანსრულებული ინტელიგენტური ტიპის რევოლიუციონერი დადასანი. ამიტომ რომანში მოცემული მოვლენები მოცემულია ამ პიროის მოკმდეგბასთან დაკავშირებით, რაც ამცირებს რეზონანსს.

მეორე გინრი ან. პარაიძე გლურის რევოლიუციონერიდან შეგნებულ მებრძოლანდე იბრუნება მკითხველის თვალ წინ. მაგრამ შეიგნიდან და

ფსიქოლოგიურად დასაბუთებული ვერ არის ეს გინრი. საერთოდ ბოლშევიკების მოქმედებას უფრო იძლევა ავტორი ვიდრე ფსიქოლოგიკას. იქ, სადაც მუნშევიკთა ლაპარაკი, ავტორი „სულ იტრ“ მოვლენებს უფრო ეტება; იქ, სადაც ბოლშევიკებზეა ლაპარაკი იქ უფრო მოქმედებასთან გვატეს საქმე. და ეს სრულებით გასაგებია არის. აქ უმეველად ავტორის სწორ გაგებასთან გვატეს საქმე.

„სიყვარული“ ამბავს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს რომანში. დადასანი აქაც ძლიერ მრავალ სიტყვიანი, არაგადამწვევტი ტიპური ინტელიგენტია. მისი „სიყვარული“ უფრო რომანტიკაა ვიდრე რელობა.

რომანის მოქმედება ხან რუსეთში ხან დასაყრეთ საქართველოს ხედასანა ეუთბენი იშლებია. ამიტომ მრავალი მოვლენები და ტიპები მოცემული. ავტორი კარგად ელვოს ფაბულის ხელოვნებას და ამიტომ შესძლო ყველა ამით გაერთიანება.

ფორმის მხრივ ავტორს აქვს ბევრი ნაკლი. პირველი ეს არის პრიმიტივიზმი სტილისა და ფსიქოლოგიური მოვლენების აღწერისას. სანტიმიენტალური ნოდგამაც არის იქა აქ. უღაპრულ და უმწერდარულ მასალასაც მმართავს ავტორი ზოგიერთი მოვლენების გასალრმავებლად და ესეც ნაკლად უნდა ჩაითვალოს. მთავარი ეს არის, რომ ცოტად უმეველად გაკანონებულია ბოლშევიკური მომენტები.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ლ. ჭიბერელის რომანი „სისხლი“ ერთ-ერთი სერიოზული მიღწევაა აღნიშნული ბელეტრისტიკისთვის. ის ზედმიტევსავე მცირე რაოდენობის წიგნების რიცხვს ეფუძნება, რომელიც თანამედროვეობა იჭრის ხილთ მუშა შეთხვევას და განსაკუთრებით ახალ-

იახრდობას. ახალგაზრდობაში 90% -ს უნდა იცოდეს არა მარტო ისტორია ისტორიული წყაროებიდან (თუმცა 90% წლის რევოლუციის კარგი ისტორიაც არ მთავრდება უფრო მხატვრული მწერლობის საშუალებებით).

Библиотека Марксиста. Письмо Маркса к Кугельману. ნოსკოვი 1928 წ.

მარქსის წერილები ყველგანთან გამოიცა პირველად 1902 წ. გერმანულ ენაზე კარლს რედაქციით. 1907 წ. გამოიცა რუსული თარგმანი ლენინის რედაქციით და წინასიტყვიანობით.

სარეცენზიო გამოცემა მარქს-ენგელსის ინსტიტუტის შესწავლულია. კარლს გამოცემაში, როგორც ირვეცა, არ შესულა მთელი რიგი წერილები.

ახალი შუკი ეფუძნება ამ გამოცემაში შეტანილი წერილებიდან მარქსის ურთიერთობას ლასალთან, ლიბკნეხტთან, შვიცერთან.

ლასალი, როგორც ვიცით, ბელმწვანელობდა გერმ. პროდ. მოძრაობას, შვიცერი იყო მისი თანამშრომელი და მისი საქმის გამტარებელი. სხვა წერილებიდანაც აქვს მკითხველს გაგებული, რომ მარქსი სასტიკად უარყოფდა ლასალის და შვიცერის ტაქტიკას. ამ წერილებში ემატება მხოლოდ ახალი ნაშები. აქანდის ბეგრი ფაქობდა, რომ ლასალი თავისი რევოლუციონერობით იყო მარქსისათვის მიუღებელი. მაგრამ მარქსი სთვლიდა გ. შ. „რეალიზმურ“ პოლიტიკას—ობორტინიზმს იმის და შვიცერის ტაქტიკაში.

მარქსი არ ზოგავდა არც ახლო მეგობარს ლიბკნეხტს 12 ოქტ. 1868 წლის წერილში ის ამბობს, სხვათა შორის:

„აუარებელი თავსამტერევი საქმე გამოჩნდა ახლა გერმანიაში. მიზეზი ისაა, რომ ბელადები კოკლაობენ. ამას დანიანაც წერილებიდან, რომლებსაც გავხაგინ, და გთხოვ დამიბრუნო. ერთ მხარეზე რევიცერი, ის მე პაპით მაცნადებს—ურწმუნოა ბანაკში, —იმ მიზნით, რომ მე ის გამოვაცხადო გერმანიის მეშათა მღვდელ. მეორე მხარეზეა ლიბკნეხტი, რომლისთვისაც შვიცერს გაუხსენებია თორმე, რომ დემოკრატიულ, წერილებზე უფრო მოძრაობას გარდა არსებობს მოძრაობა პროლეტარული“.

ლიბკნეხტი ანგარიშს უწევდა სამხრეთ გერმანიის მეშათა წერილებზე უფრო სულის კეთებას. ეს ეტყობოდა მის გაზეთს. მარქსი სწერდა:—„ლიბკნეხტის გაზეთი სამხრეთ გერმანიის

ფარგლებშია მომწვედელი და იმას იქით ვერ მივხვდები“ (6 აპრ. 1868 წ.).

გაუგებარია, რათ აქვს კარლს გამოწვევული ეს ადგილები. იმ თთბტომის მიწერ-მოწერაში, რომელიც ბენელის და ბერნშტეინის რედაქციით გამოვიდა, მარქსს გუთვნის არა ერთი და ორი სტრიტონი ლიბკნეხტის რევიცის წინააღმდეგ, თუმცა საერთოთა ის ძალიან აუესებდა ამ ხელმძღვანელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიას.

გაუგებარია აგრეთვე გამოწვევა მთელი რიგი წერილების, სადაც მარქსი ლაპარაკობს თავისი პირადი ცხოვრების შესახებ. —აგათმყოფობა ხელს მიმოსი, ბავშვები ავით იყვენ, ახლა გამოკეთდენ, ტამზე აქა იქ მისაგენ (карбухуа), დარბილი ვარ... და სხვ.—ეს ახალს არაფერს არ ემატებს იმ წერილებს დასახელებულ თთბტონთან გამოცემაში. საბოგრაფო მასალისათვისაც აქ არაფერია ახალი. რა თქმა უნდა, ეს იმს არ ნიშნავა, რომ ამა თუ იმ საკითხზე თავმოყრილი არ უნდა იყოს ყველაფერი, რაც დაუწერია მარქსს.

კარლს გამოცემაში გამოწვევული ყოფილა არა მარტო მთელი წერილები, აქა იქ თითონ მოთაგნებულ წერილებს გამოკლებია ვრცელი ადგილები ახბაცებში. ეს არის აღნიშნული სარეცენზიო გამოცემის წინასიტყვიანობაში. აქ შეხვედებით ამას გარდა წერილშიან შუგთანამბობას გერმანულ ტექსტთან. მარქსი სწერს, მავალი-თად, —შვიცერის ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემაშია მთხოვეს ზემი ბელით დაწერილი ბიოგრაფიით (Briefe an Kugelmann. 1924 წ.). სარეცენზიო რუსულ თარგმანშია, —მთხოვეს ფოტოგრაფიით.

თარგმანი, რა თქმა უნდა, საერთოთ მიანიც კარგია, და იმევი გვაქვს, ინსტიტუტი ჯერ კიდევ უცნაობი წერილების გამოცევენებით მილიანათ მოგვეცემა მარქს-ენგელსის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ბოლომდის შეაქვს იმ ნაკლს, რომელიც იყო აქამდის გერმანულ გამოცემაშიაც.

—o.

ბიბ. კასიანი.
ა. შიქაბუ.
ბ. შამუღია.
ა. ქიქიაკაშვილი.
ბ. ურლი.

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა



ქართული
ბიბლიოთეკა

	ვერდი
1. პეტრე ხამსონიძე (ქუთათელაძე)—პოემა ხუთ-წლიან გვეგმაზე	5
2. რაჟდენ გვეტაძე — მუშათა ახალი სახლი კონქაძის ქუჩაზე	15
3. ვასო გორგაძე—გლეხი პოეტი	17
4. ვასილ ბარნოვი—წოდებული	18
5. მარიამ გარყული—ღონა	49
6. გრიგოლ რობაქიძე—უღევა	71
7. ა. პუშკინი—სადგურის ზედაშედეველი (თარ. ვასო გორგაძის)	99
8. მარტინი—მენაეთე სიმონა (თარგ. ლ. კარაპეტინისა).	108
9. თ. შარკლი—ლალატის ფასი (თარ. კარაპეტინისა)	118

კრიტიკა, შეხიზრება, კუბლიცინობა

10. მიხ. კახიანი—იდეოლოგიური ფრონტი	125
✓ 11. პროფ. კორნ. კეკელიძე—ქართული კულტურის ორი დღესასწაული	135
12. ი. ვაშაყმაძე—კრიტიკული შენიშვნები	151
13. ვრ. მუშიშვილი—მონოპოლისტური კაპიტალიზმი	164
14. ტიცინ ტაბიძე—ქართველი მწერლები სომხეთში	194

ბიბლიოგრაფია

15. სოლომონ იორდანიშვილი—რიჰარდ მტკელიანი: ქართულ გერმანული სიტყვარი	212
16. პ. ქაქოძე—იონა ვაკელი—ლექსები წიგნი მეორე	217
17. გ. შ—ლი—გ. ქუჩიშვილი. ლექსები	218
18. მოხკოველი—პანაიტ ისტრატი: ქოჩორა თურინჯი, თარგმარი ფრანგულით მ. ჯაგაბიშვილისა	220
19. პ. ქ.—ლეო ქიაჩელი: სისხლი	222
20.—ი—Библиотека Марксиста: Письмо Маркса к Кугельману.	223